

კონორ ფოული

ტაგეზის დასამარცხებლად

სახელმძვანელო მოსამართლეზისა
და კროკურორებისათვის

სახალხო დამხველის გიზლიოთეკა

წამების დასამარცხებლად

სახელმძღვანელო მოსამართლეებისა
და პროკურორებისათვის

კონორ ფოული

პირველი გამოცემა, დაბეჭდილია დიდ ბრიტანეთში 2003 წელს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ესექსის უნივერსიტეტი
ვინეპოუ პარკი, კოლჩესტერი, CO4 3SQ

ტელეფონი: 00 44 1206 872 558, ფაქსი: 00 44 1206 873 428

ინტერნეტმისამართი: http://www2.essex.ac.uk/human_rights_centre

http://www2.sx.ac.uk/human_rights_centre

ყველა საავტორო უფლება დაცულია. წინამდებარე ნაშრომის რეპროდუცირება შეიძლება ტრენინგის, საგანმანათლებლო და მითითებითი მიზნებით, თუ დადასტურებულია, რომ აღნიშნული ქმედებები არ არის დაკავშირებული კომერციულ სარგებლობასთან და მოხსენიებულია ესექსის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრი.

ამავე სერიის სხვა წიგნები:

„წამებასთან დაკავშირებული შემთხვევები“, ISBN 1-874635-28-5

<http://www.essex.ac.uk/torturehandbook/>

„მკვლევლობასთან, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევასთან, დაკავშირებული შემთხვევები“, ISBN 1-874635-37-4

<http://www.essex.ac.uk/reportingkillingshandbook/>

რედაქტორები:

გიორგი ჯოხაძე

ლასა ჭელიძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

დაიბეჭდა „სი-ჰი-ის“-ში



საქართველოს
სახალხო დამცველის
აპარატი

ISBN 99940-62-15-8

წინასიტყვაობა

საერთაშორისო სამართალსა და თითქმის ყველა სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული აკრძალვის მიუხედავად, წამების გამოყენება კვლავაც გრძელდება. თუმცა საზოგადოება გმობს წამებას, მაგრამ ამგვარ პრაქტიკას ფარულად მაინც მიმართავს მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო. ფაქტობრივად, წამებას ის სახელმწიფო მოხელეები მიმართავენ, რომლებიც მოწოდებულნი არიან, დაიცვან და აღასრულონ კანონი.

მოსამართლეებმა და პროკურორებმა განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ წამების დამარცხებაში. პირველ რიგში, ისინი თავადვე უნდა იცავდნენ კანონის უზენაესობის პრინციპს. არაფერი უქმნის საფრთხეს კანონის უზენაესობას ისე, როგორც სახელმწიფო მოხელეების მხრიდან კანონის სრული ნიველირება, განსაკუთრებით კი სახელმწიფო მოხელეთა უკანონო ქმედებები; მეორე მხრივ, როცა სახელმწიფო ჩართულია წამების აღკვეთის პროცესში და ვერ ასრულებს მას, ეს ნიშნავს, რომ იგი არღვევს საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებას. იმ პასუხისმგებელმა პირებმა, რომელთაც ევალებათ მართლმსაჯულების განხორციელება, ყველა ზომას უნდა მიმართონ იმისთვის, რომ არ ჩააყენონ სახელმწიფო ამგვარ მდგომარეობაში. და კიდევ, ვინაიდან ხელისუფლების აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანოებმა შეიძლება უგულვებელყონ კანონის უზენაესობის პრინციპი და ადამიანის უფლებები მაშინ, როცა საზოგადოება მოითხოვს უსაფრთხოების უფრო მეტად დაცვას გავრცელებული დანაშაულისა და (განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ) საერთაშორისო ტერორიზმისგან, უმჯობესია, თუ სასამართლო ხელისუფლება ყურადღებას საზოგადოებისა და მისი ძირითადი ღირებულებების დაცვაზე გაამახვილებს.

წამების დამარცხება მოსამართლეებისა და პროკურორებისგან მოითხოვს კანონის როგორც ფარის, ასევე მახვილის სახით გამოყენებას: მათ ხელთ არსებულმა ფარმა უნდა უზრუნველყოს ეროვნული და საერთაშორისო გარანტიები სამართალდამცავთა ხელში მყოფი ადამიანების დასაცავად წამებისაგან და აკრძალული არასათანადო მოპყრობისგან; ხმალი კი მიმართუ-

ლი უნდა იყოს იმისაკენ, რომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენმა პირებმა პასუხი აგონ კანონის წინაშე.

წინამდებარე სახელმძღვანელოში გაშუქებულია ის მოვალეობები და ვალდებულებები, რომლის თანახმადაც მოსამართლეებმა და პროკურორებმა უნდა აღკვეთონ და გამოიძიონ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების თითოეული ფაქტი, რათა ამგვარ ქმედებებში მხილებული პირები წარდგენ მართლმსაჯულების წინაშე, ხოლო მსხვერპლი უზრუნველყოფილ იქნეს ანაზღაურებით. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია პრაქტიკული რჩევები (აღებული საუკეთესო პრაქტიკიდან) იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წამების წინააღმდეგ ბრძოლა პროცესუალურ დონეზე.

თუმცა თავდაპირველად სახელმძღვანელო გათვალისწინებული იყო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის, მისი გამოყენება, წყაროს სახით, ასევე შეუძლიათ დაცვის ადვოკატებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სისხლის სამართალწარმოებაში და რომლებიც ერთ-ერთ უდიდეს ციხე-სიმაგრედ გვევლინებიან წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების წინააღმდეგ თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ. კარგად ინფორმირებულ და იურიდიულად განათლებულ პროფესიონალებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ წამების აღმოფხვრის საქმეში, ხოლო წინამდებარე წიგნი დაეხმარება მათ პროფესიული ფუნქციების სათანადოდ შესრულებაში.

წინამდებარე წიგნი ავსებს ესექსის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრის სახელმძღვანელოს – „წამებასთან დაკავშირებული შემთხვევები“ (ავტორი კამილ ჯიფარდი). აღნიშნულ სახელმძღვანელოსთან ერთად, წინამდებარე წიგნი გამოიცა და დაფინანსდა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, როგორც პროექტი, წამების წინააღმდეგ მიმართული პროგრამის ფარგლებში, რომელიც გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ პირველად 1998 წელს განახორციელა. როგორც აღნიშნული პროექტის დირექტორმა, ესექსის უნივერსიტეტის, მისი ადამიანის უფლებათა ცენტრისა და პროექტისათვის დახმარების ყველა აღმომჩენის სახელით, მსურს, დიდი მადლობა გადაუხადო ყველას განეული მხარდაჭერისათვის.

პროფესორი სერ ნაიჯელ როდლი

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ესექსის უნივერსიტეტი,
2003 წლის მარტი

ადამიანები.

რომელაგვას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავებაში

პროექტის დირექტორი
ავტორი და მკვლევარი
ადმინისტრაციული და
სამდივნო მხარდაჭერა:

პროფესორი სერ ნაიჯელ როდლი
კონორ ფოული

ენი სლოუგროუვი და ჰეიდი ვიგამი

მადლობები

გვსურს, მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ადამიანების მიმართ, რომლებმაც დიდი დრო და მონდომება დაუთმეს პროექტს – კითხულობდნენ შავ ნაწერებს, გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს და გვეხმარებოდნენ სხვა მხრივ. ესენი არიან: მეგნა აბრაჰამი, ქლაივ ბოლდუინი, დევიდ ბერგმანი, ჟან-ნიკოლას ბიზე, ჯუდით ბუენო დე მესკიტა, იან ბაერნი, რალფ ქროუშოუ, პარამ კუმარასვამი, ეუჯინიო არაგაო, თინა დე კრუზი, იან დორფელი, გრეჰემ დორსეტი, ჰელენ დაფი, მალკოლმ ევანსი, გლაუჩია ფალსარელი, კამილ ჯიფარდი, ჯეფ ჯილბერტი, ლიზა გორმლი, გაბრიელა გონსალეზი, მელ ჯეიმსი, მაიქლ კელეტი, მარკ კელი, სემ კინკაიდი, ჯეიმს ლოგანი, ჯერემი მაკბრაიდი, დენიელ მაკოვერი, გრეგ მეიენი, ფიონა მაკკეი, ლუცოეტე, გრენი ოჰარა, ჯოანა სელსბერი, იან სეიდერმანი, ჰელენ შოუ, ანა-ლენა სვენსონ მაკკარტი, უაილდერ ტეილორი, მარკ ტომსონი და ჯონ უედჰემი.

ასევე მადლობა გვინდა გადავუხადოთ შემდეგ ორგანიზაციებს: *Amnesty International*, ასოციაცია ნამების წინააღმდეგ, მართლმსაჯულების განხორციელების კომიტეტი, ბრაზილიის იუსტიციის გლობალური ცენტრი, ინქვესტი, ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია, იურისტთა საერთაშორისო კომისია, ინტერაითსი, იურისტთა საზოგადოება, ლიბერტი, სიაო პაოლოს პროკურორთა ოფისი, რედრესი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი.

საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს ოფისში გამართულ ერთდღიან სემინარზე სახელმძღვანელოს პროექტის განხილვას ესწრებოდნენ ადამიანები, რომელთაც მადლობას ვუხდით შეტანილი წვლილისთვის, ასევე მადლობას ვუხდით საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს ოფისის სტუმართმოყვარეობისათვის.

სემინარს ესწრებოდნენ: ჟან-ნიკოლას ბიზე, პარამ კუმარასვამი, ეუჯინიო არაგაო, ჰელენ დაფი, მალკოლმ ევანსი, ჯეფ ჯილბერტი, ლიზა გორმლი, მელ ჯეიმსი, მარკ კელი, ჯერემი მაკბრაიდი, ჯონა სელსბერი, იან სეიდერმანი, ანა-ლენა სვენსონ მაკკარტი, უაილდერ ტეილორი და მარკ ტომსონი.

სემინარის მომხსენებელი: გაბრიელა გონსალესი.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერა გასწია საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტრომ. განსაკუთრებით მადლობელნი ვართ დევიდ ჯირისა და ალისდარ უოკერის, აღნიშნული ოფისის თანამშრომლებისა და ადამიანის უფლებათა პოლიტიკის დეპარტამენტის, პერსონალური წვლილისა და მხარდაჭერისთვის.

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
მადლობები	7
წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება	13
შესავალი	20
ვისთვისაა განკუთვნილი წინამდებარე სახელმძღვანელო	20
როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე სახელმძღვანელო	23
I თავი. წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით	27
ზოგადი აკრძალვა	29
გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, 1984 წ.	34
სხვა შესაბამისი სტანდარტები	36
იურიდიული განსაზღვრებანი	37
საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმი და საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურები	40
ადამიანის უფლებათა კომიტეტი	40
გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი	41
რეგიონული მექანიზმები	41
მონიტორინგის სხვა მექანიზმები	43
გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ფაქტების შესახებ	44
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები	45
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)	45

II თავი. თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის წამების საწინააღმდეგო გარანტიები	51
ადამიანებისათვის თავიანთი უფლებების გაცნობა	53
პატიმრობის ოფიციალურად აღიარებული ადგილები და ციხის ჩანაწერების ეფექტიანი წარმოება	54
იზოლირებული პატიმრობის თავიდან აცილება	56
პატიმრობის ჰუმანური პირობები	58
დაკითხვის მიმართ არსებული შეზღუდვები	62
ადვოკატის ხელმისაწვდომობა და მისი ფუნქციების პატივისცემა	64
ექიმის დახმარების ხელმისაწვდომობა	67
პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების უფლება	68
გარანტიები განსაკუთრებული კატეგორიის დაპატიმრებულ პირთათვის	73
ქალები პატიმრობაში	74
არასრულწლოვანი პატიმრები	75
ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები	76
III თავი. მოსამართლეებისა და პროკურორების როლი დაკავებულებისა და დანაშაულში ეჭვმიტანილთა წამებისგან დაცვაში	83
მოსამართლეების როლი	84
პროკურორების როლი	85
გარანტიები პატიმრობისას	86
დაკითხვა	89
დამოუკიდებელი შემოწმებები	91
პატიმრობის პირობები	94
წარდგენა სასამართლო ხელისუფლების წინაშე	97
იურიდიული დახმარება	99
ჩვენებების დაშვებადობა	99
მონმეთა დაკითხვა	100
დაცვის ვალდებულება გადასახლების შემთხვევებში	103
IV თავი. გამოძიებისა და დაკითხვის წარმოება წამების ფაქტთან დაკავშირებით	109

რეაგირება წამებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე	112
გამოძიებისას სახელმძღვანელო პრინციპები	113
სამედიცინო სიმპტომები	119
დაკითხვის წარმოება	120
წამების სავარაუდო მსხვერპლთა დაკითხვა	122
სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა დაკითხვა	127
ბავშვებისა და არასრულწლოვნების დაკითხვა	128
ექვმიტანილთა დაკითხვა	128
სხვა მონმეების დადგენა	129
მონმეთა დაცვის საკითხები	130

V თავი. წამებაში ექვმიტანილთა სისხლისსამართლებრივი დევნა და ზარალის ანაზღაურება წამების მსხვერპლთათვის 137

წამება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული	137
ბრალეულობის საკითხები წამების დანაშაულისათვის	
ან ღირსების შემლახავი სხვა ფორმით მოპყრობისათვის	139
პასუხისმგებელ პირთა დადგენა და სისხლისსამართლებრივი დევნა	140
სისხლისსამართლებრივი დევნის ვალდებულება	145
სამართლიანი სასამართლო	147
იმუნიტეტები, ამნისტიები და ხანდაზმულობის ვადები	147
სასჯელი	151
ანაზღაურება	151

დანართები

დანართი №1: რჩეული საერთაშორისო დოკუმენტები 159

1. კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ, 1-ლი-მე-16 მუხლები; 159
2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მე-7 და მე-10 მუხლები; ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, მე-3 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, მე-5 მუხლი; ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის ქარტია, მე-5 მუხლი; 166

3. 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი;	168
4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მე-7 და მე-8 მუხლები;	170
5. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესახებ;	178
6. პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად;	182
7. სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ (ამონარიდები);	193
8. ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (ამონარიდები);	195
9. ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (ამონარიდები);	196
10. წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებლის რეკომენდაციები (ამონარიდები);	198
11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მძიმე დარღვევების მსხვერპლთა აღდგენის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის უფლება, სპეციალური მომხსენებლის პროფესორ მ. შერიფ ბასიონის საბოლოო ანგარიში;	204
12. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები (სტამბოლის ოქმი).	213
დანართი №2: CPT-ს სტანდარტები – რჩეული ამონარიდები	217
დანართი №3: შემდგომი ინფორმაცია და საკონტაქტო ორგანიზაციები	235
დანართი №4: ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რჩეული დოკუმენტების რატიფიცირების მდგომარეობის ცხრილი	241
დანართი №5: წამების აკრძალვა საქართველოში: მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან კონსტანტინე კორკელია, ბესარიონ ბოხაშვილი, ლაშა ჭელიძე	247
დამატებით საკითხავი მასალა	278

წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა	ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით სერიოზული დარღვევა, როგორცაა წამება ან სასამართლო ბრძანების გარეშე სიკვდილით დასჯა;
ანაზღაურება	მიყენებული ზიანის ანაზღაურების ზომები, მაგალითად, კომპენსაცია;
არასამთავრობო მოქმედი პირები	ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად მოქმედი კერძო პირები ან ჯგუფები;
აქტი	ზოგადი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებს (არის თუ არა ისინი იურიდიულად სავალდებულო);
აღსრულება (ვალდებულების)	ვალდებულებებისათვის ეფექტიანობის მინიჭება; მათი პატივისცემის გარანტირება;
ბრალდება	ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ პირისათვის ოფიციალური შეტყობინების წარდგენა, რომ მან ჩაიდინა სისხლისსამართლებრივი დანაშაული;
გადახვევა	დროებით შეჩერება ან შეზღუდვა;
გადაცემა (სავარაუდო დარღვევის მტკიცებასთან დაკავშირებული განაცხადის)	განაცხადის გადაცემა სავარაუდო დარღვევის მტკიცებასთან დაკავშირებით, მაგალითად, შესაბამისი სახელმწიფოსათვის;
განაცხადი	სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენილი წერილი ან განაცხადის სხვა

	ფორმა, რომლითაც პირი ითხოვს საქმის განხილვას ინდივიდუალური საჩივრის პროცედურის თანახმად;
განმცხადებელი	პირი, რომელსაც შეაქვს განაცხადი ინდივიდუალური საჩივრის პროცედურის შესაბამისად;
განხორციელება (ვალდებულებების)	ვალდებულებათა შესრულების ან მათი პატივისცემის გზები ან აღნიშნულის მისაღწევად დადგენილი ღონისძიებები;
დათქმა	ხელშეკრულების შესრულების ვალდებულების აღებისას სახელმწიფოს შეუძლია დათქმის გაკეთება – ეს არის განცხადება, რომლის მიხედვითაც იგი ახდენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეცვლას;
დაკავება	პირისათვის თავისუფლების შეზღუდვა დანაშაულის სავარაუდო ჩადენისათვის ან ხელისუფლების ქმედების შედეგად;
დამნაშავე	პირი, რომელმაც განახორციელა დანაშაული;
დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ	სერიოზული მოქმედებები, მაგალითად წამება, რომლებიც ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, ჩადენილია ისინი შეიარაღებული კონფლიქტის დროს თუ არა;
დაპატიმრება	პირისათვის თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი არის მსჯავრდება ჩადენილი დანაშაულისათვის;
დაუსჯელობა	უკანონო ან არასასურველი ქმედებისათვის შეფარდებული სასჯელისათვის თავის არიდება;
დეკლარაცია	განსაკუთრებით ოფიციალური გადანწყვეტილება, ჩვეულებრივ, გაერო-ს

	გენერალური ასამბლეისა, რომელიც თუმცა არ არის იურიდიულად სავალდებულო, მაგრამ აფუძნებს სტანდარტებს, რომელთა პატივისცემასაც კისრულობენ სახელმწიფოები;
დეპორტაცია	გაძევება სახელმწიფოდან;
თავშესაფარი	თავშესაფარს ეძებენ პირები, რომელთაც არ სურთ დაბრუნება ქვეყანაში, ჩვეულებრივ, საკუთარ სამშობლოში, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ. თავშესაფარის მიცემა გულისხმობს, რომ პირს მიეცა მოცემულ უცხო ქვეყანაში დარჩენის უფლება. ამგვარი უფლება შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი;
იურიდიულად სავალდებულო	თუ რაიმე იურიდიულად სავალდებულოა სახელმწიფოსათვის, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები;
იურისდიქცია (სასამართლო ორგანოს)	საკითხები, რომლებიც ხვდება სასამართლოს ან კვაზისასამართლო ორგანოს იურისდიქციის ფარგლებში;
იურისდიქცია (სახელმწიფოსი)	ტერიტორია ან პირები, რომლებზეც სახელმწიფო ახორციელებს თავის ხელისუფლებას;
იზოლირებული პატიმრობა	პატიმრობა გარესამყაროსთან კავშირის აკრძალვით;
იმ პირის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილი კომენტარები, რომელიც არ არის საქმეში მონაწილე მხარე (<i>Amicus curiae</i>)	სამართალწარმოების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს წინაშე კომენტარების წარდგენა იმ პირის მიერ, რომელიც არ არის მხარე აღნიშნულ საქმეში;
ინდივიდუალური საჩივარი	საჩივარი ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ინდივიდს ან ინდივიდებს;

კვაზისასამართლო პროცედურა	იმ ორგანოს წინაშე ჩატარებული პროცედურა, რომელიც სასამართლო ორგანოს მსგავსად განიხილავს საქმეებს, მაგრამ რომელიც არ შედგება მოსამართლეებისაგან და რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაც არ არის იურიდიულად სავალდებულო;
მანდატი	მექანიზმის უფლებამოსილება – დოკუმენტი, რომელიც განმარტავს მექანიზმის უფლებამოსილებას;
მიმოხილვები	კომენტარები, შეფასება;
მომჩივანი	პირი, რომელიც წარადგენს საჩივარს ინდივიდუალური საჩივრის პროცედურის თანახმად;
მონაწილე სახელმწიფო (ხელშეკრულების)	სახელმწიფო, რომელმაც გამოთქვა თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე;
მონიტორინგი	რაიმე საკითხის ან მდგომარეობის შესახებ მოხსენების შედგენისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიება ან მიღება;
მტკიცებულება	მტკიცებულება, რომელიც ამყარებს ან ადასტურებს პრეტენზიის ჭეშმარიტებას;
პეტიცია	თხოვნა ზომების მიღების შესახებ, მაგალითად, საქმის გამოძიების თხოვნა;
პრეტენზია (წამების შესახებ)	საჩივარი (რომელიც ჯერ არც დამტკიცებულია და არც უარყოფილი) იმის თაობაზე, რომ აღინიშნა წამება;
რატიფიცირება	პროცესი, რომლის თანახმად სახელმწიფო კისრულობს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას;
რეგლამენტი	დეტალური წესები, რომლებსაც იღებს სასამართლო ან კვაზისასამართლო ორგანო და რომლითაც ადგენს მის

	წინაშე გამართული სამართალწარმოების გზებს;
რეზოლუცია	საერთაშორისო ორგანოს მიერ, ხშირად კენჭისყრით, მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილება. ეს, ჩვეულებრივ, რეკომენდაციაა და, აქედან გამომდინარე, არ გააჩნია იურიდიულად სავალდებულო ძალა;
რეკომენდაცია	შემოთავაზებული ღონისძიებები. რეკომენდაციებს არ გააჩნია იურიდიულად სავალდებულო ძალა;
საზედამხედველო ორგანო	ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
სამთავრობათაშორისო ორგანო	ორგანო ან ორგანიზაცია, რომელიც შედგება ერთზე მეტი სახელმწიფოს მთავრობათა წარმომადგენლებისაგან;
სამხედრო დანაშაული	1949 წლის ჟენევის კონვენციის მძიმე დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტისას იმ ადამიანებისა თუ საკუთრების მიმართ, რომლებსაც იცავს კონვენცია, ან ომის კანონების სხვაგვარი დარღვევა.
სანქცია	ჯარიმა, დაკისრებული სახელმწიფოზე, მისი იურიდიული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო;
სასამართლოს განაჩენი	სასამართლოს მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც იურიდიულად სავალდებულო ხასიათისაა;
სასამართლო სამართალწარმოება	სასამართლო ორგანოს წინაშე გამართული სამართალწარმოება;
სასამართლო პროცესი	სასამართლოს წინაშე საქმის შეტანისა და წარმოების პროცესი;
საჩივრის შეტანა	საჩივრის რეგისტრირება;

საქმის არსებითი განხილვა	ინდივიდუალური საჩივრის პროცედურის საფეხური, რომელზეც სასამართლო ან კვაზისასამართლო ორგანო განიხილავს საქმეზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და ადგენს, იყო თუ არა დარღვევა;
სახელმწიფოს პასუხისმგებლობა	სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება საერთაშორისო სამართლის თანახმად;
ფაქტების დადგენა	გამოძიების ჩატარება ფაქტების დადგენის მიზნით;
ქვეყნის კანონმდებლობა ან სამართლებრივი სისტემა	ეროვნული კანონმდებლობა ან სამართლებრივი სისტემა; კანონმდებლობა ან სამართლებრივი სისტემა, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული სახელმწიფოსათვის;
ხელშეკრულება	საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფოებისათვის ადგენს იურიდიულად სავალდებულო ვალდებულებებს;
ხელშეკრულების მუხლი	ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი;
ხელშეკრულების ორგანო დარღვევა (ვალდებულებების)	ხელშეკრულებით შექმნილი ორგანო; საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მიღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა სახელმწიფოს მიერ;
ძალაში შესვლა (ხელშეკრულების)	მომენტი, საიდანაც იწყება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ამოქმედება;
წინასწარი ღონისძიებები	დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს სასამართლო ან კვაზისასამართლო ორგანომ საქმის შესწავლის დამთავრებამდე გამოუსწორებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით;

შეტყობინება

წერილი ან განაცხადის რომელიმე სხვა ფორმა, რომლითაც ინფორმაცია გადაეცემა საერთაშორისო ორგანოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ეს ტერმინი გულისხმობს განაცხადებს, რომლებიც წარდგენილია ინდივიდუალური საჩივრის პროცედურის თანახმად. ამგვარი შეტყობინების შემდგენელ პირს ხშირად მოიხსენიებენ შეტყობინების ავტორის სახელით;

შესავალი

ვისთვისაა განკუთვნილი წინამდებარე სახელმძღვანელო

- 0.1. წინამდებარე სახელმძღვანელო დაიწერა როგორც საინფორმაციო წყარო მსოფლიოს მოსამართლეებისა და პროკურორების დასახმარებლად წამების შემთხვევების აღკვეთის ან ამგვარი ქმედებების გამოძიების მიზნით. იგი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე შეიცავს კარგი პრაქტიკის საკონტროლო ჩამონათვალებსა და რჩევებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სამართლებრივი სისტემების, მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურული მეთოდების არსებობის გამო, შეუძლებელია ისეთი დეტალური იურიდიული მითითებების შემცველი წიგნის შექმნა, რომელიც საყოველთაო იქნებოდა ყველა ქვეყნისათვის. წინამდებარე სახელმძღვანელო იძლევა პრაქტიკულ რჩევებს მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, რომელთა გადაწყვეტილებები, ბევრ შემთხვევაში, უშუალო ზეგავლენას ახდენს წამების პრობლემასა და არასათანადო მოპყრობის სხვა აკრძალულ ფორმებზე.
- 0.2. წამება აბსოლუტურად აკრძალულია საერთაშორისო სამართლით და მისი გამართლება შეუძლებელია ნებისმიერი გარემოების მიუხედავად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) დაგმო წამება, როგორც მისი ქარტიის მიზნების უგულვებელყოფა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაცხადებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა. წამება ასევე აკრძალულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემების მიერ. მაშინაც კი, როცა ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის სპეციალური პუნქტი, რომელიც დასჯადად აცხადებს წამებას, აუცილებლად არსებობს რაიმე სხვა კანონი, რომელიც ითვალისწინებს წამების დანაშაულში მხილებულთა პასუხისმგებლობას. მიუხედავად ამისა, წამება და არასათანადო მოპყრობა ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში.

- 0.3. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აღკვეთა, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პოლიტიკურ ან პროფესიულ ნებას, ხოლო მის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფალთ. მოსამართლეებსა და პროკურორებს, მათი როლის გათვალისწინებით კანონის უზენაესობის დაცვის საქმეში, ეკისრებათ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღკვეთის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ამგვარი ქმედებების დაუყოვნებელი და ეფექტიანი გამოძიების, დამნაშავეების დასჯისა და მსხვერპლთა კომპენსაციის მიღების გზით. წამების საგარაუდო შემთხვევების აღკვეთა და გამოძიება გარკვეულ პრობლემებს უქმნის მოსამართლეებსა და პროკურორებს და მართლმსაჯულების განხორციელებას ზოგადად, ვინაიდან დანაშაულს, ჩვეულებრივ, ჩადიან ის ოფიციალური პირები, რომლებიც პასუხს აგებენ კანონის დაცვასა და აღსრულებაზე. ეს კიდევ უფრო ართულებს მის წინააღმდეგ ბრძოლას, ვიდრე სისხლის სამართლის სხვა სახის დანაშაულების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, მოსამართლეებსა და პროკურორებს ეკისრებათ სამართლებრივი ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ მათი პროფესიული ხელშეუხებლობა და სამართლიანობა, რომლის დაცვასაც ისინი ემსახურებიან, არ იყოს კომპრომეტირებული წამების ან არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების შეწყნარების საფუძველზე.
- 0.4. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული სპეციფიკური გარანტიების გათვალისწინებასთან ერთად, ხელისუფლების – განსაკუთრებით სამართალდამცავი და მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების – მხრიდან მნიშვნელოვანია წამების ყველა ფორმის საჯაროდ დაგმოება ყოველი ამგვარი ქმედების გამოვლენისას. მათ უნდა გაითავისონ, რომ წამების ჩამდენი პირები და ხსენებულ ქმედებათა განხორციელების დროს პატიმრობის ადგილების ხელმძღვანელი მუშაკები პირადად აგებენ პასუხს ამგვარი დანაშაულისათვის.
- 0.5. წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს შეიძლება ნებისმიერ ადგილას წავანყდეთ. ადამიანები განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექცევიან მაშინ, როდესაც მათ აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, იმყოფებიან წინასწარი პატიმრობის ადგილებში ან ექვემდებარებიან დაკითხვას. უდიდესია რისკი დაკავების ან დაპატიმრების პირველ ფაზაში, სანამ პირს ხელი მიუწვდება ადვოკატზე ან სასამართლოზე. განსაკუთრებით დაუცველნი არიან ის პირები, რომლებიც იმყოფებიან იზოლირებულ პატიმრობაში და მონყვეტილნი არიან გარესამყაროს.

- 0.6. მოსამართლეებმა და პროკურორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ისინი თვითონ, წინასწარი განზრახვის გარეშე ან რაიმე სხვა გზით, არ აღმოჩნდნენ ჩარეულნი წამების შემთხვევებში სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში პროკურორები შეიძლება უშუალოდ მონაწილეობდნენ ისეთ დაკითხვებში, როცა დანაშაულის აღიარების ან სათანადო ინფორმაციის მიღებისათვის გამოიყენება იძულებითი მეთოდები. ზოგიერთ შემთხვევაში პროკურორები სასამართლო პროცესზე შეიძლება დაეყრდნონ ისეთ ინფორმაციასა და აღიარებას, რომლებიც შესაძლოა, მოპოვებულ იქნეს იძულებითი მეთოდებით.
- 0.7. ზოგჯერ მოსამართლეები და პროკურორები ვერ უზრუნველყოფენ იმ კანონებისა და პროცედურების შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფს დაკავებული და დაპატიმრებული პირების დაცვას და ვერ ახდენენ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აღკვეთას. ისინი ზოგჯერ არ მოითხოვენ, რომ პირმა განცხადება და აღიარება გააკეთოს მათი თანდასწრებით; არ იძიებენ მათ წინაშე წარდგენილი დაპატიმრებული პირის ფიზიკური თუ სულიერი აშლილობის ნიშნებს; აბრუნებენ დაპატიმრებულ პირს იმ სამართალდამცავების ხელში, რომელთა მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ვარაუდისა, რომ პირი შეიძლება დაექვემდებაროს არასათანადო მოპყრობას; არ რეაგირებენ ნიშნებზე, რომლებიც ოფიციალური საჩივრის გარეშეც მიუთითებს არასათანადო მოპყრობაზე პირის მიმართ; საკმარისი სერიოზულობით არ განიხილავენ საჩივრებს არასათანადო მოპყრობის შესახებ; არ აწარმოებენ გამოძიებას ამგვარ საქციელში მხილებული პირის დასჯის მიზნით და არ იყენებენ პატიმრობის ადგილების დეტალური შემოწმების მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.
- 0.8. მეორე მხრივ, მოსამართლეებსა და პროკურორებს შეუძლიათ წამების აღკვეთასა და ამგვარი შემთხვევების გამოძიებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გამოყენება; შეუძლიათ, მოითხოვონ ეჭვმიტანილის მათ წინაშე წარდგენა ადრეულ ეტაპზე მის მიმართ მოპყრობის შესაბამისობის შემოწმების მიზნით; იქ, სადაც კანონი მათ ამის შესაძლებლობას აძლევს, წამების შესახებ პრეტენზიებთან და წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაშვებადობის გათვალისწინებით შეუძლიათ მტკიცების ბალანსის განმარტება ისე, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებსა და პატიმრობის ადგილების ხელმძღვანელებს პირებს ხელი შეუშალონ დაკავებული თუ დაპატიმრებული პირების მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენებაში. ისინი ასევე მუდმივად

უნდა ადევნებდნენ თვალს საკუთარი სასამართლოების ან ტრიბუნალების შესაბამისობის საკითხს წამების აღკვეთის და ამგვარი შემთხვევების გამოძიების უმაღლეს სტანდარტებთან.

- 0.9. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი უზრუნველყოფს ძირითად მინიმუმს, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ისეთი გამოცდილებები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება კარგი პრაქტიკის სტანდარტების შემუშავებისას. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია კონკრეტული მაგალითები, რომლებიც მოკლედ წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკიდან ამოკრებილ შემთხვევებს, გვიჩვენებს მოსამართლეებისა და პროკურორების ბრძოლას წამების წინააღმდეგ თავიანთი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში.

როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე სახელმძღვანელო

- 0.10. წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველ თავში მოკლედაა განხილული წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ის ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს წამების აკრძალვიდან. იგი ასევე ეხება ზოგიერთ მოქმედ საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმს; მეორე თავში მოცემულია გარანტიები იმ პირებისათვის, რომლებსაც აღეკვეთათ თავისუფლება და დაუშვებელია მათ მიმართ წამების ან არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენება. მასში მოცემულია როგორც ხელშეკრულებით განსაზღვრული, ასევე სხვა არასახელშეკრულებო სტანდარტები და რეგიონალური თუ საყოველთაო სამართლებრივი აქტები. პრეცედენტულ სამართალთან და საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა თუ ინსტიტუტების მოხსენებებთან ერთად, წინამდებარე სახელმძღვანელოს მეორე თავში წარმოდგენილი არის სამართლის მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც დაეხმარება ქვეყნის მოსამართლეებსა და პროკურორებს;
- 0.11. მესამე თავში აღწერილია მოსამართლეებისა და პროკურორების როლი აღნიშნული სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენებისას. ეს მოიცავს საკონტროლო ჩამონათვალებს თავისუფლებააღკვეთილი პირების გარანტიებისათვის და მითითებებს პატიმრობის ადგილებში შემონმების ჩატარებისათვის. მოცემულ თავში ასევე განსაზღვრულია მოსამართლეებისა და პროკურორების როლი ისეთ შემთხვევებში, როცა დასტურდება, რომ აღიარება მიღებულია წამების ან არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების საფუძველზე. ასევე

მოკლედაა განხილული სხვა ქვეყანაზე გადასაცემ – დეპორტაციისა და ექსტრადიციის, ან თავშესაფრის ძიების კონტექსტში – იმ პირთა დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ წამებას;

- 0.12. მეოთხე თავში საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა რეაგირებდნენ წამების შემთხვევების გამოძიებისას პასუხისმგებელი პირები წამებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე და როგორ უნდა მოიპოვონ მტკიცებულებები. ამ თავში საუბარია, თუ ვინ უნდა წარმართოს ამგვარი გამოძიება და ასევე გამოძიების წარმართვის შესახებ ზოგად პრინციპებზე. დამატებით, მასში მოცემულია რჩევები დაზარალებულების, მოწმეებისა და ეჭვმიტანილების ინტერვიუებასთან და მოწმეების დაცვასთან დაკავშირებით, როცა საქმე ეხება წამების საქმეების გამოძიებასა და ამ ფაქტზე აღძრულ სამართალწარმოებას;
- 0.13. მეხუთე თავში საუბარია წამებაში ან არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებში მხილებული პირების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის თაობაზე. იგი ეხება წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა დანაშაულთა იურიდიულ განსაზღვრებას და იმას, ვინ უნდა იქნეს მიჩნეული დამნაშავედ ამგვარი ქმედებისათვის, როგორ უნდა მოხდეს მათი დადგენა და პასუხისგებაში მიცემა. ასევე მოკლედაა განხილული საყოველთაო იურისდიქციის, ამნისტიის, სასჯელისა და ანაზღაურების საკითხები;
- 0.14. ზოგიერთი საერთაშორისო აქტის ტექსტები წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია დანართების სახით. ასევე თანდართულია ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებების რატიფიცირების მდგომარეობის ცხრილი.

I ტაჰი

წამების აკრძალვა

საერთაშორისო სამართლის მიხედვით

შინაარსი

წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით	27
ზოგადი აკრძალვა	29
გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, 1984 წ.	34
სხვა შესაბამისი სტანდარტები	36
იურიდიული განსაზღვრებანი	37
საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმი და საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურები	40
ადამიანის უფლებათა კომიტეტი	40
გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი	41
რეგიონალური მექანიზმები	41
მონიტორინგის სხვა მექანიზმები	43
გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ფაქტების შესახებ	44
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები	45
ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)	45

წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით

- 1.1. წინამდებარე თავში მოკლედაა განხილული წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ის ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს წამების აკრძალვიდან. იგი ასევე ეხება ზოგიერთ მოქმედ საზედამხებველო ორგანოს, რომელიც შეიქმნა აღნიშნულ ვალდებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგის მიზნით. ხსენებული ორგანოების სამუშაო პრაქტიკამ შეიძლება დახმარება აღმოუჩინოს მოსამართლეებსა და პროკურორებს საერთაშორისო სტანდარტების სფეროს შესახებ ინფორმაციის მიღებაში, როცა აუცილებელი ხდება მათი გამოყენება ეროვნულ დონეზე.
- 1.2. საერთაშორისო საზოგადოებამ ადამიანების წამებისაგან დასაცავად განავითარა სტანდარტები, რომლებიც ეხება მსოფლიოს ყველა სამართლებრივ სისტემას. ეს სტანდარტები ითვალისწინებს სამართლებრივ სისტემათა არსებულ მრავალფეროვნებას და ადგენს მინიმალურ გარანტიებს, რომლებსაც უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული სისტემა. მოსამართლეებსა და პროკურორებს ეკისრებათ აღნიშნული სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა საკუთარი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში. მაშინაც კი, როცა სახელმწიფოს რატიფიცირებული არა აქვს რომელიმე მოცემული ხელშეკრულება წამების აკრძალვის შესახებ, ვინაიდან წამების აკრძალვა მეტად ფუნდამენტურია, ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლით.¹

¹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლი ჩამოთვლილია საერთაშორისო სამართლის წესების განსაზღვრის საშუალებები: საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც ადგენს წესებს; საერთაშორისო ჩვეულება, როგორც ზოგადი პრაქტიკა, რომელიც სამართლის სახით ჩამოყალიბდა; ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპები, სასამართლო გადაწყვეტილებები და საჯარო საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტების სწავლება. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები (ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი) შედგება ნორმებისგან, რომლებიც მომდინარეობს აღნიშნული წყაროების ერთობლიობიდან.

- 1.3. მრავალ ქვეყანაში სასამართლოები იყენებენ თავიანთი სახელმწიფოების მიერ რატიფიცირებულ ხელშეკრულებებს ან საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს (ჩვეულებითი სამართალი) ან ორივეს ერთად. სხვაგვარი მოქცევა ნიშნავს პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობას. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც საერთაშორისო სამართლის გამოყენება არ ხდება ეროვნულ სასამართლოებში, სასამართლო ხელისუფლება უნდა ეცადოს, არ გამოიტანოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის წამების აკრძალვის სფეროში. ამის მიზეზია ის, რომ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ქვეყნის კონსტიტუციის ან კანონების გამოყენება საერთაშორისო სამართლის დარღვევის გასამართლებლად.
- 1.4. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოყვანილ სტანდარტებს აქვთ სხვადასხვა იურიდიული სტატუსი. ზოგიერთ მათგანს შეიცავს ის ხელშეკრულებები, რომლებიც იურიდიულად სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს მათ და მოახდინეს მათი რატიფიცირება, ან მიუერთდნენ მათ. წამების წინააღმდეგ მიმართული გარანტიები უფრო დეტალურადაა მოცემული იურიდიულად არასავალდებულო, ე.წ. „რბილი კანონის“ სამართლებრივ აქტებში, როგორებიცაა: დეკლარაციები, რეზოლუციები თუ ძირითადი პრინციპები, ან საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და ინსტიტუტების მოხსენებებში. ვინაიდან მათ აქვთ იურიდიულად არასავალდებულო ხასიათი, აღნიშნულ სტანდარტებთან დაკავშირებით შეიძლება წარიმართოს მოლაპარაკებები მთავრობებს შორის და/ან ისინი შეიძლება მიღებულ იქნენ ისეთი პოლიტიკური ორგანოების მიერ, როგორიცაა გაერო-ს გენერალური ასამბლეა. ზოგჯერ ისინი კიდევ ერთხელ ადგენენ ისეთ პრინციპებს, რომლებიც იურიდიულად სავალდებულოდ ითვლება როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები (ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი). ხსენებული სამართლებრივი აქტები ხშირ შემთხვევაში უფრო დეტალურად ითვალისწინებს იმ აუცილებელ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადაიდგას ყველა ადამიანის წამებისგან დაცვის ძირითადი უფლების უფრო მეტი გარანტირებისთვის.
- 1.5. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი გაერო-ს ორგანოებისა, რომლებიც შეიქმნა კონკრეტული კონვენციებით, მონიტორინგს უწევენ აღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისობას და აყალიბებენ სახელმძღვანელო პრინციპებს ხსენებული სტანდარტების განმარტების კუთხით. ეს ორგანოები, ჩვეულებრივ, იძლევიან ზოგად კომენტა-

რებსა და რეკომენდაციებს, განიხილავენ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებებს და გამოსცემენ მიმოხილვებს სახელმწიფოს მოცემულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის თაობაზე. ზოგიერთი მათგანი ასევე განიხილავს დარღვევების შედეგად დაზარალებული ინდივიდებისაგან მიღებულ საჩივრებს. ამგვარად, მათ შეუძლიათ ხელშეკრულებათა დებულებებისა და იმ ვალდებულებების კომპეტენტური განმარტების ჩამოყალიბება, რომლებსაც აღნიშნული დებულებები აკისრებს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს.

- 1.6. გაერო-ს, ხელშეკრულებებში მოცემული მექანიზმების გარდა, ასევე აქვს სხვა მექანიზმები საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი საკითხების ან რომელიმე მოცემულ ქვეყანაში მდგომარეობის შესამოწმებლად. აღნიშნული ორგანოები მონიტორინგს უწევენ ყველა სახელმწიფოს (მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა კონკრეტულ სახელმწიფოს რატიფიცირებული რომელიმე მოცემული კონვენცია) და შეუძლიათ ყურადღების მიქცევა რომელიმე კონკრეტულ დარღვევაზე.

ზოგადი აკრძალვა

- 1.7. წამების აკრძალვა მოცემულია ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო და ჰუმანიტარულ ხელშეკრულებაში, იგი ასევე განიხილება როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპი. წამების აკრძალვას, გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის თანახმად, მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი – *jus cogens*-ი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის „იმპერატიულ ნორმას“.² საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები იურიდიულად სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს რატიფიცირებული მოცემული ხელშეკრულება.

² ადამიანის უფლებათა კომიტეტის 24-ე (52) ზოგადი კომენტარი, ზოგადი კომენტარი იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება პაქტის ან მისი დამატებითი ოქმების რატიფიცირების ან მასთან მიერთების შემდეგ გაკეთებულ დათქმებს ან პაქტის 41-ე მუხლის თანახმად ჩამოყალიბებულ დეკლარაციებს, UN Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.6 (1994), მე-10 პუნქტი; ასევე იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის, *Prosecutor v Delalic and Others* (პროკურორი დელაჩიჩისა და სხვათა წინააღმდეგ), საქმე IT-96-21-T, 1998 წლის 16 ნოემბრის განაჩენი, პუნქტები 452-ე და 454-ე; *Prosecutor v Furundzija* (პროკურორი ფურუნდზიჯას წინააღმდეგ), საქმე IT-95-17/1-T, 1998 წლის 10 დეკემბრის განაჩენი, 139-ე და 143-ე პუნქტები; *Prosecutor v Kunarac and Others* (პროკურორი კუნარაჩისა და სხვათა წინააღმდეგ), საქმე IT-96-23-T და IT-96-23/1-T, 466-ე პუნქტი.

jus cogens-ის პრინციპებს არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სახელშეკრულებო სამართალი ან საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმები.

- 1.8. წამების აკრძალვა მოცემულია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლსა და ადამიანის უფლებათა მრავალ საერთაშორისო თუ რეგიონალურ ხელშეკრულებაში. სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობას რატიფიცირებული აქვს ის ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვასთან დაკავშირებულ დებულებებს. აღნიშნულში შედის: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966 წ.)³, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წ.)⁴, ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია (1978 წ.)⁵ და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის ქარტია (1981 წ.)⁶. ზოგიერთი ამ ხელშეკრულების წამებასთან დაკავშირებული მუხლების ტექსტები და იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ საყოველთაო ხელშეკრულებები, მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს დანართებში.
- 1.9. არაერთი ხელშეკრულება შემუშავებულ იქნა სწორედ წამების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ესენია:
- გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ (1984 წ., წამების საწინააღმდეგო კონვენცია);
 - ევროპული კონვენცია წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღკვეთის შესახებ (1987 წ.);
 - ამერიკათაშორისი კონვენცია წამების აღკვეთისა და ამგვარი ქმედებების დასჯის შესახებ (1985 წ.).

წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აბსოლუტური აკრძალვა გულისხმობს, რომ, ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის თანახმად, ამ კანონმდებლობიდან გადახვევა დაუშვებელია. არ არსებობს რაიმე ისეთი გარემოება, რომლის გამოც სახელმწიფოებს შეუძლიათ ხსენებული ვალდებულებიდან გადახვევა ან მისი შეზღუდვა. აღნიშნული ვალდებულებიდან გადახვევა ან მისი შეზღუდვა ასევე დაუშვებელია საომარი მდგომარეობის დროსაც, ან ისეთი

³ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-7 მუხლი და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

⁵ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶ აფრიკის ქარტიის მე-5 მუხლი.

საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს, როდესაც, შესაძლოა, გამართლებული იყოს გარკვეული უფლებებიდან გადახვევა ან მათი შეზღუდვა⁷. სახელმწიფოებს ასევე ეკრძალებათ ვალდებულებებიდან გადახვევა მაშინ, როდესაც ასეთ ქმედებას შეუძლია ადამიანების წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების რისკის ქვეშ დაყენება, მაგალითად, გადაჭარბებული პერიოდით იზოლირებული პატიმრობის დაშვება ან დაკავებით თუ დაპატიმრებით თავისუფლებააღკვეთილისათვის სასამართლოს წინაშე დაუყოვნებლივ წარდგომის აკრძალვა⁸. აღნიშნული აკრძალვა მოქმედებს ისეთი გარემოებების მიუხედავად, როგორებიცაა: მსხვერპლის სტატუსი ან (თუ იგი სისხლის სამართლის დანაშაულშია ეჭვმიტანილი) ის დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება მსხვერპლს⁹.

⁷ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი და ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის 27-ე მუხლი ზოგიერთი მკაცრად განსაზღვრული გარემოებებისას უშვებს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ვალდებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობას იმ დონემდე, სანამდეც ამას მოითხოვს კრიტიკული მდგომარეობა. დაუშვებელია ვალდებულებებიდან გადახვევა იმ მუხლებთან მიმართებით, რომლებიც ეხება წამებისა და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვას. აფრიკის ქარტია არ ითვალისწინებს რაიმე საგანგებო მუხლს და, აქედან გამომდინარე, არც უშვებს ვალდებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობას.

⁸ ადამიანის უფლებათა კომიტეტის 29-ე ზოგადი კომენტარი, საგანგებო მდგომარეობა (მე-4 მუხლი), მიღებული 2001 წლის 24 ივლისის 1950-ე შეხვედრაზე, მე-16 პუნქტი; *Aksoy v Turkey* (აკსოი თურქეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი; *Brannigan and MacBride v UK* (ბრანიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 მაისის განაჩენი; *Brogan v UK* (ბროგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 29 ნოემბრის განაჩენი; „*habeas corpus*-ი საგანგებო მდგომარეობისას“, 1987 წლის 30 იანვრის საკონსულტაციო დასკვნა OC-8/87, ამერიკათაშორისი სასამართლოს წლიური ანგარიში, 1987 წ., OAS/Ser.L/V/III.17 doc.13, 1987 წ.; და „სასამართლო გარანტიები საგანგებო მდგომარეობისას“, 1987 წლის 6 ოქტომბრის საკონსულტაციო დასკვნა OC-9/87, ამერიკათაშორისი სასამართლოს წლიური ანგარიში, 1988 წ., OAS/Ser.L/V/III.19 doc.13, 1988 წ.

⁹ გაერო-ს წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ მე-2 მუხლი; ასევე იხ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენებები, *Mutambo v Switzerland* (მუტამბო შვეიცარიის წინააღმდეგ) (13/1993) GAOR, 49-ე სესიის 44-ე დამატება (1994) *Khan v Canada* (ხანი კანადის წინააღმდეგ) (15/1994), GAOR, 50-ე სესიის 44-ე დამატება (1995); და *Ireland v UK* (ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A № 25 (1978); *Chahal v UK* (ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის განაჩენი; *Tomasi v France* (ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A № 241-A (1993); *Selmouni v France* (სელმონი საფრანგეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 ივლისის განაჩენი.

- 1.10. სახელმწიფოს ოფიციალურმა პირებმა არ უნდა გააღვივონ, ხელი შეუწყონ ან შეინწყნარონ ადამიანების წამება და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა. ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის ბრძანება არ მიიღება წამების გამართლებად.¹⁰ სახელმწიფოები ასევე ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ წამება მიჩნეულ იქნეს დანაშაულად ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ყველა ამგვარ ქმედებაზე გავრცელდეს სისხლის სამართლის იურისდიქცია და განხორციელებულ იქნეს მათი გამოძიება და ასეთი ქმედების ჩამდენთა პასუხისგებაში მიცემა.¹¹
- 1.11. ადამიანის წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენება რომელიმე სხვა მხარის მიერ, როგორც სამხედრო დანაშაული, ასევე აკრძალულია შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ კანონმდებლობით (ჰუმანიტარული სამართალი).¹² ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული წამების აკრძალვა ასახულია ჟენევის ოთხი კონვენციისთვის მე-3 საერთო მუხლსა და ჟენევის ოთხი კონვენციისთვის სხვადასხვა დებულებაში მძიმე დარღვევებთან დაკავშირებული დებულებებისა¹³ და 1977 წლის დამატებითი ოქმის¹⁴ ჩათვლით. წამება ასევე ითვლება კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად, როცა ამგვარი მოქმედება ხორციელდება მშვიდობიანი მო-

¹⁰ გაერო-ს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-2 მუხლი. ეს პრინციპი ასევე მოცემულია 1946 წლის ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალების ქარტიაში და დამტკიცებულია გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ. მისი პოვნა ასევე შეიძლება რუანდისა და იუგოსლავიისათვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სტატუტებში და, მცირე ცვლილებებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში.

¹¹ გაერო-ს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-4, მე-5, მე-7, მე-12 და მე-13 მუხლები; ასევე იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარის მე-13 და მე-14 პუნქტები.

¹² ომის დანაშაულებში შედის 1949 წლის ჟენევის კონვენციებით განსაზღვრული „მძიმე დარღვევები“, განხორციელებული საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისას კონვენციით დაცული პირებისა და ქონების მიმართ და, როგორც ამას ადასტურებს სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის (ICTY), ჟენევის კონვენციების მე-3 საერთო მუხლის დარღვევა (*Prosecutor v Tadic – პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ*), დაცვის მხარის მიერ პირველადი პრეტენზიის წამოყენება (საქმე IT-94-I-AR72, 1995 წლის 2 ოქტომბერი, 134-ე პუნქტი). დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ განისაზღვრება როგორც მოქმედება, რომელიც ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, ჩადენილია ისინი შეიარაღებული კონფლიქტის დროს თუ არა.

¹³ ჟენევის პირველი კონვენციის მე-12 და 50-ე მუხლები; ჟენევის მეორე კონვენციის მე-12 და 51-ე მუხლები; ჟენევის მესამე კონვენციის მე-13, მე-14, 87-ე და 130-ე მუხლები; ჟენევის მეოთხე კონვენციის 27-ე, 32-ე და 147-ე მუხლები.

¹⁴ 1-ლი დამატებითი ოქმის 75-ე მუხლი და მე-2 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი.

სახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, ჩადენილია ისინი შეიარაღებული კონფლიქტის დროს თუ არა. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) რომის სტატუტის მე-7 მუხლი მოიცავს წამებასა და გაუპატიურებას სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ. ყენევის კონვენციების მე-3 საერთო მუხლისა და რომის სტატუტის მე-7 და მე-8 მუხლების ტექსტები მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველ დანართში.

- 1.12. წინამდებარე სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ გამოყენებულ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებზე. ეს განსაკუთრებით ეხება სამართალდამცავებს. მიუხედავად ამისა, სულ უფრო იზრდება ადამიანების დაცვის საჭიროება მსგავსი მოვლენებისგან იმ კერძო პირების ან პირთა ჯგუფების მხრიდან, რომლებიც ეფექტიან კონტროლს ახორციელებენ მათზე. სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში თითოეული პირის უფლებები და მათ შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა კერძო პირების მიერ ჩადენილ ქმედებებზე, თუ სახელმწიფოები მხარს უჭერენ მათ, ან მათი მხრიდან ხდება ამგვარი პრაქტიკის შეწყნარება, ან სხვაგვარად ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი მოქალაქეების ეფექტიან დაცვას კანონის ფარგლებში.¹⁵
- 1.13. ადამიანის უფლება, დაცული იყოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა აკრძალული ფორმების გამოყენებისაგან, მოიცავს უფლებას, არ იქნეს პირი დაბრუნებული იმ ქვეყანაში, რომელზეც, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ იგი აღმოჩნდება ამგვარი მოპყრობის მსხვერპლი.¹⁶ ადამიანებს აქვთ უფლება, არ იქნენ დაბრუნებული იძულებით იქ, სადაც ისინი შეიძლება წამებას დაექვემდებარონ – მაშინაც კი, თუ ჯერ არ არიან აღიარებული ლტოლვილებად. ექსტრადიციის მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალ-

¹⁵ *Velásquez Rodríguez-ის საქმე (ველასკეს როდრიგესის საქმე)*, ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი სასამართლოს 1988 წლის 29 ივლისის განაჩენი, HR სერია C, № 4; *H.L.R. v France* (ეიჩ-ელ-არი საფრანგეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 29 აპრილის განაჩენი; *D. v UK* (დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 2 მაისის განაჩენი.

¹⁶ გაერო-ს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლი; ლტოლვილების სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლი, *Chahal v UK* (ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1996 წლის 15 ნოემბრის განაჩენი.

დებულებებს ადამიანის წამებასთან და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მანამ, სანამ იგი გადასცემდეს პირს ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოს.¹⁷

გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ, 1984 წ.

- 1.14. გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კონვენცია 1984 წელს მიიღო გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ. 2002 წლის აგვისტოს მდგომარეობით 130 ხელმომწერი სახელმწიფო იყო კონვენციის მხარე. კონვენცია განსაზღვრავს წამებას და ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ წამება ნებისმიერი გარემოებისას. წამების გამართლება არ შეიძლება საგანგებო მდგომარეობით ან სხვა განსაკუთრებული გარემოებით და არც ზემდგომი თანამდებობის პირისგან მიღებული ბრძანებებით.¹⁸ კონვენცია კრძალავს პირის იძულებით დაბრუნებას ან ექსტრადიციას იმ ქვეყანაში, სადაც იგი შეიძლება აღმოჩნდეს წამების რისკის ქვეშ.¹⁹ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წამება ეროვნული კანონმდებლობით განიხილებოდეს როგორც დანაშაული, ამგვარ ქმედებაში მონაწილეობის, თანამონაწილეობის და მისი წაქეზების ჩათვლით.²⁰ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი იურისდიქციის გავრცელება ამგვარი დანაშაულისათვის წამების შემთხვევაში, როცა დანაშაულში ეჭვმიტანილთა ექსტრადირება არ ხდება სხვა ქვეყნის სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ სახელმწიფოში იქნა ჩადენილი წამება და რომელი ქვეყნის მოქალაქეა დამნაშავე („უნივერსალური იურისდიქცია“).²¹ უნივერსალური იურისდიქციის განხორციელებისას სახელმწიფოები ვალდებული არიან, დააპატიმრონ წამების განხორციელებაში ეჭვმიტანილები, მოიკვლიონ წამებასთან დაკავშირებული პრეტენზიები და გადასცენ წამებაში ეჭვმიტანილი პირები პროკურატურის ორგანოებს.²² სახელმწიფოებმა ასევე უნდა ითანამშრომლონ

¹⁷ *Soering v UK* (სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 7 ივლისის განაჩენი, სერია A № 161.

¹⁸ გაერო-ს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-2 მუხლი.

¹⁹ მე-3 მუხლი, იქვე.

²⁰ მე-4 მუხლი, იქვე.

²¹ მე-5 მუხლი, იქვე.

წამებაში მხილებული პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის საკითხებში.²³ ნებისმიერი განცხადება, რომელიც გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ უნდა იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი განცხადება გამოიყენება წამებაში ეჭვმიტანილის წინააღმდეგ.²⁴ წამების მსხვერპლს ასევე აქვს ანაზღაურებისა და ადეკვატური კომპენსაციის მიღების უფლება.²⁵

- 1.15. წამების საწინააღმდეგო კონვენცია ასევე ავალდებულებს ხელმძღვანერ სახელმწიფოებს, მიიღონ ეფექტიანი ზომები წამების დასამარცხებლად. სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, ჩაუტარონ ტრენინგები წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის შესახებ სამართალდამცავი და სამედიცინო სფეროს თანამშრომლებს და ყველა იმ პირს, რომელთაც შეიძლება შეხება ჰქონდეთ დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებააკვეთილ პირებთან დაკავებისას, პატიმრობისას ან დაკითხვისას.²⁶ დაკითხვის წესები და პატიმრობის პირობები ყოველთვის დაკვირვების ქვეშ უნდა იყოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები.²⁷ სახელმწიფოებმა აქტიურად და სრულყოფილად უნდა გამოიძიონ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები მაშინაც კი, როცა მათთან დაკავშირებით არ არის შემოსული ოფიციალური საჩივარი.²⁸ ინდივიდებს აქვთ წამებისა და არასათანადო მოპყრობის თაობაზე საჩივრის აღძვრის, მათი საჩივრების გამოძიებისა და დაშინების თუ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის მიღების უფლება.²⁹ ასევე აკრძალულია სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის გამოყენება, რაც წამებად არ განიხილება. წინამდებარე პუნქტში განხილული დებულებები ასევე ეხება ამგვარ ქმედებებსაც.³⁰

²² მე-6–მე-8 მუხლები, იქვე.

²³ მე-9 მუხლი, იქვე.

²⁴ მე-15 მუხლი, იქვე.

²⁵ მე-14 მუხლი, იქვე.

²⁶ მე-10 მუხლი, იქვე.

²⁷ მე-11 მუხლი, იქვე.

²⁸ მე-12 მუხლი, იქვე.

²⁹ მე-13 მუხლი, იქვე.

³⁰ მე-16 მუხლი, იქვე.

სხვა შესაბამისი სტანდარტები

1.16. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული კანონების გარდა, ყველა ადამიანის წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან დაცვისთვის ჩამოყალიბებულია სხვა წესებისა და სტანდარტების მთელი რიგი. თუმცა, თავისთავად, ისინი არ არიან იურიდიულად სავალდებულო, გამოხატავენ აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც უნდა დაიცვას ყველა სახელმწიფომ და რომლებიც მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის. ხსენებულს განეკუთვნება შემდეგი:

- მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ (1957 წ., 1977 წლის ცვლილება-დამატებებით);
- დეკლარაცია თითოეული ადამიანის დაცვის შესახებ წამებისაგან და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯისაგან (1975 წ.);
- სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსი (1979 წ.);
- სამედიცინო მუშაკების (კერძოდ, თერაპევტების) როლის შესაბამისი სამედიცინო ეთიკის პრინციპები ციხეში მოთავსებულ და დაპატიმრებულ პირთა დაცვაში წამებისგან და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯისაგან (1982 წ.);
- დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია (1985 წ.);
- სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები (1985 წ.);
- მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე (პეკინური წესები) (1987 წ.);
- პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად (1988 წ.);
- პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები (1990 წ.);
- ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (1990 წ.);
- სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ (1990 წ.);
- თავისუფლებაალკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები (1990 წ.);

- უკანონო, თვითნებური და სასამართლო ბრძანების გარეშე სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებული პრინციპები (1990 წ.);
- სამართალდამცავების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები (1990 წ.);
- ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა დაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების პრინციპები (1991 წ.);
- დეკლარაცია ყველა ადამიანის ძალადობრივი გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ (1992 წ.);
- წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები (სტამბოლის ოქმი) (1999 წ.).

ზემოჩამოთვლილი ზოგიერთი სამართლებრივი აქტის ამონარიდები მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს 1-ლ დანართში.

იურიდიული განსაზღვრებანი

1.17. წამების საწინააღმდეგო კონვენციის 1-ლ მუხლში მოცემულია საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული განსაზღვრება იმ მოქმედებებისა, რომლებიც ითვლება „წამებად“. ხსენებული მუხლის თანახმად:

„ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც მძიმე ფიზიკური ან სულიერი ტკივილი თუ ტანჯვა განზრახ მიადგა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისაგან მიღებულ იქნეს ინფორმაცია ან აღიარება; მისი დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან ეჭვმიტანილია მის ჩადენაში, დაშინებით ან იძულებით მესამე პირის მიერ, ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული მიზეზით, როცა ასეთი ტკივილი თუ ტანჯვა მიყენებულია ნაქეზებით ან ნებართვით, ან თანამდებობის პირის უსიტყვო თანხმობით ან სხვა პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა როგორც ოფიციალური პირი. ეს განმარტება არ მოიცავს ტკივილსა და ტანჯვას, რომელიც გამომდინარეობს, განუყოფელია ან შემთხვევით გამოიწვევა კანონიერი სანქციით.“

1.18. „წამებასა“ და „სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და დასჯას“ შორის ზუსტი საზღვრის გავლება ხშირად რთულია და შეიძლება, დამოკიდებული იყოს საქმის კონკრეტულ

გარემოებებსა და მოცემული მსხვერპლის ხასიათზე. ორივე ტერმინი გულისხმობს სულიერ და ფიზიკურ ზემოქმედებას, რომელსაც განზრახ ახორციელებს ხელისუფლების წარმომადგენელი ან რომელიც ხორციელდება მისი ნებართვით თუ უსიტყვო თანხმობით. წამების „უმთავრესი ელემენტებში“, რომლებიც მოცემულია წამების სანინალმდეგო კონვენციის 1-ლ მუხლში, შედის შემდეგი:

- სასტიკი სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის ან ტანჯვის მიყენება;
- ხელისუფლების წარმომადგენლების ნებართვით ან უსიტყვო თანხმობით;
- ცალკეული მიზნის განხორციელება, როგორცაა: ინფორმაციის მოპოვება, დასჯა ან დაშინება.

1.19. სასტიკი მოპყრობა და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა ასევე იურიდიული ტერმინებია. ისინი განეკუთვნებიან არაადამიანურ მოპყრობას, რომელსაც არა აქვს კონკრეტული მიზანი, მაგრამ აქვს განზრახვა, დაუქვემდებაროს ადამიანი ისეთ პირობებს, რასაც შედეგად მოჰყვება არაადამიანური მოპყრობა. ადამიანის ისეთი პირობებისადმი დაქვემდებარება, რაც გონივრულად მიჩნეულია არაადამიანურ მოპყრობად, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამგვარი საქციელისთვის. დამამცირებელი მოპყრობა შეიძლება მოიცავდეს ტკივილისა და ტანჯვის მიყენებას ნაკლები სისასტიკით, ვიდრე წამება, სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობა, ჩვეულებრივ, გამიზნულია მსხვერპლის შეურაცხყოფისა და დამცირებისათვის. უმთავრესი ელემენტები, რომლებსაც შეიცავს არაადამიანური მოპყრობა და არ უტოლდება წამებას, შეიძლება დაყვანილ იქნეს შემდეგამდე:

- მნიშვნელოვანი სულიერი ან ფიზიკური ტკივილისა თუ ტანჯვის განზრახ მიყენება;
- ხელისუფლების წარმომადგენლის ნებართვით ან უსიტყვო თანხმობით.

ხშირად რთულია ზუსტი საზღვრის გავლება არაადამიანური მოპყრობის სხვადასხვა ფორმას შორის, ვინაიდან ამას სჭირდება ტანჯვის ხარისხის შეფასება, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს საქმის კონკრეტულ გარემოებებსა და მოცემული მსხვერპლის ხასიათზე. ზოგ შემთხვევაში, არაადამიანური მოპყრობის ზოგიერთი ფორმა ან პატიმრობის ზოგიერთი ასპექტი, რომლებიც არ არის წამება თავისთავად, შეიძლება წამებად განიხილებოდეს ერთმანეთთან კომბინა-

ციაში. თუმცა არაადამიანური მოპყრობაც აკრძალულია საერთაშორისო სამართლით და იქაც კი, სადაც მოპყრობა არ შეიცავს განზრახვის ელემენტს, ან დამამცირებელ მოპყრობასთან მიმართებით, არ განიხილება იმდენად სასტიკად (სამართლებრივი თვალსაზრისით), რომ შეიძლებოდეს მისი წამებასთან გატოლება, იგი შეიძლება მაინც განეკუთვნოს აკრძალულ არასათანადო მოპყრობას.³¹

1.20. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ადგენს, რომ: „პაქტი არ შეიცავს მე-7 მუხლში მოცემული ცნებების განსაზღვრებას და არც კომიტეტი თვლის აუცილებლად აკრძალულ ქმედებათა ჩამონათვალის ჩამოყალიბებას ან მკაცრი განსხვავების დადგენას დასჯისა თუ მოპყრობის სხვადასხვა ფორმას შორის; განსხვავება დამოკიდებულია მოპყრობის ხასიათზე, მიზანსა და სისასტიკეზე“.³² თუმცა იგი ადგენს, რომ მე-7 მუხლში მოცემული აკრძალვა ეხება არა მხოლოდ იმ ქმედებებს, რომლებიც ინვეს ფიზიკურ ტკივილს, არამედ ქმედებებსაც, რომლებიც სულიერ ტანჯვას აყენებს მსხვერპლს.³³ საქმეში *Selmouni v France* (სელმონი საფრანგეთის წინააღმდეგ) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „გარკვეული ქმედებები, რომლებიც წარსულში კლასიფიცირებული იყო „არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად“ „წამების“ საწინააღმდეგოდ, შეიძლება მომავალში სხვაგვარად იქნეს კლასიფიცირებული. ...ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში აუცილებელი მნიშვნელოვნად მაღალი სტანდარტის არსებობა შესაბამისად და გარდუვალად მოითხოვს უფრო დიდ სიმყარეს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების დარღვევების შეფასებისას.“³⁴

1.21. ჟენევის კონვენციების შემდგენლებმა ასევე თავი აარიდეს აკრძალული ქმედებების დეტალური ჩამონათვალის შედგენას. ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ჟენევის კონვენციებთან დაკავშირებულ კომენტარში აღნიშნა შემდეგი: „ყოველთვის სახიფათოა დეტალებში

³¹ მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გამოიყენებს ტანჯვის შედარებითი სისასტიკის ცნებას „წამებასა“ და „არაადამიანურ მოპყრობას“ შორის გამავალ ზღვარად. ჩვეულებრივი მიდგომით, გამოიყენება მიზანწარაფულობის ელემენტის არსებობა ან სხვა რამ, მას შემდეგ, რაც განისაზღვრება, არის თუ არა ქმედება წამება.

³² ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-20 ზოგადი კომენტარი, მე-7 მუხლი (ორმოცდამეოთხე სესია, 1992 წ.), ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ხელშეკრულებით შექმნილი საზედამხედველო ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HRI/GEN/1/Rev.1 at 30 (1994 წ.), მე-4 პუნქტი.

³³ იქვე მე-5, პუნქტი.

³⁴ *Selmouni v France* (სელმონი საფრანგეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 ივლისის განაჩენი, 101-ე პუნქტი.

ჩალრმავება, განსაკუთრებით ამ სფეროში. რაც არ უნდა დიდი ყურადღებით შედგეს ზემოქმედებათა სხვადასხვა ფორმის ჩამონათვალი, ყოველთვის შეუძლებელი იქნება მომავალი წამების შემთხვევებთან დაკავშირებული იმ პირთა ფანტაზიის განსაზღვრა, რომლებსაც აქვთ თავისი ცხოველური ჟინის დაკმაყოფილების სურვილი; რაც უფრო დეტალური და სრული ჩამონათვალის შედგენა იგეგმება, მით უფრო შემზღუდავი ხდება იგი. მიღებული ფორმულირება მოქნილია, და, ამავე დროს, ზუსტი.³⁵

საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმი და საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურები

ადამიანის უფლებათა კომიტეტი

- 1.22. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით შეიქმნა ადამიანის უფლებათა კომიტეტი, როგორც სამონიტორინგო ორგანო. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, რომლებსაც ირჩევენ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები. იგი განიხილავს მოხსენებებს, რომლებიც ხელმომწერმა სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა წარადგინონ, გამოსცემს მიმოხილვებს პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით და აყალიბებს შესაბამის რეკომენდაციებს სახელმწიფოსათვის. კომიტეტს ასევე შეუძლია იმ ინდივიდებისაგან მიღებული შეტყობინების განხილვა, რომლებიც საკუთარ თავს მიიჩნევენ ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ პაქტის დარღვევის მსხვერპლად. ამ პროცედურისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო იყოს პაქტის პირველი დამატებითი ოქმის მხარე. კომიტეტს ასევე გამოცემული აქვს მთელი რიგი ზოგადი კომენტარებისა, რომლებიც განმარტავენ პაქტის სხვადასხვა მუხლს და ადგენს მოთხოვნებს, რომლებსაც ისინი აკისრებენ მონაწილე სახელმწიფოებს. მე-7 მუხლთან დაკავშირებული ზოგადი კომენტარი მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს 1-ლ დანართში.

³⁵ *ჟან პიეტეს კომენტარი – ჟენევის მეოთხე კონვენცია ომის დროს სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ*, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), 1958 წ., გვ. 39.

გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი

- 1.23. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი შედგება ათი დამოუკიდებელი ექსპერტისაგან და შექმნილია წამების საწინააღმდეგო კონვენციით. იგი განიხილავს მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილ მოხსენებებს, რომლებიც ეხება კონვენციის დებულებების იმპლემენტაციასა და მიმოხილვებთან დაკავშირებულ საკითხებს. მას ასევე შეუძლია ინდივიდებისაგან მიღებული მიმოხილვების განხილვა, თუ შესაბამისი სახელმწიფო ეთანხმება ამ პროცედურას კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად გაკეთებული განცხადებით. მე-20 მუხლის თანახმად, ასევე არსებობს პროცედურა, რომლის მიხედვითაც კომიტეტს შეუძლია აღძრას გამოძიება, თუ იგი თვლის, რომ არსებობს „სრულიად დასაბუთებული მონაცემები რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წამების სისტემატური გამოყენების თაობაზე“.
- 1.24. ახალი დამატებითი ოქმი გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 2002 წლის დეკემბერში. ოქმის თანახმად, დადგინდა პატიმრობის ადგილების რეგულარული ვიზიტების განხორციელების დამატებითი ორმაგი სისტემა წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღკვეთის მიზნით. პირველ მათგანს წარმოადგენს ვიზიტების განხორციელების საერთაშორისო მექანიზმი, ანუ ათი დამოუკიდებელი ექსპერტისაგან შემდგარი „ქვეკომიტეტი“, რომელიც პერიოდულად დაათვალიერებს დაკავების ადგილებს; მეორე არის ხელმომწერი სახელმწიფოების ვალდებულება, შექმნან, დაადგინონ ან გამოიყენონ ვიზიტების განხორციელების რამდენიმე სახელმწიფო მექანიზმი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება უფრო რეგულარული ვიზიტების განხორციელება. საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები რეკომენდაციებით უზრუნველყოფენ შესაბამის ხელისუფლებას, თუ როგორ უნდა მოხდეს თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ მოპყრობისა და პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

რეგიონული მექანიზმები

- 1.25. ევროპის საბჭოს (CoE), ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) და აფრიკული გაერთიანების (AU)³⁶ ფარგლებში ასევე შემუშავებულ იქნა მთელი რიგი ადამიანის უფლებათა რეგიონალური ხელ-

³⁶ ყოფილი აფრიკული ერთობის ორგანიზაცია (OAU).

შეკრულებებისა. აღნიშნული ხელშეკრულებებით დაცული უფლებები გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან (და მისი მსგავსია), თუმცა თითოეულმა ხელშეკრულებამ საკუთარი მიდგომა გამოიყენა მათი განხორციელებისას. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოხსენიებულია შემდეგი ძირითადი დოკუმენტები:

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
- წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია;
- ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია;
- ამერიკათაშორისი კონვენცია წამების აღკვეთისა და დასჯის შესახებ;
- ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის ქარტია.

1.26. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი კომისია, ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი სასამართლო, ადამიანის უფლებათა აფრიკის კომისია და ადამიანის უფლებათა აფრიკის სასამართლო (რომელიც მალე უნდა ჩამოყალიბდეს) ახორციელებენ მონიტორინგს იმ საკითხებზე, თუ რამდენად შეესატყვისება სახელმწიფოების კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაბამის ხელშეკრულებებს. აღნიშნული ორგანოები განიხილავენ წამების პრეტენზიებს იმავე დონეზე, რომელზეც განიხილება ადამიანის სხვა უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტები. მიუხედავად ამისა, ევროპის საბჭოს ფარგლებში ასევე შეიქმნა სპეციალური ორგანო მის ნევრ სახელმწიფოებში წამების აღკვეთის მიზნით.

1.27. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT) შეიქმნა 1987 წელს ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციით. იგი შედგება იმდენივე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი წევრისაგან, რამდენი ხელმომწერი სახელმწიფოც ჰყავს კონვენციას. CPT-ის შეიქმნა დახმარება გაუწიონ *ad hoc* ექსპერტებმა. დღევანდელი მდგომარეობით ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული წამების აღკვეთის ევროპული კონვენცია. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი პერიოდულ და *ad hoc* (სპეციალური) ვიზიტებს აწყობს ხელშემკვრელი სახელმწიფოების იურისდიქციაში შემავალი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან:

შეუშვან აღნიშნული კომიტეტის წევრები ქვეყნის ტერიტორიაზე და მისცენ მათ შეუზღუდავი გადაადგილების საშუალება; უზრუნველყონ სრული ინფორმაციით თავისუფლების აღკვეთის ადგილების შესახებ; შეუზღუდავად დაუშვან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და მისცენ მათ ასეთ ადგილებში შეუზღუდავი გადაადგილების ნებართვა; მიაწოდონ სხვა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კომიტეტისათვის თავისი ამოცანების შესასრულებლად.³⁷ CPT ყოველგვარი მონმეებისა და მეთვალყურეობის გარეშე აწარმოებს პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა მონახულებას და მათთან გასაუბრებას. კომიტეტი ასევე უფლებამოსილია, დაუკავშირდეს ნებისმიერ იმ პირს, რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია სათანადო ინფორმაციის მოწოდება. მთავრობისათვის წარდგენილი ვიზიტთან დაკავშირებული მოხსენება და დეტალური რეკომენდაციები კონფიდენციალურია, თუ კონკრეტული მთავრობა არ ჩათვლის, რომ მათი გამოქვეყნება დასაშვებია. ფაქტობრივად, მოხსენებების უმრავლესობა ქვეყნდება.

მონიტორინგის სხვა მექანიზმები

- 1.28. მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევის სპეციფიკური განხილვის მიზნით გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ ჩამოაყალიბა მონიტორინგის სხვადასხვა მექანიზმი. ამ ქვეყნების მიხედვით, სპეციფიკურ და თემატურ მექანიზმებში შედის სპეციალური მომხსენებლების, წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების ან სამუშაო ჯგუფების ინსტიტუტები. ისინი ყალიბდებიან გადანყვეტილების საფუძველზე იმ სიტუაციების საპასუხოდ, რომლებიც იმსახურებენ ყურადღებას და ითხოვენ უფრო ღრმა შესწავლას. აღნიშნული პროცედურების შესახებ მოხსენებები ყოველწლიურად ბარდება ადამიანის უფლებათა კომისიას და ზოგიერთის შესახებ ასევე – გაერო-ს გენერალურ ასამბლეას.
- 1.29. წინამდებარე სახელმძღვანელოში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია შემდეგ მექანიზმებზე: სპეციალური მომხსენებელი წამების ფაქტების შესახებ, სპეციალური მომხსენებელი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების შესახებ, სპეციალური მომხსენებელი მოსამართლეთა და ადვოკატთა დამოუკიდებლობის ფაქტების შესახებ, ძალადობრივი ან ადამიანის სურვილის წინააღმდეგ განხორცი-

³⁷ 1987 წლის წამებისა და არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.

ელებული ადამიანის გაქრობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი და თვითნებური დაპატიმრების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი. გარდა ამისა, არსებობს კიდევ უამრავი მექანიზმი. ამ ორგანოთა მუშაობა არ არის ურთიერთგამომრიცხავი და მათ შეუძლიათ, ერთობლივად ან დამოუკიდებლად იმოქმედონ ერთსა და იმავე პრეტენზიასთან დაკავშირებით.

გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის ფაქტების შესახებ

- 1.30. აღნიშნული მანდატი 1985 წელს დაადგინა გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ. ეს ორგანო არ არის ხელშეკრულებით შექმნილი, არამედ იგი წარმოადგენს „გაერო-ს ქარტიით გათვალისწინებულ“ ორგანოს. მისი მიზანია წამებასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის შემოწმება ნებისმიერ სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ნაკისრი რაიმე ვალდებულება რომელიმე ხელშეკრულების მიხედვით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სპეციალურ მომხსენებელს შეუძლია, დაუკავშირდეს მთავრობებს და მოითხოვოს მათი მოსაზრების წარდგენა წამოჭრილი საკითხების შესახებ. მას ასევე შეუძლია, მიმართოს „გადაუდებელი მოქმედების“ პროცედურას და მოითხოვოს სახელმწიფოსაგან ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ თავის ტერიტორიაზე ჰუმანური მოპყრობის გარანტია. სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე შეიძლება განახორციელოს ვიზიტები ქვეყანაში, თუ იგი მიიღებს ამასთან დაკავშირებულ მინვევას ან ნებართვას. ამგვარი მისიების მიერ შედგენილი მოხსენებები დანართის სახით ემატება საგანგებო მომხსენებლის მიერ გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის წინაშე წარდგენილ ძირითად მოხსენებას.
- 1.31. სპეციალური მომხსენებელი ყოველწლიურად და საჯაროდ წარადგენს მოხსენებებს გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიისა და გაერო-ს გენერალური ასამბლეის წინაშე. კომისიის მიმართ შედგენილ მოხსენებებში შედის სპეციალური მომხსენებლის მიერ მთავრობებისთვის გადაგზავნილი მთლიანი კორექსონდენცია და ასევე მათგან მიღებული პასუხები. მოხსენებები ასევე შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ სახელმწიფოში წამების პრობლემასთან დაკავშირებულ მიმოხილვებს, თუმცა მასში არ არის მოცემული რაიმე დასკვნები წამების პრეტენზიების შესახებ. მოხსენებები შეიძლება ეხებოდეს

დეს რაიმე სპეციფიკურ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ან იწვევენ წამების შემთხვევებს მსოფლიოში და შეიცავდეს ზოგად დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები

- 1.32. სისხლის სამართლის ეროვნული სასამართლოები პასუხისმგებელნი არიან წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებაზე. ბოლო წლებში ჩამოყალიბდა მთელი რიგი სისხლის სამართლის *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალებისა, მათ შორის: სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის (ICTY) და სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი რუანდისთვის (ICTR). წამების დანაშაული, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული და სამხედრო დანაშაული, შეტანილია ყოფილი იუგოსლავიისათვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის³⁸, რუანდისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის³⁹ და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის (ICC) სტატუტებში⁴⁰. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი შეთანხმებულ იქნა 1998 წელს და რატიფიცირდა 60 სახელმწიფოს მიერ, რაც საკმარისი აღმოჩნდა მისი ძალაში შესვლისათვის 2002 წელს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მომავალში შეძლებს წამების ზოგიერთი დანაშაულის საქმის განხილვას მაშინ, როცა ეროვნული სასამართლოები ვერ შეძლებენ, ან არ ისურვებენ ამის გაკეთებას.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC)

- 1.33. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ჰუმანიტარული ორგანოა სპეციალური მანდატით, რომელიც მას მინიჭებული აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარული

³⁸ მე-5 მუხლი, ყოფილი იუგოსლავიისათვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი.

³⁹ მე-3 მუხლი, რუანდისათვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი.

⁴⁰ მე-7 და მე-8 მუხლები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი.

სამართლით, კერძოდ კი ჟენევის ოთხი კონვენციით. იგი აქტიურად და სხვადასხვა ფორმით უწევს დახმარებას და იცავს შეიარაღებული კონფლიქტებისა და, ასევე, ქვეყანაში არსებული არეულობის მსხვერპლთ. ჟენევის კონვენციების მონაწილე სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული საერთაშორისო კონფლიქტისას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შეუძლია, ჩავიდეს ინტერნირების, პატიმრობისა და შრომის ნებისმიერ ადგილას, სადაც მოთავსებულნი არიან სამხედრო ტყვეები ან სამოქალაქო პირები. ადგილობრივი შეიარაღებული კონფლიქტებისას ან შიდა არეულობებისას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შეუძლია თავისი დახმარების შეთავაზება და, მათი თანხმობით, პატიმრობის ადგილების მონახულება. დელეგატები მოინახულებენ პატიმრებს მათი მდგომარეობის შეფასების, საჭიროების შემთხვევაში კი, მათი მატერიალური და ფსიქოლოგიური პირობების გაუმჯობესებისა და წამების ან არასათანადო მოპყრობის აღკვეთის მიზნით. ვიზიტთან დაკავშირებული პროცედურები მოითხოვს ხელმისაწვდომობას ყველა პატიმართან და პატიმრობის ყველა ადგილზე; არ უნდა არსებობდეს ვიზიტის ხანგრძლივობისა და სიხშირის რაიმე შეზღუდვა, ამასთან, დელეგატებს უნდა შეეძლოთ თავისუფლად და მოწმეების გარეშე საუბარი პატიმრებთან. პატიმართა შემდგომი ბედით დაინტერესებაც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სტანდარტული პროცედურის ნაწილია. ამგვარი ვიზიტები და მათთან დაკავშირებული მოხსენებები კონფიდენციალურია, თუმცა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შეუძლია საკუთარი კომენტარების გამოქვეყნება იმ შემთხვევაში, თუ თვით სახელმწიფო გააკეთებს საჯარო განცხადებებს კომიტეტის ვიზიტის ან მოხსენების თაობაზე.

***Namunjepo & Ors v The Commanding Officer (ნამუნჯეპო და ორსი უფროსი ოფიცრის წინააღმდეგ)*, ვინდჰოქის ციხე და ანორი, ნამიბია, უზენაესი სასამართლო, 1999 წლის 9 ივლისი, 2000 (6) BCLR (NmS); [2000] 3 LRC 360; (1999) 2 CHRLD 331 (Namibia)**

განმცხადებლებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფ ხუთ პირს, დაადეს ხელბორკილები მას შემდეგ, რაც ოთხი მათგანი ციხიდან გაქცევის შემდეგ კვლავ დაიჭირეს, ხოლო მეხუთეს მხოლოდ გაქცევის მცდელობის გამო. მათ შეიტანეს განაცხადი, რომელშიც ამტკიცებდნენ კონსტიტუციით გარანტირებული მათი უფლებების – ადამიანის ღირსების შეუვალობა და წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა – დარღვევას.

საქმის განხილვისას უზენაესმა სასამართლომ მოიშველია საერთაშორისო სტანდარტები და, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართან მოპყრობის შესახებ და ევროპული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართან მოპყრობის შესახებ (განახლებული ვერსია). სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ნამიბიის მიერთება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციასთან და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტთან მნიშვნელოვანია და „ამ-კარად მიუთითებს, რომ პატიმრები ინარჩუნებენ ადამიანის ღირსებასა და ადამიანურობის პატივისცემასთან დაკავშირებულ უფლებებს.“ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნების პრეცედენტული სამართალი და საკანონმდებლო დებულებები მიუთითებს მექანიკური შემზღუდავი საშუალებების თვითნებური მოხმარების დაგმობაზე. ქვეყნების უმრავლესობა იყენებს მათ მხოლოდ მაშინ, როცა ეს აბსოლუტურად აუცილებელია, აწესებს მასზე მკაცრ კონტროლს და ეს ხდება დროის მცირე პერიოდში, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში მათი გამოყენება საერთოდ აკრძალულია.

სასამართლომ დაადგინა, რომ „ნებისმიერი გარემოებისას ხელბორკილებისა და ფეხბორკილების გამოყენება ადამიანების მიმართ ამცირებს მათ დატყვევებული ცხოველის დონემდე, ხოლო მათი მობილურობა შეზღუდულია. ეს კვლავაც იმ წარსული დღეების გადმონაშთია, როცა ამ კონტინენტის ბორკილდადებულ შვილებს მიერეკებოდნენ და ყიდდნენ საქონელივით. მუდმივად ხელბორკილებში ან ფეხბორკილებში ყოფნა, როცა ადამიანს არ შეუძლია თავის მოვლა და ტანსაცმლის გამოცვლა, ადამიანებს იზოლაციაში აქცევს და, თავისთავად, დამამცირებელი და ღირსების შემლახავია.“

II ტავი

თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის
წამების სანაღმლო გარანტიები

შინაარსი

თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის წამების საწინააღმდეგო გარანტიები	51
ადამიანებისათვის თავიანთი უფლებების გაცნობა	53
პატიმრობის ოფიციალურად აღიარებული ადგილები და ციხის ჩანაწერების ეფექტიანი წარმოება	54
იზოლირებული პატიმრობის თავიდან აცილება	56
პატიმრობის ჰუმანური პირობები	58
დაკითხვის მიმართ არსებული შეზღუდვები	62
ადვოკატის ხელმისაწვდომობა და მისი ფუნქციების პატივისცემა	64
ექიმის დახმარების ხელმისაწვდომობა	67
პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების უფლება	68
გარანტიები განსაკუთრებული კატეგორიის დაპატიმრებულ პირთათვის	73
ქალები პატიმრობაში	74
არასრულწლოვანი პატიმრები	75
ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები	76

თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის წამების საწინააღმდეგო გარანტიები

- 2.1. წინამდებარე თავში მოცემულია ის გარანტიები, რომლებიც არსებობს საერთაშორისო სამართალში წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან პატიმრების დასაცავად.
- 2.2. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, თვითნებური დაკავებისა თუ დაპატიმრების აკრძალვის უფლების ჩათვლით.⁴¹ როცა სახელმწიფო ართმევს პირს თავისუფლებას, იგი კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას მისი უსაფრთხოება და კეთილდღეობის გარანტიები. დაკავებული ან დაპატიმრებული პირები არ უნდა განიცდიდნენ რაიმე გაჭირვებას ან შეზღუდვას, გარდა იმისა, რაც ახასიათებს და თან ახლავს თავისუფლების აღკვეთას.⁴² აღნიშნული უფლებები გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-7 მუხლითა და მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით, რომლებიც, შესაბამისად, კრძალავს წამებასა და არასათანადო მოპყრობას და იძლევა თავისუფლება აღკვეთილი პირების უფლებების დაცვის გარანტიას. ხსენებული უფლებები ასევე ასახულია ადამიანის უფლებათა მრავალ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაში.⁴³ წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა ეხება ყველა ადამიანს ნებისმიერ დროს. ხელშეკრულებებში მოცემული ზოგიერთი უფლება, როგორცაა თვითნებური დაპატიმრებისაგან დაცვის უფლება, გარკვეული გარემოებებისას შეიძლება

⁴¹ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი; ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის ქარტიის მე-6 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-7 მუხლი.

⁴² ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 21-ე ზოგადი კომენტარი, მე-10 მუხლი (ორმოცდამეოთხე სესია, 1992 წ.), ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ხელშეკრულებით შექმნილი საზედამხებდეველო ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HRI/GEN/1/Rev.1 at 33 (1994), მე-3 პუნქტი.

⁴³ მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მე-5 მუხლი; ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის კონვენციის მე-5 მუხლი; ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი; ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 1-ლი მუხლი; ქალთა ძალადობის აღკვეთის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ამერიკათაშორისი კონვენციის მე-2 და მე-4 მუხლები; ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის აფრიკის ქარტიის მე-16 მუხლი.

შეიზღუდოს საგანგებო მდგომარეობის დროს, მაგრამ გარანტიები, რომლებიც აუცილებელია წამების აკრძალვისთვის, როგორცაა პირების იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსების დროის შეზღუდვა, უნდა განაგრძობდეს მოქმედებას.⁴⁴

- 2.3. ადამიანები შეიძლება წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ იურიდიული ფორმალუბების – დაპატიმრების ან ბრალდების წარდგენამდე.⁴⁵ და მართლაც, წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა (CPT) საზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ თავისუფლების აღკვეთის შემდეგ ექცევა განსაკუთრებით ადამიანი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ხიფათის ქვეშ.⁴⁶ აქედან გამომდინარე, ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან მოქმედებს შემდეგი საერთაშორისო სტანდარტები:

⁴⁴ ადამიანის უფლებათა კომიტეტის 29-ე ზოგადი კომენტარი, საგანგებო მდგომარეობა (მე-4 მუხლი), მიღებული 2001 წლის 24 ივლისის 1950-ე შეხვედრაზე, მე-16 პუნქტი; ასევე იხ. *Aksoy v Turkey* (აკსოი თურქეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი; *Brannigan and MacBride v UK* (ბრანიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 მაისის განაჩენი; *Brogan v UK* (ბროგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 29 ნოემბრის განაჩენი; „*habeas corpus*-ი საგანგებო მდგომარეობისას“, 1987 წლის 30 იანვრის საკონსულტაციო დასკვნა OC-8/87, ამერიკათაშორისი სასამართლოს წლიური ანგარიში, 1988 წ., OAS/Ser.L/V/III.17 doc.19, 1988 წ.

⁴⁵ ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად პრინციპთა ერთობლიობაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: (ა) „დაკავება“ ნიშნავს პირის დაჭერის აქტს დანაშაულის ჩადენის მომენტში ან შესაბამისად უფლებამოსილი პირის ნებართვით; (ბ) „დაპატიმრებული პირი“ არის პირი, რომელსაც წართმეული აქვს პირადი თავისუფლება, გარდა დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების შედეგისა; (გ) „საპყრობილეთი მოთავსებული პირი“ არის პირი, რომელსაც წართმეული აქვს პირადი თავისუფლება, როგორც დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების შედეგი; (დ) „დაპატიმრება“ ნიშნავს ზემოაღნიშნული დაპატიმრებული პირის მდგომარეობას; (ე) „საპყრობილეთი მოთავსება“ ნიშნავს ზემოაღნიშნულ საპყრობილეთში მოთავსებული პირის მდგომარეობას; (ვ) სიტყვები „სასამართლო ან სხვა ორგანო“ გულისხმობს სასამართლო ან სხვა ორგანოს, რომლის სტატუსიც, კანონის თანახმად, უნდა ითვალისწინებდეს კომპეტენციის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესაძლო მყარ გარანტიებს.

⁴⁶ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, CPT-ის სტანდარტები, CPT-ის ზოგადი მოხსენებების არსებითი ნაწილები, ევროპის საბჭო, 2001 წლის ოქტომბერი, CPT/Inf/E (2002), გვ. 12, 41-ე პუნქტი.

ადამიანებისათვის თავიანთი უფლებების გაცნობა

- 2.4. თითოეულ თავისუფლებაალკვეთილ პირს აქვს თავიანთი დაკავებისა და დაპატიმრების მიზეზის გაგების უფლება. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ. არავის შეიძლება თავისუფლება ალუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა.“ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თითოეულ პირს დაკავების დროს უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შესახებ.“ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ არ არის საკმარისი დაკავებული პირისათვის მხოლოდ იმის შეტყობინება, რომ ის დაკავებულია, თუ იგი არ გაიგებს თავის წინააღმდეგ არსებული ბრალდების შინაარსს.⁴⁷ „ეროვნული უშიშროების მიზნებითაც“ კი პოლიციასა და უშიშროების წარმომადგენლებს მოეთხოვებათ ადამიანის დაკავების წერილობითი მიზეზების წარდგენა, რაც უნდა ატარებდეს საჯარო ხასიათს და ექვემდებარებოდეს სასამართლოების მიერ გადახედვას.⁴⁸
- 2.5. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა დაკავებულ პირს „უნდა ეცნობოს მარტივი, არატექნიკური, მისთვის გასაგები ენით, მისი დაკავების არსებითი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი ისე, რომ მან, თუ იგი ამას ასე ჩათვლის საჭიროდ, შეძლოს მიმართოს სასამართლოს კანონიერების დასადგენად.“⁴⁹ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის აზრით, ყველა თავისუფლებაალკვეთილ პირს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება, შეატყობინოს მომხდარის შესახებ მისთვის სასურველ ადამიანს, რომ მას აქვს ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება და, ასევე ექიმის, მათ შორის, მისთვის სასურველი ექიმის ხელმისაწვდომობის უფლება. ხსენებული უფლებები მოქმედებს მათი დაკავე-

⁴⁷ *Adolfo Drescher Caldas v Uruguay* (ადოლფო დრეხერ კალდასი ურუგვაის წინააღმდეგ), შეტყობინება №43/1979 (1979 წლის 11 იანვარი), UN Doc. Supp. No. 40 (A/38/40) at 192 (1983).

⁴⁸ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიმოხილვები: სუდანი, UN Doc. CCPR/C/79/Add.85, 1997 წლის 19 ნოემბერი, მე-13 პუნქტი.

⁴⁹ *Fox, Campbell and Hartley* (ფოქსი, ქემფბელი და ჰარტლი), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე №18/1989/178/234-236, 1990 წლის 30 აგვისტოს განაჩენი, მე-40 პუნქტი.

ბის სანწყისი მომენტიდანვე (ანუ იმ მომენტიდან, როცა ისინი ვალდებულნი ხდებიან, დარჩნენ პოლიციაში).⁵⁰ ასევე წამების სანინალმდეგო ევროპულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ხსენებული უფლებების დამდგენი ფორმები სისტემატურად უნდა მიენდოს [დაკავებულ პირებს] თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან. აღნიშნული ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა ენაზე. გარდა ამისა, დაკავებულ პირს უნდა ეთხოვოს ხელის მონერა დოკუმენტზე, რომელიც ადასტურებს, რომ მას გააცნეს თავიანთი უფლებები.“⁵¹

- 2.6. გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავი პრინციპების ერთობლიობის მიხედვით, „ნებისმიერი პირი, დაკავების, დაპატიმრების ან სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე, ან ზემოაღნიშნულის განხორციელებიდან დაუყოვნებლივ, მის დაკავებაზე, დაპატიმრებასა ან საპყრობილეში მოთავსებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციითა და ახსნა-განმარტებებით მისი უფლებებისა და ამ უფლებათა რეალიზაციის შესახებ.“⁵²

პატიმრობის ოფიციალურად აღიარებული ადგილები და ციხის ჩანაწერების ეფექტიანი წარმოება

- 2.7. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა: „დაკავებული და დაპატიმრებული პირების ეფექტიანი დაცვის გარანტირების მიზნით უნდა შემუშავდეს დებულებები, რომლებიც გაითვალისწინებს, რომ აღნიშნული პირები მოთავსდნენ თავისუფლების აღკვეთის ოფიციალურად აღიარებულ ადგილებში, უნდა აღინუსხოს მათი სახელები, გვარები და ადგილსამყოფელი, ასევე, მათზე პასუხისმგებელი პირების სახელები და გვარები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა გაკეთდეს სპეციალურ ჟურნალებში, რომლებიც ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისთვის, დაკავებული და დაპატიმრებული პირების ნათესავებისა და მეგობრების ჩათვლით.“⁵³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ადამიანის გა-

⁵⁰ CPT/Inf/E (2002) 1, ამონარიდი მე-12 ზოგადი მოხსენებიდან, გვ. 12, მე-40 პუნქტი და გვ. 13, 42-ე პუნქტი.

⁵¹ იქვე, გვ. 13, 44-ე პუნქტი.

⁵² მე-13 პრინციპი.

⁵³ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-20 ზოგადი კომენტარი, მე-7 მუხლი (ორმოცდამეოთხე სესია, 1992 წ.), ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ხელშეკრულებით შექმნილი საზედამხედველო ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HRI/GEN/1/Rev.1 at 30 (1994 წ.), მე-11 პუნქტი.

ნუცხადებელი დაპატიმრება არის ადამიანისათვის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების თვითნებურ ჩამორთმევასთან დაკავშირებული კონვენციაში მოცემული გარანტიების „სრული უგულებელყოფა“.⁵⁴

- 2.8. წამების სანინალმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ თითოეულ დაპატიმრებულ პირზე ციხეში უნდა კეთდებოდეს ამომწურავი ჩანაწერები, რომელშიც აღნიშნული იქნება მისი პატიმრობის ყველა ასპექტისა და მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა ღონისძიების შესახებ (როდის აღკვეთა თავისუფლება, თავისუფლების აღკვეთის მიზეზები; როდის განემარტა მას თავისი უფლებები; დაზიანებათა ნიშნები, სულიერი ავადმყოფობა და სხვ.; როდის დაუკავშირდნენ და შეხვდნენ მას ნათესავები, წარმომადგენელი და ადვოკატი; როდის შესთავაზეს საკვები; როდის დაიკითხა; როდის იქნა გადაყვანილი ან გათავისუფლებული და სხვა).⁵⁵
- 2.9. გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავი პრინციპების ერთობლიობის მიხედვით, ხელისუფლება უნდა ინახავდეს და აწარმოებდეს ოფიციალურ ჩანაწერებს და მათ განახლებებს ყველა დაპატიმრებული პირისათვის, როგორც პატიმრობის თითოეულ ადგილზე, ასევე საერთოდ.⁵⁶ ამგვარ ჟურნალებში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლოებისათვის და სხვა კომპეტენტური ორგანოებისათვის, დაპატიმრებულისა თუ მისი ოჯახის წევრებისათვის.⁵⁷ გარდა ამისა, სახელმძღვანელო პრინციპებში ნათქვამია, რომ: „შესაბამისი კანონებისა და წესების ზუსტ შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით, პატიმრობის ადგილები რეგულარულად უნდა მოინახულონ კომპეტენტური ორგანოების მიერ დანიშნულმა ან მათ წინაშე ანგარიშვალდებულმა კვალიფიციურმა და გამოცდილმა, დაკავებისა და პატიმრობის დანესებულების ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელმა პირებმა. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ თავისუფლად და კონფიდენციალურობის დაცვით ურთიერთობა იქონიოს პირებთან, რომლებიც მოინახულებენ დაკავების ან პატიმრობის ადგილებს..., უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობების დაცვით.“⁵⁸

⁵⁴ *Çakici v Turkey* (ჩაკიცი თურქეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1999 წლის 8 ივლისის განაჩენი, 104-ე პუნქტი.

⁵⁵ CPT/Inf/E (2002) 1, გვ. 7, მე-40 პუნქტი.

⁵⁶ მე-12 პრინციპი.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ 29-ე პრინციპი.

- 2.10. ნამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი რეკომენდაციას იძლევა, რომ „დაკითხვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ოფიციალურ ადგილებში, ხოლო პატიმრობის საიდუმლო ადგილები უნდა გაუქმდეს კანონით. პირის პატიმრობის საიდუმლო და/ან არა-ოფიციალურ ადგილას მოთავსებამ უნდა გამოიწვიოს ოფიციალური პირის პასუხისმგებლობაში მიცემა. დაპატიმრებული პირისაგან პატიმრობის არაოფიციალურ ადგილას მოპოვებული მტკიცებულება, რომელსაც შემდეგ იგი არ დაადასტურებს დაკითხვის დროს ოფიციალურ ორგანოში, არ იქნება დაშვებული მტკიცებულებად სასამართლოში. თავისუფლებადკვეთილი პირის არანაირი განაცხადი ან აღიარებითი ჩვენება არ იქნება დაშვებული მტკიცებულებად სასამართლოში, თუ იგი არ არის გაკეთებული მოსამართლის ან ადვოკატის თანდასწრებით, გარდა იმ მტკიცებულებისა, რაც გამოიყენება უკანონო გზით მოპოვებულ აღიარებით ჩვენებაში ბრალდებულის წინააღმდეგ.“⁵⁹

იზოლირებული პატიმრობის თავიდან აცილება

- 2.11. საერთაშორისო სტანდარტები მკაცრად არ კრძალავს პირის მოთავსებას იზოლირებულ პატიმრობაში, სადაც პირები მონყვეტილნი არიან გარესამყაროს ყველა გარემოებისას. თუმცა საერთაშორისო სტანდარტები უზრუნველყოფს, ხოლო ამ საკითხებში კომპეტენტურმა ორგანოებმა აღნიშნეს, რომ დაკავებული პირისათვის ექიმისა თუ ადვოკატის ხელმისაწვდომის უფლების შეზღუდვა, ან მისი მინიჭების დაგვიანება, ან შესაბამისი პირისათვის მისი დაპატიმრების ფაქტის შეტყობინების აკრძალვა დაშვებულია მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევებში და ისიც დროის ძალიან მცირე პერიოდის განმავლობაში.
- 2.12. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ პირის იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსება ნამების წინაპირობა⁶⁰ და თავადვე შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 და მე-10 მუხლების დარღვევა.⁶¹ მისი აზ-

⁵⁹ ნამების ფაქტების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc.A/56/156, 2001 წლის ივლისი, 39-ე (დ)პუნქტი.

⁶⁰ ადამიანის უფლებათა კომიტეტის პირველადი მიმოხილვები: პერუ, UN Doc. CCPR/C/79/Add. 67, მე-18 და 24-ე პუნქტები, 1996 წლის 25 ივლისი.

⁶¹ *Albert Womah Mukong v Cameroon* (ალბერტ ვომა მაკონგი კამერუნის წინააღმდეგ), (458/1991), 1994 წლის 21 ივლისი, UN Doc. CCPR/C/51/D/458/1991; *El-Megreisi v Libyan Arab Jamahiriya* (ელ-მეგრეისი ლიბიის არაბული ჯამაჰირიის წინააღმდეგ), (440/1990), 1994 წლის 23 მარტი, UN Doc. CCPR/C/50/D/440/1990.

რით, ასევე უნდა შემუშავდეს საკანონმდებლო დებულება იზოლირებული პატიმრობის წინააღმდეგ, როგორც წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მექანიზმი.⁶² ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისმა კომისიამ დაადგინა, რომ იზოლირებული პატიმრობის პრაქტიკა არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა პატივისცემას, ვინაიდან იგი „წარმოშობს სიტუაციებს, რომლებსაც მივყავართ სხვა პრაქტიკამდე, მათ შორის, წამებამდე“, და უდიდეს ტრავმას აყენებს პატიმრის ოჯახს.⁶³ ამერიკათაშორისი კომისია ასევე თვლის, რომ ნათესავებთან შეხვედრის უფლება „ძირითადი მოთხოვნაა“ პატიმართა უფლებების მიმართ პატივისცემის გარანტირებისათვის.⁶⁴ მისი აზრით, ნათესავებთან შეხვედრის უფლება აქვს ყველა პატიმარს, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, ხოლო წესები, რომლებიც უშვებს მხოლოდ ხანმოკლე, იშვიათ შეხვედრებს და პატიმრობის გადაყვანას შორეულ საპატიმროებში, არის თვითნებური სანქციები.⁶⁵

- 2.13. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ აღნიშნა, რომ „ხანგრძლივ იზოლირებულ პატიმრობას შეუძლია წამების შემთხვევებამდე მიყვანა და შეიძლება, თავად მიიღოს სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სახე.“⁶⁶ წამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ „წამებას ყველაზე ხშირად მიმართავენ იზოლირებული პატიმრობის დროს. იზოლირებული პატიმრობა უნდა ჩაითვალოს უკანონოდ და იზოლირებულ პატიმრობაში მოთავსებული პირები უნდა გათავისუფლდნენ დაუყოვნებლივ“.⁶⁷
- 2.14. გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავი პრინციპების ერთობლიობის თანახმად, ყველა დაკავებულ,

⁶² ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი, მე-11 პუნქტი.

⁶³ ამერიკათაშორისი კომისია, მოლვანოვის ათი წელი, 1971-1981 წწ., გვ. 318; იხ. ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ბოლივიაში, OEA/Ser.L/V/II.53, doc.6, rev.2, 1981 წლის 1 ივლისი, გვ. 41-42; ამერიკათაშორისი კომისიის წლიური ანგარიში, 1982-1983 წწ., OEA/Ser.L/V/II/61, doc.22, rev.1; ამერიკათაშორისი კომისიის წლიური ანგარიში, 1983-1984 წწ., OEA/Ser.L/V/II/63, doc.22.

⁶⁴ Ms. X v Argentina (ქ-ნი იქსი არგენტინის წინააღმდეგ), საქმე 10.506, მოხსენება № 38/96, ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი კომისია, OEA/Ser.L/V/II.95 doc.7, rev. გვ. 50 (1997 წ.).

⁶⁵ ამერიკათაშორისი კომისიის წლიური ანგარიში, 1983-1984 წწ., OEA/Ser.L/V/II/63, doc.10, ურუგვაი; მეშვიდე მოხსენება ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ კუბაში, 1983 წ., OEA/Ser.L/V/II.61, doc.29, rev. 1.

⁶⁶ რეზოლუცია 1997/38, მე-20 პუნქტი.

⁶⁷ წამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc.A/56/156, 2001 წლის ივლისი, 39-ე (ვ) პუნქტი.

დაპატიმრებულ თუ ციხეში მოთავსებულ პირს აქვს უფლება, მომხ-
დარის შესახებ შეატყობინოს (ან ხელისუფლებამ თავად გააკეთოს
ეს მისთვის) თავის ნათესავებსა თუ მეგობრებს.⁶⁸ ინფორმაციაში მო-
ცემული უნდა იყოს დაკავების ან დაპატიმრების ფაქტი და ადგილი,
სადაც ამჟამად იგი იმყოფება პატიმრობაში. თუ პირს გადაიყვანენ
სხვა საპატიმროში, ეს ინფორმაცია კვლავ უნდა ეცნობოს მისი ოჯა-
ხის წევრებსა თუ მეგობრებს. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს
დაუყოვნებლივ ან, სულ ცოტა, გადაუდებლად მაინც.⁶⁹

- 2.15. უცხოელებს აქვთ უფლება, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ფაქტი
შესაბამის საკონსულოებს ან დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.⁷⁰
თუ ისინი ლტოლვილები არიან, ან იმყოფებიან მთავრობათაშორისი
ორგანიზაციის დაცვის ქვეშ, მათ აქვთ უფლება, ურთიერთობა იქო-
ნონ ან მიიღონ მათთან შესახვედრად მოსული კომპეტენტური სა-
ერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.⁷¹

პატიმრობის ჰუმანური პირობები

- 2.16. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ადამიანის ღირსების
თანდაყოლილი გრძობიდან გამომდინარე, დაპატიმრებულის მი-
მართ პატივისცემით მოპყრობა უნივერსალური გამოყენების ძირი-
თადი სტანდარტია. სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არაადამიანური
მოპყრობის გამართლება მატერიალური თუ ფინანსური რესურსების
უკმარისობით. სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ
ყველა დაპატიმრებული და ციხეში შესახლებული პირი ისეთი მომ-
სახურებით, რომელიც დააკმაყოფილებს მათ ძირითად საჭირო-
ებებს.⁷² ადეკვატური საკვებისა და რეკრეაციული საშუალებების
მიუწოდებლობა იწვევს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა სა-

⁶⁸ მე-16 პრინციპი.

⁶⁹ მე-15 პრინციპი.

⁷⁰ გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად პრინციპთა ერთობლიობის მე-16 პრინციპის მე-2 პუნქტი; იხ. ასევე ლაგრანდი (*Germany v United States, გერმანია აშშ-ის წინააღმდეგ*), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის განაჩენი, იხ. <http://www.icj-cij.org>.

⁷¹ გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავ პრინციპთა ერთობლიობის მე-16 პრინციპის მე-2 პუნქტი.

⁷² *Kelly v Jamaica* (კელი იამაიკის წინააღმდეგ), (253/1987), 1991 წლის 8 აპრილი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოხსენება (A/46/40), 1991 წ.; *Párkányi v Hungary* (პარკანი უნგრეთის წინააღმდეგ), (410/1990), 1992 წლის 27 ივლისი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოხსენება (A/47/40), 1992 წ.

ერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის დარღვევას, თუ ეს არ არის გამონეულები გამონაკლისი გარემოებებით.⁷³ კომიტეტმა ასევე განაცხადა, რომ ხანგრძლივმა პატიმრობამ მარტოობაში შეიძლება გამოიწვიოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის იმ აკრძალვის დარღვევა, რომელიც მოცემულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლში.⁷⁴

- 2.17. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიუთითა სახელმწიფოებს, შეამოწმონ და დარწმუნდნენ, რომ პატიმრობის ყველა ადგილი თავისუფალია ისეთი საგნებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამების ან არასათანადო მოპყრობის განსახორციელებლად.⁷⁵ წამების სანინალმდეგო კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ სახელმწიფოებმა უნდა შეწყვიტონ ელექტროშოკით აღჭურვილი ქამრებისა და შემოჭრავი სკამების გამოყენება, ვინაიდან ისინი „თითქმის აუცილებლად“ იწვევს ისეთ ქცევას, რომელიც წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას.⁷⁶
- 2.18. გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავ პრინციპთა ერთობლიობა ადგენს, რომ ყველა დაპატიმრებულ თუ ციხეში მოთავსებულ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესება ან მისი გასაჩივრება. ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს დაუყოვნებელი რეაგირება, ხოლო მოთხოვნისა თუ საჩივრის მიღებაზე უარის შემთხვევაში საკითხი შეიძლება დაისვას სასამართლო ან სხვა შესაბამის ორგანოში.⁷⁷
- 2.19. პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესები მოითხოვს, რომ შეზღუდვის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: ბორკილები, ხელბორკილები, ფეხბორკილები და დამამშვიდებელი პერანგი, დაპატიმრებულ ან ციხეში მოთავსებულ პირთა მიმართ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე და არა როგორც დასჯა⁷⁸. თუ შემზღუდავი საშუალებების გამოყენება აუცილებელი ხდება, ეს არ უნდა გაგრძელდეს უფრო დიდხანს, ვიდრე ამას მოითხოვს აუცილებლობა, ხოლო მათი გამოყენების ხასიათი და მეთოდი უნდა გადაწყვიტოს ციხის ცენტრალ-

⁷³ *Kelly v Jamaica* (კელი იამაიკის წინააღმდეგ), (253/1987), მე-5 პუნქტი.

⁷⁴ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი, მე-6 პუნქტი.

⁷⁵ იქვე, მე-11 პუნქტი.

⁷⁶ წამების სანინალმდეგო კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები: ამერიკის შეერთებული შტატები, 2000 წლის 15 მაისი, UN Doc. A/55/44, 180-ე (გ) პუნქტი.

⁷⁷ 33-ე პრინციპი.

⁷⁸ 33-ე წესი.

ლურმა ადმინისტრაციამ.⁷⁹ ციხეში შესახლებული პირების წინააღმდეგ ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს აბსოლუტურად აუცილებელია დანესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად, გაქცევის მცდელობისას, როცა პატიმრები არ ემორჩილებიან კანონიერ ბრძანებას, ან, როცა ადამიანის პირად უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება. ნებისმიერ შემთხვევაში ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა არაძალადობრივ ზომებს ვეღარ მოაქვს შედეგი.⁸⁰

- 2.20. წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ: „იმ პატიმარს, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებული იყო ძალა, აქვს დაუყოვნებელი შემონმებისა და, თუ აუცილებლობა ამას მოითხოვს, ექიმის დახმარების მიღების უფლება. იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა მოითხოვება ფიზიკური შეზღუდვის ინსტრუმენტების გამოყენება, პატიმარი უნდა იმყოფებოდეს მუდმივი და შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ. შეზღუდვის ინსტრუმენტები უნდა მოიხსნას პირველივე შესაძლებლობისას და აღარასოდეს იქნეს ისინი გამოყენებული როგორც დასჯის საშუალება. ძალის გამოყენების ყოველ შემთხვევაზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი“.⁸¹
- 2.21. სამართალდამცავების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპების თანახმად, ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სხვა საშუალებები უშედეგოა.⁸² ყურადღება უნდა მიექცეს პირისათვის მინიმალური ზიანის მიყენებას, ხოლო სამედიცინო დახმარება აღმოჩენილი უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად.⁸³ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება სამართალდამცავებს შეუძლიათ მხოლოდ თავდაცვის ან სხვათა დაცვის მიზნით სიკვდილის ან სერიოზული დაშავების გარდაუვალი საშიშროების პირობებში, განსაკუთრებით ისეთი სერიოზული დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც გარდაუვალ საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, იმ პიროვნების დაკავების ან მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შექმნა მსგავსი საშიშროება და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ნაკლებად ექსტრემალური ზომები გამოუსადეგარია. ლეტალური შედეგის მიღების მიზნით ძალის ან იარაღის განზრახ გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ

⁷⁹ 34-ე წესი.

⁸⁰ 54-ე წესი.

⁸¹ CTP/Inf/E (2002) 1, გვ. 19, 53-ე (2)პუნქტი.

⁸² მე-4 პრინციპი.

⁸³ მე-5 პრინციპი.

მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე.⁸⁴

- 2.22. პატიმართა მოპყრობის შესახებ ძირითადი პრინციპები აცხადებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ იზოლირებული პატიმრობის, როგორც სასჯელის, აღმოსაფხვრელი ღონისძიებები, ან შეზღუდონ მათი გამოყენების შემთხვევები.⁸⁵ პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესები ადგენს, რომ „სხეულებრივი დასჯა, დასჯა ბნელ საკანში მოთავსებით და ყველა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი ფორმით დასჯა სრულიად უნდა აიკრძალოს, როგორც სასჯელი დისციპლინური სამართალდარღვევისათვის“.⁸⁶ წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ იზოლირებულ პატიმრობას „შეიძლება ჰქონდეს ძალიან მავნე შედეგი შესაბამისი პირისათვის“ და, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, იზოლირებულ პატიმრობას „შეიძლება შედეგად მოჰყვეს არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა“. იზოლირებული პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნეს როგორც უკანასკნელი საშუალება და ხანმოკლე პერიოდით.⁸⁷

Harding v Superintendent of Prisons & Anor (ჰარდინგი ციხის მეთვალყურისა და ანორის წინააღმდეგ), სანტა-ლუჩია, უმაღლესი სასამართლო, 2000 წლის 31 ივლისი, (2000) 3, CHRLD 128 (სანტა-ლუჩია)

„ეიჩი“ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისათვის ხანგრძლივი პერიოდით მოათვსეს იზოლირებულ პატიმრობაში და ისეთი მკაცრი დაცვის ნაწილში, რომელიც ასევე გამოიყენებოდა სიკვდილმისჯილი პატიმრებისათვის. პატიმრობის პირველი 10 თვისა და 15 დღის განმავლობაში იგი მუდმივად ბორკილდადებული იყო, ხოლო შემდეგ, ყოველ ჯერზე, ბორკილებს ადებდნენ ტუალეტში გაყვანისა და მის ადვოკატთან შეხვედრისას. მას ასევე ეკრძალებოდა ყოველდღიური სეირნობა, დღის სინათლის ნახვა, ახლობლებთან შეხვედრა. ორჯერ ჰქონდა ასთმის შეტევა, რაც, სავარაუდოდ, იყო ორი თვის განმავლობაში საკნის სველ იატაკზე ძილის შედეგი. „ეიჩი“ ამტკიცებდა, რომ ასეთი ქმედებები იწვევდა დარღვევას სანტა-ლუჩიის კონსტიტუციისას, რომელიც კრძალავდა წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ სასჯელს და ციხის წესებისას, რომლებიც კრძალავდა მექანიკური შემზღუდავი საშუალებების გამოყენებას, გარდა ძალიან იშვი-

⁸⁴ მე-9 პრინციპი.

⁸⁵ პატიმართა მოპყრობის შესახებ ძირითადი პრინციპების მე-7 პრინციპი.

⁸⁶ 31-ე წესი.

⁸⁷ CTP/Inf/E (2002) 1, გვ. 20, 56-ე (2) პუნქტი.

ათი შემთხვევებისა. მოპასუხეები არ უარყოფდნენ ბრალდებას მექანიკური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ეთანხმებოდნენ მომჩივანის სიტყვებს, რომ აღნიშნულმა თითქოს სერიოზულად დაუზიანა მას კოჭები და მაჯები.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმების დეფინიცია საქმეში – *Ireland v UK* (ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ: „არსად ციხის წესებში არ არის დაშვებული საშიში ან პოტენციურად საშიში პატიმრისათვის ბორკილების დადება ხანგრძლივი პერიოდით. ამ გარემოებებისას ბორკილის გამოყენება „ეიჩის“ მიმართ 24 საათის განმავლობაში, ჭამის, დაბანისა და ძილის დროს, ასე ხანგრძლივად იყო უხეში და სასტიკი ძალმომრეობა მის პიროვნებასა და ფსიქიკაზე, ციხის წესების აშკარა დარღვევა და წამების ფორმა ... გარდა ამისა, „ეიჩის“ მოთავსება იზოლირებულ საკანში ხანგრძლივი პერიოდით და სეირნობისა და დღის სინათლის ნახვის აკრძალვა იყო დაუსაბუთებელი დასჯა და სამარცხვინო ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების ფასეულობებისათვის ... საკანში პატიმრის მოთავსება, როგორც სასჯელი, არ დაიშვება ციხის წესებით. ასეთი ზომის მიღება შეიძლებოდა, ისიც მხოლოდ ხანმოკლე ვადით, გამსვლელ მოსამართლეთა საბჭოს ნებართვით, რომელიც ექვემდებარებოდა ყოველთვიურ განახლებას უსაფრთხოების, დისციპლინის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. წინამდებარე შემთხვევაში არ იყო დაცული არც ერთი ზემოჩამოთვლილი პირობათაგანი.“

დაკითხვის მიმართ არსებული შეზღუდვები

2.23. წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-11 მუხლი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს დაკითხვის წესების, ინსტრუქციების, მეთოდების და პრაქტიკის, ასევე პატიმრობის პირობებისა და დაკავებული, დაპატიმრებული და ციხეში მოთავსებული პირებისადმი მოპყრობის სისტემატურ გადასინჯვას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ: „დაკითხვის წესების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და პრაქტიკის, ასევე პატიმრობის პირობებისა და დაკავებული, დაპატიმრებული და ციხეში მოთავსებული პირებისადმი მოპყრობის წესების სისტემატური გადახედვა არის წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების თავიდან აცილების ეფექტიანი საშუ-

ალეზა“.⁸⁸ კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ „მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ფორმულირება – არავინ არ არის ვალდებული, მისცეს თავის საწინააღმდეგო ჩვენება, ან თავი დამნაშავედ აღიაროს – ალქმულ უნდა იქნეს იმ თვალსაზრისით, რომ დაუშვებელია რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა საგამომძიებლო ორგანოს მხრიდან ბრალდებულზე დანაშაულის აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით. მით უმეტეს, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით მიუღებელია ბრალდებულისადმი იმგვარი მოპყრობა, რაც ეწინააღმდეგება პაქტის მე-7 მუხლს“.⁸⁹

2.24. CPT თვლის, რომ უნდა არსებობდეს დაკითხვის წარმოების მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები და სახელმძღვანელო პრინციპები. თავისუფლებააღკვეთილმა პირმა უნდა იცოდეს დაკითხვის ყველა წამყვანის ვინაობა. წესები ასევე გარკვევით უნდა განსაზღვრავდეს დაკითხვის ხანგრძლივობას, დასვენებისა და შესვენებების პერიოდებს, დაკითხვის წარმართვის ადგილებს, უნდა იდგეს თუ არა ფეხზე შესაბამისი პირი დაკითხვისას და ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების დაკითხვის შესაძლებლობას. ასევე უნდა მოითხოვებოდეს ჩანაწერების წარმოება – როდის დაიწყო და დამთავრდა დაკითხვა, თავისუფლებააღკვეთილი პირების მიერ დაკითხვის დროს გამოთქმული თხოვნები და დაკითხვაზე დამსწრეთა ვინაობა.⁹⁰

2.25. პროკურორთა როლის შესახებ გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები ადგენს შემდეგს: „როდესაც პროკურორები ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ მოიპოვებენ სამხილს, რომელიც იციან, ან აქვთ საფუძველი, სჯეროდეთ, რომ მოპოვებულია არაკანონიერი მეთოდების გამოყენებით და, შესაბამისად, ეჭვმიტანილის უფლებების უხეში დარღვევით, კერძოდ, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის გზით, მათ უარი უნდა განაცხადონ ასეთი სამხილის გამოყენებაზე, გარდა იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც გამოიყენა ეს მეთოდები სამხილის მოსაპოვებლად. პროკურორებმა უნდა შეატყობინონ სასამართლოს და მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ ასეთი პირების პასუხისგებაში მიცემა“.⁹¹

⁸⁸ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი, მე-11 პუნქტი.

⁸⁹ *Kelly v Jamaica* (კელი იამაიკის წინააღმდეგ), 1991 წლის 8 აპრილი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, (A/46/40), 1991წ.; *Conteris v Uruguay* (კონტერისი ურუგვაის წინააღმდეგ), (139/1983), 1985 წლის 17 ივლისი, 2 Sel. Dec. 168; *Estrella v Uruguay* (ესტრელა ურუგვაის წინააღმდეგ), (74/1980), 1983 წლის 29 მარტი, 2 Sel. Dec. 93.

⁹⁰ CTP/Inf/E (2002) 1, გვ. 7, 39-ე პუნქტი.

⁹¹ მე-16 სახელმძღვანელო პრინციპი.

- 2.26. გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავი პრინციპების ერთობლიობის თანახმად, აკრძალულია პირის იძულება, „ალიარების გზით ცნოს თავი დამნაშავედ, ან ჩვენებები მისცეს სხვა პირთა სანინალმდევოდ ... დაკითხვის დროს არც ერთი დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული იძულება, დაშინება ან დაკითხვის ისეთი მეთოდები, რომლებიც ხელს უშლის მას, ცნობიერად განსაჯოს და მიიღოს გადაწყვეტილება“.⁹²
- 2.27. ნამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ „ყველა დაკითხვის სესია უნდა იწერებოდეს, უმჯობესია, ვიდეოზე და ჩანაწერებში აღნიშნული უნდა იყოს დაკითხვის მონაწილე ყველა პირის ვინაობა. ჩანაწერების უქონელი დაკითხვიდან მოპოვებული მტკიცებულებები არ უნდა იქნეს დაშვებული სამართლოს მიერ“.⁹³

ადვოკატის ხელმისაწვდომობა და მისი ფუნქციების პატივისცემა

- 2.28. დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა ზოგადი უფლება იურიდიული კონსულტაციის ხელმისაწვდომობაზე აღიარებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლით და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებული მრავალი სამართლებრივი აქტით. ადვოკატის დახმარების დაუყოვნებელი მიღება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნამებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაკავებული პირის დაცვა მოითხოვს ექიმებისა და ადვოკატების დახმარების დაუყოვნებელ და რეგულარულ ხელმისაწვდომობას⁹⁴ და, რომ „ყველა დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს ადვოკატის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა“ თავიანთი უფლებების უფრო ზოგადი დაცვის მიზნით.⁹⁵ ადვოკატი უნდა შეხვდეს ბრალდებულს ისეთ პირობებში, სადაც დაცული იქნება მათი საუბრის კონფიდენციალუ-

⁹² 21-ე პრინციპი.

⁹³ ნამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc.A/56/156, 2001 წლის ივლისი, 39-ე (ვ) პუნქტი.

⁹⁴ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი, მე-11 პუნქტი.

⁹⁵ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიმოხილვები: საქართველო, UN Doc. CCPR/C/79/Add.74, 1997 წლის 9 აპრილი, 28-ე პუნქტი.

რობა.⁹⁶ ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ადვოკატები მოემსახურონ თავიანთ კლიენტებს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ყოველგვარი დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და რომელიმე მხრიდან არასათანადო ჩარევის გარეშე.⁹⁷

2.29. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხანგრძლივი პატიმრობის დროს ადვოკატის იურიდიულ კონსულტაციაზე ხელმიუწვდომლობამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა.⁹⁸ სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ხანგრძლივი პატიმრობის დროს ადვოკატის ხელმისაწვდომობა არის „ძირითად გარანტია თვითნებობის წინააღმდეგ“,⁹⁹ ხოლო ამგვარი გარანტიების უქონლობა ხანგრძლივი პატიმრობისას ტოვებს პატიმარს „მხოლოდ მათ სინდისზე, ვინც პირის დაპატიმრება განახორციელა“.¹⁰⁰

2.30. ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი კომისია მიიჩნევს, რომ იძულების წესით თავისი საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისა და წამების აკრძალვის უფლებების გარანტირების მიზნით, პირი უნდა დაიკითხოს მხოლოდ მისი ადვოკატის ან მოსამართლის თანდასწრებით.¹⁰¹ კომისიამ ასევე დაასკვნა, რომ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება ეხება პირველ დაკითხვასაც.¹⁰² CPT მიიჩნევს, რომ ეს არის უფლება, რომელიც უნდა მოქმედებდეს დაკავების პირველივე წუთებიდან, ანუ იმ წუთებიდანვე, როცა პირი იძულებული ხდება, დარჩეს პოლიციაში, და ეს ნიშნავს „შესაბამისი პირის დაკითხვისას ადვოკატის დასწრების უფლებას“.¹⁰³ როცა კონკრეტული ად-

⁹⁶ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-13 ზოგადი კომენტარი, მე-14 მუხლი (ოცდამეერთე სესია, 1984 წ.), ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ხელშეკრულებით შექმნილი საზედამხედველო ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HRI\GEN\1\Rev.1 at 14 (1994), მე-9 პუნქტი.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ *Murray v UK* (მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 8 თებერვლის განაჩენი.

⁹⁹ *Brannigan and MacBride v UK* (ბრანიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 მაისის განაჩენი, 66-ე მუხლი.

¹⁰⁰ *Aksoy v Turkey* (აკსოი თურქეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის განაჩენი, 83-ე მუხლი.

¹⁰¹ მოხსენება ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ნიკარაგუის მისკიტოს წარმოშობის მოსახლეობაში, OEA Ser.LV/11.62, doc. 10, rev. 3, 1983, at 100.

¹⁰² ამერიკათაშორისი კომისიის წლიური ანგარიში, 1985-1986 წწ., OEA/Ser.LV/II.68, doc. 8, rev. 1, 1986 წ., გვ. 154, ელ-სალვადორი.

¹⁰³ CTP/Inf/E (2002) 1, გვ. 6, 38-ე პუნქტი.

ვოკატის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია უსაფრთხოების საფუძველზე, წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სხვა დამოუკიდებელი ადვოკატი, რომელიც სანდოა და არ მოახდენს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული დაკითხვის კომპრომეტირებას.¹⁰⁴

- 2.31. ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპები ადგენს, რომ „სისხლის-სამართლებრივი ბრალდებით ან მის გარეშე დაკავებულ თუ დაპატიმრებულ ნებისმიერ პირს ჰქონდეს ადვოკატთან დაუყოვნებელი შეხვედრის უფლება“¹⁰⁵ და ამგვარი პირები „უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სათანადო შესაძლებლობით, დროითა და პირობებით თავის ადვოკატთან შეხვედრის, მასთან კომუნიკაციისა და კონსულტაციისათვის, დაყოვნების, შეჩერებისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით“.¹⁰⁶
- 2.32. პრინციპები შემდგომ ადგენს: სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა „(ა) შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე; (ბ) შეძლონ, თავისუფლად გადაადგილდნენ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ; და (გ) თავიანთი პროფესიული მოვალეობების, წესებისა და ეთიკის შესაბამისად განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, არ განიცადონ გაკიცხვა ან დევნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა სანქციების მუქარით“.¹⁰⁷ როდესაც ადვოკატთა უსაფრთხოებას, მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო, საფრთხე ემუქრება, ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ დაცული ხელისუფლების მიერ.¹⁰⁸ ადვოკატები, თავიანთი ფუნქციების შესრულების გამო, არ უნდა იყვნენ იდენტიფიცირებული თავიანთ კლიენტებთან ან თავიანთი კლიენტების ქმედებებთან.¹⁰⁹
- 2.33. მოსამართლეებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობის საკითხების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი რეკომენდაციას იძლევა, რომ „ადვოკატის დასწრება დაკითხვისას პოლიციაში, როგორც მნიშვნელოვანი გარანტიისა, სასურველია ბრალდებულის უფლებების

¹⁰⁴ იქვე, გვ. 9, მე-15 პუნქტი.

¹⁰⁵ მე-7 პრინციპი.

¹⁰⁶ მე-8 პრინციპი.

¹⁰⁷ მე-16 პრინციპი.

¹⁰⁸ მე-17 პრინციპი.

¹⁰⁹ მე-18 პრინციპი.

დაცვის მიზნით. ადვოკატის არყოფნა იძლევა თვითნებობის პოტენციურ საშუალებას.¹¹⁰ წამების ფაქტების შესახებ სპეციალური მომხსენებელი აცხადებს: „გამონაკლის შემთხვევებში, როცა იგულისხმება, რომ ბრალდებულის დაუყოვნებელი დაკავშირება ადვოკატთან გამოიწვევს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და როცა ამგვარი შეზღუდვა დადგენილია სასამართლოს მიერ, შესაძლებელი უნდა იყოს იმ დამოუკიდებელ ადვოკატთან შეხვედრა მაინც, რომელსაც რეკომენდაციას გაუწევს ადვოკატთა ასოციაცია.“¹¹¹

ექიმის დახმარების ხელმისაწვდომობა

- 2.34. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დაცვა მოითხოვს, თითოეულ მათგანს დაუყოვნებლივ და რეგულარულად მიუწვდებოდეს ხელი ექიმის დახმარებაზე.¹¹²
- 2.35. გაერო-ს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დამცავი პრინციპების ერთობლიობის თანახმად, „დაკავების ან დაპატიმრების ადგილას მიყვანის შემდეგ, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს საშუალება, ჩაუტარდეს შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევა და შემდგომშიც, საჭიროებისამებრ, იგი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამედიცინო მომსახურებითა და მკურნალობით. ასეთი მომსახურება და მკურნალობა უნდა განხორციელდეს უფასოდ“.¹¹³ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს თავის მიერ შერჩეული ექიმისაგან დამატებითი სამედიცინო დასკვნის მიღებისა და თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩანაწერების გაცნობის უფლება.¹¹⁴ პატიმართა მოპყრობის შესახებ გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები მოითხოვს, რომ განსაკუთრებული მკურნალობის აუცილებლობის შემთხვევაში დაპატიმრებული ან ციხეში მოთავსებული პირი სამკურნალოდ გადაყვანილ იქნეს სპეციალიზებულ დაწესებულებაში ან სამოქალაქო საავადმყოფოში.¹¹⁵

¹¹⁰ ანგარიში სპეციალური მომხსენებლის გაერთიანებულ სამეფოში მისიის შესახებ, UN Doc. E/CN.4/1998/39/add.4, 47-ე პუნქტი, 1998 წლის 5 მარტი.

¹¹¹ წამების საკითხების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc. A/56/156, 2001 წლის ივლისი, 39-ე (ე) პუნქტი.

¹¹² ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი, მე-11 პუნქტი.

¹¹³ 24-ე პრინციპი.

¹¹⁴ 25-ე პრინციპი.

¹¹⁵ სტანდარტული მინიმალური წესების 22-ე (2) წესი.

- 2.36. ნამების სანინალმდეგო ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელმისაწვდომია სახელმწიფოს მიერ დაპატიმრებულ პირთა მკურნალობისათვის დანიშნული ექიმი, არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, თუ მათ ექნებათ მათივე მიერ შერჩეული ექიმის დახმარების ხელმისაწვდომობა.¹¹⁶
- 2.37. ნამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი რეკომენდაციას იძლევა, რომ „დაკავების შემდეგ ადამიანმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რომელიც უნდა მეორდებოდეს რეგულარულად, ხოლო თუ პირი გადაჰყავთ პატიმრობის სხვა ადგილას, მაშინ სამედიცინო შემოწმება აბსოლუტურად სავალდებულოა“.¹¹⁷ მომხსენებელმა დამატებით განაცხადა შემდეგი: „მთავრობებმა და პროფესიონალ მედიკოსთა ასოციაციებმა მკაცრი ზომები უნდა მიიღონ იმ სამედიცინო პერსონალის მიმართ, რომელიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაკავშირებულია ნამების ფაქტებთან. აღნიშნული აკრძალვა უნდა ვრცელდებოდეს ისეთ პრაქტიკაზე, როცა დაპატიმრებულ პირს ამოწმებენ მისი „დაკითხვისათვის შესაბამისობის“ დადგენის მიზნით, ანუ როცა გამოიყენება არასათანადო მოპყრობის ან ნამების მომცველი პროცედურები და, აგრეთვე, სამედიცინო მომსახურება ეწევა პატიმარს, რათა მის მიმართ არასათანადოდ მოპყრობის შემდეგ მან კიდევ შეძლოს შემდგომი ძალადობის ატანა“.¹¹⁸

პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების უფლება

- 2.38. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებული ან დაპატიმრებული ყოველი პირი დაუყოვნებლივ უნდა წარდგეს მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირის წინაშე, რომელსაც კანონით უფლება აქვს, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება და გონივრული ვადის განმავლობაში მოითხოვოს სასამართლო გარჩევა ან გათავისუფლება.“ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების

¹¹⁶ CTP/Inf/E (2002) 1, გვ. 6, 36-ე პუნქტი და 1-ლი სქოლიო.

¹¹⁷ ნამების საკითხების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc. A/56/156, 2001 წლის ივლისი, 39-ე (ვ) პუნქტი.

¹¹⁸ იქვე, 39-ე (მ) პუნქტი.

უფლება ეხება ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს და არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში ექვემდებარებულს.¹¹⁹

- 2.39. ამ საკითხს ინტენსიურად განიხილავდნენ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის კომისია. მათ დაადგინეს, რომ შესაბამისი ორგანო უნდა წარმოადგენდეს სასამართლოს ან ტრიბუნალს, რომელსაც ექნება დაპატიმრებული პირის გათავისუფლების უფლებამოსილება.¹²⁰ იგი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი უნდა იყოს იმ ორგანოსაგან, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პირის დაპატიმრების შესახებ და ასევე გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს გადაუდებლად.¹²¹
- 2.40. პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების უფლება, როგორც წინასწარი გარანტია თავისუფლების უფლების თვითნებური ჩამორთმევის წინააღმდეგ, ასევე სხვა უფლებების დაცვის არსებითი გარანტიაა. ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისმა სასამართლომ დაადგინა, რომ *habeas corpus*-თან ან *amparo*-სთან დაკავშირებული პროცედურები შემუშავებულია უმთავრესად თავისუფლების არააბსოლუტური ხასიათის უფლების დასაცავად, ისინი ასევე არსებით ინსტრუმენტად გვევლინება პატიმრების სიცოცხლისა და წამების აკრძალვის აბსოლუტური უფლებების დაცვისას. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ *habeas corpus*-ითა და *amparo*-თი გათვალისწინებული უფლება დაცვის საშუალებებზე ვერასდროს შეიზღუდება, ვინაიდან ისინი სასამართლო დაცვის იმ საშუალებათა სიაში

¹¹⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-8 ზოგადი კომენტარი, მე-9 მუხლი (მეთექვსმეტე სესია, 1982), ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ხელშეკრულებით შექმნილი საზედამხებველო ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HRI\GEN\1\Rev.1 at 8 (1994 წ.), 1-ლი პუნქტი.

¹²⁰ *Brinat v Italy* (ბრინკატი იტალიის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 26 ნოემბრის განაჩენი; *De Jong, Baljet and van den Brink* (დე ჯონგი, ბალჯეტი და ვან დენ ბრინკი), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წლის 22 მაისის განაჩენი, 77 Ser. A 23; ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიმოსილევები: ბელარუსი, UN Doc. CCPR/C/79/Add.86, 1997 წლის 19 ნოემბერი, მე-10 პუნქტი; *Rencontre Africaine pour la défense de droits de l'homme v Zambia* (ადამიანის უფლებათა დაცვის აფრიკის კომისია ზამბიის წინააღმდეგ), (71/92), აფრიკის კომისიის მე-10 წლიური ანგარიში, 1996-1997 წწ., ACHPR/RPT/10th.

¹²¹ *Vuolanne v Finland* (ვოლანე ფინეთის წინააღმდეგ), (265/1987), 1989 წლის 7 აპრილი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, (A/44/40), 1989 წ.; *Torres v Finland* (ტორესი ფინეთის წინააღმდეგ), (291/1988), 1990 წლის 2 აპრილი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, ტ. II, (A/45/40), 1990 წ., მე-7 პუნქტი; *Chahal v UK* (ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის განაჩენი; *Navarra v France* (ნავარა საფრანგეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 23 ნოემბრის განაჩენი.

არიან, რომლებიც არსებითა მრავალი ისეთი უფლების დაცვისათვის, რომელთაგან გადახვევაც ყოვლად დაუშვებელია.¹²²

- 2.41. ამერიკათაშორისმა კომისიამ დაადგინა, რომ, თუ სასამართლოსათვის არ არის ოფიციალურად ცნობილი პირის დაკავების შესახებ, ან იღებს ამ ცნობას მნიშვნელოვანი დაგვიანებით, მაშინ დაუცველია დაკავებული პირის უფლებები. კომისიამ აღნიშნა, რომ ამგვარ სიტუაციებს თავად მივყავართ თვითნებობისაკენ, სასამართლოების მიმართ პატივისცემის უგულბელყოფამდე, რასაც შედეგად მოჰყვება უკანონობის ინსტიტუციონალიზაცია.¹²³ აფრიკის კომისიამ დაადგინა, რომ ქვეყანაში უკანონოდ მყოფი უცხოელი თავისუფლებათა დაცვითი პირებისათვის ეროვნული სასამართლოების წინაშე საჩივრის შეტანაზე უარი არღვევს აფრიკის ქარტიას.¹²⁴ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმრობის კანონიერების გასაჩივრებამ უნდა უზრუნველყოს, რომ დაპატიმრება განხორციელებულია ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და დაპატიმრების საფუძველი განსაზღვრულია იმავე ეროვნული კანონმდებლობით.¹²⁵ დაკავება და დაპატიმრება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობის როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ ნორმებს. ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ თავისუფლების აღკვეთა არ იყოს თვითნებური საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.¹²⁶ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადეს, რომ სასამართლოზე დაუყოვნებელი ხელმისაწვდომობა არსებითი გარანტიაა წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი.¹²⁷

¹²² „*habeas corpus*-ი საგანგებო მდგომარეობისას“, 1987 წლის 30 იანვრის საკონსულტაციო დასკვნა OC-8/87, ამერიკათაშორისი სასამართლოს წლიური ანგარიში, 1987 წ., OAS/Ser.L/V/III.17 doc.13, 1987 წ.; და „სასამართლო გარანტიები საგანგებო მდგომარეობისას“, 1987 წლის 6 ოქტომბრის საკონსულტაციო დასკვნა OC-9/87, ამერიკათაშორისი სასამართლოს წლიური ანგარიში, 1988 წ., OAS/Ser.L/V/III.19 doc.13, 1988 წ.

¹²³ ამერიკათაშორისი კომისია, მეორე მოხსენება სურინამში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, OEA/Ser. L/V/II.66, doc.21 rev.1, 1985 წ., at 24.

¹²⁴ *Rencontre Africaine pour la défense de droits de l'homme v Zambia* (ადამიანის უფლებათა აფრიკის კომისია ზამბიის წინააღმდეგ), (71/92), აფრიკის კომისიის მე-10 წლიური ანგარიში, 1996-1997 წწ., ACHPR/RPT/10th.

¹²⁵ *Navarra v France* (ნავარა საფრანგეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 23 ნოემბრის განაჩენი, 26-ე პუნქტი.

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ ადამიანის უფლებათა კომიტეტის 29-ე ზოგადი კომენტარი, საგანგებო მდგომარეობა (მე-4 მუხლი), მიღებულია 1950-ე შეხვედრაზე 2001 წლის 24 ივლისს, მე-16 პუნქტი; *Aksoy v Turkey* (აკსოი თურქეთის წინააღმდეგ), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1996 წ., განაცხადი № 21987/93.

2.42. CPT რეკომენდაციას იძლევა, რომ „პოლიციის მიერ დაკავებული პირები, რომლებსაც ემუქრებათ ციხეში გადაყვანა, ფიზიკურად უნდა წარდგინდნენ იმ მოსამართლის წინაშე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი ... პირის მოსამართლის წინაშე წარდგენა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებისათვის ნიშნავს საჩივრის წარდგენის დროულ შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მას არასათანადოდ მოეპყრნენ. გარდა ამისა, საჩივრის უქონლობის შემთხვევაშიც კი მოსამართლის ჩარევა დროული იქნება, თუ არსებობს დაკავებული პირისადმი არასათანადო მოპყრობის რაიმე სხვა ნიშნები (მაგალითად, აშკარა დაზიანებები, ადამიანის გარეგნობა და ქცევა ზოგადად).“¹²⁸

The State v Williams and Others (სახელმწიფო უილიამსისა და სხვათა წინააღმდეგ), [1995] 2 LRC 103, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლო, 1995 წ., (სამხრეთ აფრიკა)

ამ საქმეში განმცხადებელი იყო ექვსი არასრულწლოვანი ვაჟისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლის წევრებს მისჯილი ჰქონდათ „შემსუბუქებული გამოსწორების ზომა“ გაროზგვის სახით. სასამართლოს უნდა განეხილა საკითხი, იყო თუ არა არასრულწლოვანთა სხეულებრივი სასჯელი შესაბამისობაში სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციასთან.

სასამართლომ განაცხადა, რომ სასჯელის გამოტანისას სახელმწიფომ უნდა იხელმძღვანელოს გარკვეული სტანდარტებით, რომლებიც ასახავს კონსტიტუციის საფუძველში ჩადებულ ფასეულობებს. სასამართლოებმა საკუთარი როლი უნდა შეასრულონ „ადამიანის უფლებათა აღიარებაზე დაფუძნებული“ ახალი კულტურის პროპაგანდასა და განვითარებაში. ახალი წესების ერთ-ერთი შედეგათაგანია ის, რომ ძველი წესები და პრაქტიკა მეტად აღარ მოქმედებს; ისინი უნდა დაექვემდებარონ უწყვეტ ხელახალ შეფასებას, რათა შესაძლებელი იყოს მათი შესაბამისობაში მოყვანა კონსტიტუციის დებულებებთან.

სასამართლომ შემდგომ დაადგინა, რომ: „არ დადასტურებულა იძულებიდან გამომდინარე რაიმე ინტერესი, რომელიც გაამართლებდა არასრულწლოვანთა ცემის პრაქტიკას, როგორც მათი დასჯის ფორმას. არ ყოფილა ნაჩვენები, რომ არ არსებობს რაიმე სხვა ისეთი სასჯელი, რომლითაც შესაძლებელია იმ მიზნის მიღწევა, რისთვისაც ის განკუთვნილია. არც ის იყო

¹²⁸ CPT/Inf/E (2002) 1, გვ. 14, 45-ე პუნქტი.

ნაჩვენები, რომ ეს მნიშვნელოვნად ეფექტიანი საშუალებაა. მისი ეფექტი უფრო უხეში და დამამცირებელია, ვიდრე რეაბილიტაციური, უფრო მეტიც, იგი სულაც არ არის საჭირო. სამხრეთ აფრიკის მართლმსაჯულების სისტემაში სასჯელების საკმაოდ დიდი არჩევანია და სასჯელად ცემის გამოყენება სულაც არაა საჭირო. არასრულწლოვანთა ცემა, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე, არის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი ზომა.“

სასამართლომ განიხილა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა „სასტიკის“, „არაადამიანურის“ და „დამამცირებელის“ დეფინიციათა დასადგენად, როცა იგი განიხილავდა სხეულებრივი სასჯელის კანონიერებას. მან დაადგინა, რომ: „ვინაიდან აბსოლუტური განსაზღვრება ამ ცნებებისა უნდა გამოხატავდეს ჩვენს საკუთარ გამოცდილებასა და თანამედროვე გარემოებებს, როგორც სამხრეთ აფრიკის საზოგადოებისას, უეჭველია, რომ ღირებული მნიშვნელობის ამოღება შეიძლება იმ ხასიათიდან, როგორც ეს ცნებები გამოიყენება საჯარო საერთაშორისო სამართალში, ისევე როგორც უცხო ქვეყნების პრეცედენტულ სამართალში.“ მან აღნიშნა, რომ გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არ ჩათვალა საჭიროდ აკრძალული ქმედებების ჩამონათვალის გაკეთება ან მკაფიო განსხვავების დადგენა სხვადასხვა ტიპის სასჯელებს ან მოპყრობას შორის და არც ის გაითვალისწინა, რომ განსხვავება დამოკიდებულია გამოყენებული მოპყრობის ხასიათზე, მიზანსა და სისასტიკეზე. მან ასევე დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცნებები თავიდან განასხვავა მიყენებული ტანჯვის ხარისხით. სასამართლომ მოიყვანა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებიდან სიტყვები საქმიდან – *Tyrer v UK* (ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), რომელშიც სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „სასამართლო სხეულებრივი სასჯელი ხასიათდება იმით, რომ იგი მოიაზრებს ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანზე ფიზიკური ძალადობის განხორციელებას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ განიხილა ხსენებული როგორც ინსტიტუციონალიზებული ძალადობა, რომელიც ნებადართულია კანონით, ნაბრძანებია სახელმწიფო სასამართლო ხელისუფლების მიერ და განხორციელებულია სახელმწიფოს საპოლიციო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ძალადობის ინსტიტუციონალიზებული ხასიათი შემდგომში უფრო რთულდებოდა ოფიციალური პროცედურით, რომელიც თან ახლდა სასჯელს და ასევე იმ ფაქტით, რომ ისინი, რომლებიც ახორციელებდნენ მას, იყვნენ აბსოლუტურად უცხოები სამართალდამრღვევისათვის.“

სასამართლომ დაასკვნა: „დასანანია, მაგრამ იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან ჩვენი საზოგადოება მოყოლილია

ძალადობის უპრეცედენტო ტალღის ქვეშ. დებატებიც კი, პოლიტიკური, სამრეწველო თუ პირადი, ხშირად მთავრდება ძალადობით. გარდა ამისა, იმავე პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ძალადობაზე დამყარებული დანაშაულების რაოდენობა, როგორებიცაა შეიარაღებული ყაჩაღობა და მკვლელობა. პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი, რომელსაც შედეგად კონსტიტუციის მიღება მოჰყვა, იყო ძალადობის უარყოფა. ამ კონტექსტში, უეჭველია, რომ ძალადობის ინსტიტუციონალური გამოყენება სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვნების წინააღმდეგ, რის უფლებასაც იძლევა აქტის 294-ე ნაწილი, არის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელი. მთავრობას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება კონსტიტუციის ფასეულობათა პროპაგანდასა და ხელშეწყობაში. თუ იგი სრულყოფილი არ არის ამ ფასეულობათა აღიარებაში, კონსტიტუცია დასუსტდება. ხელისუფლების კულტურა, რომელიც აკანონებს ძალადობის გამოყენებას, არ შეესაბამება იმ ფასეულობებს, რომლებსაც იცავს კონსტიტუცია.“

გარანტიები განსაკუთრებული კატეგორიის დაპატიმრებულ პირთათვის

2.43. ყველა დაპატიმრებულ პირს აქვს თანასწორი მოპყრობის მიღების უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად. თუმცა გარკვეული დათმობა უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული კატეგორიის დაპატიმრებულ პირთა უფლებებისა და საჭიროებების მიმართ, როგორებიც არიან: ქალები, არასრულწლოვნები, მოხუცებულები, უცხოელები, ეთნიკური უმცირესობანი, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები, ავადმყოფები, ფსიქიკური ან ჩამორჩენილობის პრობლემების მქონე პირები და პირთა სხვა ჯგუფები ან ინდივიდები, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით უსუსურნი აღმოჩნდნენ პატიმრობისას. ზოგიერთი ჯგუფი შეიძლება დისკრიმინაციული ძალადობის სამიზნედაც კი იქცეს იმ დანებსებულების თანამშრომლების მხრიდან, სადაც ისინი იხდიან პატიმრობას. ისინი ასევე შეიძლება უსუსურნი აღმოჩნდნენ სხვა პატიმრების მხრიდან განხორციელებული ძალადობის გამო.

ქალები პატიმრობაში

- 2.44. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა ციხის მამაკაცი თანამშრომლებისათვის ქალების საპატიმროებში შეღწევის ხელმისაწვდომობის გამო. ასეთი ფაქტების შედეგად აღინიშნა ქალების სექსუალური შეურაცხყოფისა და მათ პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევის სერიოზული შემთხვევები.¹²⁹ ასევე დადგინდა, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული ქალების დაკითხვას უნდა ესწრებოდნენ თანამშრომელი ქალები, რომლებიც პირადად აგებენ პასუხს მათ პირად ჩხრეკაზე.¹³⁰
- 2.45. პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესები ადგენს, რომ პატიმარი ქალების ზედამხედველობას უნდა ახორციელებდნენ საპატიმროს თანამშრომელი ქალები.¹³¹ ქალები პატიმრობაში უნდა იმყოფებოდნენ ან ცალკე დანესებულებაში, ან თავმოყრილნი დანესებულების რომელიმე ერთ ნაწილში თანამშრომელი ქალის ზედამხედველობის ქვეშ. არც ერთი თანამშრომელი მამაკაცი არ დაიშვება პატიმარი ქალების დანესებულებაში ან დანესებულების ნაწილში თანამშრომელი ქალის თანხლების გარეშე.¹³² ქალების საპატიმროებში უნდა არსებობდეს პრენატალური და პოსტნატალური სამედიცინო დახმარებისა და მკურნალობის საშუალებები.¹³³ შესაძლებლობის მიხედვით, მშობიარობა უნდა მოხდეს დანესებულების გარეთ, ჩვეულებრივ სამშობიარო სახლებში.¹³⁴ ნამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი რეკომენდაციას იძლევა, რომ სახელმწიფომ სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებსა და სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირებს უნდა ჩაუტაროს ტრენინგი გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით.¹³⁵

¹²⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიმოხილვები: აშშ, UN Doc. CCPR/C/79/Add.50, 1995 წლის 7 აპრილი, მე-20 პუნქტი.

¹³⁰ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-16 ზოგადი კომენტარი, (ოცდამესამე სესია, 1988 წ.), ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ხელშეკრულებით შექმნილი საზედამხედველო ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და რეკომენდაციების კრებული, HRI/GEN/1/Rev.1 at 21 (1994 წ.), მე-8 პუნქტი.

¹³¹ მინიმალური სტანდარტული მე-8 (ა) და 53-ე წესები.

¹³² იქვე.

¹³³ 23-ე წესი.

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ ნამების ფაქტების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc. E/CN.4/1995/34, გვ. 8.

არასრულწლოვანი პატიმრები

- 2.46. ბავშვის უფლებათა კონვენციაში მოცემულია ზოგიერთი სპეციალური ვალდებულება, რომლებიც ეხება წინასწარ პატიმრობას ბავშვებთან დაკავშირებულ შემთხვევებში. კონვენცია ეხება 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც სისხლის სამართლის უმრავლესი სისტიმის თანახმად, არასრულწლოვნებად ითვლებიან. 37-ე მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ბავშვების დაპატიმრება – წინასწარი პატიმრობით ან ნებისმიერი სხვა ფორმით – უნდა იყოს უკიდურესი ზომა და მისი ხანგრძლივობაც რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა იყოს. კონვენცია მოითხოვს, რომ სათანადო ყურადღება ექცეოდეს თავისუფლებააღკვეთილი ბავშვების საჭიროებებს, რომ ისინი იზოლირებულნი იყვნენ სრულწლოვანი პატიმრებისგან, თუ მათთან ერთად ყოფნა არ გამოდინარეობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან. 39-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, *inter alia*, ხელი შეუწყონ ბავშვების ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და წამებისა და სხვა ფორმის სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის, ისევე როგორც ბავშვთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის, ექსპლუატაციისა თუ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის სოციალურ რეინტეგრირებას.
- 2.47. წამების საწინააღმდეგო ევროპულმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა რამდენიმე გარანტია ბავშვების არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად. CPT აღნიშნავს შემდეგს: „აუცილებელია, რომ ყველა თავისუფლებააღკვეთილმა პირმა (არასრულწლოვანთა ჩათვლით) იმ მომენტიდან, როცა ისინი პირველად აღმოჩნდნენ ვალდებულნი, დარჩენილიყვნენ პოლიციაში, შეძლოს საკუთარი უფლებებით სარგებლობა – შეატყობინონ ნათესავებსა თუ მეგობრებს თავიანთი თავისუფლების აღკვეთის ფაქტის შესახებ და ისარგებლონ ადვოკატისა და ექიმის ნახვის უფლებით. აღნიშნული გარანტიების გარდა, ზოგიერთი იურისდიქცია აღიარებს, რომ არასრულწლოვანთათვის დამახასიათებელი დაუცველობა ითხოვს სიფრთხილის დამატებითი ზომების მიღებას. ეს გულისხმობს პოლიციელების პასუხისმგებლობას, შეატყობინონ შესაბამის პირს არასრულწლოვანის დაკავების შესახებ (მიუხედავად იმისა, მოითხოვს ამას არასრულწლოვანი თუ არა). შეიძლება ისეც მოხდეს, რომ პოლიციის ოფიცერს არ ჰქონდეს არასრულწლოვანის დაკითხვის უფლება შესაბამისი პირის და/ან ადვოკატის გამოჩენამდე“.¹³⁶

¹³⁶ CPT/Inf/E (2000) 1, გვ. 57, 23-ე პუნქტი.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები

- 2.48. ფსიქიკური დაავადებების მქონე პირების დაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების პრინციპების თანახმად, „ფსიქიკური დაავადების მქონე ყველა პირის, ან იმ პირების, რომლებსაც ეპყრობიან როგორც ფსიქიკურად დაავადებულებს, მიმართ უნდა ხორციელდებოდეს ჰუმანური მოპყრობა, რაც გულისხმობს ადამიანის თანდაყოლილი ღირსების პატივისცემას“.¹³⁷ „ფსიქიკური დაავადების მქონე ყველა პირს, ან იმ პირებს, რომლებსაც ეპყრობიან როგორც ფსიქიკურად დაავადებულებს, აქვთ უფლება, დაცული იყვნენ ეკონომიკური, სექსუალური და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისაგან, ფიზიკური და სხვა სახის ძალადობისაგან და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან“.¹³⁸
- 2.49. პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესები ასევე ადგენს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები არ უნდა იყვნენ შესახლებული ციხეში და „მათზე დაკვირვება და მათი მკურნალობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებებში“.¹³⁹
- 2.50. CPT-იმ განაცხადა, რომ: „ფსიქიკური დაავადების მქონე პატიმარი უნდა მოთავსდეს ისეთ სამკურნალო დაწესებულებაში, რომელიც სათანადოდაა აღჭურვილი და ჰყავს შესაბამისი ცოდნის მქონე თანამშრომლები. ეს დაწესებულება უნდა იყოს საქალაქო ფსიქიატრიული საავადმყოფო ან სპეციალურად აღჭურვილი ფსიქიატრიული განყოფილება ციხის სისტემაში“.¹⁴⁰ ფსიქიკურად დაავადებული აგრესიული პატიმარი უნდა იმყოფებოდეს მჭიდრო ზედამხედველობის ქვეშ და იღებდეს შესაბამის მოვლას. თუმცა დასაშვებია დამამშვიდებლების მიღება (თუ ეს აუცილებელია), მაგრამ ფიზიკური შეზღუდვის ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იშვიათად და ექიმის ნებართვით, ან ასეთი ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექიმს. ამგვარი ინსტრუმენტები უნდა მოეხსნას ავადმყოფს რაც შეიძლება სწრაფად და არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული დასჯის მიზნით. ფიზიკური შეზღუდვის საშუალებების ყოველ გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა შედგეს შესაბამისი ჩანაწერი.¹⁴¹

¹³⁷ მე-2 პრინციპი.

¹³⁸ მე-3 პრინციპი.

¹³⁹ მინიმალური სტანდარტული წესების 82-ე პუნქტი.

¹⁴⁰ CPT/Inf/E (2000) 1, გვ. 33, 43-ე პუნქტი.

¹⁴¹ იქვე, გვ. 33, 44-ე პუნქტი.

***D K Basu v State of West Bengal* (დი-ქეი ბასუ დასავლეთ ბენგალის შტატის წინააღმდეგ); *Ashok K Johri v State of Uttar Pradesh* (აშოკ ქეი ჯორი უტა პრადაშის შტატის წინააღმდეგ), ინდოეთი, უზენაესი სასამართლო, 1966 წლის 18 დეკემბერი, (1997) 1 SCC 416, AIR 1997 SC 610; (1996) 2 CHRLD 86 (ინდოეთი)**

ეს საქმე მომდინარეობს საჩივრიდან, რომელიც რეგისტრირებულმა არა-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეიტანა ინდოეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე. სასამართლომ დაადგინა, რომ, მიუხედავად ინდივიდის უფლებებიდან გამომდინარე გარანტიების კონსტიტუციური და პროცედურული დაცვის არსებობისა, სასამართლოს ყურამდე მოაღწია ხმებმა, რომ ეს უფლებები თითქმის მუდმივად ირღვეოდა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ წამების დანაშაულისა და ციხეში სიკვდილის შემთხვევების გამოძიება გართულდა გონივრული ეჭვის მიღმა პრინციპის ზედმინევიითი დაცვითა და მისდამი დაჟინებული მიმდევრობით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს იგნორირებას უწევს რეალობას, მოცემული შემთხვევის განსაკუთრებულ გარემოებებს და ხშირად შეცდომაში შეყავს სასამართლო. სასამართლომ პარლამენტის ყურადღება გაამახვილა პატიმრობის ადგილებში ძალადობისათვის ბრალდებული პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ აღძრული გამოძიების პროცესში მტკიცებულებათა წარდგენასთან დაკავშირებულ ნორმებში ცვლილებების შეტანის გადაუდებელ საჭიროებაზე, კერძოდ, ინდოეთის იურიდიული კომისიის 113-ე ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხება მტკიცების ტვირთის გადაცემას, როდესაც არსებობს სამხილი, რომ პირის დაშავება მოხდა პატიმრობის პერიოდში, და სასამართლოს მხრიდან ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებას.

სასამართლომ განაცხადა, რომ ზემოთ მოხსენიებული კანონით განსაზღვრულ და კონსტიტუციურ მოთხოვნებთან ერთად, კარგი და ქმედითი იქნებოდა შესაბამისი მექანიზმის შექმნა სინქრონული ჩანერისათვის და დაკავებისა თუ დაპატიმრების ყველა შემთხვევის გამჭვირვალებისა და ანგარიშვალდებულების მიზნით. როგორც აღმკვეთი ღონისძიებები, სასამართლომ დაადგინა, რომ დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები დაკავებისა თუ დაპატიმრების ყველა შემთხვევაში, ვიდრე არ ამოქმედდება იურიდიული დებულებები:

- (I) დაკავებისა და დაკითხვის მწარმოებელ პოლიციის თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ წესიერი, თვალსაჩინო და მკაფიო საიდენტიფიკაციო ნიშნები, რომლებზეც მოცემულია მათი სახელები და გვარები, თანამდებობა და დეტალები, რომლებიც უნდა ჩაინეროს ჟურნალში;

- (II) მემორანდუმს დაკავების შესახებ (რომელშიც შეტანილი იქნება შესაბამისი თარიღი და დრო) მოამზადებს დაკავების განმასხორციელებელი პოლიციის ოფიცერი, ხოლო თვით დაკავება უნდა განხორციელდეს, სულ ცოტა, ერთი პირის თანდასწრებით (ეს შეიძლება იყოს დაკავებული პირის ნათესავი ან ცნობილი ადგილობრივი პირი). ხსენებულ დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს დაკავებულმა პირმა;
- (III) დაკავებული პირის ერთი მეგობარი ან ნათესავი (ან ვინმე მისთვის კარგად ცნობილი სხვა პირი, რომელიც დაინტერესებულია მისი კეთილდღეობით) მიიღებს შეტყობინებას (რაც შეიძლება სწრაფად), რომელშიც მოცემული იქნება დაკავების ან დაპატიმრების ადგილი;
- (IV) თუ დაკავებული პირის ახლო მეგობარი ან ნათესავი ცხოვრობს სხვა რაიონში ან ქალაქში, მაშინ მას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება პოლიციის მიერ, რომელშიც მოცემული იქნება დაკავების ადგილი, დრო და თავისუფლებადკვეთილი პირის ადგილსამყოფელი, რომელიც მეგობარმა ან ნათესავმა უნდა მიიღოს 8-12 საათის განმავლობაში;
- (V) დაკავებულ პირს უნდა ეცნობოს თავისი უფლებები დაკავების ან დაპატიმრებისთანავე;
- (VI) დაკავების ადგილზე დღიურში უნდა გაკეთდეს ჩანაწერი პირის დაკავების შესახებ. მასში ასევე უნდა ჩაინეროს იმ მეგობრის სახელი და გვარი, რომელსაც ეცნობა ფაქტის შესახებ, ასევე იმ პოლიციელთა სახელები და გვარები და დეტალები, რომლებმაც დააკავეს შესაბამისი პირი;
- (VII) მოთხოვნის საფუძველზე დაკავებული უნდა შემოწმდეს (დაშავებულია თუ არა ის) დაკავების მომენტში და მას უნდა გადაეცეს შემოწმების შედეგების დოკუმენტის ასლი, რომელსაც ხელს მოაწერს პოლიციის ოფიცერი და დაკავებული;
- (VIII) დაკავებული ყოველ 48 საათში უნდა მოწმდებოდეს დამტკიცებული კომისიის წევრი ექიმის მიერ;
- (IX) დაკავებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ასლი უნდა გადაიგზავნოს შესაბამის ადგილობრივ სასამართლოში ფაქტის შესაბამის ჩანაწერებში შეტანის მიზნით;
- (X) დაკავებულს შეიძლება მიეცეს თავის ადვოკატთან შეხვედრის უფლება დაკითხვის დროს, მაგრამ არა დაკითხვის მთლიან პროცესში;
- (XI) პოლიციის საკონტროლო ოთახი მონყობილი უნდა იყოს ყველა რაიონულ და სახელმწიფო შტაბში, სადაც დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტები უნდა მივიდეს დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში და გამოკრულ იქნეს ადვილად შესამჩნევ განცხადებათა დაფაზე;

(XII) ეს მოთხოვნები ემატება უკვე არსებულ გარანტიებს და არ ამცირებს სხვა ამ საქმესთან დაკავშირებულ მითითებებს, მოცემულს სასამართლოს მიერ. მათ ისეთივე იურიდიული ძალა ექნებათ სხვა იმ სამთავრობო სააგენტოების მიმართ, რომლებსაც აქვთ ადამიანის დაპატიმრებისა და დაკითხვის უფლებამოსილება. მათი მკაცრად დაცვა აუცილებელია; მათი დარღვევა იწვევს საქმესთან დაკავშირებული ოფიციალური პირის პასუხისმგებლობას უწყებრივი ქმედებისა და სასამართლო საქმის წარმოებისათვის ხელის შეშლის გამო.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მაშინ, როდესაც ხდება ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, სასამართლოს არ შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული მუხლების დარღვევის დადგენით შემოიფარგლოს; მან უნდა მეტი გააკეთოს და არა მხოლოდ ზარალი დაადგინოს, როგორც ეს სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შედეგად ხდება, არამედ, საჯარო სამართლის იურისდიქციის თანახმად, კომპენსაციით უზრუნველყოს მსხვერპლი, ვინაიდან სახელმწიფომ დაარღვია საზოგადოებრივ-სამართლებრივი ვალდებულება და არ დაიცვა მოქალაქის ფუნდამენტური სიცოცხლის უფლება. დამნაშავის უბრალო დასჯა დიდად ვერ დაამშვიდებს მსხვერპლის ოჯახს, ხოლო სამოქალაქო სარჩელის აღძვრა ზარალის დასადგენად ხანგრძლივი და მოუხერხებელი იურიდიული პროცედურაა. მოქალაქის ხელშეუვალი სიცოცხლის უფლების დარღვევით მიყენებული ზარალის ფულადი ანაზღაურება, აქედან გამომდინარე, არის გამოსადეგი და ზოგჯერ სამართლებრივი დაცვის ერთადერთი ეფექტიანი საშუალება იმ დაზარალებულის ოჯახის წევრებისათვის, რომელიც, შეიძლება, ერთადერთი შემოშინი იყო ოჯახში. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ამგვარი უფლებების დამრღვევი სახელმწიფო მოხელეების ქმედებების გამო ახლა მიღებულია ბევრ იურისდიქციაში.

კომპენსაციის შეფასებისას აქცენტი გადატანილი უნდა იყოს უფრო კომპენსაციისა და არა დასჯის ელემენტზე. შესაბამისი სასჯელის დადგენა დანაშაულისათვის (კომპენსაციის მიუხედავად) უნდა იყოს სისხლის სამართლის იმ სასამართლოს საქმე, სადაც მოხდება დამნაშავის საქმის სასამართლო გარჩევა და რომლის მიმართაც სახელმწიფო კანონითაა ვალდებული. კომპენსაციის დაკისრება საჯარო სამართლის იურისდიქციით ასევე არ უნდა ვნებდეს სხვა ქმედებას, როგორცაა, მაგალითად, სამოქალაქო სარჩელი ზარალის შესახებ, რომლის უფლებაც კანონიერად აქვს მსხვერპლს (ან გარდაცვლილი მსხვერპლის მემკვიდრეებს). ეს სამოქალაქო სარჩელი დაკავშირებული უნდა იყოს იმავე საკითხთან, ანუ სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილ ქმედებასთან. კომპენსაციის მოცულობა დამოკიდებული

იქნება ყოველი საქმის დამახასიათებელ ფაქტებთან და, აქედან გამომდინარე, არ არსებობს ამის რაიმე დადგენილი ფორმულა. სასამართლოს მიერ დადგენილი კომპენსაციის მოცულობა, რომელსაც სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო იხდის სახელმწიფო, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება გამოხატული იყოს ნებისმიერი მოცულობით, რაც შესაძლოა, მიენიჭოს მოსარჩელეს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში.

III ტაზი

**მონაგარტლებისა და პროკურორების როლი
დაკავებულებისა და დანაშაულები
ეჭვიტანილთა წამებისგან დაცვაში**

შინაარსი

მოსამართლეებისა და პროკურორების როლი დაკავებულებისა და დანაშაულში ეჭვმიტანილთა წამებისგან დაცვაში	83
მოსამართლეების როლი	84
პროკურორების როლი	85
გარანტიები პატიმრობისას	86
დაკითხვა	89
დამოუკიდებელი შემოწმებები	91
პატიმრობის პირობები	94
წარდგენა სასამართლო ხელისუფლების წინაშე	97
იურიდიული დახმარება	99
ჩვენებების დასაშვებობა	99
მონმეთა დაკითხვა	100
დაცვის ვალდებულება გადასახლების შემთხვევებში	103

მოსამართლეებისა და პროკურორების როლი დაკავებულებისა და დანაშაულები ეჭვიბანილთა წამებისგან დასკვაში

- 3.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, სისტემატურად გადახედოს დაკითხვის წესებს, ინსტრუქციებს, მეთოდებსა და პრაქტიკას, ასევე, დაკავებისა და იმ ადამიანების მიმართ მოპყრობის ზომებს, რომლებიც ექვემდებარებიან დაკავების, დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ ფორმას, როგორც წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების ქმედითი ზომა.¹⁴² სახელმწიფოებს ასევე მოეთხოვებათ პატიმართა მიერ ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებით შემოტანილი საჩივრის გამოძიება და პატიმართა მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნა.¹⁴³
- 3.2. წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილებულია მოსამართლეებისა და პროკურორების როლზე თავისუფლებულ კვებითი ადამიანების დაცვაში წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმებისგან. კერძოდ, მასში განხილულია, თუ როგორ უნდა მოხდეს მე-2 თავში მოცემული გარანტიების პრაქტიკული გამოყენება. აქ მოცემულია პრაქტიკული რჩევები მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, თუ როგორ დარწმუნდნენ, რომ სასამართლოს წინაშე წარდგენილი პატიმარის მიმართ არ არის გამოყენებული წამება ან ღირსების შემლახავი მოპყრობის რაიმე სხვა ფორმა. იგი ასევე აკისრებს სახელმწიფო ბრალმდებლებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისათვის საჭირო ჩვენებების შესაბამისი გზით მიღებისა და ეჭვიბანილის ძირითადი უფლების – არ გახდეს წამების მსხვერპლი – შეულახავობის უზრუნველყოფას. ამგვარი მოპყრობის რისკი კიდევ უფრო იზრდება, თუ სამართლებრივი სისტემა აფუძნებს განაჩენს უმთავრესად წინასწარი პატიმრობის პერიოდში მიღებულ აღიარებასა და მტკიცებულებაზე.

¹⁴² ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი შენიშვნის მე-11 პუნქტი.

¹⁴³ ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები: საფრანგეთი, UN Doc.CCPR/C/79/Add.80, 1997 წლის 4 აგვისტო, მე-16 პუნქტი.

- 3.3. მოსამართლეები და პროკურორები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ სხვადასხვა იურიდიულ სისტემაში. მათი როლები ასევე განსხვავდება (ა) მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, (ბ) მონმეების დაკითხვისას და (გ) საქმეების შეჯამებისას. ის თავისუფლება, რომელიც მოსამართლეებმა და სახელმწიფო ბრალმდებლებმა უნდა მიიღონ თავიანთი ფუნქციების შესრულებისას, ნაწილობრივ დამოკიდებულია იმ სამართლებრივ სისტემაზე, რომელშიც ისინი მუშაობენ. მაგალითად, კონტინენტური თუ საერთო სამართლის სისტემაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულება შეიძლება მისდევდეს, შესაბამისად, ინკვიზიციურ და შეჯიბრებით მოდელს. სასამართლო განხილვა შეიძლება წარმართოს სხვადასხვა გზით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის წინაშე იხილება საქმე – ნაფიცი მსაჯულებისა თუ მოსამართლეების. სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სპეციფიკური სისტემების ჩარჩოში უნდა განიმარტოს შემდეგი პრინციპები:

მოსამართლეების როლი

- 3.4. მოსამართლის მთავარი როლი სახელმწიფოს კანონმდებლობის დაცვა – იგივე ეხება საერთაშორისო სამართალს, როცა იგი ჩართულია ადგილობრივ კანონმდებლობაში – და მართლმსაჯულების განხორციელების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გაძლოა. ვიდრე მოსამართლე გადაწყვეტს დამნაშავეობისა და უდანაშაულობის საკითხებს, ან ვიდრე იგი განიხილავს საჩივრის არსებით მხარეს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის დავაში, მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს მხოლოდ ფაქტებს, თუ, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება მათი დადგენა; თითოეული მხარის პოზიციის არსებით მხარეს; და შესაბამის კანონს. გარდა ამისა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ მოსამართლე აცნობიერებდეს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ ყველა ფაქტორს, იმ ფაქტორების ჩათვლით, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს დარბაზში დამსწრეთა ქცევაზე ან სასამართლო განხილვის პროცესზე. ეს ნიშნავს არა მხოლოდ პროცედურის კონტროლს, მითითებებს, საქმის შეჯამებას, გადაწყვეტილების გამოტანას ან სასჯელის შეფარდებას, ეს ასევე ნიშნავს სასამართლო პროცესის სამართლიანად წარმართვას და სამართლიანობის ხილვადობის შექმნასაც.
- 3.5. მოსამართლე ასევე პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ბრალდებულების, მონმეებისა და დაზარალებულის მიმართ სამართლიანი მოპყრობა და სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულთა სასა-

მართლო პროცესის სამართლიანად წარმართვა. ეს ნიშნავს, რომ მათ უნდა უზრუნველყონ მათი უფლებების პატივისცემა ნებისმიერ დროს და სასამართლო პროცესზე მხოლოდ ისეთი ჩვენებების დაშვება, რომლებიც მიღებული იყო კანონიერი გზით. ეს ასევე ნიშნავს იმასაც, რომ სამართლის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები თავად უნდა იყვნენ კანონმორჩილნი. ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს აქტიური როლის შესრულება ჩვენებების თავისუფლად და იძულების გარეშე მიღებაში. მოსამართლეები ყოველთვის ყურადღებით უნდა იყვნენ პატიმრებისა და მოწმეების მიმართ, რომ ისინი არ გახდნენ წამების და სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლნი. თუ, მაგალითად, პატიმარი ჩივის, რომ იგი აწამეს სასამართლოში მიყვანამდე პოლიციაში, მოსამართლეს ეკისრება პატიმრის საჩივრის ჩანიშვნა წერილობით, სასამართლო-სამედიცინო შემოწმების დაუყოვნებელი დანიშვნა და ყველა შესაძლებელი ზომის მიღება საჩივრის საფუძვლიანად გამოძიების უზრუნველსაყოფად.¹⁴⁴ იგივე უნდა გაკეთდეს საჩივრის წარდგენის გარეშეც, თუ პირს ემჩნევა ფიზიკური და ფსიქიკური ხელყოფის ნიშნები.

- 3.6. თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამართლებრივი სისტემები განსხვავებულია ზოგიერთ საკითხში, წამების სამართლებრივი აკრძალვა საყოველთაოა. წამების შემთხვევების აღკვეთაში მოსამართლეების უმთავრესი როლი, აქედან გამომდინარე, არის მათ მიერ კანონის განუხრელად დაცვა ნებისმიერ დროს.

პროკურორების როლი

- 3.7. სისხლის სამართლის სხვადასხვა სისტემაში მნიშვნელოვანი როლების შესრულება შეუძლიათ მოსამართლეებსა და პროკურორებს, რაც დამოკიდებულია იმაზე, მიმართავს თუ არა სისტემა ინკვიზიციური თუ შეჯიბრებითი სახის პროცესებს. ბევრი საკითხი, რომლებიც ეხება მოსამართლეების როლსა და პასუხისმგებლობას, ასევე ეხება პროკურორს ბევრ ქვეყანაში.
- 3.8. პროკურორებს ასევე აქვთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში მოპოვებული ჩვენებების მიღება კანონიერი გზით და ბრალდებულთა ძირითადი უფლებების დაურღვევლობა. როცა პროკურორებს ხელში უვარდებათ ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებულებები, რომლებიც, მათი ცოდნით ან გონივრულ საფუძველზე ვარაუდით, მი-

¹⁴⁴ CPT/Inf/E (2000) 1, გვ. 14, 45-ე პუნქტი.

ღებულის უკანონო მეთოდებით, გასაკუთრებით წამებით, მათ უარი უნდა განაცხადონ ამგვარ ჩვენებებზე, აცნობონ ფაქტი სასამართლოს და მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, რომ ამგვარ ჩვენებებზე პასუხისმგებელი პირები წარდგინდნენ მართლმსაჯულების წინაშე.¹⁴⁵ ნებისმიერი ჩვენება, მიღებული წამების ან სხვა ფორმის ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად, შეიძლება დასაშვები მტკიცებულება გახდეს მხოლოდ ამ ხელყოფის განმარტორციელებელი პირების წინააღმდეგ.¹⁴⁶

- 3.9. ზოგიერთ იურისდიქციაში პროკურორმა აუცილებლად უნდა მოითხოვოს გამოძიებელი მოსამართლეებისაგან მოქმედება, ვიდრე ეს უკანასკნელნი დაიწყებენ გამოძიებას. აქედან გამომდინარე, პროკურორები სერიოზულად უნდა მიუდგნენ ამ მოვალეობას, როცა სავარაუდოა წამების დანაშაულის ჩადენა სამართალდამცავების მხრიდან. თითქმის ყველა იურისდიქცია ავალდებულებს პროკურორებს, სასამართლო წესით მიუდგნენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს და ეს ვალდებულება მოიცავს სამართალდამცავების დევნას, რომლებიც შეიძლება ბრალდებულნი იყვნენ სისხლის სამართლის დანაშაულში, როგორცაა წამება. მრავალ იურისდიქციაში პროკურორს არ სჭირდება ოფიციალური საჩივრის მიღება დანაშაულის ფაქტის სასამართლო წესით დევნის დასაწყებად. ფაქტობრივად, მათ მართლაც ხშირად ეკისრებათ ამგვარი მოქმედების სამართლებრივი მოვალეობა, თუ რაიმე გზით მიენოდებათ ამგვარი ინფორმაცია.

გარანტიები პატიმრობისას

- 3.10. პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ იმ ელემენტების პატივისცემა, რომლებიც მოცემულია წინა თავში ჩამოყალიბებული სტანდარტების საკონტროლო კითხვარში. აღნიშნული კითხვარი ეფუძნება საერთაშორისო სამართალში მოცემულ გარანტიებს, თუმცა საერთაშორისო სტანდარტები უზრუნველყოფენ მხოლოდ მინიმუმს. ბევრ სახელმწიფოს დაცვის უფრო მეტი საშუალება აქვს, რაც ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც კარგი პრაქტიკა. იქ, სადაც არ იცავენ მოცემულ სტანდარტებს, არსებობს განსაკუთრებული რისკი იმისა, რომ დაკავებულებს, ალბათ, უხდებათ წამებისა და სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის ატანა. აღნიშნული სტანდარტების შეუსრულებლობამ შეიძლება შემდგომში

¹⁴⁵ გაერო-ს მითითებები პროკურორის როლის შესახებ, მე-16 მითითება.

¹⁴⁶ გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან სასჯელის წინააღმდეგ, მე-15 მუხლი.

უფრო გაართულოს მოცემულ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების დადგენა და დასჯა:

- **ადამიანებისათვის თავისი უფლებების შეტყობინება.** ყველა თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს აქვს უფლება, გაიგოს თავისი დაპატიმრების ან დაკავების მიზეზი და თავისი უფლებები პატიმრობისას. მათ აქვთ უფლება (თავადვე ან ხელისუფლების მემკვიდრით), შეატყობინონ თავიანთი ოჯახის წევრებს ან მეგობრებს დაკავების ფაქტი და პატიმრობის ადგილი. თუ ადამიანი გადაყავთ სხვა ადგილას, მისი ოჯახი ან მეგობრები კვლავ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი. უმჯობესია, შეტყობინება მოხდეს დაუყოვნებლივ ან, სულ ცოტა, დაუგვიანებლად მაინც. წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანებს უნდა მიეცეთ ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობის და მათთან შეხვედრის ყველა გონივრული საშუალება.
- **პატიმრობის ოფიციალურად აღიარებული ადგილების გამოყენება და შესაბამისი ჩანაწერების წარმოება.** ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირი დაკავებულ უნდა იქნეს ოფიციალურად განსაზღვრულ და საზოგადოებისთვის ცნობილ ადგილებში. დაკითხვა უნდა წარმოებდეს ოფიციალურ ცენტრებში, ხოლო პატიმრის ნებისმიერი ჩვენება, რომელიც მიღებულია არაოფიციალურ ადგილებში და არ არის დადასტურებული დაკითხვისას ოფიციალურ ცენტრებში, არ მიიღება მტკიცებულებად სასამართლოში. იგი მხოლოდ დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეს არის ჩვენება წამებაში ეჭვმიტანილი პირის წინააღმდეგ. საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ჟურნალებში გაკეთებული დროული და ზუსტი ჩანაწერები მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანების დასაცავად წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ყველა დაკავებულთან დაკავშირებული ოფიციალური ჟურნალები როგორც საპატიმრო დაწესებულებაში, ასევე ცენტრალიზებულად. აღნიშნულ ჩანაწერებში მოცემული უნდა იყოს დაკავებულთა სახელები და გვარები, მათი პატიმრობის ადგილები და მათი დაკავებისათვის პასუხისმგებელი პირების ვინაობა. საკნები უნდა იყოს დანომრილი, ხოლო ჩანაწერში მოცემული უნდა იყოს იმ საკნის ნომერი, რომელშიც მოთავსებულია პატიმარი. ასევე უნდა იწარმოებოდეს სრული ჩანაწერი პატიმრის ყველა კონტაქტთან დაკავშირებით, მისი ყველა თხოვნის, შესაბამისი პასუხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ჩათვლით. პატიმრობასთან დაკავშირებული ჩანაწერები უნდა კეთდებოდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერი გა-

ყალბების აღმოჩენა, მაგალითად, ეს უნდა იყოს აკინძული წიგნები დანომრილი გვერდებით, რომლებიც შეინახება გარკვეული პერიოდის განმავლობაში (რამდენიმე წელიწადს).

- **იზოლირებული პატიმრობის თავიდან აცილება.** ადამიანები ნამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექცევიან იზოლირებულ საკანში მოთავსებისას – როცა პატიმარს არა აქვს კავშირი გარესამყაროსთან, ოჯახთან, ადვოკატთან ან დამოუკიდებელ ექიმებთან. რაც უფრო დიდ ხანს არიან პატიმრები იზოლირებულნი, მით უფრო იზრდება ეს რისკი. ამ დროს შეიძლება მათთვის უფრო მეტი ტრავმის მიყენება, რაც ამგვარი პატიმრობის ხანგრძლივობის გამო ასწრებს მოშუშებას და ხდება ძნელადშესამჩნევი. მოსამართლეებმა უნდა მიმართონ ყველა არსებულ ზომას და უზრუნველყონ პატიმართა გარესამყაროსთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვისა და დაყოვნების მინიმალური ხანგრძლივობა.
- **ადვოკატის ხელმისაწვდომობა და ადვოკატის ფუნქციების პატივისცემა.** პატიმრებს აქვთ სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. მათ უნდა შეეძლოთ ადვოკატის კონსულტაციის მიღება კონფიდენციალურად პატიმრობისას. ადვოკატი ასევე უნდა ესწრებოდეს ნებისმიერ დაკითხვას და ის უნდა წარმოადგენდეს პატიმრებს სასამართლოზე. ადვოკატებმა დახმარება უნდა გაუწიონ პატიმრებს და წარმოადგინონ თავიანთი კლიენტები პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ყოველგვარი დაშინების, ხელის შეშლის, შეურაცხყოფის ან შეუსაბამო ჩარევის გარეშე ნებისმიერი მხრიდან.
- **ექიმის ხელმისაწვდომობა.** პატიმრებს უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო შემოწმება თავისუფლების აღკვეთიდან რაც შეიძლება მალე და მათი პატიმრობის ყველა საფეხურზე. მათ ასევე აქვთ დამატებითი უფლება, მოითხოვონ შემოწმება, რომელსაც ჩაატარებს მათთვის სასურველი დამოუკიდებელი და კვალიფიცირებული ექიმი. სამედიცინო შემოწმება უნდა ტარდებოდეს პოლიციის ოფიცრების დაუსწრებლად. ყოველი შემოწმების შედეგების, ასევე პატიმრის ჩვილებისა და ექიმის საკუთარი დასკვნების შესახებ ექიმმა უნდა შეადგინოს ჩანაწერები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრისა და მისი ადვოკატისათვის.
- **გარანტიები პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიისათვის.** ყველა დაკავებულს აქვს თანასწორი მოპყრობის უფლება დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რწმენის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებ-

ების, ეროვნული ან სოციალური წამოშობის, ქონების, დაბადების ან სხვა სტატუსის საფუძველზე. ამასთან, განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული დაუცველ პატიმართა უფლებები და საჭიროებები. ასეთ პატიმართა რიცხვს განეკუთვნებიან ქალები, არასრულწლოვნები, მოხუცები, უცხოელები, ეთნიკური უმცირესობანი, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები, ავადმყოფები, ფსიქიკური ან გონებრივი ჩამორჩენილობის პრობლემების მქონე პირები და სხვა დაუცველი ჯგუფები თუ ინდივიდები. ზოგიერთ ჯგუფს შეიძლება შეურაცხყოფედეს საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლები. ისინი ასევე შეიძლება დაუცველნი აღმოჩნდნენ შეურაცხყოფისგან სხვა პატიმრების მხრიდან.

დაკითხვა

- 3.11. პროკურორები ვალდებული არიან, არ მიიღონ მონაწილეობა იმ დაკითხვაში, რომლის დროსაც გამოიყენება ძალისმიერი მეთოდები აღიარების ან ინფორმაციის მოპოვების მიზნით. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი მეთოდები არ იქნეს გამოყენებული სამართალდამცავების მიერ აღიარების მოპოვების გზით ეჭვმიტანილისათვის ბრალდების წაყენების მიზნით. როცა ეჭვმიტანილი ან მოწმე წარდგება პროკურორის წინაშე, ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს აღიარებისა და ინფორმაციის ნებაყოფლობით მოწოდება. პროკურორმა ასევე უნდა გამოიკვლიოს დაკავებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის ნიშნები, სერიოზულად მიუდგეს ყველანაირ ჩვილს წამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ და არ დააბრუნოს პატიმარი იმ საპატიმროში, სადაც მას ამგვარი მოპყრობის საფრთხე ემუქრება.
- 3.12. დაკითხვისას წამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის რისკი კიდევ უფრო დიდია, თუ სამართლებრივი სისტემა განაჩენს ძირითადად აფუძნებს წინასწარი პატიმრობის დროს მიღებულ აღიარებებსა და ჩვენებებზე – განსაკუთრებით მაშინ, როცა დაკითხვა ჩატარებულია დაკავებულის ადვოკატის დაუსწრებლად. ყველა გარემოებისას მკაცრი პროცედურა დასაცავი დაკითხვის შესაბამისად წარმოებისა და პატიმრის შეურაცხყოფისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა დაკითხვის დეტალების ჩანერა და თვით დაკითხვის ოქმების შედგენა. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო ან ადმინისტრაციული პროცესის მიზნებისათვის.

3.13. პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ იმ ელემენტების პატივისცემა, რომლებიც მოცემულია დაკითხვასთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე საკონტროლო კითხვარში, რომელიც ეფუძნება წამების თავიდან აცილების ევროპის კომიტეტისა და წამების საკითხებზე მომუშავე გაერო-ს საგანგებო მომხსენებლის რეკომენდაციებს:¹⁴⁷

- დაკითხვა უნდა იწარმოებოდეს მხოლოდ ოფიციალურ ცენტრებში და დაკავებულის ნებისმიერი ჩვენება, რომელიც მიღებულია არაოფიციალურ საპატიმრო დაწესებულებებში და არ არის დადასტურებული პატიმრის მიერ ოფიციალურ ცენტრებში დაკითხვისას, არ მიიღება სასამართლოში, როგორც ჩვენება დაკავებულის წინააღმდეგ;
- დაკავებულს უნდა ჰქონდეს უფლება იმისა, რომ მისი ადვოკატი ესწრებოდეს ნებისმიერ დაკითხვას;
- ყოველი დაკითხვის წინ პატიმარს უნდა ეცნობოს ყველა დამსწრე პირის ვინაობა და შესაბამისი სერიული ნომერი;
- ყველა დამსწრის ვინაობა უნდა ჩაინეროს მუდმივ ყურნალში, სადაც მოცემულია დაკითხვის დრო (დაწყების და დამთავრების) და დაკითხვისას დაკავებულის მიერ გამოთქმული ყველა თხოვნა;
- პატიმარს უნდა ეცნობოს დაკითხვის დასაშვები ხანგრძლივობა; დაკითხვებს შორის დასვენებისა და შესვენების პერიოდებთან დაკავშირებული პროცედურა, ადგილები, სადაც ჩატარდება დაკითხვა და დაკითხვის დროს მოეთხოვება თუ არა პატიმარს ფეხზე დგომა. ყველა ასეთი პროცედურა დადგენილი უნდა იყოს კანონით ან წესებით და უნდა ხდებოდეს მათი მკაცრად დაცვა;
- თვალების ახვევა და სახეზე ქუდის ჩამოცმა უნდა აიკრძალოს, რადგან ეს კიდევ უფრო დაუცველს ხდის პატიმარს, იწვევს მგრძნობელობის დაქვეითებას და ეს შეიძლება აღქმულ იქნეს პატიმრის წამებისა და ღირსების შემლახავ ქმედებად. ასეთ პირობებში პატიმართათვის შეუძლებელი ხდება შეურაცხმყოფელთა იდენტიფიცირება და, შესაბამისად, ბრალდების წარდგენა მათ წინააღმდეგ.
- ყოველ დაკითხვასთან დაკავშირებით უნდა დგებოდეს ჩანაწერები ან ოქმები, ხოლო პატიმრებსა და მათ ადვოკატებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათზე;

¹⁴⁷ CPT/Inf/E (2000) 1, გვ. 10-16, 33-ე-50-ე პუნქტები; წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებლის ანგარიში, 2001, UN Doc.A/56/156, 2001 წლის ივლისი, 39-ე პუნქტი.

- ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს (და მის მიერ რეგულარულად უნდა გადაიხედებოდეს) პროცედურები, რომლებიც მართავს ნარკოტიკული, ალკოჰოლური ნივთიერებებისა და წამლების ზემოქმედების ქვეშ ან შოკურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა დაკითხვას;
- განსაკუთრებით დაუცველი პირების მდგომარეობა (მაგალითად, ქალების, არასრულწლოვნების და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების) განსაკუთრებული გარანტიის საგანი უნდა გახდეს.

- 3.14. დაკითხვების ელექტრონული ჩანაწერები მნიშვნელოვნად ეხმარება წამებისა და სხვა უღირსი მოპყრობის რისკის შემცირებას. მათი გამოყენება ხელისუფლებას შეუძლია ცრუ ბრალდებისგან დასაცავად. ჩანაწერის გაყალბების თავიდან აცილების მიზნით ერთი ჩანაწერი უნდა დაილუქოს პატიმრის თანდასწრებით, ხოლო მეორე – გამოყენებულ იქნეს სამუშაო მასალად. ამგვარი პროცედურების დაცვა ასევე ხელს უწყობს წამებისა და უღირსი მოპყრობის ქვეყნის კონსტიტუციურ და საკანონმდებლო აკრძალვის პატივისცემას.
- 3.15. ტერმინი „დაკითხვა“ არ ეხება მხოლოდ იმ დროს, როცა პიროვნებას ოფიციალურად უსვამენ კითხვებს. დაკითხვა შეიძლება მოიცავდეს პერიოდს კითხვების დასმამდე, დასმის დროს და შემდეგ, როცა ადამიანზე ხორციელდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა მისი დეზორიენტაციისა და ფორმალური დაკითხვისას იძულებით დამორჩილების მიზნით. ყველა ასეთი პრაქტიკა აბსოლუტურად უნდა აიკრძალოს.

დამოუკიდებელი შემოწმებები

- 3.16. საპატიმრო დაწესებულებათა რეგულარული შემოწმება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ხორციელდება როგორც პერიოდული ვიზიტების სისტემის ნაწილი, არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ზომა წამების წინააღმდეგ. წამების თავიდან აცილების ევროპის კომიტეტმა დაადგინა, რომ „იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დამოუკიდებელ ორგანოთა (მაგალითად, მონახულების მწარმოებელ პირთა საბჭო ან ზედამხედველი მოსამართლე) რეგულარულ ვიზიტებს სასჯელალსრულების ყოველ დაწესებულებაში პატიმართა საჩივრების მოსმენისა (საჭიროების შემთხვევაში, მათზე რეაგირების) და დაწესებულების მდგომარეობის შემოწმების თვალსაზრისით. ამგვარ ორგანოებს, *inter alia*, შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შეს-

რულება იმ გაუცხოების შევსებაში, რომელიც წარმოიშობა ციხის ხელმძღვანელობასა და მოცემულ პატიმარს ან ზოგადად პატიმრებს შორის.¹⁴⁸ კომიტეტი ასევე მიესალმება პოლიციის შენობის შემონ-
მების პრაქტიკას, რაც შესაძლებელს ხდის „წამებისა და ღირსების
შემლახავი მოპყრობის შემთხვევების თავიდან აცილებას და, ზოგა-
დად, პოლიციის განყოფილებაში დაკავების დამაკმაყოფილებელი
პირობების დაცვას.“¹⁴⁹ წამების საკითხებზე მომუშავე საგანგებო
მომხსენებელი ადგენს, რომ „პოლიციის განყოფილებების, წინასწარ
დაკავების სათავსოებისა და ციხეების მოულოდნელი შემონმება“
უზრუნველყოფს ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიას წამების წინააღმ-
დეგ.¹⁵⁰

- 3.17. სასამართლო სისტემის წარმომადგენლებს და/ან პროკურორებს ეროვნული კანონმდებლობა ხშირად სთხოვს შემონმებების ჩატარე-
ბას. შემონმებაში შეიძლება ჩაერთონ მაღალი თანამდებობის მქონე
სამართალდამცავები, დაცვის ადვოკატები, ექიმები, ასევე დამოუკი-
დებელი ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომად-
გენლები. სახალხო დამცველს და ეროვნულ ან ადამიანის უფლებათა
დამცველ დაწესებულებებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომი-
ტეტსა და დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე
უნდა შეეძლოთ ნებისმიერ საპატიმრო დაწესებულებაში შესვლა.
- 3.18. ამგვარი ვიზიტები რეგულარულად უნდა ტარდებოდეს საპატიმრო
დაწესებულებებში (ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე)
და მიღებულ უნდა იქნეს ყველა შესაძლო ზომა იმისთვის, რათა შე-
საძლებელი გახდეს უშუალო და კონფიდენციალური შეხვედრა პა-
ტიმრებთან ან დაკავებულებთან. შემონმება უნდა ჩატარდეს შემდეგ
ადგილებში: პოლიციის საკნებში, წინასწარი დაკავების ცენტრებში,
უსაფრთხოების სამსახურის ოთახებში, დაკავების ადმინისტრაციულ
ადგილებსა და ციხეებში. შემონმების ჯგუფის წევრებს თავისუფლად
უნდა შეეძლოთ შემონმების შედეგების შესახებ ანგარიშის განმა-
ურება, თუკი ისინი ისურვებენ ამას.
- 3.19. წამების თავიდან აცილების ასოციაციამ, რომელიც წარმოადგენს
არასამთავრობო ორგანიზაციას, შეადგინა ანგარიში წამების თავი-
დან აცილების ევროპის კომიტეტის იმ ანგარიშებსა და რეკომენდა-
ციებზე დაყრდნობით, რომლებიც ეხებოდა ინსპექტირების ეროვნულ

¹⁴⁸ მეორე ზოგადი ანგარიში წამების თავიდან აცილების ევროპული სასამართლოს მუშაობის შესახებ, 1991, 54-ე პუნქტი.

¹⁴⁹ CPT/Inf/E (99) 1 (REV.2), 97-ე პუნქტი.

¹⁵⁰ წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებლის ანგარიში, 2001, UN Doc.A/56/156, 39-ე (გ) პუნქტი.

მექანიზმებს. მასში მოცემულია შემდეგი საკონტროლო ჩამონათვა-
ლი იმ მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, რომლებიც ატა-
რებენ ინსპექტირებას:¹⁵¹

- **დამოუკიდებელი.** შემომწმებელმა ორგანომ უნდა გამოავლინოს თავისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რაც განასხვავებს მას საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლებისა და ადმინისტრაციისაგან. იგი უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ერთადერთი ამოცანაა პატიმრობის პირობების ჰუმანურობისა და პატიმრებისადმი შესაბამისი მოპყრობის უზრუნველყოფა.
- **ექსპერტი.** მათ, ვინც ახორციელებს შემომწმებას, უნდა ჰქონდეს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება სასჯელალსრულების იმ დაწესებულებასთან მიმართებით, სადაც ისინი ატარებენ ინსპექტირებას.
- **უშუალო და პირადი კონტაქტი პატიმრებთან.** შემომწმებელი ორგანო ვიზიტის დროს უნდა ცდილობდეს უშუალო და პირდაპირი კონტაქტის დამყარებას პატიმრებთან. პატიმრები, რომელთაც არ მოუთხოვიათ შეხვედრა მაკონტროლებელ ორგანოსთან, უნდა შეირჩნენ ალბათობით და მათთან უნდა ჩატარდეს გასაუბრება ვიზიტის ნაწილში. პატიმრებს ასევე უნდა ჰქონდეთ საჩივრის შეტანის უფლება როგორც საპატიმრო დაწესებულებაში, ისე მის გარეთ.
- **კონფიდენციალური.** მაკონტროლებელ ორგანოს უნდა შეეძლოს პატიმრებთან ურთიერთობა საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლების დაუსწრებლად.
- **რეგულარული.** ყველაზე ეფექტურია ყოველკვირეული ვიზიტები ციხეებსა და სხვა საპატიმრო დაწესებულებებში. ყოველთვიური ვიზიტები შეიძლება მისაღებ ალტერნატივად ჩაითვალოს. მაკონტროლებელი ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმდენი დროითა და რესურსით, რამდენიც საჭიროა იმ სიხშირის ვიზიტებისთვის, რაც საკმარისი იქნება ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
- **განუცხადებელი.** მაკონტროლებელ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შემომწმების განხორციელების უფლება ნებისმიერ დროს.
- **დაწესებულების ყველა ნაწილი.** მაკონტროლებელი ორგანო უნდა ფლობდეს და ეძიებდეს ხელმისაწვდომობას დაწესებულების ყველა ნაწილში.

¹⁵¹ წამების თავიდან აცილების ევროპის კომიტეტის რეკომენდაციები ინსპექტირების ეროვნული მექანიზმების შესახებ, წამების თავიდან აცილების ასოციაცია, 2000 წლის ივნისი.

- **რეგულარული ანგარიშები.** მაკონტროლებელი ორგანოს მიერ შედგენილი რეგულარული ანგარიშები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ეროვნული დანესებულებებისათვის.
- 3.20. პატიმრებთან საუბარსა და მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე, საერთო ქცევასა და ციხის თანამშრომლებთან ურთიერთობაზე დაკვირვების გარდა, მაკონტროლებელი ორგანოს წევრებმა ასევე უნდა გაამახვილონ ყურადღება ნებისმიერი ისეთი დანადგარის ან ხელსაწყოების არსებობაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ადამიანის წამებისა თუ შეურაცხყოფისათვის. საპატიმრო დანესებულების თანამშრომლები ყოველთვის უნდა დაიკითხონ ამგვარი ხელსაწყოების არსებობაზე, ხოლო პატიმრებს იგივე კითხვები უნდა დაესვათ ციხის თანამშრომელთა თანდასწრების გარეშე.

პატიმრობის პირობები

- 3.21. ვინაიდან პატიმრობის პირობები განსხვავდება, წამების თავიდან აცილების ევროპის კომიტეტმა ჩამოაყალიბა ზოგადი საკონტროლო ჩამონათვალი¹⁵² იმ ფაქტორებისა, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს მოკლევადიანი პატიმრობისათვის გამოყენებული ადგილის შესაბამისობის შემოწმებისას:
- საკნები უნდა იყოს სუფთა, ადამიანთა იმ რაოდენობისათვის შესაბამისი ზომის, რამდენი დაკავებულიცაა მოთავსებული მასში, უნდა ჰქონდეს ადეკვატური განათება (საკმარისი კითხვისათვის, არ იგულისხმება ძილის პერიოდი) და ვენტილაცია. უმჯობესია, თუ საკანში იქნება ბუნებრივი განათება;
 - საკნები ალჭურვილი უნდა იყოს დასვენების საშუალებებით (ფიქსირებული სკამი ან მერხი), ხოლო ადამიანებს, რომლებმაც ღამე უნდა გაატარონ პატიმრობაში, უნდა ეძლეოდეთ სუფთა ლეიბი და საბანი;
 - დაკავებული პირები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ბუნებრივი მოთხოვნილებებისათვის საჭირო სუფთა პირობებით. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ დაბანის ადეკვატური საშუალებები;
 - დაკავებულებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დასალევი წყალი, საკვები უნდა ეძლეოდეთ გარკვეულ დროს, სულ ცოტა, ერთი სრული კვება დღის განმავლობაში;
 - ხანგრძლივი დროით (24 საათით ან მეტი) დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ჰაერზე ვარჯიშის საშუალება.

¹⁵² CPT/Inf/E (2000) 1, გვ. 8, 42-ე პუნქტი.

ეს უნდა ჩაითვალოს მინიმალურ სტანდარტებად. პატიმრობა ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი დროით უნდა მოხდეს ისეთ დაწესებულებაში, რომელიც აღჭურვილია საამისოდ და სადაც სტანდარტები უფრო დაცულია. თავისუფლების აღკვეთას ისეთ პირობებში, რომლებიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტებს, შეიძლება შედეგად მოჰყვეს არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობას.¹⁵³

„ბლანშარდი და სხვები იუსტიციის, სამართლებრივ და საპარლამენტო საკითხთა მინისტრისა და სხვ. წინააღმდეგ“, უზენაესი სასამართლო, ზიმბაბვე, 1999 წლის 9 ივლისი, 1999 (10) BC:R 1169 (ZS), [2000] 1 LRS 671; (1999) 2 CHLRD 326 (ზიმბაბვე)

განმცხადებლები სასჯელს იხდიდნენ სხვადასხვა სერიოზული დანაშაულისთვის, ტერორიზმისა და საბოტაჟის ჩათვლით, და სასამართლოს მოლოდინში დაკავებულნი იყვნენ დაცვის მაღალი რეჟიმის ციხეში. მათ განცხადება შეიტანეს უმაღლეს სასამართლოში და ჩიოდნენ, რომ ირღვეოდა მათი კონსტიტუციური უფლება ნამებისა და არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან თავისუფლებაზე, ვინაიდან ისინი მოთავსებულნი იყვნენ მუდმივად განათებულ, იზოლირებულ, ჩაკეტილ საკნებში; აძულვებდნენ ციხის ტანსაცმლის ტარებას; აშიშვლებდნენ და ბორკილს ადებდნენ ყოველ ღამე და არ აძლევდნენ გარედან შემოსული საკვების მიღების უფლებას.

1999 წლის ივლისში ზიმბაბვეს უზენაესმა სასამართლომ გასცა ბრძანება, რომ განმცხადებელთა საკნები ღიად დაეტოვებინათ დღის განმავლობაში, გამოერთოთ სინათლე საკნებში ღამის საათებში და, ვინაიდან მათ ჯერ არ ჰქონდათ დაკისრებული სასჯელი, განმცხადებლებს შეეძლოთ საკუთარი ტანსაცმლის ტარება და ასევე გარედან შემოსული საკვების მიღება.

სასამართლომ განიხილა სერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა, ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს საქმეების – „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ და „კოსკინენი ფინეთის წინააღმდეგ“ – ჩათვლით, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გაერო-ს პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების დაცვას. მან დაგმო ციხის ადმინისტრაციის მიერ ფეხბორკილებისა და ხელბორკილების

¹⁵³ „პირსი საბერძნეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება; „კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება.

გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა პატიმრის გადაყვანისას მისი გაპარვის თავიდან აცილების ან ძალისმიერი საქციელის შეწყვეტის მიზნით, როცა არ არსებობს მეტი სხვა საშუალება. მან განაცხადა, რომ, თუმცა პატიმრობაში მყოფი ადამიანები სრულად ვერ სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელნიც აქვთ თავისუფლებაში მყოფ ინდივიდებს, დაკავებულთა მიმართ გამოყენებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს განსაზღვრული და აბსოლუტურად აუცილებელი. ისინი უნდა მიესადაგებოდნენ სახელმწიფოს მიზანს, წარადგინოს პატიმარი სასამართლოს წინაშე და განისაჯოს ჰუმანურობის იმ სტანდარტით, რომ ადამიანი, უმჯობესია იყოს უდანაშაულო კანონის წინაშე, ვიდრე აბსტრაქტული სადამსჯელო სტანდარტების მიმართ. დასჯა, დაშინება ან შურისგება არ შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმფციას. თუმცა შეიძლება იყოს განსაკუთრებული გარემოებები, როცა სასამართლოს მოლოდინში მყოფი პატიმრის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო მკაცრი ზომები, ვიდრე სხვა მსგავს პატიმრებთან. ამგვარი მოქმედების დასაბუთება ციხის ადმინისტრაციის მოვალეობაა. წინამდებარე შემთხვევაში რესპონდენტებმა ვერ დაადასტურეს, რომ განმცხადებელთა ქცევა რაიმე საფრთხეს უქმნიდა ციხის უსაფრთხოებას. განმცხადებელთა გაშიშვლება და ფეხბორკილების დადება განსაკუთრებული სისასტიკეა. ის, რომ პატიმრებს ამყოფებდნენ მუდმივი განათების ქვეშ, სრულიად უსაფუძვლო იყო, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა პატიმრობის ეფექტს, ხდიდა მას რაც შეიძლება მოუხერხებელსა და სასტიკს (როგორც ეს მართლაც იყო განმცხადებლების შემთხვევაში) და მიახლოებულს იზოლირებულ პატიმრობასთან.

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ზიმბაბვეს კონსტიტუციის მიზანია ინდივიდის ღირსებისა და ფიზიკური თუ ფსიქიკური მთლიანობის დაცვა. ეს დაცვა მსგავსია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის დებულებებისა. განმცხადებლების მიერ გადატანილი ხანგრძლივი ღირსების შემლახავი მოპყრობა და მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური ზეგავლენა განიხილა როგორც სისასტიკის მინიმალური დონე, რაც საკმარისია ამ უფლების დარღვევის დადგენისთვის. სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის კონსტიტუციით აკრძალვის მიზანი იყო ადამიანების დაცვა ისეთი მოპყრობისგან, რომელიც იწვევს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ტანჯვასაც. მოპასუხეები იძულებულნი გახდნენ, გადაეხადათ მაღალი საფასური, როგორც ნიშანი სასამართლოს შეურთებლობისა ისეთი თვითნებური უხეში მოპყრობის მიმართ, როგორც გადაიტანეს განმცხადებლებმა.

წარდგენა სასამართლო ხელისუფლების წინაშე

- 3.22. ყველა დაკავებულ ადამიანს აქვს დაკავების კანონიერების ეჭვის ქვეშ დაყენების უფლება. ამას ზოგჯერ უწოდებენ „*habeas corpus*“-ს, რაც ნიშნავს ადამიანის წარდგენას სასამართლოს წინაშე. ეს შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი გარანტია წამების წინააღმდეგ და ასევე თვითნებური დაკავების გასაჩივრებისათვის, თუმცა ზოგჯერ მოსამართლეები ზღუდავენ ამ პროცედურას მხოლოდ დაკავების ფაქტის კანონიერების დაზუსტებით და აღარ აქცევენ ყურადღებას, შეესაბამება თუ არა პატიმრობის პირობები კანონს.
- 3.23. განცხადება დაკავების გასაჩივრების შესახებ შეიძლება გააკეთოს პატიმარმა ან მისი სახელით მოქმედმა რომელიმე პირმა. ასეთი პროცედურა სწრაფად უნდა ჩატარდეს. თუ ასეთი პროცედურის ჩატარება შედის მათ კომპეტენციაში, მოსამართლეებმა ასევე უნდა მოითხოვონ, რომ დაკავებული ფიზიკურად წარადგინონ სასამართლოს წინაშე და რომ სასამართლოში დაკავებულმა კონფიდენციალურად შეძლოს გასაუბრება ადვოკატთან.
- 3.24. როცა პატიმარს წარადგენენ სასამართლოს წინაშე, მოსამართლეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ მათი მდგომარეობის მიმართ. აუცილებლობის შემთხვევაში მოსამართლემ უნდა ჩაატაროს პატიმრის ვიზუალური დათვალიერება რაიმე ფიზიკური დაზიანების აღმოჩენის მიზნით, ან გასცეს ბრძანება, რომ ასეთი დათვალიერება ჩაატაროს ექიმმა. ექიმმა შეიძლება აღმოაჩინოს ის სისხლჩაქცევები, რომლებსაც შეიძლება ტანსაცმელი უფარავდეს პატიმარს. წამების ბევრი ფორმა არ ტოვებს რაიმე ნაკვალევს ადამიანის სხეულზე და ზოგიც მიყენებულია ისეთი საშუალებებით, რომელთა ნაკვალევის აღმოჩენაც ძნელია. მოსამართლეები, აქედან გამომდინარე, ასევე ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ სხვა ისეთ მინიშნებებსაც, როგორებიცაა: ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა და მთლიანად ქცევა, მოცემულ საქმესთან დაკავშირებული პოლიციელებისა და ზედამხედველების ქცევა და პატიმრის დამოკიდებულება მათ მიმართ. მოსამართლეების ქცევიდან უნდა ჩანდეს, რომ ისინი სერიოზულად ეკიდებიან წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღებენ ყველა ზომას რისკის ქვეშ მოქცეული ადამიანების დასაცავად.
- 3.25. როცა ეჭვიმთანილი არ ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელზეც წარმართება სასამართლო, სასამართლო საქმეების სამართლიანი წარმო-

ების წესები გვკარნახობს, რომ ის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქმის მსვლელობის სრული თარგმანით.¹⁵⁴ ესეც მნიშვნელოვანი გარანტიაა წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ყველა შემთხვევის განცხადების უზრუნველსაყოფად.

3.26. სასამართლოების უსაფრთხოებასა და სასამართლოს წინაშე წარდგენილ პატიმართა დაცვაზე პასუხისმგებელი პირები ყოველთვის ორგანიზაციულად იზოლირებულნი და დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ პატიმართა დაცვისაგან და იმ პირებისაგან, რომლებიც ატარებენ იმ დანაშაულის გამოძიებას, რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილნი არიან მოცემული პატიმრები. წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანები განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექცევიან, თუ მათზე მეთვალყურეობას ახორციელებს გამომძიებელი ორგანო ან არის საშიშროება იმისა, რომ შეიძლება, კვლავ მათ ხელში დაბრუნდეს პატიმარი. სასამართლოში მიყვანისას პატიმარი უნდა მოთავსდეს ისეთ იზოლირებულ ადგილას, რომელიც გამოყოფილია იმ ადგილისაგან, სადაც იცდიან საქმესთან დაკავშირებული პოლიციის ან გამომძიებელი ოფიცრები. თუ არსებობს ეჭვი იმისა, რომ ადამიანი ნაწამებია ან მის მიმართ განხორციელებულია სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობა, აღნიშნული ადამიანი დაუყოვნებლივ უნდა გამოიყვანონ მის წამებაში ეჭვმიტანილი ადამიანების ზედამხედველობიდან.

3.27. წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ნიშნების უკეთ შემჩნევის მიზნით მოსამართლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სასამართლო ოთახის მონყობას:

- შეუძლია თუ არა მოსამართლეს, გარკვევით ესმოდეს პატიმრისა და ხედავდეს მას მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ის იმყოფება სასამართლოს დარბაზში, ისე, რომ შეძლოს რაიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანის შემჩნევა?
- არის თუ არა იმ ადგილის, სადაც იმყოფება პატიმარი, უსაფრთხოების დონე შესაბამისი იმ რეალური საფრთხისა, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს იგი?
- შეუძლია თუ არა პატიმარს კონფიდენციალურად საუბარი თავის ადვოკატთან?
- შეუძლია თუ არა პატიმარს თავისუფლად ლაპარაკი სასამართლოს წინაშე ყოველგვარი მუქარისა და დაშინების გარეშე?

¹⁵⁴ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 (3) (ვ) მუხლი.

იურიდიული დახმარება

3.28. მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ბრალდებულმა იცოდეს თავისი უფლება მისთვის სასურველი ადვოკატის დახმარების მოთხოვნის შესახებ. დაცვის ადვოკატებს უნდა შეეძლოთ თავიანთი პროფესიონალური ფუნქციების განხორციელება ყველა-ნაირი მუქარის, ხელის შეშლის, შეურაცხყოფისა და შეუსაბამო ჩარევის გარეშე, თავის კლიენტთან თავისუფლად საუბრის უფლების ჩათვლით.¹⁵⁵ არ უნდა მოხდეს მათი გაიგივება მათივე კლიენტის ან კლიენტების საქმეებთან, მათთვის ფუნქციების ჩამორთმევის შედეგად. არ შეიძლება მათთვის რაიმე ზიანის მიყენება, მუქარა ან ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სხვა სანქციების გამოყენება მათი მოსამართლეთა რაიმე ისეთი ქმედების გამო, რომელიც შეესაბამება მის პროფესიონალურ მოვალეობებს, სტანდარტებსა და ეთიკას. იქ, სადაც საფრთხე ემუქრება ადვოკატების უსაფრთხოებას მათი ფუნქციების ჩამორთმევის შედეგად, ისინი ადეკვატურად უნდა დაიცვას სახელმწიფომ.¹⁵⁶

ჩვენებების დასაშვებობა

3.29. ბევრ იურისდიქციაში მოსამართლეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ იმის გადანყევტაში, თუ რომელი ჩვენება უნდა იქნეს მოსმენილი სასამართლო პროცესისას და რომელი უნდა ჩაითვალოს დაუშვებლად. დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის ჩვენება, რომელიც აშკარად მიღებულია წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენებით.¹⁵⁷ ჩვეულებრივ, ეს დადგენილი უნდა იყოს ეროვნული კანონით, თუმცა ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლის ზოგიერთი ფორმა ყველთვის არაა სათანადოდ აღწერილი ეროვნულ კანონმდებლობაში. სანამ არ იქნება წერილობითი კანონი, დაუშვებელია ყველაწინაირი ინტერპრეტირება. მოსამართლეებს ინტერპრეტი-

¹⁵⁵ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-13 ზოგადი შენიშვნა, მე-14 მუხლი (ოცდამეერთე სესია, 1984), ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ორგანოთა მიერ მიღებული ზოგადი შენიშვნებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HR\GEN\1\Rev.1 გვ. 14 (1994), მე-9 პუნქტი; ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, მე-16-მე-18 პრინციპები.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ „კელი იამაიკის წინააღმდეგ“, (253/1987), 1991 წლის 8 აპრილი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიში, (A/46/40), 1991; „კონტერისი ურუგვაის წინააღმდეგ“, (139/1983), 1985 წლის 17 ივლისი, შერჩ. ნაშ. 168; „ესტრელა ურუგვაის წინააღმდეგ“, (74/1980), 1983 წლის 29 მარტი, შერჩ. ნაშ. 93.

რების უფლება აქვთ მხოლოდ ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც შეეხება წამებას და უღირსი მოპყრობის სხვადასხვა ფორმას.

3.30. ჩვენების სასამართლო პროცესზე დაშვების გადანყვეტა სასამართლოს მოვალეობაა. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ჩვენება თუ სხვა მტიკცებულება არ არის მიღებული წამების ან სხვა არაადამიანური მოპყრობის შედეგად. მაშინაც კი, როცა ბრალდებულისაგან არ არის მიღებული საჩივარი, მოსამართლე მზად უნდა იყოს, სთხოვოს ბრალდებას აღიარების მოპოვების კანონიერების დადასტურება გონივრული ეჭვის გარეშე.

3.31. ჩვენება შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებად სასამართლოში მაშინაც კი, თუ არის მტიკცება იმისა, რომ იგი მიღებულია იძულებითი გზით, ვინაიდან ყველა ამგვარი საჩივარი შეიძლება არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეებს შეუძლიათ, მოაწყონ საქმის ცალკე მოსმენა – ანუ „სასამართლო სასამართლოში“ – ამგვარ საჩივრებთან დაკავშირებით მანამ, სანამ არ გადანყვეტენ, შეიძლება თუ არა მოცემული ჩვენების წარდგენა სასამართლოს წინაშე. იქ, სადაც სასამართლოს ესწრებიან ნაფიცო მსაჯულები, ეს მეთოდი შეიძლება გამოირიცხოს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ასევე იყოს შემთხვევები, როცა ჩვენება მიიღება მთავარ სასამართლო სხდომაზე, თუმცა დაცვა მას მიიჩნევს წამებისა და სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად მიღებულად. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში მოსამართლეებს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ მონმეთა შესაბამისი შემონმება ამ მტიკცებასთან დაკავშირებით და საკმარისი ყურადღების გამოჩენა საქმის განხილვისა და შეფასებისას.

მონმეთა დაკითხვა

3.32. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნებისმიერ მონმეს, რომელსაც ეტყობა პატიმრობისას მიღებული წამებისა და ფიზიკური ან ფსიქიკური ტრავმების ნიშნები. ამგვარი ტრავმები აუცილებელი არ არის, იყოს წამების ან უღირსი მოპყრობის შედეგი და არც ამასთან დაკავშირებული ყველა საჩივრის მიღება შეიძლება ქეშმარიტებად. მიუხედავად ამისა, საკმარისი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მონმე, რომელიც იძლევა ჩვენებებს ამგვარი ქმედებების შესახებ, შეიძლება განსაკუთრებით დაუცველი, შეშინებული და დაბნეული იყოს. აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ

მონმე არ აღმოჩნდეს ხელახლა ტრავმირებული დაკითხვისას და რომ არ დაიკარგოს მისი ჩვენებების მნიშვნელობა დაუცველობის გამო. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მონმეს შეიძლება ანუხებდეს ტრავმის შემდგომი სტრესი ან ფსიქიკური პრობლემა, რომელიც სულაც არ უკავშირდება სავარაუდო წამებას. ამ ყველაფერს კი შეუძლია ზემოქმედება მის მეხსიერებაზე, ურთიერთობის უნარსა და პასუხებზე მისგან აგრესიულად აღქმული დაკითხვისას.

3.33. დაკითხვის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პროცედურები და მიზეზები განემარტოს სასამართლოს (სადაც ამას მოითხოვს საჭიროება):

- **კითხვების გამეორება.** შეიძლება საჭირო გახდეს კითხვების გამეორება ან სხვა სიტყვებით ჩამოყალიბება, ვინაიდან ზოგიერთ ადამიანს უფრო მეტი დრო სჭირდება კითხვის გასაგებად, გასააზრებლად და ამბის აღსადგენად.
- **კითხვების სიმარტივე.** კითხვები მარტივი უნდა იყოს, ვინაიდან რთულად დასმული კითხვის გაგება და მასზე პასუხის გაცემა შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს ზოგიერთი ადამიანისათვის. ზოგიერთს შეიძლება ღარიბი ლექსიკა ჰქონდეს და უჭირდეს აზრების გადმოცემა სხვების მსგავსად.
- **კითხვების ღია და უსაფრთხო ფორმა.** კითხვებში არ უნდა იგრძნობოდეს მუქარა, ვინაიდან ზოგიერთმა ადამიანმა უხეშ კითხვებზე შეიძლება უპასუხოს გადაჭარბებული აგრესიულობით ან სცადოს ისეთი პასუხის გაცემა, რომელიც ესამოგნებოდა კითხვის ავტორს. კითხვები ასევე უნდა იყოს ღია, ვინაიდან ზოგს უყვარს დაკითხვის მწარმოებლის მიერ მონოდედული ინფორმაციის გამეორება.

3.34. მოსამართლეებსა და პროკურორებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ ფიზიკური და ფსიქიკური წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმები შეიძლება მიღებული იყოს გარკვეული სოციალური, კულტურული ან პოლიტიკური სპეციფიკური ფორმით, რისი ახსნაც შეიძლება გაუჭირდეს მონმეს სასამართლოსთვის; მოქმედება, რომელიც შეიძლება ტრივიალურად და უვნებლად ჩანდეს ერთ კონტექსტში, შეიძლება სერიოზულად დამამცირებელი და ტრავმული იყოს სხვა შემთხვევაში; შენიშვნა, რომელიც შეიძლება გამოიყურებოდეს აბსოლუტურად უვნებლად (და ასევე იყოს ჩაფიქრებული), გამეორებისას შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც სახიფათო მუქარა (მისი პირველად წარმოთქმისას). ეს შეიძლება სხვადასხვა კულტურის ან ტაბუების შედეგი აღმოჩნდეს, როგორცაა, მაგალითად,

„ღირსება“ და „სირცხვილი“; აღნიშნულის მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს ზოგიერთი სოციალური თუ პოლიტიკური რწმენა, რომ პოლიციის ჩვეულებრივი საქციელი ბევრისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს, მაგალითად, პოლიციის მხრიდან განხორციელებული ფარული მუქარა მოწმის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ, რომლის ახსნაც უჭირს მოწმეს სასამართლოზე. მოსამართლეებმა აქტიურად უნდა გამოავლინონ ეს ნიუანსები, თუ ადვოკატებმა ვერ მოახერხეს ამის გაკეთება მოწმის დაკითხვისას.

- 3.35. მრავალ იურისდიქციაში, როცა ბრალდების მოწმეს საეჭვო ხასიათი აქვს, აუცილებელია ამის გამჟღავნება დაცვისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში სხვადასხვა სამსახურსა და სააგენტოს მოეთხოვება ზოგი ოფიცრის ნასამართლობის თუ დისციპლინარული ჩანაწერების გამჟღავნება ისე, რომ დაცვას ჰქონდეს მათი ჯვარედინი შემოწმების საშუალება, როცა საკითხი ეხება სანდოობას. როცა ამის გაკეთების უფლება აქვთ, მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წინა დისციპლინარული ან სისხლის სამართლის დანაშაულები იმ სამართალდამცველი ოფიცრისა, რომელიც პროცესზე გამოდის მოწმედ, ეცნობოს დაცვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა იმ შემთხვევაში, როცა არსებობს წამების ან პატიმრისადმი ღირსების შემლახავი მოპყრობის ეჭვი იმ სამართალდამცავი ოფიცრის მხრიდან, რომელიც ადრე ნასამართლევია დისციპლინარული თუ სისხლის სამართლის ამგვარი დანაშაულისათვის. ეს, ამავე დროს, ძირს უთხრის მათ რეპუტაციას, ვინაიდან მომავალში სათუო იქნება მისი მოწმედ აყვანა ბრალდების მხრიდან.
- 3.36. როცა მოსამართლე აჯამებს, დასკვნას უკეთებს სასამართლო საქმეს ან მოჰყავს საკუთარი არგუმენტები, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომ შესაბამისი ყურადღება მიექცა წამებასა თუ ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებით გამოთქმულ ეჭვებს და იმ ადამიანების ჩვენებებს, რომლებიც ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ამგვარი ქმედება ნამდვილად მოხდა. როცა საქმის განხილვა მიმდინარეობს ნაფიცი მსაჯულების წინაშე, კარგად უნდა იქნეს ახსნილი წამებისა და უღირსი მოპყრობის ყველა ფორმის აკრძალვის საფუძველი, მიუხედავად იმ პირის ბუნებისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ამგვარი ქმედება მოხდა, ან იმ დანაშაულის ბუნებისა, რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია მოცემული პირი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებში, როცა საჩივრის წარმდგენი პირი მსაჯულებისაგან განსხვავდება რასით, სქესით, სექსუალური ორიენტაციით ან ეროვნებით, პოლიტიკური ან რელიგიური რწმენით, განეკუთვნება განსხვავებულ სოციალურ, კულტურულ ან ეთნიკურ

ჯგუფს. ეს ასევე მნიშვნელოვანია, თუ განმცხადებელი პირი ექვ-
მიტანილია განსაკუთრებით სერიოზულ ან შეურაცხმყოფელ დანა-
შაულში.

- 3.37. იმ საზოგადოებებში, სადაც გარკვეული სოციალური ჯგუფი ზოგა-
დად უარყოფითად აღიქმება, ან სადაც ამ ჯგუფის წევრები იდენტი-
ფიცირებულნი არიან გარკვეული ტიპის დანაშაულებთან, მსაჯულე-
ბი არ უნდა აჰყენენ ცრურწმენას, რომ მსხვერპლმა „დაიმსახურა“
ის წამება ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, რომელსაც იგი ახლა
უჩივის. მსგავსად ამისა, როცა სასამართლოში სხვა ჩვენებები მი-
უთითებს კონკრეტული მოპასუხის დანაშაულს, მსაჯულები უნდა
დარწმუნდნენ, რომ წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა არ
იყო გამოყენებული არც ისე სერიოზული დანაშაულის ჩამდენის წი-
ნააღმდეგ და არ დაასკვნან, რომ პოლიცია უბრალოდ ცდილობდა,
„გამოესწორებინა“ მათი საქმე. მსაჯულებისადმი სამართლის შესა-
ხებ ინსტრუქციების დადგენისას მოსამართლეებმა აუცილებლად
უნდა მიუთითონ წამებისა და სხვა ფორმის ღირსების შემლახავი
მოპყრობის სრული მიუღებლობა ნებისმიერი გარემოებისას.
- 3.38. მოსამართლეებმა, მიუხედავად ამისა, ასევე უნდა მიუთითონ მსაჯუ-
ლებს, ყურადღება მიაქციონ „კულტურულ“ ფაქტორებს „სალი აზ-
რის“ გამოყენებისას ამგვარი ბრალდებების დროს. როცა სტერე-
ოტიპები არ გამოიყენება გარკვეული ჯგუფების მიმართ, – ან თუ
ზოგიერთის ჩვენება უფრო სანდო აღმოჩნდება, ვიდრე სხვების, –
მაშინ მსაჯულები უნდა ეცადონ იმ ზეგავლენის გაცნობიერებას,
რომლის განხორციელებაც შეეძლო ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ზემოქ-
მედებას სხვადასხვა წეს-ჩვეულების მქონე მსხვერპლზე.

დაცვის ვალდებულება გადასახლების შემთხვევებში

- 3.39. მოსამართლეებს ზოგჯერ მოეთხოვებათ გადაწყვეტილების მიღება
ინდივიდის იმ სიტუაციაში გადაგზავნას ან დაბრუნებასთან დაკავ-
შირებით, სადაც პატიმარს ექმნება წამების რეალური რისკი. ეს
შეიძლება აუცილებელი გახდეს, მაგალითად, თხოვნაზე ექსტრადი-
ციასთან ან გადაწყვეტილ დეპორტაციასთან დაკავშირებით.
- 3.40. ადამიანის უფლება, არ გაიგზავნოს იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს
პატიმრის წამების ან მისდამი უღირსი მოპყრობის რეალური რისკი,
ასევე მშვენივრადაა ჩამოყალიბებული კანონში ადამიანის უფლება-
თა შესახებ. ეს უფლება ეკუთვნის ყველა ადამიანს ყოველ დროში.
ეს უფლება აღიარებულია როგორც ნაწილი უფლებებისა წამებისა და
ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ, რომელიც მოცემულია

1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში, 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, 1978 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციაში, 1981 წლის ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკულ ქარტიაში, 1984 წლის ნამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის აღმოფხვრის გაერო-ს კონვენციაში და 1987 წლის ნამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების ევროპულ კონვენციაში.

3.41. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა და ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის მოქცევა ნამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის „რეალური საფრთხის“ ქვეშ არღვევს მის უფლებას, იყოს დაცული ამგვარი ქმედებებისაგან.¹⁵⁸ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ „მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა შეუქმნან ადამიანებს ნამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის საფრთხე მათი სხვა ქვეყანაში დაბრუნებისას ექსტრადიციის, გასახლების ან იძულებითი დაბრუნების საფუძველზე.“¹⁵⁹ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნამებისა და სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვა ეხება ყველას, მიუხედავად მსხვერპლის ქცევისა. მას ვერ უგულებელყოფს ვერც რომელიმე სახელმწიფო საკუთარი ინტერესების და ვერც ტერორიზმში ეჭვმიტანილის საქმის განხილვის გამო.¹⁶⁰ მაშინაც კი, როცა მუქარა მოდის კერძო პირებისაგან, როგორებიც არიან შეიარაღებული აჯანყებულები ან სისხლის სამართლის დამნაშავეები, და მოცემულ სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს ადამიანის დაცვა ამგვარი მოპყრო-

¹⁵⁸ „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 1989 წელი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A №161; იხ. ასევე „კრუზ ვარასი შვედეთის წინააღმდეგ“, 1991, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A №201; „ვილვარაჯი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 1991 წელი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A №215; „ეიჩ-ელ-არი საფრანგეთის წინააღმდეგ“, 1997, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A; „დი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 1997 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება; „ჯაბარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 2000 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება; გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება „ენ-ჯი კანადის წინააღმდეგ“ განაცხადთან დაკავშირებით, (469/1991), ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიში, ტ. II, GAOR, 49-ე სესია, დამატება №40 (1994), დანართი IX CC; და ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-2 ზოგადი შენიშვნა, მითითებები ანგარიშისთვის (მეცამეტე სესია, 1981), ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულების ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი შენიშვნებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HR/GEN/1/Rev. 1 მე-3-ს (1994) მე-3 პუნქტი.

¹⁵⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მე-20 ზოგადი შენიშვნა, მე-9 პუნქტი.

¹⁶⁰ „ჩაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ბისაგან, მისი ეს ქმედება განიხილება როგორც დარღვევა.¹⁶¹ გამო-
ნაკლის შემთხვევებში ევროპულმა სასამართლომ ასევე აღმოაჩინა,
რომ სათანადო სამედიცინო საშუალებების ნაკლებობა იმ ქვეყანაში,
რომელში დაბრუნებაც ემუქრება პატიმარს, შეიძლება განიხილოს
მე-3 მუხლის დარღვევად.¹⁶² ნამების სანინალმდეგო კომიტეტი ასევე
მოითხოვს კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისგან, არ გა-
ასახლოს ისეთი ადამიანი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ნამებისა
და უღირსი მოპყრობის „რეალური“ საფრთხის წინაშე.¹⁶³ კომიტეტმა
ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დაცვა აბსოლუტურია, „მიუხედავად
იმისა, ჩაიდინა თუ არა ადამიანმა დანაშაული და მიუხედავად დანა-
შაულის სიმძიმისა.“¹⁶⁴

- 3.42. 1951 წლის კონვენცია ლტოლვილების სტატუსის შესახებ და 1967
წლის ოქმი შეიცავს განსაკუთრებულ დებულებებს ლტოლვილებთან
დაკავშირებით, რომლებიც უნდა დაიცვან ადგილობრივმა სასამარ-
თლოებმა. ლტოლვილის სტატუსისა და თავშესაფრის ყველაზე მნიშ-
ვნელოვანი კომპონენტია მათი დაცვა იმ ქვეყანაში დაბრუნებისგან,
სადაც მას ეშინია დევნის. ამგვარი დაცვა აისახა პრინციპში *იძულე-*
ბითი დაბრუნების წინააღმდეგ, – ადამიანის უფლება, არ იქნეს დაბ-
რუნებული იმ ქვეყანაში, სადაც ხიფათი ექმნება მის სიცოცხლეს ან
თავისუფლებას, – რასაც ფართოდ გამოიყენებს ბევრი სახელმწიფო.
იძულებითი დაბრუნების წინააღმდეგ მიმართული პრინციპი აისახა
ლტოლვილებთან დაკავშირებულ ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში
როგორც საყოველთაო, ასევე რეგიონალურ დონეებზე.
- 3.43. კონვენციაში ლტოლვილების სტატუსის შესახებ (33-ე (1) მუხლი)
ნათქვამია, რომ: „არც ერთი ხელმომწერი სახელმწიფო არ გაასახ-
ლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს ისეთი ტერიტორიების საზღვრებ-
ში, სადაც საფრთხე შეექმნება მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას
მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფის
წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო.“ *იძულებითი დაბ-*
რუნების წინააღმდეგ მიმართული პრინციპი არის 1951 წლის კონვენ-
ციის ერთ-ერთი ძირითადი მუხლი. იმავეს მოითხოვს ამავე კონვენ-

¹⁶¹ „აპმედი ავსტრიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება; „ეიჩ-ელ-არ საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლე-
ბათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

¹⁶² „დი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
1997 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

¹⁶³ იხ. მაგალითად: ნამების სანინალმდეგო კომიტეტის ანგარიშები, „მულტამო შვეიცარიის
წინააღმდეგ“, (13/1993) GAOR, 49-ე სესია, დამატება №44 (1994); „ხანი კანადის წინააღ-
მდეგ“, (15/1994), GAOR, 50-ე სესია, დამატება პარ. 44 (1995).

¹⁶⁴ იქვე.

ციის 1967 წლის ოქმი. კონვენციის სხვა ბევრი პრინციპისაგან განსხვავებით, ამ პრინციპის გამოყენება არ არის დამოკიდებული ლტოლვილის კანონიერ ცხოვრებაზე ხელმოწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე – პრინციპი ასევე მოქმედებს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მოცემული ადამიანი ოფიციალურად აღიარებული ლტოლვილად, თუ ეს სტატუსი ჯერ არ არის დადგენილი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პრინციპი ფართოდაა აღიარებული საერთაშორისო დონეზე, ის სულ უფრო მეტად განიხილება როგორც საჯარო ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის დებულება და როგორც ზოგადი საერთაშორისო სამართალიც კი, და ამგვარად, სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის. აქედან გამომდინარე, ამ პირობებში არც ერთმა მთავრობამ არ უნდა გაასახლოს თავისი ქვეყნიდან ადამიანი.

IV ტავი

**გამოძიებისა და დაკითხვის წარმოება
წამების ფაქტთან დაკავშირებით**

შინაარსი

გამოძიებისა და დაკითხვის წარმოება წამების ფაქტთან დაკავშირებით	109
რეაგირება წამებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე	112
გამოძიებისას სახელმძღვანელო პრინციპები	113
სამედიცინო სიმპტომები	119
დაკითხვის წარმოება	120
წამების სავარაუდო მსხვერპლთა დაკითხვა	122
სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა დაკითხვა	127
ბავშვებისა და არასრულწლოვნების დაკითხვა	128
ექვმიტანილთა დაკითხვა	128
სხვა მონმეების დადგენა	129
მონმეთა დაცვის საკითხები	130

ბაგოქიებისა და დაქითხვის წარმოება წამების ფაქტთან დაკავშირებით

- 4.1. წინამდებარე თავში განხილულია, თუ როგორ უნდა წარმართონ გამოძიება და დაკითხვა პროკურორებმა და მოსამართლეებმა წამების ფაქტთან დაკავშირებით. აქვე მოცემულია, თუ როგორი რეაგირება უნდა ჰქონდეთ მათ ბრალდებებზე და როგორ უნდა მოაგროვონ მტკიცებულებები. თავში ასევე მოცემულია რჩევები მსხვერპლთა, მოწმეთა და ეჭვმიტანილთა დაკითხვასთან და მოწმეთა დაცვასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის განმავლობაში.
- 4.2. ამგვარი გამოძიებებისა და დაკითხვების წარმოებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა გარკვევითაა ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართალში. კონვენცია წამების აღმოფხვრის შესახებ მოითხოვს ხელმოწერი სახელმწიფოებისაგან წამებასთან დაკავშირებული გამოძიებების საკუთარი ინიციატივით წარმოებას მაშინაც კი, როცა არ არსებობს ოფიციალური საჩივარი, და ადამიანების უზრუნველყოფას საჩივრის შეტანის, მათი საჩივრის გამოძიებისა და შესაძლო მუქარისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის უფლებით.¹⁶⁵ იგივე ვალდებულებები ვრცელდება სხვა სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობასა თუ დასჯაზე.¹⁶⁶
- 4.3. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ წამებასა და ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის უფლება აღიარებული უნდა იყოს ადგილობრივი კანონით. საჩივრების განხილვა უნდა ხდებოდეს დაუყოვნებლივ, მიუკერძოებლად და კომპეტენტური ხელისუფლების მიერ. სახელმწიფოები ასევე პასუხს აგებენ ისეთ შემთხვევებზე, როცა ხდება ამგვარ ქმედებათა „წახალისება, ბრძანება, მოთმენა ან ჩადენა“.¹⁶⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითხოვს სახელმწიფოებისაგან წამებასთან დაკავშირებული ყველა „საეჭვო საჩივრის“ გამოძიებას, რაც აუცილებ-

¹⁶⁵ მე-12 და მე-13 მუხლები, გაერო-ს კონვენცია წამებისა და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის აღმოფხვრის შესახებ.

¹⁶⁶ იქვე, მე-16 მუხლი.

¹⁶⁷ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი შენიშვნის მე-13 და მე-14 პუნქტები.

ბელია როგორც ეფექტური გამოსასწორებელი ზომის დადგენის-თვის, ასევე ადამიანების დაცვისათვის ამგვარი შემთხვევებისაგან.¹⁶⁸ მან დაადგინა, რომ, „როცა ადამიანი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ხვდება სრულიად ჯანსაღ მდგომარეობაში, ხოლო გათავისუფლების დროს ის აღმოჩნდება დაშავებული, საკითხი უკვე ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, გასცეს მომხდარ ფაქტზე ახსნა-განმარტება და დაადგინოს ადამიანის დაშავების მიზეზი“.¹⁶⁹ თუ ადამიანი ჩივის სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ღირსების შემლახავი მოპყრობის თაობაზე, ხელისუფლება ვალდებულია, ჩაატაროს დამოუკიდებელი ოფიციალური გამოძიება, – მოწმეთა ჩვენებებისა და ნივთიერი მტკიცებულებების შეკრების ჩათვლით, – რომელიც შეძლებს პასუხისმგებელ პირთა დადგენას და დასჯას.¹⁷⁰ გამოძიების ვალდებულების უქონლობის შემთხვევაში, – აღნიშნა სასამართლომ, – „ნამებისა და სხვა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მათი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, დარჩებოდა უმოქმედო პრაქტიკაში და, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელეებისათვის შესაძლებელი გახდებოდა იმ ადამიანთა უფლებების დაუსჯელად შელახვა, რომლებიც იქნებოდნენ მათი კონტროლის ქვეშ.“¹⁷¹ ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო ასევე აღნიშნავს ნამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ უფლების დარღვევასთან დაკავშირებით გამოძიების წარმოების ნამოწყების სირთულეს.¹⁷²

¹⁶⁸ „ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება; „აკსოი თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

¹⁶⁹ „რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება; „აკსოი თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება; „ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება; „კურტი თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება; „ჩაკითი თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება; „აკდენიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

¹⁷⁰ იქვე; იხ. აგრეთვე „სევტაპ ვეზნედაროლლუ თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება; „კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

¹⁷¹ იქვე; იხ. ასევე „სევტაპ ვეზნედაროლლუ თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება; „კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

¹⁷² „ველასკეს როდრიგესის საქმე“, 1988 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო, სერია C, №4.

4.4. წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებელმა დაადგინა, რომ: „როცა დაკავებულს, მის ნათესავს ან ადვოკატს შეაქვს საჩივარი წამებასთან დაკავშირებით, აუცილებელია აღნიშნული საჩივრის შემომწმება ... წამებასთან დაკავშირებული საჩივრები უნდა განიხილებოდეს დაუყოვნებლივ და მის გამოძიებას უნდა აწარმოებდეს დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს გამოსაძიებელ საქმესა თუ ამ საქმეში მონაწილეებთან.“¹⁷³

საქმე № 0002.00.049085 9-00, პარ. 19, სან-პაულოს სისხლის სამართლის სასამართლო, 2002 წლის 15 აგვისტო (ბრაზილია)

2000 წლის 10 იანვარს დააპატიმრეს ორი მამაკაცი და ბრაზილიელი დასდეს იარაღის უკანონო ტარებაში. ისინი წაიყვანეს „ჟარდიმ რანიერში“, სამხედრო პოლიციის ახალგაზსნილ ბაზაში, სან-პაულოს სამხრეთით. იქ ისინი ასევე დაკითხეს იმ ქურდობასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც დაიღუპა დაცვის პოლიციელი.

დაცვის პოლიციელი, ამავე დროს, იყო პოლიციის ოფიცერი, რომელიც კერძო კომპანიაში მორიგეობისგან თავისუფალ დროს მუშაობდა. მკვლელობის გამომძიებელმა პოლიციელებმა მიიღეს ინფრომაცია, რომ ორი დაპატიმრებული ადამიანი დაკავშირებულია აღნიშნულ მკვლელობასთან. პოლიციელებმა გააგრძელეს დაკავებულების დაკითხვა და ცდილობდნენ დანაშაულის აღიარების მიღებას ან თავიანთი მეგობრის ფაქტობრივი მკვლელის სახელის გაგებას.

დაკავებულები ამტკიცებდნენ, რომ „ჟარდიმ რანიერში“ ყოფნისას მათ განუწყვეტლივ აწამებდნენ. მათი სიტყვებით, ურტყამდნენ, სცემდნენ წიხლებით და ახრჩობდნენ პოლიეთილენის პარკების თავზე ჩამოცმით. ერთ-ერთ მათგანზე ელექტროშოკიც კი გამოსცადეს – დენგამტარ სადენს უერთებდნენ მის მარცხენა არათითს. საბოლოოდ, მან ეს თითი დაკარგა. სამედიცინო დასკვნებმა დაადგინა, რომ დაკავებულის ტრავმა იყო წამების შედეგი.

ამ წამების შედეგად დაკავებულებს დაემატათ კიდევ ერთი მამაკაცი, მეტსახელად „პეზინიო“, როგორც ზემოხსენებული ქურდობისა და მკვლელობის მონაწილე. „პეზინიო“ მიიყვანეს „ჟარდიმ რანიერის“ პოლიციის განყოფილებაში ისე, რომ იგი არ იყო ოფიციალურად დაპატიმრებული. მან, თავის

¹⁷³ წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებლის ანგარიში, UN Doc.A/56/156, 2001 წლის ივლისი, 39-ე (დ) პუნქტი.

მხრივ, დაასახელა კიდევ ერთი ადამიანი, მეტსახელად „ალემაუ“, რომელიც, როგორც ამბობდნენ, იყო უშუალო მკვლელი. საბოლოოდ, „ალემაუ“ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა პოლიციელმა „დაპატიმრებისას წინააღმდეგობის გაწევის დროს“.

ამ საქმის ფაქტები ცნობილი გახდა მაშინ, როცა სან-პაულოს მერს სთხოვეს პოლიციის ახალი ბაზის, „ჟარდიმ რანიერის“, ინაუგურაცია თითქმის იმავე დროს. მომხდარის შესახებ ჟორების გაგების შემდეგ მან ბრძანა საქმის სრული გამოძიება, რასაც შედეგად მოჰყვა პოლიციის პასუხისმგებელი ოფიცრების წინააღმდეგ საქმის წამოწყება.

პოლიციის ორი ოფიცერი დამნაშავედ ცნეს წამების უშუალოდ განხორციელებაში და მიესაჯათ შესაბამისად რვა და ცხრა წლით პატიმრობა; მესამეს, პოლიციის განყოფილების უფროსს, მიესაჯა ორწლიანი პატიმრობა, რადგან მან ვერ შეძლო დანაშაულის თავიდან აცილება ან შესაბამისი გამოძიების ჩატარება. მოსამართლემ კი განაცხადა, რომ მან ვერ შეძლო თავისი ვალდებულების შესრულება, ანუ თავისი ქვეშევრდომების ქმედებათა გამოძიება, მიუხედავად მრავალი დარღვევისა, რომლებიც არსებობდა საქმეში და რაც უნდა ცოდნოდა მას. ორ ოფიცერს, რომლებიც დამნაშავედ ცნეს უშუალო წამებაში, ასევე აეკრძალა სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობა სასჯელის მოხდის შემდეგ.

რეაგირება წამებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე

- 4.5. როცა დაკავებულს, მის ნათესავს ან ადვოკატს შეაქვს საჩივარი წამებასთან დაკავშირებით, მისი შესწავლა დაუყოვნებლივ უნდა ხდებოდეს. საპატიმროში, ან მალევე საპატიმროდან გასვლის შემდეგ, ადამიანის სიკვდილის ყველა შემთხვევაში გამოძიება უნდა ჩაატაროს სასამართლომ ან სხვა დამოუკიდებელმა ორგანომ.
- 4.6. საჩივრის რეგისტრაციის პროცესი უნდა იყოს პირდაპირი და, დასაწყისში, კონფიდენციალური. საჩივრის მექანიზმის არსებობა ფართოდ უნდა იყოს ცნობილი, ხოლო ადამიანებს უნდა შეეძლოთ წამების ან სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის ყველა ფაქტის გაცხადება. თუ განაცხადის შეტანისას აუცილებელია რაიმე ფორმის შევსება, იგი ყველასათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და არსებობდეს ყველა მიღებულ ენაზე. ორგანოებში საჩივრის შეტანა შესაძლებელი უნდა იყოს დაბეჭდილ კონვერტებში ისე, რომ მათი ნაკითხვა ვერ შეძლონ საჩივართან კავშირში მყოფმა სამართალდამცავებმა. საჩივრების მიმღებმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა დაადასტუროს საჩივრის

მიღება. როცა საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და ადამიანი იმყოფება რისკის ქვეშ, საჩივარი მიღებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. ყველა შემთხვევაში დრო უნდა იყოს შეზღუდული და დაისვას კონკრეტული მიზნების გამოძიებისა და საჩივარზე რეაგირების საკითხი. მსხვერპლსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ გამოძიებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

- 4.7. მსხვერპლნი და მონმეები დაცულნი უნდა იყვნენ გამოძიების მსვლელობისას. გამოძიების მიერ ეჭვმიტანილი ადამიანები ჩამოცილებულნი უნდა იქნენ ისეთი თანამდებობიდან, რომელიც აძლევს მათ მომჩივანის, მონმეების, მათი ოჯახების და გამოძიების მწარმოებელი პირების კონტროლის (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) საშუალებას. თუ ბრალდება არ არის აშკარად უსაფუძვლო, მასთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო მოხელე ჩამოცილებულ უნდა იქნეს მოვალეობის შესრულებიდან მანამ, სანამ ცნობილი არ გახდება გამოძიების შედეგები ან გამოძიებიდან გამომდინარე სამართლებრივი თუ დისციპლინარული გადანყვეტილებები. იმ შემთხვევაში, როცა ერთ საკანში მსხდომნი რისკის ქვეშ ექცევიან, ისინი გადაყვანილ უნდა იქნენ სასჯელალსრულების სხვა დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხოების დაცვა. აუცილებლობის შემთხვევაში, წამებასთან დაკავშირებული საქმის მსხვერპლი და მონმეები უნდა მოექცნენ მონმის დაცვის პროგრამაში. ასეთი პროგრამები ღია უნდა იყოს წამებასთან დაკავშირებული საქმის ყველა მსხვერპლისა და მონმისათვის, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ნასამართლეობა.

გამოძიებისას სახელმძღვანელო პრინციპები

- 4.8. დაკითხვისა და გამოძიების წარმოება შეუძლიათ პროკურორებსა და მოსამართლეებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ დანესებულებებს (როგორებიცაა: სახალხო დამცველი და ადამიანის უფლებათა კომისიები ზოგიერთ ქვეყანაში), ან ინსპექტორატებს, გამომდინარე ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ბუნებიდან. ზოგიერთ ქვეყანას ასევე შეუძლია „წამების შემთხვევების გამოძიების ორგანოების“ შექმნა გარკვეულ დანესებულებებში, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო პროკურატურის ოფისი.
- 4.9. დაკითხვამ შეიძლება ასევე მიიღოს შიდა გამოძიების ფორმა პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, რისი მიზანიც იქნება შესაძლო დისციპლინარული სანქციების დადება ან სასამართლო დევნის განხორციელება; მოსამართლის მიერ ჩატარებული გა-

მოძიება ან გამოძიებლის მიერ სიკვდილის შემთხვევების გამოძიება; სასამართლო კომისიების ჩამოყალიბება, რომლებიც გამოიკვლევს უფლებამოსილების გადამეტების სერიოზულ შემთხვევებს; საჩივრების შემსწავლელი სპეციალური ორგანოების შედგენა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებზე ან ზედამხედველობას გაუწევნ შიდა გამოძიებას. როცა გამოძიების შედეგები, ერთი შეხედვით, ავლენს დანაშაულს, აუცილებელია გამოძიების ჩატარება.

4.10. გამოძიებაში ჩართულმა პროკურორებმა და მოსამართლეებმა, როცა კი ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყონ შემდეგი პრინციპების პატივისცემა:

- გამოძიება უნდა ჩატარონ კომპეტენტურმა, კვალიფიცირებულმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი ექვმიტანილებსა და იმ ორგანოებზე, რომლებსაც ისინი ემსახურებიან.
- გამოძიებლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ყველა აუცილებელ ინფორმაციაზე, საბიუჯეტო რესურსებსა და ტექნიკურ საშუალებებზე საჩივრის ყველა ასპექტის სრული გამოძიების მიზნით.
- გამოძიებლებს შეუზღუდავად უნდა შეეძლოთ შესვლა საპატიმრო დაწესებულებებში, დოკუმენტების მიღება და ადამიანებთან შეხვედრა. გამოძიებელ ორგანოს უნდა შეეძლოს სასამართლო უწყებების გაცემა მონშეთათვის მტკიცებულებათა მიღების მოთხოვნის მიზნით და ყველა შესაბამისი საოპერაციო ბრძანებასა და საქმესთან დაკავშირებული ბრიფინგების მასალების მიღება. მთელი გამოძიების ყველა შედეგი უნდა გამოქვეყნდეს.

4.11. მაშინაც კი, როცა გამოძიება არ უჭერს მხარს წამებასა თუ ღირსების შემლახვ მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივარს, აუცილებელია გამოძიების შესაბამისად წარმოება, რის შესახებაც უნდა ეცნობოს საზოგადოებას. საჩივართან დაკავშირებით მიღებული უნდა იყოს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება, რომელშიც მტკიცებულებებთან ერთად მოცემული იქნება საბოლოო დასკვნა. შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლო პროცესის შემონშება, რომელიც დაადგენს, რომ ჩატარდა სრული, მიუკერძოებელი და სწრაფი გამოძიება, და დასაბუთებს მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებას. თითოეული გამოძიების წარმოება რეგულარულად უნდა გადაისინჯოს, ჩაინეროს დასკვნები ისე, რომ დადგინდეს საუკეთესო პრაქტიკა და „მიღებულმა გაკვეთილებმა“ შეძლოს დახმარების განევა შემდგომი გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

4.12. გამოძიებამ უნდა განმარტოს წამებაში სავარაუდო ბრალდების ფაქტები, დაადგინოს ამასთან დაკავშირებული პრაქტიკა და მიუთითოს

ზომები, რომლებიც მიმართული იქნება ამგვარი ფაქტების გამეორების თავიდან აცილებისაკენ. გამოძიება უნდა ცდილობდეს არა მხოლოდ წამებასა თუ ღირსების შემლახავ მოპყრობაზე, არამედ აღნიშნული თანამშრომლების ზედამხედველობასა და მართვაზე და წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესაძლო ფორმების არსებობაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენას.

- 4.13. ამგვარი გამოძიების მიზანია ჭეშმარიტების დადგენა ბრალდების მხრივ. თუ არსებობს ეჭვი დანაშაულზე, გამოძიებლებმა ასევე უნდა შეაგროვონ მტკიცებულებები სამი გარკვეული მიზნით:
- დისციპლინარული დევნა პასუხისმგებელთა მიმართ;
 - სასამართლო საქმის წარმოება პასუხისმგებელთა წინააღმდეგ;
 - კომპენსაცია მსხვერპლისათვის და მისი ზარალის სრული ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან.
- 4.14. თითოეული ზემოთ მოყვანილი პუნქტის მტკიცების სტანდარტი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: მაშინაც, როცა იგი ჩატარდება სწრაფად, ან შეიძლება, მნიშვნელოვანი დრო გავიდეს გამოძიების სხვადასხვა ფაზას შორის. მოძიებული მტკიცებულება აუცილებლად უნდა იყოს საკმარისი ხარისხის, რათა შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება ზემოთ მოყვანილი მიზნით და ეჭვის დასადასტურებლად ან გასაქარწყლებლად შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.
- 4.15. წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების შესაძლო საქმეების გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის სისტემატური ჩანერა იმისა, თუ რატომ ხდებოდა, ან არ ხდებოდა გამოძიების სხვადასხვა ვერსიის შესწავლა. ამგვარი გადანყვებილებების ან მათი მიღების მიზეზების დეტალური ჩანერა პროცესის ნაწილს უნდა შეადგენდეს. ასევე დეტალურად უნდა ჩაინეროს ყველა შესრულებული მოქმედება და მიღებული ინფორმაცია და უნდა ინარმოებოდეს საბოლოო ოქმი მისი შემდგომი გამოყენების მიზნით სასამართლოსა თუ ტრიბუნალზე.
- 4.16. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საკონტროლო ჩამონათვალი გამოძიებლებისათვის:
- ყველა ინციდენტის გამოძიება უნდა მოხდეს როგორც წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის პოტენციური დანაშაულის გამოძიება, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო;
 - უნდა დაიგეგმოს და დადგინდეს სტრუქტურა იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მთელ მიღებულ ინფორმაციაზე გაკეთებულია სათანადო რეაგირება და რომ ჩატარებულია გადაუდებელი გამოძიება ფაქტების სწრაფად და ზუსტად დადგენის მიზნით;
 - კარგად და მიუკერძოებლად უნდა მოხდეს გარემოებათა გამოძიება. უნდა ჩაინეროს მთელი ინფორმაცია, რათა შესაძლებელი

იყოს მაღალი დონის მტკიცებულებათა წარდგენა სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე;

- ყველა მხარე უნდა ფლობდეს შესაბამისი დონის ინფორმაციას, თუმცა, ამავე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ იგი არ უშლიდეს ხელს გამოძიების მსვლელობას;
- მსხვერპლი და მოწმეები სათანადოდ უნდა იყვნენ დაცულნი გამოძიების დროს და მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა, რომ საქმეში ჩართულმა ადამიანებმა ვერ შეძლონ ზემოქმედება გამოძიების მსვლელობაზე.
- წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლთა მიმართ ყოველთვის დიდი ყურადღება და მხარდაჭერაა საჭირო გამოძიებისას მათთვის ხელახალი ტრავმის მიყენების თავიდან აცილების მიზნით;
- როცა წამებასა და ღირსების შემლახავ მოქმედებას შედეგად მოჰყვება სიკვდილი, ისეთივე ყურადღების გამოჩენაა საჭირო გარდაცვლილის ნათესავებისა და მეგობრების მიმართ;
- გამოძიება დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყროს საქმესთან დაკავშირებულ დაუცველ პირებს;
- გამოძიება ასევე ფრთხილი უნდა იყოს სავარაუდო მსხვერპლის ან დანაშაულში ეჭვმიტანილის ისეთი ნიშნების მიმართ, როგორებიცაა: რასა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია და ეროვნება, პოლიტიკური თუ რელიგიური რწმენა, სოციალური, კულტურული ან ეთნიკური წარმომავლობა.

4.17. წამებასთან დაკავშირებული გამოძიება უნდა მისდევდეს გამოძიების იმავე პრინციპებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია სხვა მძიმე დანაშაულის გამოძიებისას. მთავარი განსხვავება ისაა, რომ ეს სავარაუდო დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირის ან სახელმწიფო თანამდებობის მქონე სხვა პირების მიერ, რაც უფრო ართულებს ასეთ საქმეებზე მუშაობას. წამების დანაშაულს ხშირად ჩადიან დახურულ, გარესამყაროდან მოწყვეტილ ადგილებში, სადაც არ არსებობს დამოუკიდებელი მონმე. მტკიცებულებები შეიძლება განადგურდეს ან დაიფაროს, შეიძლება, ეჭვმიტანილ სამართალდამცავებსა და სახელმწიფო წარმომადგენლებს შორის არსებობდეს დუმის კულტურა. მათ ასევე შეიძლება მუქარით აიძულონ, გაჩუმდნენ მსხვერპლი და მოწმეები.

4.18. ნებისმიერი გამოძიება ძირითადად ნიშნავს არსებული მტკიცებულებების მოპოვებას, ჩანერას, დამუშავებასა და ანალიზს. ამ მასალების მოგროვება, გააზრება და დამუშავება გამოძიებლის საქმეა.

მოგროვებული მასალების, როგორც მტკიცებულებების, ღირებულების შეფასება არ არის სასამართლოს საქმე. ნებისმიერი გამოძიებისას უმნიშვნელოვანესია „დანაშაულის ადგილის“:

- დადგენა;
- დაცვა;
- დამაგრება.

წამება უმეტესად ხდება ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანები დაკავებული არიან სხვადასხვა ფორმით, ასე რომ, ფიზიკური მტკიცებულების შენარჩუნება ან თავისუფლად შესვლა ასეთ ადგილებში ძნელია. გამოძიებლებს უნდა ჰქონდეთ ამგვარ ადგილებში შესვლისა და იმ ადგილების დამაგრების უფლება, სადაც ივარაუდება წამების ფაქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გამოძიების კომპრომიტირება ნივთიერი მტკიცებულებების გადაადგილებით, გაყალბებით, დაკარგვით ან სხვა ნივთების დამატებით.

- 4.19. გამოძიებლები დოკუმენტურად უნდა გაჰყვნენ დაკავების მთელ იმ ჯაჭვს, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური მტკიცებულებების აღდგენასა და შენარჩუნებასთან მათი სასამართლო საქმეში გამოყენების მიზნით, სავარაუდო სისხლის სამართლის სასამართლო დევნის ჩათვლით. გამოძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთი ელემენტების არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ადასტურებს ან უარყოფს სავარაუდო დანაშაულს.
- 4.20. გამოძიებლები უნდა ემორჩილებოდნენ ადგილობრივ კანონებსა და წესებს, უდანაშაულობის პრეზუმფციის ჩათვლით, და უნდა აფრთხილებდნენ, სადაც ეს საჭიროა, მათ, ვის მიმართაც ინარმოება გამოძიება. გამოძიებლები ასევე უნდა იყვნენ მომთმენნი, იცოდნენ მოსმენა, შეინარჩუნონ ტაქტი და საზრიანობა განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე აქვთ წამების მსხვერპლთან.
- 4.21. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საკონტროლო ჩამონათვალი „დანაშაულის ადგილთან“ დაკავშირებით წამების შემთხვევის გამოძიებისას:

- გამოძიების ქვეშ მყოფი ნებისმიერი შენობა თუ ფართი უნდა დაიხუროს ისე, რომ არ დაიკარგოს რაიმე შესაძლო მტკიცებულება. ასეთ ადგილებში დაიშვებიან მხოლოდ გამოძიებლები და მათი თანამშრომლები;
- ნივთიერი მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს, შეიფუთოს, დაედოს შესაბამისი იარლიყები და მოთავსდეს ისეთ უსაფრთხო ადგილას, სადაც ისინი დაცული იქნებიან დაბინძურების, ხელყოფისა თუ დაკარგვისგან. თუ, სავარაუდოდ, წამება სულ ცოტა ხნის წინ მოხდა, ამგვარი მტკიცებულება ხელს შეუწყობს გამოძიებას. ადგილზე აღმოჩენილი სხეულის გამონაყოფების ნებისმიერი ნიმუში (მაგალითად, სისხლი, სპერმა), თმა, ბოჭკო და ძაფები უნდა შეგროვდეს, დაედოს იარლიყები და კარგად შეინახოს;

- შენახულ უნდა იქნეს ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო წამებისას;
- აღებული და შენახულ უნდა იქნეს თითების ნებისმიერი ანაბეჭდი, რომელიც არც ისე ძველია და შეიძლება დაკავშირებული იყოს წამებასთან;
- შედგენილ უნდა იქნეს იმ ნაგებობის ესკიზი, სადაც ივარაუდება წამება. ესკიზში მოცემული უნდა იყოს შესაბამისი დეტალები, როგორებიცაა: სხვადასხვა სართულის მდებარეობა შენობაში, სხვადასხვა ოთახი, შესასვლელი, ფანჯარა, ავეჯი, მიმდებარე ტერიტორია და ა.შ.;
- დანაშაულის ადგილის ფოტოები გადაღებული უნდა იქნეს „პოლაროიდის“ ფოტოაპარატით იქ, სადაც ეს შესაძლებელია. სასურველია, თუ ფოტოზე აღბეჭდილი იქნება შემონმებისას აღმოჩენილი დეტალები;
- დანაშაულის ადგილის ფოტოები გადაღებული უნდა იქნეს ასევე ჩვეულებრივი ფოტოაპარატით, რათა შესაძლებელი იყოს ნეგატივების შენახვა და ფოტოების გამრავლება მათი მამტიკიცებელ საბუთად გამოყენების მიზნით;
- ფერად ფოტოფირზე უნდა აღიბეჭდოს ყველა სახის მიღებული დაზიანება. სახაზავისა და ფერადი ცხრილის საშუალებით უნდა განისაზღვროს აღნიშნული დაზიანებების ზომა და სიმძიმე;
- უნდა დადგინდეს სავარაუდო წამების ყველა მონაწილის ვინაობა მათი სახელებისა და გვარების, მისამართების, ტელეფონის ნომრებისა და სხვა საკონტაქტო ინფორმაციის ჩანერის ჩათვლით;
- წამების სავარაუდო მსხვერპლის ტანსაცმელი უნდა შემონმდეს ლაბორატორიულად და, თუ შესაძლებელია, აღებულ უნდა იქნეს მასზე არსებული სხეულის სითხეებისა თუ სხვა ფიზიკური ნაკვალავის ანალიზი;
- სასამართლო შემონმება ასევე უნდა გაიაროს წამებაში ეჭვმიტანილის ტანსაცმელმა;
- აუცილებელია ნებისმიერი ქალაქების, ჩანაწერებისა თუ დოკუმენტების შენახვა, როგორც მტიკიცებულების, და ხელნაწერის გაანალიზების ერთ-ერთი საშუალების.

სამედიცინო სიმპტომები

- 4.22. სამედიცინო სიმპტომები მნიშვნელოვანია წამების ფაქტების უმრავლესობის გამოძიებისას. წამებისგან ხშირად არ რჩება რაიმე ფიზიკური კვალი ან ხანგრძლივი ფიზიკური ნიშნები. თუმცა დაშა-

ვების ყველა ნიშანი არ ნიშნავს დაკავებულის ნამების შედეგს, ამას შეიძლება სხვა მიზეზიც ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, სამედიცინო შემონმებას შეუძლია დაამტკიცოს, არის თუ არა აღნიშნული ნიშნები დაკავებულის სავარაუდო ნამების კვალი. დახვეწილ სამედიცინო ტექნიკას ხშირად შეუძლია ნაზი ქსოვილის ან ნერვის ისეთი ტრავმის აღმოჩენა, რომლის დანახვაც თვალთ შეუძლებელია. გამოცდილ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს ასევე შეუძლია დაშავების უმცირესი ნიშნის აღმოჩენაც კი, თუ იგი დროულად მოინახულებს ნამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლს.

4.23. ნამება ხშირად ტოვებს ფსიქოლოგიურ ტრავმას, რისი მტკიცების მოპოვებაც ასევე შეიძლება. ნამების ფსიქოლოგიური სიმპტომები ხშირად სუბიექტურია და უკავშირდება შეცვლილ ქცევას ან სტრესის ნიშნებს, რასაც შეიძლება, უამრავი მიზეზი ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობის მიხედვით, უნდა ჩატარდეს ფსიქოლოგიური შემონმებაც. თუ ნამების სავარაუდო ფაქტს უკავშირდება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური მტკიცებები, ეს კიდევ უფრო განამტკიცებს სამედიცინო სიმპტომების მნიშვნელობას.

4.24. როცა სამედიცინო შემონმება ტარდება დაკავების ადგილას, აუცილებელია დაზარალებულის პირველი და ყველა მომდევნო სამედიცინო შემონმების ჩანაწერის მოთხოვნა. ასევე აუცილებელია გასაუბრება ექიმებთან და სამედიცინო პერსონალთან იმ გარემოებების შესახებ, რა გარემოებებშიც მათ მოუხდათ სამედიცინო შემონმების ჩატარება. მაგალითად:

- შეძლეს თუ არა მათ დამოუკიდებელი შემონმების ჩატარება?
- ესწრებოდა თუ არა ვინმე შემონმებას?
- შეადგინეს თუ არა მათ სამედიცინო ანგარიში?
- რა ენერა ამ ანგარიშში?
- ჰქონდა თუ არა დაზარალებულს დაშავების რაიმე ნიშნები იმ დროს?
- იყო თუ არა სამედიცინო ანგარიშში რაიმე ჩარევის მცდელობა, ანუ იყო თუ არა განხორციელებული ექიმზე რაიმე ზეწოლა მის მიერ აღმოჩენილი შედეგების რამენაირად შეცვლასთან დაკავშირებით?

4.25. ბევრ ქვეყანაში როგორც თერაპევტულ, ისე სასამართლო სამედიცინო შემონმებას ატარებს ერთი და იგივე სპეციალისტი. თერაპევტული სამედიცინო შემონმების ერთ-ერთი სირთულე ისაა, რომ ამ დროს ექიმი ცდილობს პაციენტის სიმპტომების მკურნალობას და არ აღწერს მათ შესაძლო გამომწვევ მიზეზებს. სასამართლო მედიცინის (სპეციალური სფეროს) მიზანია დაზიანებათა მიზეზებისა და წარმო-

შობის დადგენა. შესაბამისი სამედიცინო შემოწმება ყოველთვის უნდა ჩატარდეს წამების სავარაუდო ფაქტის გამოძიებისას. შესაბამის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს შემდეგი:

- გამოსაკვლევი ადამიანის იმ განაცხადების სრული ანგარიში, რომლებიც დაკავშირებულია სამედიცინო შემოწმებასთან (ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივრის აღწერის ჩათვლით);
- სამედიცინო შემოწმების შედეგების სრული ანგარიში, რომელიც დამყარებულია გამოსაკვლევი ადამიანის გულდასმით შემოწმებაზე;
- დასკვნები, რომლებშიც მოცემულია შესაბამისობა შესაძლო წამებასა და ობიექტურ სამედიცინო დასკვნებს შორის.

4.26. წამებასთან დაკავშირებული სამედიცინო სიმპტომების დადგენის შემდეგ გამოძიებლისათვის ასევე მნიშვნელოვანია სამედიცინო ეთიკის სრული პატივისცემა და პაციენტის კონფიდენციალურობის დაცვა. ეს და შესაძლო წამებასთან დაკავშირებულ გამოძიებასა და დოკუმენტებთან დაკავშირებული სხვა საკითხები უფრო დეტალურად განხილულია სტამბოლის ოქმში – წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო.¹⁷⁴

დაკითხვის წარმოება

4.27. დაზარალებულის, მოწმისა და ეჭვმიტანილის დაკითხვის ჩატარების წესები სისხლის სამართლის დანაშაულის ან დისციპლინარული გადაცდომის გამოძიებისას ასევე ეხება დაკითხვებს წამების შემთხვევების გამოძიებისას. გამოძიებასთან დაკავშირებული დაკითხვის მიზანია ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიღება ეჭვმიტანილებისაგან, მოწმეებისაგან ან დაზარალებულებისაგან გამოსაძიებელი საკითხის შესახებ ჭეშმარიტების დასადგენად. დაკითხვების ჩატარებისას მნიშვნელოვანია სანდო და პროფესიონალური ურთიერთობის დამყარება დაკითხვის ჩამტარებელსა და რესპონდენტს შორის, დაკითხვის ადგილისა და შექმნილი სიტუაციის გათვალისწინება, სიმშვიდე და მეთოდურობა. ეს საკითხი ასევე დეტალურადაა განხილული სტამბოლის ოქმში.¹⁷⁵

¹⁷⁴ სტამბოლის ოქმი – წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2001.

¹⁷⁵ იქვე.

- 4.28. დაკითხვა შეიძლება, ინფორმაციის ფასდაუდებელი წყარო აღმოჩნდეს, მაგრამ იგი მტკიცებათა შეკრების მხოლოდ ერთი ნაწილია და გამომძიებლები ზედმეტად არ უნდა დაეყრდნონ მას. მათ კარგად უნდა ესმოდეთ ამგვარი ინფორმაციისადმი ზედმეტად ნდობის შესაძლო შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოტენციური ბრალდებულების უფლებათა პატივისცემას. დაკითხვას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ესწრებოდეს ისეთი პირი, რომელიც შემდგომში, შეიძლება, დადანაშაულებული აღმოჩნდეს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.
- 4.29. დაკითხვა ყოველთვის უნდა ჩატარდეს „ცივი გონებით“, ხოლო მიღებული ინფორმაცია ყოველთვის უნდა იქნეს შედარებული იმასთან, რაც უკვე იცის დაკითხვის მწარმოებელმა პირმა ან რისი დადგენაც ადვილია. ადამიანის დაკითხვისას დაკითხვის მწარმოებელი პირი სამართლიანად უნდა ეკიდებოდეს თითოეულ ინდივიდუალურ საქმეს, თუმცა იგი არ არის შეზღუდული წესებით, რომლებიც ეხება ადვოკატებს სასამართლოში. დაკითხვის მწარმოებელი პირები არ არიან ვალდებული, მიიღონ პირველივე პასუხები და არც დაკითხვა ითვლება უსამართლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ ის დაჟინებულია. მაშინაც კი, როცა ეჭვმიტანილი იყენებს დუმის უფლებას, დაკითხვის მწარმოებელ პირს აქვს კითხვების დასმისა და მიღებული ან მიუღებელი პასუხების ჩაწერის უფლება.
- 4.30. დაკითხვის მწარმოებელი პირი უნდა იცნობდეს რესპონდენტის კულტურულ და რელიგიურ თავისებურებებს. ამ ცოდნით იგი შეძლებს ინდივიდის „შეუსაბამო“ ქცევის ახსნას. დაკითხვის მწარმოებელმა პირმა ასევე არ უნდა გააკეთოს დასკვნები საკუთარი კულტურიდან გამომდინარე. დაუცველი ადამიანების მიმართ, იქნება ეს დაზარალებული, მონმე თუ ეჭვმიტანილი, მოპყრობა განსაკუთრებით წინდახედული უნდა იყოს ყოველთვის და მკაცრად უნდა იყოს დაცული ამასთან დაკავშირებული ყველა წესი.
- 4.31. როგორც ძირითადი საკონტროლო კითხვებიდან გამომდინარეობს, დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა:
- რაც შეიძლება მეტი იცოდეს შესაძლო დანაშაულისა და მისი გარემოებების შესახებ;
 - იცოდეს, რა მტკიცებულებაა უკვე ხელმისაწვდომი;
 - იცოდეს, როგორ ახსნა-განმარტებას მოითხოვს იგი რესპონდენტისაგან;
 - იცოდეს გამოსაძიებელი დანაშაულის „დასამტკიცებელი საკითხები“;
 - რაც შეიძლება მეტი იცოდეს რესპონდენტის შესახებ;

აუცილებლად უნდა ჩაინეროს დაკითხვის გარემოებები, ხოლო თვით დაკითხვის შინაარსი – კითხვები, პასუხები და ნებისმიერი შემთხვევა – უნდა ჩაინეროს შესაბამის ოქმში სიტყვასიტყვით (წერილობით, როცა შეუძლებელია ამის ელექტრონული ფორმით კეთება).

წამების სავარაუდო მსხვერპლთა დაკითხვა

- 4.32. სავარაუდო წამებით დაზარალებულის დაკითხვას ყოველთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიებისათვის, ვინაიდან მისი ჩვენება, სამედიცინო დასკვნებთან ერთად, მთავარია ბევრ სასამართლო საქმეში.
- 4.33. დაკითხვა უნდა წარიმართოს სიფრთხილით და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რესპონდენტის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობა. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო იმისათვის, რომ ახალი ტრავმა არ მიიღოს დაზარალებულმა ან ისევე არ აღმოჩნდეს სახიფათო მდგომარეობაში. დაკითხვის ჩატარება შეიძლება საჭირო გახდეს რამდენიმე საფეხურად დროის გარკვეული ინტერვალების დაცვით, ვინაიდან დაზარალებულმა შეიძლება, რაიმე დეტალები არ გაამჟღავნოს მანამ, სანამ დაკითხვის მწარმოებელი პირი არ მოიპოვებს მის ნდობას. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ უშუალოდ საქმეზე გადასვლამდე, დაკითხვის მწარმოებელი პირი რაიმე სხვა საკითხებზე იმსჯელებს დაზარალებულთან „ნდობის კლიმატის“ შესაქმნელად, რაც უფრო გააადვილებს შემდგომ საუბარს მტკივნეულ საკითხებზე.
- 4.34. დაკითხვის ძირითადი მიზანია ფაქტების რაც შეიძლება დეტალური ჩანაწერის მიღება. იგი გულისხმობს:
- რა მოხდა?
 - როდის მოხდა ეს?
 - სად მოხდა ეს?
 - ვინ ჩაიდინა ეს?
 - რა სიხშირით ხდებოდა ეს?
 - რატომ?
 - რა მოჰყვებოდა ამას შედეგად?
- 4.35. რაც უფრო უშუალოა ინფორმაციის წყარო, მით უფრო ზუსტია დეტალები, ხოლო რაც უფრო თანმიმდევრულია ანგარიში, მით უფრო სანდოა ინფორმაცია. თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზოგიერთი უზუსტობის მიზეზიც. დაზარალებული შეიძლება შეშინდეს, უხერხულად იგრძნოს თავი ან იმყოფებოდეს ტრავმისშემდგომი სტრესის ქვეშ. რესპონდენტი შეიძლება იძულებული იყოს, მიეცა წინა

ყალბი ჩვენება. მან შეიძლება, თავიც კი შეიკავა ჩივილზე მანამ, სანამ უსაფრთხოდ არ იგრძნო თავი. უზუსტობები ყოველთვის არ ნიშნავს ჩივილის სიყალბეს. რესპონდენტისათვის შეიძლება ზოგიერთი კითხვა რთულიც კი აღმოჩნდეს. ეს შეიძლება გამოსწორდეს იმავე კითხვის უფრო მარტივად დასმით შემდეგი დაკითხვისას.

4.36. სავარაუდო წამებასთან დაკავშირებული დაკითხვის საკონტროლო კითხვების შემდეგი ჩამონათვალი შედგენილია ესექსის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, ესენია:¹⁷⁶

- გარემოებები, რომლებსაც შედეგად მოჰყვება წამება, დაპატიმრების ან დაკავების ჩათვლით. მიიღო თუ არა რესპონდენტმა რაიმე მუქარა დაპატიმრებამდე? როგორ მოხდა მისი დაპატიმრება და მიიღო თუ არა მან რაიმე დაზიანება დაპატიმრებისას? ჰყავდა თუ არა დაპატიმრებას ვინმე თვითმხილველი? განიცადა თუ არა რესპონდენტმა რაიმე სახის ღირსების შემლახავი მოპყრობა დაკავებამდე?
- დაკავების ადგილი, დაწესებულების დასახელებისა და ადგილმდებარეობის ჩათვლით.
- რამდენ ხანს იყო რესპონდენტი დაკავებული?
- გადაიყვანეს თუ არა რესპონდენტი ერთი დაწესებულებიდან მეორეში? თუ კი, სად, ვინ გადაიყვანა იგი და დაახლოებით რომელ დღეს? როგორ მოხვდა ის იქ? შეატყობინეს თუ არა მას გადაყვანის რაიმე მიზეზი? თუ ეს გადაყვანა დროებითი იყო, რამდენ ხანს გასტანა მან?
- სავარაუდო წამების მიახლოებითი დღეები და დრო, უკანასკნელი შემთხვევის თარიღის ჩათვლით.
- დაპატიმრებაში, დაკავებაში ან სავარაუდო წამებაში მონაწილეთა დეტალური აღწერილობა.
- რას ეუბნებოდნენ ან სთხოვდნენ რესპონდენტს?
- საპატიმრო დაწესებულებაში ჩვეულებრივი დღისა და სავარაუდო წამების აღწერა.
- სავარაუდო წამების ფაქტების აღწერა, წამების მეთოდებისა და გამოყენებული იარაღის ან სხვა საგნების აღწერის ჩათვლით.
- რაიმე განსაკუთრებული საგნები, რომლებიც იმყოფებოდა სავარაუდო წამების ოთახში. თუ შესაძლებელი იქნება, რესპონდენტს შეიძლება ეთხოვოს, დახატოს ადგილმდებარეობის დიაგრამა, რა იყო განლაგებული ოთახში, სადაც მოხდა სავარაუდო წამება.

¹⁷⁶ კამილ ჯიფარდი, წამებასთან დაკავშირებული ანგარიშების შედგენის სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ესექსის უნივერსიტეტი გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად, 2000.

- მიაყენეს თუ არა რესპონდენტს სექსუალური შეურაცხყოფა?
- სავარაუდო წამებისას მიყენებული ფიზიკური დაზიანებები.
- ფაქტის სხვა მოწმეთა ვინაობა – როგორებიცაა სხვა დაკავებულები და დანესებულების სამოქალაქო თანამშრომლები.
- იმყოფებოდა თუ არა სამედიცინო პერსონალი სავარაუდო წამების ადგილას წამებამდე, წამების დროს ან მას შემდეგ? – თუ კი, დაასახელეს თუ არა მათ საკუთარი ვინაობა და რით გამოიხატებოდა მათი როლი?
- მიიღო თუ არა რესპონდენტმა რაიმე სამედიცინო დახმარება მასწავლებელ ან მოგვიანებით, ან სულაც გათავისუფლებისას? შეეძლო თუ არა ექიმს დამოუკიდებელი შემოწმების ჩატარება? ესწრებოდა თუ არა ვინმე შემოწმებას? შეადგინა თუ არა ექიმმა სამედიცინო ანგარიში? რა ეწერა ანგარიშში?
- შესჩივლა თუ არა რესპონდენტმა ვინმეს მომხდართან დაკავშირებით, ან აცნობა თუ არა მან ეს ხელმძღვანელობას? რა პასუხი მიიღო? ჩატარდა თუ არა გამოძიება? რას მოიცავდა იგი? გაესაუბრნენ თუ არა მოწმეებს? გაესაუბრნენ თუ არა სავარაუდო დამნაშავეებს?
- დაუკავშირდა თუ არა რესპონდენტი იმ ოფიციალურ პირებს, რომლებმაც დააკავეს იგი (ან სხვა ოფიციალურ პირებს იმავე სამსახურიდან ან სააგენტოდან) ინციდენტის შემდეგ?

4.37. განაცხადი, რომელიც შემდგომ უნდა გამოიყენოს სასამართლო გამოძიებამ, შედგენილი უნდა იყოს პირველ პირში და შეიძლება შეიცავდეს დეტალებს იმის შესახებ, თუ როგორ გრძნობდა თავს პატიმარი გარკვეულ საფეხურზე. რესპონდენტს უნდა ეთხოვოს (თუ ეს შესაძლებელია), დაუკავშიროს მომხდარი ყოველდღიურ გამოცდილებას, მის მიერ გაცდილი ნაცნობი გრძნობების ჩათვლით. მაგალითად: საიდან იცის რესპონდენტმა, რომ ოთახი კონკრეტული ზომისა იყო? რას ახსენებდა მას კონკრეტული სუნი? ვის ჰგავდნენ ოფიცრები (ჰგავდნენ თუ არა ისინი, მაგალითად, რომელიმე სატელევიზიო პერსონაჟს ან რომელიმე სხვა ცნობილ ადამიანს)? ამგვარი კითხვები იძლევა დამატებით ინფორმაციას დამატებითი მტკიცებისთვის, ზოგჯერ უზუსტობების ახსნასაც ან რესპონდენტს ახსენებს ზოგიერთ დეტალს. ყურადღება ასევე უნდა მიექცეს რესპონდენტის სხვა გრძნობებსაც, მხედველობის გარდა, როგორებიცაა: სმენა, ყნოსვა, შეხება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმ შემთხვევისათვის, თუ რესპონდენტს ახვეული ჰქონდა თვალები დაკავების ან დაკითხვის გარკვეული ნაწილის განმავლობაში.

- 4.38. ქვემოთ მოცემულია ის ინფრომაცია, რომელიც უნდა ჩაინეროს:
- **ოთახის მდებარეობა დაწესებულებაში:** რესპონდენტი კიბით ზემოთ მიჰყავდათ თუ ქვემოთ, თუ ეს ასე იყო, დაახლოებით რამდენი საფეხური ან ბაქანი აიარა ან ჩაიარა მან; რა ესმოდა ან რისი სუნი სცემდა მაშინ; რაიმე ნიშნული ხომ არ შეამჩნია გზაზე; თუ ოთახში იყო ფანჯარა, ჩანდა თუ არა იქიდან რამე?
 - **თავად ოთახი:** რა ზომის იყო იგი; რა მასალის იყო კედლები, იატაკი, ქერი, კარები; რა ფორმის იყო იგი და გამოირჩეოდა თუ არა რაიმე ნიშნით?
 - **იმავე ოთახში დაკავებული სხვა პირები:** იყო თუ არა იმ ოთახში დაკავებული კიდევ სხვა პირები; თუ კი, რამდენი; არის თუ არა მათ შორის ვინმე შესაძლო მონმე; შეამჩნევდნენ თუ არა ისინი რამეს სავარაუდო დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას; როგორი იყო დანარჩენების ჯანმრთელობის მდგომარეობა?
 - **იზოლირება:** თუ რესპონდენტი დაკავებული იყო მარტოობაში, რამდენ ხანს და რა პირობებში გრძელდებოდა ეს?
 - **ოთახის შემცველობა:** რა იყო ოთახში – სანოლი, ავეჯი, ტუალეტი, პირსაბანი?
 - **ოთახის კლიმატი:** როგორი იყო ოთახში ტემპერატურა; იყო თუ არა ვენტილაცია; იგრძნობოდა თუ არა ნესტი?
 - **განათება:** განათებული იყო თუ არა ოთახი; იყო ეს ფანჯრიდან შემოსული ბუნებრივი სინათლე თუ ელექტროგანათება; თუ ეს იყო ელექტროგანათება, რამდენი ხნის განმავლობაში ენთო იგი; როგორი იყო ნათება, მაგალითად, მისი ფერი, ინტენსიურობა?
 - **ჰიგიენა:** არსებობდა თუ არა რაიმე საშუალება პირადი ჰიგიენის დასაცავად; სად და როგორ გადიოდა რესპონდენტი ტუალეტში ან დასაბანად; როგორი იყო ადგილის ზოგადი ჰიგიენა; და იყო თუ არა ის დაბინძურებული?
 - **ტანსაცმელი:** როგორ ტანსაცმელს ატარებდა რესპონდენტი და შეეძლო თუ არა მას ტანსაცმლის რეცხვა ან გამოცვლა?
 - **საკვები და სასმელი წყალი:** რა სიხშირით და რა მოცულობით იღებდა იგი საკვებს და სასმელ წყალს; როგორი იყო მათი ხარისხი; ვის მოჰქონდა ისინი; გაიცემოდა თუ არა ისინი უფასოდ?
 - **ვარჯიში:** თუ იყო საკნიდან გამოსვლის რაიმე საშუალება, თუ კი, რა დროით და რა სიხშირით?
 - **რეჟიმი:** ჰქონდა თუ არა რეჟიმს რაიმე განსაკუთრებით შემზღულადი ან მონოტონური სახე?

- **სამედიცინო საშუალებები:** ხელმისაწვდომი იყო თუ არა ექიმის ან რომელიმე სხვა სამედიცინო პერსონალის დახმარება; შეამოწმეს ან უმკურნალეს თუ არა რესპონდენტს ცალკე სამედიცინო დანაყოფში, მაგალითად, მონვეული იყო თუ არა ოჯახის ექიმი ან გადაყვანილი იყო თუ არა იგი საავადმყოფოში; ხელმისაწვდომი იყო თუ არა წამლები; ვინ გასცემდა მათ?
- **შეხვედრები ოჯახის წევრებთან:** აძლევდნენ თუ არა რესპონდენტს ოჯახის წევრებთან შეხვედრის საშუალებას; თუ კი, სად ხდებოდა ეს; შეიძლება თუ არა ვინმეს მოესმინა მათი საუბრები; იცოდა თუ არა ოჯახმა რესპონდენტის ადგილსამყოფელი?
- **ადვოკატი:** მიუწვდებოდა თუ არა რესპონდენტს ხელი ადვოკატთან; პირველად როდის მიეცა მას ამის საშუალება, ანუ რამდენი ხანი გავიდა იქამდე მისი დაკავებიდან; რა სიხშირით ეძლეოდა მას ამის საშუალება; სად ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს; შეიძლებოდა თუ არა, ვინმეს მოესმინა მათი საუბრისათვის?
- **წარდგენა სასამართლო თანამდებობის პირის წინაშე:** წარდგა თუ არა რესპონდენტი მოსამართლის ან სასამართლოს წინაშე; როდის მოხდა ეს, ანუ რამდენი ხანი გავიდა პირველ წარდგენამდე მისი დაკავებიდან?
- **თხოვნა:** ჰქონდა თუ არა რესპონდენტს რაიმე დამატებითი თხოვნა, თუ კი, ვის მიმართ და რით გამოიხატებოდა შედეგი?
- **ქრთამი:** უხდებოდა თუ არა რესპონდენტს ქრთამის მიცემა რაიმესთან დაკავშირებით და მოუთხოვია თუ არა ვინმეს ოდესმე მისგან ქრთამი?

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები ხშირად ხდება საპატიმრო დაწესებულებების გარეთ და, აქედან გამომდინარე, დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ დაკითხვა მოიცავდეს ღირსების შემლახავი სავარაუდო მოპყრობის სრულ ანგარიშს, მიუხედავად მისი განხორციელების ადგილისა.

სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის დაკითხვა

4.39. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო დაკითხვისას სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთან. ამგვარ საკითხებზე მსჯელობა ტაბუირებულია, ან განსაკუთრებით მგრძობიარე თემაა მრავალი საზოგადოებისათვის და ბევრი რესპონდენტისათვის ეს შეიძლება განსაკუთრებით მკაცრი გამოცდაც კი აღმოჩნდეს. განცხადება უმჯობესია, მიიღოს სავარაუდო მსხვერპლის სქესის ადამიანი, გა-

მომდინარე პირის საკუთარი შეხედულებიდან, კონფიდენციალურობის წესების დაცვა კი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება საკითხის გვერდის ავლა და აუცილებელია ყველა ზომის მიღება დეტალური ანგარიშის მისაღებად მომხდარის შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმა.

4.40. ადამიანების უმრავლესობა პასუხს სცემს კითხვაზე „სექსუალური შეურაცხყოფის“ შესახებ მხოლოდ გაუპატიურების ან ძალმომრეობითი მამათმავლობის კონტექსტში. გამომძიებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ისიც, რომ დაზარალებულები ხშირ შემთხვევებში სექსუალურ შეურაცხყოფად არ მიიჩნევენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, გაშიშვლებას, ხელით შეხებას, კბენას, გარყვნილ ან დამამცირებელ ქცევას, სასქესო ორგანოების ჩვენების მოთხოვნას ან ელექტროშოკის გამოყენებას მათზე. მიუხედავად ამისა, ყველა ეს ქმედება არღვევს ინდივიდის ინტიმურობას და უნდა განიხილებოდეს როგორც სექსუალური შეურაცხყოფის ნაწილი. ხშირად ასეთი ქმედებები ახლავს ფიზიკურ გაუპატიურებასა თუ მამათმავლობას და, აქედან გამომდინარე, გამომძიებელმა უნდა ივარაუდოს, რომ ამგვარი დანაშაულიც მოხდა. ძალიან ხშირად სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი თავიდან არ აღიარებენ ამგვარ ფაქტებს. ხშირად მხოლოდ მეორე ან მესამე დაკითხვისას ამოტივტივდება ხოლმე ასეთი შემთხვევები, თუ პირველ დაკითხვებში თანაგრძნობას იგრძნობს დაზარალებული. ამიტომაც გამომძიებლებმა უნდა იქონიონ განსაკუთრებული ტაქტი და მოთმინება ამგვარ საკითხებთან დაკავშირებული დაკითხვებისას.

4.41. სავარაუდო სექსუალური ძალადობის ყველა შემთხვევაში პირადი შემონმება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სავარაუდო დაზარალებულის სრული თანხმობით. ეს უნდა გააკეთოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალმა, რომელიც უმჯობესია, თუ იქნება დაზარალებულის სქესისა.

ბავშვებისა და არასრულწლოვნების დაკითხვა

4.42. ბავშვები შეიძლება აწამონ უშუალოდ, ან აიძულონ სხვისი, განსაკუთრებით მშობლების ან ახლო ნათესავების, წამების მოწმედ ყოფნა. ამან შეიძლება განსაკუთრებული ტრავმა მიაყენოს მათ და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო მათი დაკითხვისას. ბავშვების დაკითხვა სრულიად განსხვავდება ზრდასრული ადამიანების დაკითხვისაგან. დაკითხვის მწარმოებელ პირს უნდა ჰქონდეს

მათთან მუშაობის გამოცდილება, გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი შეიძლება გაცილებით სერიოზული აღმოჩნდეს, ვიდრე მათი დაკითხვით მიღებული ინფორმაცია. ბავშვის დაკითხვა ყოველთვის უნდა ტარდებოდეს მისი მშობლის, ნათესავის ან მეურვის თანდასწრებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არავერბალურ ნიშნებს. ბავშვების მიერ აზრის ვერბალურად გამოხატვის უნარი დამოკიდებულია მათ ასაკსა და განვითარებაზე და ამიტომ მათი ქცევა შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ფაქტის გაგებისათვის, ვიდრე მათი სიტყვები. ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან დალილობის მიმართ და ამიტომ არ შეიძლება მათზე რაიმე ძალდატანების განხორციელება დაკითხვის დროს. მათ აუცილებლად უნდა გაენიოთ საჭირო დახმარება დაკითხვის დასრულებისთანავე.

ექვმიტანილთა დაკითხვა

- 4.43. დაკითხვის ჩატარების წესების უმრავლესობა ასევე ეხება იმ პირებს, რომლებიც ექვმიტანილნი არიან წამებასა თუ ღირსების შემლახავ სხვა სახის მოპყრობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ექვმიტანილნი არიან სახელმწიფოს წარმომადგენელი ოფიციალური პირები და ხშირად აქვთ ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება, განსაკუთრებული გულდასმით უნდა დაიგეგმოს და აიგოს მათთან დაკითხვა და განისაზღვროს მათთვის დასასმელი კითხვები. გამოძიება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ღირსების შემლახავ მოპყრობაში მონაწილეობაზე უშუალოდ ექვმიტანილის დაკითხვას, არამედ იმ პირებისასაც, რომლებსაც ეკავათ საპასუხისმგებლო თანამდებობები მოცემულ საპატიმრო დაწესებულებაში, რომლებმაც იცოდნენ თავიანთი თანამშრომლების უმსგავსო საქციელის შესახებ და რომლებმაც ვერ მოახერხეს, ან არ ისურვეს მათი შეჩერება.
- 4.44. დაკითხვა უნდა ჩატარდეს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და პროფესიულ დონეზე. გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ დასმული საკითხები შეიძლება აღმოჩნდეს განსაკუთრებით ემოციური და განსასჯელმა ოფიცრებმა, შეიძლება, თავისი კოლეგების სიმპათიაც კი მოიპოვონ. შესაბამისი პროცედურის ჩამოყალიბებაა საჭირო წარმომადგენლობასთან, კეთილდღეობასთან, ინტერესთა კონფლიქტთან, ლოიალურობის კონფლიქტთან და სხვა ისეთ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გამოძიებაზე.
- 4.45. ექვმიტანილების დაკითხვა უნდა მოხდეს ცალკე, ხოლო დაკითხვისას არ უნდა დაიშვებოდეს ერთმანეთთან კერძო საუბრები. აუცი-

ლებლობის შემთხვევაში მათ დროებით უნდა შეწყვიტონ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება თანამდებობის პირებს შორის შეხლა-შემოხლის თავიდან აცილების მიზნით. ასევე აუცილებელია ექვემდებარების უფლებათა პატივისცემა და მათი განცხადებები არ უნდა განიხილებოდეს დაუშვებელ მტკიცებულებად.

სხვა მოწმეების დადგენა

- 4.46. მოწმეებს, რომლებმაც პატიმარი ნახეს დაკავებამდე ან დაკავების პროცესში, შეუძლიათ განაცხადონ, რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი დაკავებამდე, ისაუბრონ დაკავების მიზეზად მოტანილ გარემოებებზე, დაპატიმრების მეთოდებსა და დაკავებაში მონაწილე ოფიცრების ვინაობაზე.
- 4.47. სხვა პატიმრებს, რომლებსაც უშუალოდ არ უნახავთ წამება თუ ღირსების შემლახავი მოპყრობა სავარაუდო დაზარალებულის მიმართ, შეუძლიათ ისეთი ინფორმაციის მონოდება, როგორიცაა, პატიმრის დაკითხვაზე გაყვანის დრო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკნიდან გაყვანამდე და საკანში დაბრუნების შემდეგ, ან იმის შესახებ, რომ მოცემული პატიმარი სულაც აღარ დაბრუნებულა. მათ შეიძლება მოგვითხრონ გაგონილი ხმების, როგორიცაა ყვირილი ან კვნესა, ან სისხლის ნანახი ნაკვალევის შესახებ. პატიმრის დაკითხვიდან დაბრუნების შემდეგ მათ შეიძლება ახალი ან გაცილებით გაღრმავებული ძველი დაზიანებებიც შეემჩნიათ. მათ შეიძლება მოგვანოდონ ინფორმაცია სავარაუდო წამების შესახებ, როგორიცაა მათი ადგილები, დრო ან თარიღი.
- 4.48. მათ შეიძლება, თავისი ან იმ სხვა პატიმრის წამების შემთხვევებიც კი გაიხსენონ, რომელთა მოწმეებიც ყოფილან. ამ ყველაფრის შედეგად კი შეიძლება დამტკიცდეს, რომ მოცემულ დაწესებულებაში წამება მიღებული წესია, ან, რომ ციხის მოცემული ოფიცერი ან ზედამხედველი სხვა დროსაც ყოფილა შემჩნეული ამგვარ საქციელში.
- 4.49. პოლიციის განყოფილების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების სამოქალაქო თანამშრომლებს, ოფიცრებს ან სხვებს შეიძლება ნანახი ჰყავდეთ პატიმარი პატიმრობის სხვადასხვა საფეხურზე. მათ შეიძლება ნახეს მისი წამების ან მისდამი ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტი, ან გაიგონეს ამის შესახებ სხვა თანამშრომლებისა თუ თავად პატიმრებისაგან. მათ შეიძლება კიდევ სთხოვეს წამების ადგილის დალაგება ან თანამშრომლობა წამების ნაკვალევის გაქრობაში.
- 4.50. როცა საჩივარი არ შეაქვს წამების უშუალო მსხვერპლს, ვინაიდან იგი უკვე გარდაცვლილია, „გაუჩინარებული“ ან კვლავაც დაპატიმ-

რებულია, ნათესავებს, მეზობლებს ან მეგობრებს შეუძლიათ შესაძლო მონმის მითითება ან ინფორმაციის თავადვე მოწოდება.

მონმეთა დაცვის საკითხები

- 4.51. ბრალდების მონმეებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მოინვევა სასამართლო პროცესზე, ეს შეიძლება განსაკუთრებით მტკივნეული და საშიშიც კი იყოს. მონმეებს ხშირად აშინებენ, სიტყვიერად ემუქრებიან და/ან ფიზიკურად ძალადობენ მათზე და ასე ცდილობენ მათ შეკავებას სასამართლო პროცესში მონაწილეობისაგან. ასეთი მუქარის საპასუხოდ ჩამოყალიბდა მონმეთა დაცვის სხვადასხვა ფორმა. ყველაზე მარტივ დონეზე ბრალდების მონმეს შეიძლება ახლდეს ისეთი ადამიანი, რომელიც მზადაა, იჯდეს მასთან, ვიდრე მას არ გამოიძახებენ ჩვენების მისაცემად, ვინაიდან ხშირად ეს ყველაზე საშინელი მომენტიცაა მონმისათვის. მონმეთა დაცვის სხვა მიღებული ფორმებია:
- რჩევა პირადი უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით;
 - ფიზიკური უსაფრთხოების ზომები ინდივიდის სახლში, როგორცაა საგანგაშო სისტემის, საკეტებისა თუ გისოსების მონტაჟი;
 - საცხოვრებელი ბინისა თუ სამუშაო ადგილის დაცვა;
 - ვინაობის სრული დაცვა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლა;
 - გარანტია იმისა, რომ მონმე არ მოექცევა ისეთ ვითარებაში, სადაც შესაძლებელი იქნება ყალბი ჩვენებების მიცემა;
 - ფიზიკური დაცვა პირადი მცველების მიჩენით.
- 4.52. ამ საკითხების გათვალისწინებით და, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ყველაფერი ხელწინაა მათ, პროკურორებმა და მოსამართლეებმა მონმეებს უნდა შეატყობინონ მონმეთა დაცვის სხვადასხვა ფორმის არსებობის შესახებ. თუმცა ყურადღებაა საჭირო იმისათვის, რომ არ მოხდეს ამის გაგება ისე, თითქოს მონმისაგან უნდათ სასურველი ჩვენების მიღება. ზედმინებით ზუსტად უნდა შედგეს ფინანსური ჩანაწერები, ყველა გადაწყვეტილება და მონმეებთან შეიძლება ხელშეკრულებების გაფორმებაც კი გახდეს საჭირო ყველაფერი ამის თავიდან აცილების მიზნით.
- 4.53. მონმეების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნამებასა და ღირსების შემლახავ მოპყრობაში ბრალდებულთა წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო პროცესის წინ და მის განმავლობაში. ამ დანაშაულის ბუნება ისეთია, რომ დაზარალებულთა და მონმეთა ჩვენებები შეიძლება გადაწყვეტი იყოს ბრალდებისთვის. მიუხედავად

ამისა, დაზარალებულებსა და მოწმეებს შეიძლება, განსაკუთრებით არ უნდოდეთ ამგვარი ჩვენებების მიცემა, ნაწილობრივ იმ გავლენის გამო, რაც დანაშაულმა იქონია მათზე და ნაწილობრივ შიშის ან მუქარის გამო. ის ფაქტი, რომ ამგვარ დანაშაულებში ხშირად ბრალდებულნი არიან სახელმწიფოს წარმომადგენელი ოფიციალური პირები ან სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკები, შეიძლება, განსაკუთრებულად დაუცველს ხდის დაზარალებულებსა და მოწმეებს სწორი ჩვენებების მიცემის შემთხვევაში.

- 4.54. ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულები და მოწმეები შეიძლება დააკავონ სხვა დანაშაულებისათვის სასამართლო პროცესამდე ან მის განმავლობაში. ასეთ დროს მათ გამოიძახებენ ჩვენებების მისაცემად. ასეთი გარემოებებისას ისინი განსაკუთრებით დაუცველნი ხდებიან მუქარისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინაშე, რითაც ეჭვიმიტანილები ცდილობენ მათ შეჩერებას სწორი ჩვენების მიცემისგან. იმ შემთხვევაში, როცა მათთან ერთად საკანში მჯდომი პატიმრები ექცევიან რისკის ქვეშ, აუცილებელია მათი გადაყვანა სხვა საპატიმრო დაწესებულებაში, სადაც შეიძლება განსაკუთრებული ზომების მიღება მათი უსაფრთხოებისათვის. სხვა შემთხვევებში დაზარალებულებსა და მოწმეებს შეიძლება ადრე ჰქონდეთ ჩადენილი რაიმე დანაშაული, რის გამოც ისინი გამოირიცხებიან მოწმეთა დაცვის პროგრამებიდან. ასეთი მოწმეების დაცვა აუცილებელია სხვაგვარად. მათი უსაფრთხოებისათვის მოფიქრებული უნდა იყოს სხვა ზომები.
- 4.55. სასამართლო პროცესი შეიძლება დაიწყოს ინციდენტიდან რალაც პერიოდის ან გამოძიების დასრულების შემდეგ, ზოგჯერ ის სხვა მიზეზითაც იგვიანებს. ეს განსაკუთრებით სანერვიულოა ბრალდების მოწმეებისათვის. მოწმეებს უნდა ეცნობოს საქმის მსვლელობის შესახებ და მათ უნდა შეეძლოთ გამოძიების ჯგუფის წევრებთან დაკავშირება ნებისმიერ დროს. თუ მოწმე გამოთქვამს წუხილს მისი უსაფრთხოების ან მისკენ მიმართული მუქარის გამო, მიღებულ უნდა იქნეს ქმედითი ზომები მისი დაცვისა და შემწეების პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით.
- 4.56. როცა საქმეს თან ერთვის დაკავებულის სიკვდილი წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად და აუცილებელია მისი ოჯახის წევრების ან ახლო მეგობრების გამოძახება სასამართლოზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამოჩენილი მათი მწუხარებისადმი და იმ შესაძლო ტრავმისადმი, რომელიც შეიძლება მათ მიადგეთ უდიერი მოპყრობისას სასამართლო პროცესზე. ასევე საგანგებო ყურადღებას მოითხოვენ განსაკუთრებით დაუცველი მოწ-

მეები, როგორებიც არიან არასრულწლოვნები, და ის განსაკუთრებული პრობლემები, რომლებსაც შეიძლება წააწყდნენ ისინი ჩვენების მიცემისას სასამართლოზე. ჩვენების ვიდეოჩანანერის დემონსტრირებამ, სადაც ეს ტექნიკურად შესაძლებელია, შეიძლება თავიდან ააცილოს ბავშვს არასასურველი უხერხულობა და საუკეთესო იყოს დეტალური ჩვენების ჩამოყალიბებისათვის, რაც არც ბრალდებულის საქმის სამართლიანი წარმოების უფლებას არღვევს. ზოგიერთ მონმეს შეიძლება არ უნდოდეს სასამართლო პროცესზე დასწრება ჩვენების მისაცემად მისი რასობრივი, სქესობრივი, სექსუალური ორიენტაციის, ეროვნების, პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის ან სოციალური, კულტურული თუ ეთნიკური წარმოშობის გამო.

- 4.57. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სასამართლო პროცესის შედეგად მოიხსნება ბრალდება წამებასა თუ ღირესების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ საქმეზე საერთოდ შეწყდა ფიქრი. ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლსა და მონმეებზე ხორციელდება ზეწოლა და მათ აიძულებენ საჩივრის გამოტანას. თუმცა, ისევე როგორც სხვა დანაშაულების შემთხვევაში, საქმის გაგრძელება შეიძლება სხვა მტიკიცებულებების საფუძველზეც.

„ვ. ბ-ნ ვიჯესეკარასა და სხვების წინააღმდეგ“, უზენაესი სასამართლო, შრი-ლანკა, 2002 წლის 24 აგვისტო, უზენაესი სასამართლო, განაცხადი № 186/2001 (შრი-ლანკა)

„ვ“-მ, 27 წლის კეიტელმა ტამილმა ქალმა, უარი განაცხადა დაგეგმილ ქორწინებაზე, როცა შეიტყო, რომ მის ქმარს უკვე ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. იგი მიიმალა მას შემდეგ, რაც კაცი დაემუქრა, რომ იგი გამოიყენებდა თავის გავლენას და დააჭვინებდა მას პოლიციას, როგორც „ტამილი ვეფხვების“ კამიკაძეს. 2000 წლის 21 ივნისს ქალი ტრინკომალიში დააპატიმრა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა პოლიციელების ჯგუფმა. ასევე დააპატიმრეს მისი ძმა და ორივენი წაიყვანეს ნეგომობოს პოლიციის განყოფილებაში.

21 ივნისიდან 26 ივნისამდე ქალს განუწყვეტილვ აწამებდნენ პოლიციაში. მას სცემდნენ, თავზე აცემევდნენ ბენზინში არეული დაფუჭული მწარე წინაკით სავსე ტომარას, რაც თითქმის ახრჩობდა. მას აშიშვლებდნენ, კიდებდნენ მაჯებით და ისევ სცემდნენ, შემდეგ აწვენდნენ მაგიდაზე და სექსუალურად შეურაცხყოფდნენ. ამის შედეგად ქალმა მიიღო საშოს შიდა დაზიანებები. აღწერილი წამების შედეგად ქალი დათანხმდა ისეთი ხელშეკ-

რულების ხელმონერაზე, რომელიც მას არც ნაუკითხავს და, რომც ნა-
ეკითხა, მაინც ვერ გაიგებდა, რადგან იგი შედგენილი იყო სინჰალას ენაზე.
ამის შემდეგ, 26 ივნისს, იგი გადაიყვანეს კოლომბოს ტერორიზმის შემთ-
ხვევების საგამომძიებლო განყოფილებაში, სადაც ის დაკავებული ჰყავდათ
20 სექტემბრამდე. იქ განაგრძობდნენ მის წამებას და აიძულეს, ტამილის
ენაზე შეედგინა განაცხადი, რომელშიც აღიარებდა, რომ იყო „ტამილი ვეფ-
ხვების“ ტერორისტული დაჯგუფების წევრი. 2002 წლის 21 ივლისს იგი
წარადგინეს კოლომბოს მაგისტრატის სასამართლოში. იქ ქალმა სცადა,
მაგისტრატისათვის მოეთხრო თავისი წამების შესახებ, მაგრამ მას თხრობა
შეაწყვეტინა თანმხლებმა ტერორიზმის შემთხვევების საგამომძიებლო
განყოფილების ოფიცრმა. იგი სასამართლოს წინაშე კვლავ წარდგა 2000
წლის 21 სექტემბერს. მას მკაცრად ჰქონდა აკრძალული მიმართვა მაგის-
ტრატისადმი. ქალს პატიმრობა მიუსაჯეს. 23 ოქტომბერს მისმა ადვოკატმა
ქალის მაგივრად შეიტანა განცხადება და მოითხოვა მისთვის სამედიცინო
გამოკვლევის ჩატარება. ქალი სამი დღით გადაიყვანეს რაგამას სახელმ-
წიფო საავადმყოფოში. ციხეში ქალმა კიდევ ერთი მისი მწვალებული ამო-
იცნო. 2000 წლის 4 ნოემბერს „ვ“-ს ჩაუტარდა დამოუკიდებელი სამედიცინო
შემოწმება.

რესპონდენტები, პოლიციის ოფიცრები, უარს აცხადებდნენ ყველაფერზე
და ჰქონდათ პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საჩივარი არ იყო
შეტანილი ერთი თვის განმავლობაში სასამართლოს წინაშე წარდგენიდან
და არც ადვოკატი იყო მოძიებული ამ პერიოდში, როგორც ამას მოითხოვდა
შრი-ლანკის კონსტიტუცია. „ვ“-მ შეიტანა შესაგებელი, რომელშიც იგი
ჰყვებოდა, თუ როგორ უკრძალავდნენ მას ჩივილს და როგორ ესწრებოდა
მის პირველ შეხვედრას ადვოკატთან ოთხი პოლიციელი. მისი სიტყვებით,
მას არ შეეძლო საჩივრის შეტანა პატიმრობისას პოლიციელების შიშით.
მას არც სასამართლო სამედიცინო დასკვნის ასლი მიუღია 2001 წლის 12
მარტამდე, რის შემდეგაც მან საჩივარი შეიდ დღეში შეიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სამედიცინო დასკვნა არ იყო გადამ-
წყვეტი, სასამართლომ აღნიშნა შეუსაბამობები სხვადასხვა რესპონდენტის
პასუხებში და ასევე დაადგინა, რომ „ვ“-სთვის პირველი სამედიცინო გა-
მოკვლევა ჩატარდა მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ საპატიმროში იმყოფებოდა.
მეორე სამედიცინო შემოწმება (უკვე მისი განთავისუფლების შემდეგ)
ჩატარდა უფრო გულდასმით და გამოავლინა როგორც ფიზიკური, ისე ფსი-
ქიკური ტრავმები, რაც შეესაბამებოდა მის ჩივილს წამების შესახებ. სასა-
მართლომ დაამტკიცა, რომ „ვ“ იყო ნაწამები და დამნაშავეებს დააკისრა
უმაღლესი კომპენსაციის გადახდა. ასეთი მოცულობის კომპენსაციის გა-

დახდაზე სასამართლოს ჯერ არასდროს გამოეტანა გადაწყვეტილება. მოსამართლემ ასევე მიმართა გენერალურ პროკურორს, „განეხილა ზომების მიღება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის 1994 წლის 22-ე აქტის შესაბამისად რესპონდენტებისა და ნებისმიერი სხვა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მომჩივანის წამებაზე.“

V ტაპი

**წამებაში ეჭვიტანილთა
სისხლისსამართლებრივი დევნა და ზარალის
ანაზღაურება წამების მსხვერპლთათვის**

შინაარსი

წამებაში ეჭვმიტანილთა სისხლისსამართლებრივი დევნა და ზარალის ანაზღაურება წამების მსხვერპლთათვის	137
წამება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული	137
ბრალეულობის საკითხები წამების დანაშაულისთვის ან ღირსების შემლახავი სხვა ფორმით მოპყრობისათვის	139
პასუხისმგებელ პირთა დადგენა და სისხლისსამართლებრივი დევნა	140
სისხლისსამართლებრივი დევნის ვალდებულება	145
სამართლიანი სასამართლო	147
იმუნიტეტები, ამნისტიები და ხანდაზმულობის ვადები	147
სასჯელი	151
ანაზღაურება	151

**წამებაში ეჭვიანილთა
სისხლისსამართლებრივი დავა
და ზარალის ანაზღაურება წამების
მსხვერპლთათვის**

- 5.1. წინამდებარე თავი მოგვითხრობს წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების მონაწილეთა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ. მასში საუბარია იმ პირებზე, რომლებიც შეიძლება პასუხისმგებელნი იყვნენ ამგვარ დანაშაულზე და აღწერილია ზოგიერთი სამართლებრივი თუ პროცედურული ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას აღნიშნული პასუხისმგებელი პირების დევნისას. უდავოა, რომ კანონები და პროცედურები განსხვავებული იქნება სხვადასხვა იურისდიქციაში. წინამდებარე თავში ასევე განხილულია ამნისტიებისა და საყოველთაო იურისდიქციის საკითხები და ხაზგასმითაა აღნიშნული წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების მსხვერპლთათვის ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.
- 5.2. სისხლის სამართლის კანონების აღსრულება ყველა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. მოსამართლეებისა და პროკურორების როლებიც ასევე განსხვავებულია სისხლის სამართლის სხვადასხვა სისტემაში. წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმები უკვე აკრძალულია მსოფლიოს ადგილობრივ სამართლებრივ სისტემათა უმეტესობის მიერ. იმ სისტემებშიც კი, სადაც არ არის კანონები უშუალოდ მიმართული წამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობისადმი, ჩვეულებრივ, არსებობს ისეთი კანონები, რომლებიც სჯიან ამგვარ დანაშაულში მხილებულებს, როგორც დამნაშავეთ ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. როცა ამგვარ დანაშაულს ჩადის სახელმწიფოს ან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელი, ეს განიხილება როგორც დამამძიმებელი გარემოება, ვინაიდან ოფიციალური პირი ღალატობს თავის პროფესიულ მოვალეობას, რომლის თანახმადაც იგი მოწოდებულია სხვების დასაცავად.

წამება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული

- 5.3. გაერო-ს კონვენციაში წამების წინააღმდეგ ნათქვამია:

„თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ წამების ყველა აქტი დანაშაულად ითვლებოდეს ამ კონკრეტული სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. იგივე უნდა გავრცელდეს წამების მცდელობასა და სხვა ისეთ ქმედებაზე, რომელიც განიხილება წამებაში მონაწილეობად ან თანამონაწილეობად და განხორციელებულია ნებისმიერი პირის მიერ. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ დასჯადად უნდა გამოაცხადოს ასეთი ქმედებები და გაითვალისწინოს შესაბამისი სასჯელები, მათი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით.“¹⁷⁷

- 5.4. არ არსებობს რაიმე გამონაკლისი გარემოებები, რომლებიც შეძლება წამების გამართლებას. გამართლებად არ ითვლება არც ზემდგომი პირის და არც სახელმწიფო წარმომადგენლის ბრძანება.¹⁷⁸ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ: „ანგარიშების წარმოდგენისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ სისხლის სამართლის საკუთარი კანონმდებლობის ის დებულებები, რომლებიც სჯის წამებასა და სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს და კონკრეტული სასჯელები ამგვარი დანაშაულისთვის, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა დანაშაული სახელმწიფოს წარმომადგენლის ან სახელმწიფოს სახელით მოქმედი სხვა პირისა თუ კერძო პირის მიერ. ის, ვინც დაარღვევს მე-7 მუხლს, ნაქეზებით იქნება ეს, ბრძანებით, შემგუებლობითა თუ კანონის დარღვევით, აგებს პასუხს კანონის წინაშე. შესაბამისად, არ უნდა დაისაჯოს ის, ვინც უარს იტყვის ამგვარი ბრძანების შესრულებაზე.“¹⁷⁹
- 5.5. ამერიკულ კონვენციაში წამების თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ ნათქვამია: „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ წამებისა თუ წამების მცდელობის ყველანაირი მოქმედება დანაშაულია შესაბამისი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, და ამგვარი ქმედებები უნდა ისჯებოდეს მკაცრად და დანაშაულის სისასტიკის გათვალისწინებით.“¹⁸⁰ იქვე ამოიკითხავთ,

¹⁷⁷ გაერო-ს 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღისების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ, მე-4 მუხლი.

¹⁷⁸ მე-2 მუხლი, იქვე. ეს პრინციპი ასევე მოცემულ იქნა 1946 წლის ნიურნბერგისა და ტოკიოს ქარტიაში და, შესაბამისად, დამტკიცებული გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ. მისი პოვნა ასევე შეიძლება რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სტატუტებში და ოდნავი ცვლილებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში.

¹⁷⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი შენიშვნის მე-13 პუნქტი.

¹⁸⁰ ამერიკული კონვენცია წამების თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, მე-6 მუხლი.

რომ: „სახელმწიფო მოხელე ან მსგავსი ფუნქციების მქონე თანამშრომელი, რომელიც ბრძანებს, ნააქებებს ან დაარწმუნებს სხვას, გამოიყენოს წამება, ან ის, ვინც უშუალოდ იყენებს ამგვარ მეთოდებს, ან ის, ვისაც შეეძლო ხელი შეეშალა ადამიანის წამებისთვის და არ შეუშალა, ცნობილი იქნება დამნაშავედ წამების დანაშაულისათვის. ადამიანი, რომელიც სახელმწიფო მოხელის ან მსგავსი ფუნქციების მქონე თანამშრომლის ხელშეწყობით ბრძანებს, ნააქებებს ან დაარწმუნებს სხვას, გამოიყენოს წამება, ან უშუალოდ იყენებს ამგვარ მეთოდებს, ასევე ცნობილი იქნება დამნაშავედ წამების დანაშაულისათვის.“¹⁸¹

ბრალეულობის საკითხები წამების დანაშაულისათვის ან ღირსების შემლახავი სხვა ფორმით მოპყრობისათვის

- 5.6. როცა სახელმწიფო ადამიანს ართმევს თავისუფლებას, იგი ამით კისრულობს ამ ადამიანისათვის უსაფრთხოებისა და დაცვის გარანტიის ვალდებულებას. ეს განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებს იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთაზე და პატიმრის მიმართ ყურადღების გამოჩენაზე.¹⁸² როცა ვლინდება წამება ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმა, პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს სასჯელი ყველა იმ დანარჩენების მიმართ, რომლებმაც არ შეასრულეს თავისი ეს მოვალეობა.
- 5.7. დამნაშავედ იქნება ცნობილი ყველა, ვინც იცოდა, ან ვისაც უნდა სცოდნოდა, რომ მოხდა წამება ან ღირსების შემლახავი მოპყრობის რაიმე სხვა ფორმა და არ მიიღო რაიმე ზომა ამის აღსაკვეთად. ასეთ პირებს შორის შეიძლება აღმოჩნდნენ პოლიციის განყოფილების უფროსები და მათი მოადგილეები, პატიმრების ზედამხედველი ოფიცრები, ექიმები ან სამედიცინო პერსონალი და ასევე საპატიმრო დაწესებულების სხვა ოფიცრები და თანამშრომლები. მათსავე რიგებში შეიძლება იყვნენ პროკურორები და მოსამართლეები, ან საპატიმრო დაწესებულებათა შემონმებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები, თუ მათ შეგნებულად უგულებელყვეს, ან არ მიაქციეს ყურადღება, რომ

¹⁸¹ მე-3 მუხლი, იქვე.

¹⁸² ადამიანის უფლებათა კომიტეტის 21-ე ზოგადი შენიშვნის მე-10 მუხლი (ორმოცდამეოთხე სესია, 1992), ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი შენიშვნებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული, UN Doc. HRI\GEN\1\Rev.1 at 33 (1994), მე-3 პუნქტი.

მათ მიერ შესამოწმებელ დანესებულებაში ხდება პატიმართა წამება ან მათდამი ღირსების შემლახავი მოპყრობა, ან იმავე მეთოდებს იყენებენ მათ წინაშე წარდგენილ ადამიანებზე.

- 5.8. ბრალეულობის დასამტკიცებლად პროკურორს დასჭირდება ჩვენება იმისა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა, ან ჰქონდა მცდელობა დანაშაულის ჩადენისა ინდივიდუალურად, ან სხვა ადამიანთან ერთად; უბრძანა, ხელი შეუწყო ან წააქეზა სხვა პიროვნება ამგვარი დანაშაულის ჩადენისაკენ ან მისი მცდელობისაკენ; დაეხმარა ან სხვაგვარად შეუწყო ხელი ამგვარი დანაშაულის განხორციელებას ან მის მცდელობას; ან რაიმე სხვა გზით დაეხმარა დანაშაულის ჩამდენს. ამგვარ პირებად შეიძლება ჩაითვალოს წამებაში მონაწილე პირები, მათი დამხმარეები, რომლებმაც დამნაშავეებს დახმარება გაუწიეს ამგვარი დანაშაულის ჩადენაში, ან წამებაზე ბრძანების გამცემები. იგივე შეიძლება გავრცელდეს იმ პირებზეც, რომლებსაც თავიანთი თანამდებობებიდან გამომდინარე შეეძლოთ დამნაშავის შეჩერება, რომლებმაც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ წამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის მეთოდების გამოყენების შესახებ და არ მიიღეს ყველა აუცილებელი ზომა ამის თავიდან ასაცილებლად, ან არ შეატყობინეს დროულად საგამოძიებო დანაყოფს.
- 5.9. წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაფარვა, მაშინაც კი, როცა პიროვნება არ არის უშუალოდ თუ არაპირდაპირ პასუხისმგებელი ამაზე, განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა ნაკლები სიმძიმის.

პასუხისმგებელ პირთა დადგენა და სისხლისსამართლებრივი ღევნა

- 5.10. სისხლის სამართლის სასჯელი, ჩვეულებრივ, გამოტანილი უნდა იქნეს დადგენილი ინდივიდის წინააღმდეგ. ეს შეიძლება რთული იყოს წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენების შემთხვევაში, ვინაიდან პასუხისმგებელი პირები სულაც არ გააგებინებენ დაზარალებულს თავის ვინაობას, ან ენდობიან ე.წ. „დუმილის კედელს“ თავიანთი კოლეგების მხრიდან, ან შეიძლება სულაც მათი ცრუ ისტორიების გამოგონების უნარს. დაზარალებულმა რომც ამოიცნოს ისინი, დამნაშავეებმა შეიძლება არაფრად ჩათვალონ „ერთი კაცის სიტყვა მეორის წინააღმდეგ“, ვინაიდან იციან, რომ ეს საკმარისი არ არის ბრალეულობის დამტკიცებისათვის.

5.11. თუ დადგენილია ოფიცრის ვინაობა, ან დაადგენენ მას ფიზიკური აღწერით ან პირადი ნომრის მიხედვით, მაშინ უკვე შესაძლებელია ოფიცრის დადგენა ოფიციალური ჩანაწერების მიხედვით. თუ მსხვერპლი მოთავსებულია ოფიციალურად აღიარებულ საპატიმრო დაწესებულებაში, მაშინ პატიმრობის შესაბამის ჩანაწერებში მოცემული უნდა იყოს დაკავებაზე პასუხისმგებელთა ვინაობა და ვინაობა ყველა იმ დანარჩენი პირებისა, რომლებსაც რაიმე კავშირი ჰქონდათ მსხვერპლთან ამ პერიოდის განმავლობაში. საჭირო ინფორმაცია ასევე შეიძლება მოცემული იყოს პოლიციის განყოფილებაში და საპატიმრო დაწესებულებაში შედგენილ ჩანაწერებში, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: მორიგეობის ჩანაწერები და სპეციალური ჟურნალები (რომლებშიც აღწუსებულია, რომელი ოფიცერი მორიგეობს კონკრეტულ დროს); შეტყობინებები და რადიოჩანაწერები (კონკრეტული განყოფილების ყველა სატელეფონო და რადიოკავშირის ჩანაწერი); და დანაშაულთან დაკავშირებით შედგენილი ანგარიშები და რვეულები ჩანაწერებისათვის (რომლებშიც ჩანერილია ინდივიდუალური ოფიცრის მიერ განხორციელებული განსაკუთრებული ქმედება მოვალეობის შესრულებისას). თუ ყველა ეს ინფორმაცია შესაბამისადაა შედგენილი და შენახული, მისი დახმარებით შეიძლება შემთხვევის მსვლელობის აღდგენა და წამების დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დადგენა. აღნიშნულ ინფორმაციას ასევე შეუძლია გააბათილოს საჩივარი.

5.12. დამოუკიდებელი მონშემების არსებობის შემთხვევაში პროკურორს შეიძლება სჯეროდეს, რომ ბრალდების შანსი არ არის ძალიან მაღალი. ზოგიერთის აზრით, როცა მტკიცებისას მხოლოდ ერთი კაცის სიტყვებია მიმართული მეორისაკენ, არასდროს შეიძლება მისი მტკიცებად მიღება ბრალდებისათვის. დაშვებამ იმისა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წამებაში ეჭვმიტანილი სამართალდამცავი ოფიცერი შეიძლება უფრო მარტივად გათავისუფლდეს ბრალდებისაგან, ვიდრე ჩვეულებრივი დამნაშავე, შეიძლება ზოგიერთ პროკურორს დააკარგვინოს საქმის შემდგომი გამოძიების ხალისი. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ამ ფაქტორების დაბალანსება, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ ხელისუფლება არ არღვევს საყოველთაოდ მიღებულ წესებს, ხოლო საქმის წარმოება იმართება იმ შემთხვევაშიც კი, როცა უფრო დიდია ეჭვმიტანილის გათავისუფლების ალბათობა. როცა ძლიერი მტკიცებით დასტურდება, რომ პატიმრობისას ვინმე გახდა ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლი და, ამავე დროს, ვლინ-

დება მოხელე ან მოხელეთა ჯგუფი, რომელიც ესწრებოდა ამგვარ შემთხვევას, მათ წინააღმდეგ უნდა აღიძრას საქმე ასეთი ქმედების ერთდროულად განხორციელებისათვის, დახმარებისათვის მის განხორციელებაში, ხელშეწყობისათვის, ან ინდივიდის წინააღმდეგ – მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ადამიანის დაცვის შეუძლებლობისათვის.

- 5.13. როცა უეჭველია, რომ კონკრეტულმა მოხელემ გამოიყენა ძალა, რასაც შედეგად მოჰყვა პატიმრის დაშავება, საკითხი დაისმება ასე (თუ სავარაუდო დაზარალებული არ იყო მოხელის კონტროლის ქვეშ) – იყო თუ არა ძალის გამოყენება აუცილებელი. პატიმართა მიმართ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული კანონები ასევე სხვადასხვაა სხვადასხვა ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, წამება აკრძალულია აბსოლუტურად. არც პატიმრის სახიფათო ხასიათი, არც საპატიმრო დაწესებულების უსაფრთხოების სისუსტე არ ამართლებს წამებას.¹⁸³ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ძალის გამოყენება დაკავებული ადამიანების მიმართ შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვისათვის, გაქცევის მცდელობის აღსაკვეთად, წინააღმდეგობის განწევსას კანონიერი წესებისათვის, ან, როცა ხიფათი ექმნება ციხის თანამშრომლის პირად უსაფრთხოებას. ნებისმიერ შემთხვევაში ძალის გამოყენება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოცდილი იქნება ყველა მშვიდობიანი საშუალება.¹⁸⁴
- 5.14. სისხლის სამართლის ბრალდება უნდა წარედგინოს იმ თანამდებობის პირებსაც, რომლებმაც იცოდნენ, შეგნებულად უყურადღებოდ დატოვეს ინფორმაცია მათი ხელქვეითების უმსგავსო საქციელის შესახებ და არ მიიღეს შესაბამისი ზომები. როცა ჩნდება წამების ან

¹⁸³ გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ, მე-2 მუხლი. იხ. აგრეთვე წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშები: „მუტამბო შვეიცარიის წინააღმდეგ“ (13/1993) GAOR, 49-ე სესია, დამატება № 44 (1994); „ხანი კანადის წინააღმდეგ“, GAOR, 50-ე სესია, დამატება №44 (1995); და „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A 25, (1978); „ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება; „ტომაზი საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სერია A 241-A, (1993); „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება.

¹⁸⁴ 54-ე წესი, დაკავებულებისადმი მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები; მე-4, მე-5 და მე-9 პრინციპები – ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ.

ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევები ან სისტემატურად არ ხერხდება მათი თავიდან აცილება ან დაზნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმა, ეს შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებად იმისა, რომ ხელისუფლება მშვენივრად ეგუება ასეთ პრაქტიკას.

5.15. ვარაუდი, რომ დაკავებულის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები აუცილებლად წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების შედეგია, შეიძლება მოიხსნას, თუ არსებობს სარწმუნო ახსნა-განმარტება და სავარაუდო დანაშაულის შემდგომი გაბათილება (სარწმუნო მტკიცებულებებით) უკვე ხელისუფლების საქმეა. თუ გავითვალისწინებთ, რომ წამებაში ბრალდება ძალიან რთულია, პატიმრობის პირობებში შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს დამამარე მტკიცებულებას. მოსამართლეებმა მტკიცების სტანდარტი არ უნდა აწიონ ისე, რომ მისი დაკმაყოფილება არარეალური გახდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება საჩივარს ანაზღაურებასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ). ფაქტორები, რომლებიც უნდა ითვლებოდეს დამატებით მტკიცებულებად იმისა, რომ წამების მტკიცება საფუძვლიანია, შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- თუ პატიმარი მოთავსებული იყო არაოფიციალურ ან საიდუმლო საპატიმრო დაწესებულებაში;
- თუ პატიმარი მოთავსებული იყო იზოლირებულ საკანში ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში;
- იყო თუ არა პატიმარი მოთავსებული ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იზოლირებულ კამერაში ან კარცერში/იზოლატორში;
- ინარმოებოდა თუ არა პატიმრობასთან დაკავშირებული ჩანაწერები ან არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავებები ასეთ ჩანაწერებში;
- შეატყობინეს თუ არა პატიმარს თავისი ყველა უფლება დაკავებისას ან ნებისმიერ დაკითხვამდე;
- მისცეს თუ არა პატიმარს ადვოკატთან დაკავშირების საშუალება დაკავების პირველსავე ეტაპზე;
- ეთქვა თუ არა კონსულთან შეხვედრაზე უარი უცხოელ პატიმარს;
- ჩაუტარეს თუ არა პატიმარს დაუყოვნებელი სამედიცინო შემონმება დაკავებისას და ამის შემდგომ რეგულარული სამედიცინო შემონმებები;
- ინარმოება თუ არა სრულად სამედიცინო ჩანაწერები ან აკეთებენ თუ არა ამას უპასუხისმგებლოდ ან გაყალბებულად;
- მიიღეს თუ არა გამომძიებლებმა ჩვენებები ადვოკატის დაუსწრებლად;

- შედგა თუ არა დაკითხვის გარემოებათა შესახებ შესაბამისი ჩანაწერი და შედგა თუ არა განაცხადების ოქმები;
- მოხდა თუ არა შემდგომში განაცხადების გადაკეთება;
- აუხვიეს თუ არა პატიმარს თვალეზი, ჩამოაცვეს თავზე ქუდი, აუხვიეს პირი, დაადეს ხუნდები ან რაიმე სხვა გზებით შეზღუდეს ფიზიკურად, ან ჩამოართვეს საკუთარი ტანსაცმელი უმიზეზოდ პატიმრობის ნებისმიერ სტადიაზე.
- გაუწიეს თუ არა წინააღმდეგობა, დააყოვნეს ან სხვაგვარად ხელი შეუშალეს საპატიმრო დანესებულებაში პირად შეხვედრებს ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებთან, ან ექსპერტებთან.

„რ“ ფრაიერის, ნიკოლის, ლორის წინააღმდეგ“, სისხლის სამართლის საქმეთა დანაყოფის საქმე 825, მართლმსაჯულების სამეფო სასამართლო, სამშაბათი, 2002 წლის 19 მარტი (გაერთიანებული სამეფო)

1998 წლის 15 მარტს „ვორმველ სკრაბსის“ ციხის პატიმარზე სერიოზული თავდასხმა მოაწყო ციხის სამმა ოფიცერმა ციხის იზოლირებულ საკანში.

პატიმარი, ამ შემთხვევაში მომჩივანი, გაიყვანეს გასაჩხრეკად (რომლის დროსაც აუცილებელი იყო პატიმრის გაშიშვლება) და ჩაიყვანეს ციხის იზოლირებულ საკანში. მას გაართყეს სახეში, შემდეგ სწვდნენ კისერში, ხელებსა და ფეხებში, გაათრიეს გარეთ, ბლოკის ცენტრში, და დაადეს იატაკზე. ცოტა ხნის შემდეგ იმავე ოფიცრებმა იქამდე ცემეს პატიმარი ფეხებით, ვიდრე სისხლი არ წამოუვიდა. შემდეგ იგი კვლავ შეიყვანეს საკანში და უკან ფეხის დარტყმით მიახეთქეს მოპირდაპირე კედელს. ოფიცრებმა ოდნავ მოგვიანებით შეთხზეს ყალბი საჩივარი აღნიშნული პატიმრის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც იგი საშუალოდ გადაიყვანეს იზოლირებულ, ჩაკეტილ საკანში, და დაკარგა ვადამდე გათავისუფლების შანსი. დაახლოებით იმავე პერიოდში რამდენიმე სხვა პატიმარმა საჩივარი შეიტანა მსგავს ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც სასამართლო განაჩენი გამოიტანეს 27 ოფიცრის წინააღმდეგ, გამომდინარე 13 სხვადასხვა საჩივრიდან, რომლებიც ეხებოდა ღირსების შემლახავ მოპყრობასა და შეურაცხყოფას და რომელთაგან ზოგიერთი წამებასაც კი უტოლებოდა.

2001 წლის 14 სექტემბერს სამი ოფიცერი დამნაშავედ ცნეს ზემოთ მოყვანილი შემთხვევის გამო და მიესაჯათ სამიდან ოთხ წელიწად-ნახევრამდე პატიმრობა. საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ დანაშაულს თან ახლდა „განსაკუთრებული დამამძიმებელი გარემოებები“,

ძალადობის სერიოზულობის ჩათვლით და იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო არა ერთჯერადი შემთხვევა, არამედ თავდასხმა პატიმარზე, რომელიც ხორციელდებოდა რეგულარულად, დროის რალაც პერიოდებში. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ პატიმრებს იცავს კანონი, ციხის ოფიცრების თავდასხმისაგან. საზოგადოებას აქვს უფლება, აპყაროს ციხის ასეთ ოფიცერს ვალდებულებები. ეს მძიმე პასუხისმგებლობაა. რაც მთავარია, დამნაშავეები ვერ მოეგნენ გონს და თავიდანვე არ იკისრეს პასუხისმგებლობა თავიანთ საზიზღარ დანაშაულზე. ამის მაგივრად მათ შეთითხნეს რალაც ბინძური საქმე და ასე ცდილობდნენ საკუთარი თავების გადარჩენას“.

სისხლისსამართლებრივი დევნის ვალდებულება

5.16. წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-5 მუხლი ითხოვს სახელმწიფოებისაგან კონვენციის რატიფიცირებას, ვინაიდან „თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ, საჭიროებისამებრ, უნდა მიიღოს ზომები, რათა IV მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე მისი იურისდიქცია გავრცელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუკი დანაშაული ჩადენილია მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე ან სახელმწიფოში რეგისტრირებულ გემზე ან საჰაერო ტრანსპორტზე.

ბ) თუკი ეჭვმიტანილი პირი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა.

გ) თუკი მსხვერპლი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა და ეს სახელმწიფო ამას ითვალისწინებს.“

5.17. შემდგომ იგი კვლავაც ავალდებულებს სახელმწიფოს, „მიიღოს შესაბამისი ზომები, თუკი შეიძლება საჭირო გახდეს მისი იურისდიქციის გავრცელება მაშინ, როცა ასეთი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე“, თუ იგი არ აპირებს ამ ადამიანის ექსტრადიციას სხვა სახელმწიფოში. ეს ვალდებულება მოქმედებს, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა, მსხვერპლისა თუ სავარაუდო დამნაშავეის მოქალაქეობისა. კონვენციის მე-7 მუხლი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს: „მონაწილემ სახელმწიფომ, რომლის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზეც IV მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი პირია აღმოჩენილი, თუ იგი ასეთ პირს არ გადასცემს V მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრალდე-

ბის მიზნით, საქმე უნდა წარუდგინოს თავის კომპეტენტურ ორგანოებს.“ „გასამართლების ან გადაცემის“ ვალდებულება, წამების წინააღმდეგ კონვენციის თანახმად, ეხება იმ ტერიტორიებს, რომლებიც იმყოფება მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ. აღნიშნული ტერიტორიები, თავის მხრივ, ნიშნავს ტერიტორიებს, რომლებზეც ვრცელდება მოცემული სახელმწიფოს კონტროლი. ამერიკული კონვენცია წამების თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ ასევე ავალდებულებს თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს, გამოიძიოს საქმე, ან ექსტრადირება გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებიც „მოქცეულნი არიან მისი იურისდიქციის ქვეშ“, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა ან მსხვერპლისა თუ სავარაუდო დამნაშავეს ეროვნებისა.¹⁸⁵

- 5.18. ჟენევის ოთხი კონვენცია ასევე მოითხოვს სახელმწიფოებისაგან საყოველთაო იურისდიქციის გამოყენებას კონვენციის „სერიოზული დარღვევის“ შემთხვევაში და საქმის წარმოებას თავისი ქვეყნის სასამართლოებში. კონვენციები მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისაგან იმ ადამიანების პოვნას, რომლებსაც ბრალად ედებათ კონვენციების უშაულოდ დარღვევა ან ბრძანების გაცემა მათ დარღვევაზე, მაგალითად, წამებაზე ან ღირსების შემლახავ მოპყრობაზე, და რომლებმაც ვერ მოახერხეს ამგვარი დარღვევების აღგავსა მაშინ, როცა იმყოფებოდნენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე. „მოძებნისა და სასამართლოს წინაშე წარდგენის“ ვალდებულება უსაზღვროა ჟენევის კონვენციების მიხედვით.
- 5.19. სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან აღნიშნული კონვენციების მონაწილეები, კვლავაც აქვთ უნივერსალური იურისდიქციის გამოყენების უფლება, თუ სავარაუდო წამებაში დამნაშავე უცხოელი აღმორჩნდება მათ ტერიტორიაზე ისე, როგორც ამის უფლებას იძლევა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი წამების დანაშაულთან დაკავშირებით. მოსამართლეებსა და პროკურორებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისას იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც ექვმიტანილნი არიან წამებისა და მსგავსი დანაშაულების ჩადენაში.

¹⁸⁵ ამერიკული კონვენცია წამების თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, მე-12 მუხლი.

სამართლიანი სასამართლო

- 5.20. მოსამართლეებმა და პროკურორებმა უნდა უზრუნველყონ წამებასა და მსგავს დანაშაულში ექვმიტანილი ადამიანების სასამართლო საქმის სამართლიანი წარმოება სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის მიხედვით. დაცული უნდა იყოს ექვმიტანილთა უფლებები და მსხვერპლისა თუ მათი ოჯახების ინტერესები. ექვმიტანილებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული დახმარების მიღების უფლება მათთვის სასურველი ადვოკატისაგან სასამართლო პროცესის ნებისმიერ დონეზე. სახელმწიფო სასამართლოებმა ასევე უნდა დაიცვან დაზარალებულები, მოწმეები და მათი ოჯახები, ქმედითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჩათვლით. ამგვარმა ზომებმა არ უნდა შეამციროს ექვმიტანილის უფლება სამართლიან სასამართლოზე, მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის ჩათვლით. ამ უფლების განხორციელება არ უნდა იყოს ნებადართული იმ შემთხვევაში, თუ ამას შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის ან მოწმეების დაშინება თუ ხელახალი ტრავმირება.
- 5.21. როცა სასამართლო საქმე ინარმოება საყოველთაო იურისდიქციის თანახმად, განსაკუთრებული მოქმედებებია საჭირო მოწმეთა ჩამოსაყვანად სხვა ქვეყნებიდან ან ვიდეოკავშირის დასამყარებლად მათთან (სადაც ეს შესაძლებელია). ასევე აუცილებელია სრულყოფილი თარგმანის უზრუნველყოფა.

იმუნიტეტები, ამნისტიები და ხანდაზმულობის ვადები

- 5.22. მოსამართლეები ვალდებული არიან (თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში), შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულება – გამოიძიონ, მართლმსაჯულების წინაშე წარადგინონ და დასაჯონ წამების დანაშაულის ჩამდენნი. არავის არა აქვს გამონაკლისის მოთხოვნის უფლება მათი ოფიციალური სტატუსის გამო. ამნისტიები და სხვა მსგავსი ზომები, რომლებიც ადამიანის უფლებათა მძიმე დამრღვევებს (მაგალითად, წამების დანაშაულში მხილებულებს) იცავს სასამართლოს, გამოძიებისა და ბრალდებისაგან, ვერ უწევს კონკურენციას სახელმწიფო ვალდებულებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იმ ადამიანების საქმეთა გამოძიების, მათი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის ან დასჯის ვალდებულებების ჩათვლით, რომლებსაც ბრალად ედებათ ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით მძიმე დარღვევა.

5.23. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი ადგენს, რომ: „იგი თანაბრად შეეხება ყველას, მიუხედავად მისი ოფიციალური უფლებამოსილებისა. კერძოდ, ისეთი ოფიციალური უფლებამოსილების მქონე პირი, როგორცაა სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური, მთავრობისა თუ პარლამენტის წევრი, არჩეული წარმომადგენელი ან მთავრობის ოფიციალური პირი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაათავისუფლებს ექვმიტანილს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ამ სტატუტის მიხედვით და ეს არც შეადგენს ბრალდების შემცირების საფუძველს.¹⁸⁶ იმუნიტეტი ან სპეციალური პროცედურული წესები, რომელიც შეიძლება თან ახლდეს ადამიანის ოფიციალურ უფლებამოსილებას, იქნება ეს სახელმწიფო თუ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ხელს არ შეუშლის სასამართლოს თავისი იურისდიქციის განხორციელებაში ამგვარ ადამიანთან მიმართებით.“¹⁸⁷ იქვე გრძელდება: „სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულები არ ექვემდებარება ხანდაზმულობის რომელიმე ვადას“.¹⁸⁸ თუმცა შენევის ოთხი კონვენციის მე-2 ოქმი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „მიანიჭონ შესაძლო ფართო ამნისტია“ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ადამიანებს კონფლიქტის დასრულების შემდეგ, ეს არ ნიშნავს იმუნიტეტს ომის პერიოდში ჩადენილი დანაშაულების მიმართ.¹⁸⁹

5.24. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე დაადგინა: „კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ანიჭებს ამნისტიას წამების ქმედებებთან დაკავშირებით. ამნისტია, ჩვეულებრივ, არ შეესაბამება სახელმწიფოების მოვალეობას, გამოიძიოს ამგვარი ქმედებები; განამტკიცოს თავისუფლების გარანტია ამგვარი ქმედებებისაგან თავისი იურისდიქციის ფარგლებში და უზრუნველყოს, რომ ასეთი ქმედებები აღარ მოხდება მომავალში. სახელმწიფოებს არ შეუძლია, ადამიანს ჩამოართვას ეფექტური სამართლებრივი საშუალების მიღების უფლება, კომპენსაციისა და შესაძლო სრული რეაბილიტაციის ჩათვლით“.¹⁹⁰ კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი ამნისტია წარმოშობს დაუსჯელობის კლიმატს ადამიანის უფლებათა დამრღვევ დამნაშავეებს შორის და ძირს უთხრის ადამიანის უფლებათა და სამართლის ნორმისადმი პატივისცემას.¹⁹¹ ადამიანის უფლებათა შე-

¹⁸⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, 27-ე (1) მუხლი.

¹⁸⁷ 27-ე (2) მუხლი, იქვე.

¹⁸⁸ 29-ე მუხლი, იქვე.

¹⁸⁹ 1949 წლის შენევის კონვენციების 1977 წლის მე-2 დამატებითი ოქმის მე-6.5 მუხლი.

¹⁹⁰ ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი შენიშვნის მე-15 პუნქტი.

¹⁹¹ ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი დაკვირვებები: არგენტინა, 1995 წლის 5 აპრილი, UN Doc. CCPR/C/79/Add.46; A/50/40, 146-ე პუნქტი.

სახებ მსოფლიო კონფერენციის ვენის დეკლარაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, „დაგმონ კანონმდებლობა, რომელსაც შედეგად მოაქვს იმ პირთა დაუსჯელობა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებზე, როგორცაა ნამება, და სასამართლო წესით დასაჯონ ამგვარი დარღვევები კანონის საფუძველზე“.¹⁹²

5.25. ადამიანის უფლებათა ამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „მიუღებელია ამნისტიის დებულებების, ხანდაზმულობის ვადის ან სხვა ზომების გამოყენება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოსახსნელად გამოძიებისა და დასჯის თავიდან აცილების მიზნით იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დამნაშავენი არიან ადამიანის უფლებათა დარღვევაში, როგორებიცაა: ნამება, დაჩქარებული წარმოება, აღსრულება სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ან თვითნებურად, ადამიანის გაუჩინარება, ანუ ყველა ის ქმედება, რომელიც აკრძალულია, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით აღიარებული ისეთი უფლება, რომლის ჩამორთმევაც ადამიანისათვის შეუძლებელია“.¹⁹³

5.26. როცა ეს მათ კომპეტენციაში შედის, სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ იმ კანონების აღსრულებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვას. მათ ძალადაკარგულად და ბათილად უნდა ცნონ ამგვარი კანონები.

5.27. ჭეშმარიტების დამდგენი კომისიები ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წარსულის ავტორიტეტული ჩანაწერის შედგენასა და დაზარალებულთათვის მათი ისტორიების მოყოლისა და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში. მაგრამ ჭეშმარიტების დამდგენი კომისიები ვერ შეცვლიან მართლმსაჯულებას და სასამართლო პროცესს. იქ, სადაც არსებობს ჭეშმარიტების დამდგენი კომისიები, ისინი პატივისცემას უნდა იჩინებდნენ შესაბამისი პროცესების მიმართ, ადგენდნენ ჭეშმარიტებას, ხელს უწყობდნენ დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას

¹⁹² ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა, ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია, ვენა, 1993 წლის 14-25 ივნისი, UN Doc. A/CONF.157/12, 1993 წლის 12 ივლისი, მე-60 პუნქტი.

¹⁹³ „ბაროს ალტოსის საქმე“ („ჩუმობა ავირე და სხვები პერუს წინააღმდეგ“), ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლოს 2001 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების 41-ე პუნქტი.

და იძლეოდნენ რეკომენდაციებს ამგვარი დანაშაულების გამეორებისაგან თავდასაცავად. ისინი ასევე უნდა მუშაობდნენ სასამართლოებთან ერთად, რათა ყველა დამნაშავე წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე.

Causa No. 8686/2000 caratulada „Simon, Julio, Del Cerro, Juan s/ Sustraccion de menores de 10 ano” del registro de la Secretaria Nro. 7 de este Antonio Juzgado Nacional en lo Criminal y Correccional Federal No. 4, 6 March 2001 (Argentina)

2001 წლის მარტში არგენტინის ფედერალურმა მოსამართლემ დაადგინა, რომ პუნტოს საბოლოო კანონი და კანონი სათანადო მორჩილების შესახებ, რომლებიც იძლეოდნენ იმუნიტეტს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში სამხედრო მთავრობის პერიოდში, იყო არაკონსტიტუციური და ბათილი. ეს დადგენილება ეხებოდა სისხლისსამართლებრივ დევნას, დაკავშირებულს ხოსე ლიბერიო პობლეტა როას, მისი ცოლის, ჰერტრუდის მარტა ჰლაციკისა, და მათი ქალიშვილის „გაუჩინარებასთან“ 1978 წელს. 2001 წლის ნოემბერში ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება.

Actuaciones Sumariales registradas bajo el No. 13.445/1999, caratuladas: ‘Videla Jorge Rafael y otros s/Privacion Illegal de la Libertad Personal’ del registro de esta Secretaria No.14, pertenecientes al Juzgado Nacional en lo Criminal y Correccional Federal No. 7, 20 July 2001 (Argentina)

2001 წლის ივნის-ივლისში ფედერალურმა მოსამართლემ გამოიტანა სამი დადგენილება, რომელშიც მოითხოვდა არგენტინის, ჩილეს, პარაგვაისა და ურუგვაის ყოფილი შეიარაღებული ძალების რამდენიმე წევრის დაპატიმრებას, ვინაიდან ისინი ჩაბმულნი იყვნენ ადამიანების იძულებით სისტემატურ მოტაცებაში („Operation Condor“). თავისი გადაწყვეტილებით მოსამართლემ ბრძანა ყოფილი პრეზიდენტის, ხორხე რაფაელ ვიდელას, დაპატიმრება და წარდგენა მართლმსაჯულების წინაშე. მოსამართლემ ასევე მოითხოვა ჩილეს ყოფილი პრეზიდენტის, აუგუსტო პინოჩეტის, წინასწარი დაპატიმრება, ხოლო მოგვიანებით ექსტრადირება. 2001 წლის დეკემბერში, ცალკე გადაწყვეტილებით, მოსამართლემ მოითხოვა ბოლივიის ყოფილი პრეზიდენტის, ჰუგო ბანზერ სუარესის, წინასწარი დაპატიმრება და შემდგომი ექსტრადიცია.

სასჯელი

5.28. სასჯელს წამების დანაშაულისათვის განსაზღვრავს ადგილობრივი კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, კონვენცია წამების შესახებ ადგენს, რომ „თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ დასჯადად უნდა გამოაცხადოს ასეთი ქმედებები და გაითვალისწინოს შესაბამისი სასჯელები, მათი მძიმე ხასიათის გათვალისწინებით“.¹⁹⁴ ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის ქმედებების მსგავსად, ასეთი დანაშაულები ხშირად იქცევა უფლებამოსილების გადამეტებად და საზოგადოების ნდობის ღალატად. როცა კი ეს შესაძლებელია, მოსამართლეებმა და სახელმწიფო ბრალმდებლებმა უნდა უზრუნველყონ წამების ქმედების, როგორც ასეთის, განხილვა. თუ კანონი არ ასახელებს რაიმე ასეთი სახელის მქონე დანაშაულს ან ფაქტები ვერ ერგება სახელმწიფოში მიღებულ განსაზღვრებას, ვინაიდან იგი უფრო ვინ-როა, ვიდრე საერთაშორისო განსაზღვრება, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი, დანაშაულის ყველაზე სერიოზული კატეგორია. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს სასამართლოს მიერ ფაქტის სიმძიმის შესაბამისი განაჩენის გამოტანა და თავის არიდება რაიმე წინასწარი განაცხადისაგან განაჩენის დროსთან დაკავშირებით (ხანდაზმულობის ვადა).

ანაზღაურება

5.29. მოსამართლეებმა და პროკურორებმა, სახელმწიფო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების მაქსიმალურ ფარგლებში, ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ყველამ, ვინც კი დაზარალდა წამებისა თუ სხვა უკანონო ქმედებისაგან, იცოდეს თავისი უფლება მორალური და ფიზიკური ზარალის კომპენსაციის შესახებ და შეუქმნან მათ ყველა ის პირობა, რომელიც აუცილებელია ამ უფლებით ფაქტობრივი სარგებლობისათვის. წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლს აქვს უფლება, იცოდეს, თუ რა შემთხვევა მას, იხილოს აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირების წარდგინება სასამართლოს წინაშე და მიიღონ მათთვის მიყენებული ზარალის შესაბამისი ანაზღაურება.

5.30. ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების მსხვერპლთათვის აღდგენის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის უფლებათა საკითხებ-

¹⁹⁴ გაერო-ს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან სასჯელის წინააღმდეგ, 1984 წ., მე-4 მუხლი.

ზე მომუშავე საგანგებო მომხსენებელმა, შერიფ ბასიონიმ, დაურთო ძირითადი პრინციპების პროექტი და მითითებები ადამიანის საერთაშორისო უფლებათა დარღვევის მსხვერპლთა ანაზღაურების შესახებ (ვან ბოვენ-ბასიონის პრინციპები) თავის საბოლოო ანგარიშს გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის წინაშე 2000 წელს.¹⁹⁵ ვან ბოვენ-ბასიონის პრინციპები, რომლებიც 1-ლი დანართის სახით დართულია წინამდებარე სახელმძღვანელოზე, აღიარებს ანაზღაურების შემდეგ ფორმებს:

- **ანაზღაურება:** მიღებულ უნდა იქნეს ზომები დაზარალებულის აღსადგენად იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყო იგი მისი უფლებების დარღვევამდე, მისი სამართლებრივი უფლებების, სოციალური სტატუსის, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილის, ქონებისა და სამუშაოს აღდგენის ჩათვლით;
- **კომპენსაცია:** მიღებულ უნდა იქნეს ზომები დაზარალებულისათვის ეკონომიკურად შეფასებული მისი უფლებების დარღვევის შედეგად განცდილი ზარალის აღსადგენად, ფიზიკური ან ფსიქიკური ზარალის, ემოციური სტრესის, განათლების შესაძლებლობის დაკარგვის, შემოსავლის დაკარგვის, ადვოკატის და/ან სამედიცინო ხარჯების კომპენსაციის ჩათვლით;
- **რეაბილიტაცია:** მიღებულ უნდა იქნეს ზომები დაზარალებულისათვის სამედიცინო და ფსიქოლოგიური მკურნალობის უზრუნველსაყოფად და, აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე ადვოკატისა და სოციალური მომსახურების მისაღებად;
- **გარანტია იმისა, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება:** მიღებულ უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ აღარ განმეორდეს ამგვარი დარღვევები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დარღვევის უკან მდგომი სიმართლის გამოაშკარავება, ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს მოცემულ დარღვევაზე პასუხისმგებელი პირი, საზოგადოებამ უნდა აღიაროს დარღვევა, ასევე საზოგადოებამ უნდა გაიგოს გამოტანილი სასამართლო თუ ადმინისტრაციული სანქცია და მიღებულ უნდა იქნეს სათანადო ზომები, ადამიანის უფლებათა საკითხებში ტრენინგის ჩათვლით.

5.31. ზოგჯერ დაზარალებულებს სჭირდებათ ხანგრძლივი სამედიცინო ყურადღება ან თერაპიული მკურნალობა. ზოგჯერ მათ არ შეუძლიათ მუშაობა წამების შედეგად მიღებული ტრავმების გამო, ან იმის გამო, რომ, ფიქრობენ, მათი ცხოვრება ძირფესვიანადაა შეცვლილი. თუ

¹⁹⁵ UN Doc. E/CN.4/2000/62, 2000 წლის 18 იანვარი.

ნამებას ახორციელებდნენ სახელმწიფო მოხელეები, ან ეს ხდებოდა მათი ხელშეწყობით, სახელმწიფომ უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გამოასწოროს თავისი მოხელეების მიერ ჩადენილი შეცდომა. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოსამართლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ დაზარალებულმა სრულად მიიღოს კუთვნილი კომპენსაცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. თუ დაზარალებული გარდაიცვლება ნამების შედეგად მიღებული ტრავმებისგან, მისთვის განკუთვნილი კომპენსაციით სარგებლობენ მისი მემკვიდრეები.

5.32. დაუსჯელობის საკითხებზე მომუშავე საგანგებო მომხსენებელმა, ლუის ჯონინეტმა, თავის 1997 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა გაერო-ს კომისიის მიმართ, ჩამოაყალიბა პრინციპები დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის გზით ადამიანის უფლებათა დაცვისა და პოპულარიზებისათვის (ჯონინეტის პრინციპები).¹⁹⁶ აღნიშნულ პრინციპებში შედის:

- **33-ე პრინციპი. ანაზღაურების ვალდებულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.** ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა წარმოშობს დაზარალებულისათვის ან მისი მემკვიდრეებისათვის ანაზღაურების უფლებას, რაც ასევე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, თავად აუნაზღაუროს მსხვერპლს ზარალი და ასევე მიანიჭოს მას უფლება, მოითხოვოს ანაზღაურება უშუალო დამნაშავეისაგან;
- **34-ე პრინციპი. ანაზღაურებასთან დაკავშირებული პროცედურები.** ყველა დაზარალებულს დაუყოვნებლივ უნდა მიუწვდებოდეს ხელი ქმედით სამართლებრივ ზომაზე სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ დისციპლინარული პროცესის სახით ... ამ უფლების გამოყენებისას ისინი გარანტირებული უნდა იყვნენ დაცვით მუქარისა და რეპრესალებისაგან. ანაზღაურების უფლების გამოყენება მოიცავს საქმესთან დაკავშირებული საერთაშორისო პროცედურების ხელმისაწვდომობას.
- **35-ე პრინციპი. ანაზღაურების პროცედურის გაცხადება.** საგანგებო პროცედურები, რომლებიც დაზარალებულებს აძლევს ანაზღაურების უფლების გამოყენების საშუალებას, უნდა საყოველთაოდ გაცხადდეს კერძო თუ სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებით. ამგვარი ინფორმაცია უნდა გავრცელდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, საკონსულო სამსახურების გამოყენების ჩათვლით, განსაკუთრებით ისეთ

¹⁹⁶ UN Doc. E/CN.4/Sub.2/1007/20/Rev.1, 1997 წლის 2 ოქტომბერი.

ქვეყნებში, რომლებშიც გადასახლებულია მსხვერპლთა დიდი ნაწილი.

- **36-ე პრინციპი. ანაზღაურების უფლების მასშტაბი.** ანაზღაურების უფლება ეხება ყველა ფორმის დაშავებას, რომელიც კი მიიღო მსხვერპლმა; ეს შეიძლება მოიცავდეს ინდივიდუალურ ზომებს, რომლებიც ეხება ანაზღაურების, კომპენსაციისა და აღდგენის უფლებებს და ზოგად ზომებს, დაკავშირებულს დაკმაყოფილებასთან ... იძულებითი გაუჩინარების შემთხვევებში, როცა გაუჩინარებული ადამიანის ბედი ცნობილია (ოჯახებს აქვთ ინფორმაციის მიღების განუყოფელი უფლება), ადამიანის ცხედარი უნდა დაუბრუნდეს ოჯახს იდენტიფიცირების შემდეგ, მიუხედავად იმისა, ნაპოვნი, გასამართლებული და დასჯილი არიან ამ დანაშაულის ჩამდენნი თუ არა.

„პ“ მარკსმანისა და სხვების წინააღმდეგ“, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, უმაღლესი სასამართლო, 1999 [2000] წლის 13 აპრილი, 1 LRC 1, (1999) 2 CHRLD 430, (სენტ-ვინსენტი და გრენადინები)

„პ“-მ, პატიმარმა, უმაღლეს სასამართლოს მიმართა განცხადებით იმის თაობაზე, რომ ციხეების ზედამხედველებმა დაარღვიეს მისი კონსტიტუციური უფლება წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობასთან დაკავშირებით და ბრძანეს მისი ცემა მათრახით, შემდეგ კი ბორკილებდადებული ჩაადგეს იზოლირებულ კამერაში დიდი ხნის განმავლობაში.

1997 წლის ივლისში სასამართლომ დაადგინა, რომ ცემა მათრახით (როგორც სასჯელი დარაჯზე თავდასხმისათვის) ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რომელიც კრძალავს წამებას და ღირსების შემლახავ მოპყრობას. ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკის შემთხვევების გათვალისწინებით მოსამართლემ დაადგინა, რომ: „პატიმრის ამგვარი გამათრახება არაფრით არ შეესაბამება იმ საქციელს, რომელსაც მოელიან ციხის თანამშრომლებისაგან. ეს აუხებებს არა მხოლოდ დასჯილ ადამიანს, არამედ მთელ საზოგადოებას, რომელიც უშვებს ამას. იგი წარმოშობს სიძულვილს კანონისა და საზოგადოების მიმართ. გამათრახება სწორად ესადაგება გაერო-ს დეკლარაციას – დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეებთან მოპყრობის 1-ლ მუხლში მოცემულ განსაზღვრებას ... დღეს სენტლუსის მამაკაცთა ციხეში გამოყენებულ მათრახს თავისი ადგილი უჭირავს ციხის მუზეუმში ისეთ ექსპონატებს შორის, როგორებიცაა: ძელი, სვეტი გამათრახებისათვის, ხრახნი და ადამიანის გალია, რომელშიც ერთხელ დასავლეთის აჯანყებული

ინდიელები იქამდე ჰყავდათ დაკავებული, სანამ ისინი შიმშილით არ დაიხოცნენ“.

სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, გადაიხადოს კომპენსაცია კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევისათვის, ეფუძნება მის ძირითად ვალდებულებას თავისი ცუდი ქმედებებისთვის და არა ქვეშევრდომების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. განსაკუთრებული დაზიანებისთვის ანაზღაურება ხდება ოფიცრის, სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დესპოტური და დამორცხველი საქციელის გამო. განსაკუთრებულ დაზიანებათა შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზიანების ხარისხი, მიყენებული მისი თავმოყვარეობისა და სიამაყისთვის, ფსიქიკური მდგომარეობისა და რეპუტაციისათვის. განსაკუთრებული ზარალი უნდა აბალანსებდეს სახელმწიფოს პარალელურ ინტერესს კანონისა და წესრიგის დაცვაში და, ამავე დროს, არ უნდა ირღვეოდეს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები. განმცხადებლის მიერ გადატანილი დიდი ტკივილის, შეურაცხყოფის, სირცხვილის გათვალისწინებით მას დაენიშნა შესაბამისი კომპენსაცია. კონსტიტუციურ უფლებათა აღსრულების უფლებამოსილება სასამართლოებს აძლევს, სხვათა შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საშუალებას იმ ოფიციალური პირების წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონსტიტუციის დარღვევაზე, მათ აიძულებს, აანაზღაურონ ზარალი, ან მოიხადონ რაიმე დისციპლინარული სასჯელი. ვინაიდან არც სახელმწიფომ და არც ციხის ზედამხედველმა არ მოუხადეს წერილობითი ბოდიში „პ“-ს კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევისათვის, დაზარალებულს ასევე მიეცა განსაკუთრებული ანაზღაურება. შემდგომ სასამართლომ ბრძანა დისციპლინარული საქმის დაწყება ციხის ზედამხედველის წინააღმდეგ.

დანარჩობი

შინაარსი

დანართი N1. რჩეული საერთაშორისო დოკუმენტები	159
1. კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ, 1-ლი-მე-16 მუხლები;	159
2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მე-7 და მე-10 მუხლები; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-3 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, მე-5 მუხლი; ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის ქარტია, მე-5 მუხლი;	166
3. 1949 წლის ყენევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი;	168
4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მე-7 და მე-8 მუხლები;	170
5. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესახებ;	178
6. პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად;	182
7. სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ (ამონარიდები);	193
8. ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (ამონარიდები);	195
9. ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (ამონარიდები);	196
10. წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები (ამონარიდები);	198
11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სერიოზული დარღვევების მსხვერპლთა აღდგენის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის უფლება, სპეციალური მომხსენებლის პროფესორ ჩერიფ ბასიოუნის საბოლოო ანგარიში;	204
12. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები (სტამბოლის ოქმი).	213
დანართი N2. CPT-ს სტანდარტები – რჩეული ამონარიდები	217
დანართი N3. შემდგომი ინფორმაცია და საკონტაქტო ორგანიზაციები	235
დანართი N4. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ რჩეული სამართლებრივი აქტების რატიფიცირების მდგომარეობის ცხრილი	241
დამატებით საკითხავი მასალა	247
წამების აკრძალვა საქართველოში: მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან	
<i>კონსტანტინე კორკელია, ბესარიონ ბოხაშვილი, ლაშა ჭელიძე</i>	248

დანართი N1

რჩეული საერთაშორისო დოკუმენტები

1.

კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ, მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1984 წ. 10 დეკემბრის 39/46 რეზოლუციით.

მუხლი 1

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტკივილი ან ტანჯვა განზრახ მიადგა პირს იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისაგან მიღებულ იქნეს ინფორმაცია ან აღიარება, მისი დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან ეჭვმიტანილია მის ჩადენაში, მისი დაშინებით ან იძულებით მესამე პირის ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული მიზეზით, როცა ასეთი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია ან წაქეზებით ან თანხმობით ან თანამდებობის პირის უსიტყვო თანხმობით ან სხვა პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა როგორც ოფიციალური პირი. ეს განმარტება არ მოიცავს ტკივილსა და ტანჯვას, რომელიც გამომდინარეობს, განუყოფელია ან შემთხვევით გამოიწვევა კანონიერი სანქციით.
2. ეს მუხლი არ ეწინააღმდეგება არც ერთ საერთაშორისო დოკუმენტს ან შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რომელიც მოიცავს ან შეიძლება მოიცავდეს დებულებას უფრო ფართო გამოყენების შესახებ.

მუხლი 2

1. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ეფექტური საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო ან სხვა ზომები, რათა თავის

იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე აღკვეთილ იქნეს წამების ფაქტები.

2. არც ერთი განსაკუთრებული გარემოება, ომი ან ომის საშიშროება, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა არ ჩაითვლება წამების გამართლებად.
3. ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს ბრძანება არ ჩაითვლება წამების გამართლებად.

მუხლი 3

1. არც ერთმა მონაწილემ სახელმწიფომ არ უნდა გააძევოს, დააბრუნოს (refouler) ან გადასცეს პირი სხვა სახელმწიფოს, სადაც მისი წამების საშიშროების რეალური საფუძველი არსებობს.
2. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა საფუძველი, უფლებამოსილმა ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა სათანადო ფაქტორი, მათ შორის მოცემულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მასობრივი, დაუდევარი და მძიმე დარღვევების შესაბამისი პრაქტიკის არსებობა.

მუხლი 4

1. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ წამების ყველა აქტი დანაშაულად ითვლებოდეს ამ კონკრეტული სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. იგივე უნდა გავრცელდეს წამების მცდელობასა და სხვა ისეთ ქმედებაზე, რომელიც წარმოადგენს წამებაში მონაწილეობას ან თანამონაწილეობას და განხორციელებულია ნებისმიერი პირის მიერ.
2. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ დასჯადად უნდა გამოაცხადოს ასეთი ქმედებები და გაითვალისწინოს შესაბამისი სასჯელები, მათი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით.

მუხლი 5

1. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ, საჭიროებისამებრ, უნდა მიიღოს ზომები, რათა IV მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე თავისი იურისდიქცია გავრცელდეს შემდეგ შემთხვევებში:

- a. თუკი დანაშაული ჩადენილია თავის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე ან სახელმწიფოში რეგისტრირებულ გემზე ან საჰაერო ტრანსპორტზე.
 - b. თუკი ეჭვმიტანილი პირი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა.
 - c. თუკი მსხვერპლი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა და ეს სახელმწიფო ამას ითვალისწინებს.
2. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, თუკი საჭირო გახდება თავისი იურისდიქციის გავრცელება მაშინ, როცა ასეთ დანაშაულზე ეჭვმიტანილი პირი იმყოფება თავის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და, VIII მუხლის შესაბამისად, არ გადასცემს მას ამ მუხლის I პუნქტში აღნიშნულ რომელიმე სახელმწიფოს.
 3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს შიდა კანონმდებლობის შესაბამისად სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გამოყენებას.

მუხლი 6

1. ნებისმიერი მონაწილემ სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება IV მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე დარღვევაში ეჭვმიტანილი პირი, ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ გარემოებები ამას ადასტურებენ, ვალდებულია, დააპატიმროს იგი, ან მიიღოს სხვა კანონიერი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი იქ ყოფნა. დაპატიმრება და სხვა კანონიერი ზომა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ან გადაცემის პროცედურის განსახორციელებლად.
2. ასეთმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ფაქტების წინასწარი გამოძიება.
3. ამ მუხლის I პუნქტის საფუძველზე დაპატიმრებულ პირს უნდა დაეხმარონ, რათა იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს იმ სახელმწიფოს უახლოეს წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც არის, ან, თუ იგი მოქალაქეობის არმქონე პირია, იმ სახელმწიფოს წარმომადგენლობას, სადაც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს.

4. თუკი სახელმწიფო, ამ მუხლის თანახმად დააკავებს პირს, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს V მუხლის I პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფოებს პირის დაპატიმრებისა და პატიმრობის საფუძვლების შესახებ. სახელმწიფომ, რომელიც, ამ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად აწარმოებს წინასწარ გამოძიებას, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ხსენებულ სახელმწიფოებს თავის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და უნდა მიუთითოს, აპირებს თუ არა თავისი იურისდიქციის გამოყენებას.

მუხლი 7

1. მონაწილე სახელმწიფომ, რომლის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზეც IV მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი პირია აღმოჩენილი, თუ იგი ასეთ პირს არ გადასცემს, V მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრალდების მიზნით საქმე უნდა წარუდგინოს თავის კომპეტენტურ ორგანოებს.
2. ხელისუფლების ორგანოებმა გადაწყვეტილება ისევე უნდა მიიღონ, როგორც მათი სამართლით გათვალისწინებული ჩვეულებრივი მიმე დარღვევის შემთხვევაში. V მუხლის II პუნქტით გათვალისწინებულ პირობებში, ბრალდებისა და მსჯავრდებისათვის აუცილებელ სამხილთა სტანდარტები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად მკაცრი, ვიდრე ეს V მუხლის პირველი პუნქტითაა გათვალისწინებული.
3. ნებისმიერი პირისათვის, რომლის მიმართაც IV მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დარღვევასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, გარანტირებული უნდა იყოს სამართლიანი მოპყრობა სასამართლო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

მუხლი 8

1. მე-4 მუხლით გათვალისწინებული დარღვევები მონაწილე სახელმწიფოებს შორის გადაცემის შესახებ დადებულ შეთანხმებებში უნდა განიხილებოდეს როგორც გადაცემისათვის მაკვალიფიცირებული დანაშაულები. მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, გაითვალისწინონ ასეთი დანაშაულები სახელმწიფოთა შორის დადებულ გადაცემის ნებისმიერ ხელშეკრულებაში.
2. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც გადაცემას მხოლოდ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე ახორციელებს, გადაცემის შესახებ თხოვნას მიიღებს ხელშეკრულების მონაწილე იმ სახელმწიფოსაგან, რომელთანაც აღნიშნულის შესახებ შეთანხმება არ გააჩნია. მას შეუძლია, ეს კონ-

ვენცია ასეთ დარღვევებთან დაკავშირებით გადაცემის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნის. გადაცემა უნდა დაექვემდებაროს გამამცემი სახელმწიფოს სამართლით გათვალისწინებულ სხვა პირობებს.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც გადაცემას ხელშეკრულების საფუძველზე არ ახორციელებენ, ასეთი დანაშაულები გადაცემის საფუძველად უნდა აღიარონ ურთიერთშეთანხმებით იმ სახელმწიფოს სამართლით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, რომელსაც გადაცემა ეთხოვა.
4. მონაწილე სახელმწიფოებს შორის გადაცემის განხორციელების მიზნისათვის ასეთი დარღვევები განიხილება როგორც ჩადენილი არა მხოლოდ იმ ადგილას, სადაც ისინი მოხდა, არამედ სახელმწიფოების იმ ტერიტორიებზეც, რომლებზეც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებს საკუთარი იურისდიქციის გავრცელება მოეთხოვებათ.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოებმა ერთმანეთს მაქსიმალური დახმარება უნდა გაუწიონ სისხლის სამართლის პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც აღიძრა მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევებზე, იმ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ჩათვლით, რომლებიც მათ განკარგულებაში იმყოფება სასამართლო პროცესისათვის.
2. მონაწილე სახელმწიფოებმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ნებისმიერი ორმხრივი სასამართლო დახმარების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, რომლებიც მათ შორის შეიძლება არსებობდეს.

მუხლი 10

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ წამების აკრძალვასთან დაკავშირებული განათლება და ინფორმაცია სრულად იქნეს შეტანილი სამართალდამცავი, სამოქალაქო თუ სამხედრო პირების, სამედიცინო პერსონალის, თანამდებობის პირებისა და იმ პირებისათვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამაში, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეთ ნებისმიერი სახით დაპატიმრებული, დაკავებული ან საპყრობილეში მოთავსებული პირის დაპატიმრებასთან, დაკითხვასა და მოპყრობასთან.
2. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ წამების აკრძალვა უნდა შეიტანოს თითოეული ასეთი პირის მოვალეობებისა და ფუნქციის განმსაზღვრელ ნორმებსა და ინსტრუქციებში.

მუხლი 11

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე, წამების ნებისმიერი შემთხვევის აღკვეთის მიზნით, სისტემატურად უნდა გადასინჯოს დაკითხვის წესები, ინსტრუქციები, მეთოდები და პრაქტიკა, აგრეთვე ნებისმიერი ფორმით დაკავებული, დაპატიმრებული ან საპყრობილეში ჩასმული პირის პატიმრობისა და მოპყრობის პირობები.

მუხლი 12

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ თავისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა აწარმოონ დაუყოვნებელი და მიუკერძოებელი გამოძიება, როცა არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ წამების აქტი ჩადენილ იქნა თავის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე.

მუხლი 13

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმ პირის საჩივრის შეტანის უფლება და კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ მისი საქმის დაუყოვნებელი და მიუკერძოებელი შესწავლა, რომელიც აცხადებს, რომ აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე. საჭიროა გარკვეული ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსარჩელისა და მონმეების დაცვა ცუდი მოპყრობისა და დაშინებისაგან, რომელიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს საჩივრის ან ჩვენების მიცემას.

მუხლი 14

1. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავის სამართლებრივ სისტემაში უნდა უზრუნველყოს, რომ წამების მსხვერპლმა მიიღოს ანაზღაურება და იქონიოს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის ხელშეუვალი უფლება, ყველა იმ საშუალების ჩათვლით, რაც საჭიროა სრული რეაბილიტაციისათვის. წამების შედეგად მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში, მსხვერპლის კომპენსაციის უფლება ენიჭებათ მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

2. ამ მუხლში არაფერი ახდენს ზეგავლენას დაზარალებულის ან სხვა პირის კომპენსაციის უფლებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სამართალით.

მუხლი 15

თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც მიღებულია წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად სასამართლო პროცესში, გარდა იმ პირთა წინააღმდეგ აღძრული პროცესისა, რომელთაც ბრალად ედებათ წამების რომელიმე ფაქტი.

მუხლი 16

1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, თავის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ ტარიტორიაზე აღკვეთოს არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის აქტები, რომლებიც შესაბამება მუხლის შესაბამის წამების განსაზღვრებას და როდესაც ასეთ აქტებს ახორციელებს სახელმწიფო თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან ხორციელდება მათი ნაქეზებით, ნებართვით ან უსიტყვო თანხმობით. კერძოდ, ვალდებულებები, რომლებსაც ეხება მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები, წამებასთან ერთად, გულისხმობს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელის სხვა ფორმებს.
2. ამ კონვენციის დებულებები არ ეწინააღმდეგება სხვა სართაშორისო აქტებს ან სახელმწიფოთა შიდა სამართლის დებულებას, რომლებიც კრძალავს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს, ან რომლებიც შეეხება გადაცემას ან გაძევებას.

2.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

*მიღებულია და ხელმოსაწერად, რატიფიკაციისა და მიერთებისათვის
ლიაა, გაერთიანებული ერების 2200A. (XXI) რეზოლუციით,
1966 წლის 16 დეკემბერს*

მუხლი 7

არავის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამება ან სასტიკი, არაადამიანური, ან მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. კერძოდ, არავის მიმართ არ შეიძლება იქნეს ჩატარებული სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტი მისი თავისუფალი ნების გარეშე.

მუხლი 10 (1)

ყველა თავისუფლებაშეზღუდულ პირს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და ადამიანის პიროვნებისათვის შესაფერისი ღირსების პატივისცემით.

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ,

ხელმოწერილია 1950 წლის 4 ნოემბერს რომში

მუხლი 3

არავის მიმართ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური, მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი.

ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ

*ხელმოწერილია ადამიანის უფლებათა სპეციალურ ამერიკათაშორის
კონფერენციაზე, სან-ხოსე, კოსტა-რიკა, 1969 წლის 22 ნოემბერი*

მუხლი 5

1. ყველას აქვს თავისი ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური მთლიანობის პატივისცემის უფლება.
2. არავის მიმართ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური, მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. აუცილებელია ყველა თავისუფლებადკვეთილი ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსებისადმი პატივისცემით მოპყრობა.
3. დაუშვებელია რომელიმე ადამიანის დასჯა, გარდა სისხლის სამართლის დამნაშავეებისა.

4. ეჭვმიტანილი პირები (გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა) გამოყოფილი უნდა იქნენ ბრალდებულებისაგან და მათ მიმართ ისევე შესაბამისი უნდა იყოს მოპყრობა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ეჭვმიტანილის მიმართ.
5. სასამართლო პროცესში მონაწილე არასრულწლოვნები გამოყოფილი უნდა იქნენ სრულწლოვნებისაგან და უნდა წარდგინდეს სპეციალური სასამართლოს წინაშე რაც შეიძლება სწრაფად და მათ მიმართ მოპყრობაც შესაფერისი უნდა იყოს.
6. დასჯას, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების ჩამორთმევას, აქვს განსაკუთრებული მიზანი – პატიმრების რეფორმა და სოციალური ადაპტაცია.

ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია

მიღებულია აფრიკული ერთობის ორგანიზაციის მიერ

1981 წლის 27 ივნისს ბანჯულში

მუხლი 5

ყველა ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების მიმართ აუცილებელია პატივისცემით მოპყრობა და მისი სამართლებრივი სტატუსის აღიარება. აკრძალულია ადამიანის ნებისმიერი ფორმით ექსპლუატაცია და დამცირება, კერძოდ, როგორებიცაა: მონობა, მონური შრომა, წამება, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა და დასჯა.

3.

1949 წლის უნევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლი
მიღებულია 1949 წლის 12 აგვისტოს ომის მსხვერპლთა დაცვის მიზნით
საერთაშორისო კონვენციების შემუშავების შესახებ დიპლომატიურ
კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა უნევაში
1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტომდე.

ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე არასაერთა-
შორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონფლიქტის მონა-
წილე ყოველი მხარე ვალდებულია დაიცვას, სულ ცოტა, შემდეგი დებულე-
ბანი:

(1) პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში,
შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც
იარაღი დაყარეს, ან პირები, რომლებიც ავადმყოფობის, დაჭრის, დაპა-
ტიმრებისა თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო მონაწილეობას აღარ იღებენ
საომარ მოქმედებებში, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა სარგებლობდნენ
ჰუმანური მოპყრობით რასის, კანის ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქე-
სის, წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ან სხვა
ანალოგიურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ყოველგვარი დისკრიმი-
ნაციის გარეშე. ამ მიზნით აკრძალულია და ყოველთვის და ყველგან
აკრძალული იქნება ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ შემდეგი მოქმედე-
ბანი:

(ა) პირის სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, კერძოდ:
ნებისმიერი სახის მკვლელობა, დასახიჩრება, სასტიკი მოპყრობა, წამება
ან ტანჯვა;

(ბ) მძევლად აყვანა;

(გ) პირის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირე-
ბელი მოპყრობა;

(დ) სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლოს მიერ, ცივილიზებული
ერების მიერ აუცილებელი ხასიათის მქონედ აღიარებული სასამართლო
გარანტიების დაცვით გამოტანილი წინასწარი გადაწყვეტილების გა-
რეშე სამართლაში მიცემა და სასჯელის აღსრულება.

(2) დაჭრილები და ავადმყოფები უნდა შეაგროვონ და სათანადო წესით დახ-
მარება აღმოუჩინონ. ისეთ მიუკერძოებელ ჰუმანიტარულ ორგანიზა-

ციას, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, შეუძლია, კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შესთავაზოს თავისი სამსახური.

გარდა ამისა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები უნდა ეცადონ, სპეციალური შეთანხმებების გზით აამოქმედონ ამ კონვენციის ყველა სხვა დებულება ან მათი ნაწილი.

ზემოაღნიშნულ დებულებათა გამოყენება არ ხელყოფს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა იურიდიულ სტატუსს.

4.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი რომი, 17 ივლისი, 1998 წ.

მუხლი 7.

დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ

1. წინამდებარე სტატუტის მიზნებისათვის „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“ ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, როცა იგი ჩადენილია ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური გაცნობიერებული თავდასხმების ფარგლებში:
 - (ა) მკვლელობა;
 - (ბ) განადგურება;
 - (გ) დამონება;
 - (დ) დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება;
 - (ე) დაპატიმრება ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარად უხეში ხელყოფა, ჩადენილი საერთაშორისო სამართლის ძირითადი წესების დარღვევით;
 - (ვ) წამება;
 - (ზ) გაუპატიურება, სქესობრივი დამონება, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი ორსულობა, იძულებითი სტერილიზაცია ან მსგავსი სიმძიმის სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმები;
 - (თ) ნებისმიერი იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ერთობის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული (როგორც ეს განმარტებულია მე-3 პუნქტში) ან სხვა ისეთი ნიშნის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად არის აღიარებული, დაკავშირებული ამ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან;
 - (ი) პირთა იძულებითი გაუჩინარება;
 - (კ) აპართეიდის დანაშაული;
 - (ლ) მსგავსი ხასიათის სხვა არაადამიანური განზრახ ქმედება, რომელიც იწვევს მძიმე ტანჯვას, სხეულის მძიმე დაზიანებას, ანდა სერიოზულ ზიანს აყენებს პირის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას.

2. პირველი პუნქტის მიზნებისათვის:

- (ა) „ნებისმიერ სამოქალაქო პირზე თავდასხმა“ ნიშნავს ქმედებას, რომელიც მოიცავს პირველ პუნქტში მითითებულ ქმედებათა მრავალგზის ჩადენას, მიმართულს ნებისმიერი სამოქალაქო პირის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ან ორგანიზაციის ასეთი თავდასხმის განმარტებული პოლიტიკის გატარების ან მისი ხელშეწყობის მიზნით;
- (ბ) „განადგურება“ მოიცავს ცხოვრების ისეთი პირობების განზრახ შექმნას, **inter alia**, საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის აღკვეთას, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობის ნაწილის ამონყვეტას;
- (გ) „დამონება“ ნიშნავს ადამიანის მიმართ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ან ყველა უფლებამოსილების განხორციელებას, და მოიცავს ასეთი უფლებამოსილების განხორციელებას, ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით, ვაჭრობის დროს;
- (დ) „დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება“ ნიშნავს პირთა იძულებით გადაადგილებას, რაც გამოიხატება მათი გამოძევებით კანონიერი საცხოვრებელი ადგილიდან ან სხვა იძულებითი ქმედებით, როცა საამისოდ არ არსებობდა საერთაშორისო სამართლით დაშვებული საფუძვლი;
- (ე) „წამება“ ნიშნავს მძიმე ტკივილის ან ტანჯვის, იქნება ეს ფიზიკური თუ სულიერი, მიყენებას იმ პირისათვის, რომელიც დამნაშავეს პატიმრობის ან კონტროლის ქვეშ იმყოფება; ამასთან, წამებად არ ითვლება ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც გამონკვეულია კანონიერი სანქციებით, ან განუყოფელია ამ სანქციებისაგან, ან შემთხვევით წარმოიქმნება მათი აღსრულების პროცესში;
- (ვ) „იძულებითი ორსულობა“ ნიშნავს იძულებით დაორსულებული ქალის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის მიზნით, ან საერთაშორისო სამართლის სხვა მძიმე დარღვევათა ჩადენას. ეს განსაზღვრება არავითარ შემთხვევაში არ იქნება განმარტებული როგორც ორსულობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შემლახავი.
- (ზ) „დევნა“ ნიშნავს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ ამა თუ იმ ჯგუფის ან ერთობისადმი კუთვნილების ნიშნით ძირითად უფლებათა განზრახ და სერიოზულ ხელყოფას;
- (თ) „აპართეიდის დანაშაული“ ნიშნავს 1-ლ პუნქტში აღნიშნული არაადამიანური მოქმედების მსგავს ქმედებას, ჩადენილს ისეთი ინსტიტუციონალიზებული რეჟიმის კონტექსტით, რომელიც გამოიხატება ერთი რასობრივი ჯგუფის მიერ სხვა რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების ჩაგვრით ან მათზე ბატონობით და ჩადენილია ასეთი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით;

- (ი) „ადამიანთა იძულებით გაუჩინარება“ ნიშნავს პირთა დაკავებას, დაპატიმრებას ან მოტაცებას სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ ან მათი ნებართვით, მხარდაჭერით თუ თანხმობით, რის შემდეგაც ისინი არ აღიარებენ, ან უარს აცხადებენ, ახლობლებს აცნობონ, თუ სად იმყოფებიან ეს ადამიანები, ან რა ბედი ეწიათ მათ, რათა კანონისმიერი დაცვა ხანგრძლივი პერიოდით არ შეეხოს მათ ბედს ან ადგილსამყოფელის შეტყობინების აუცილებლობას;
3. წინამდებარე სტატუტის მიზნებისთვის ტერმინი „გენდერული“ საზოგადოების კონტექსტით ეხება ორივე სქესს – მამრობითსა და მდედრობითს. ტერმინი „გენდერულს“ არ გააჩნია სხვა შინაარსობრივი დატვირთვა, გარდა ზემოაღნიშნულისა.

მუხლი 8.

სამხედრო დანაშაული.

1. სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს სამხედრო დანაშაულებზე, განსაკუთრებით, თუ იგი ჩადენილია გეგმის ან პოლიტიკის ფარგლებში ან ამგვარი დანაშაულის ფართომასშტაბიანი ჩადენის შემთხვევაში.
2. წინამდებარე სტატუტის მიზნებისთვის „სამხედრო დანაშაული“ ნიშნავს:
 - ა) 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევებს, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას იმ პირების ან საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც დაცულნი არიან ჟენევის კონვენციის შესაბამისი დებულებებით, ესენია:
 - (I) განზრახ მკვლელობა;
 - (II) წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მათ შორის ბიოლოგიური ექსპერიმენტები;
 - (III) მძიმე ტანჯვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
 - (IV) საკუთრების უკანონო, უაზრო და ფართომასშტაბიანი განადგურება და მითვისება, რაც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით;
 - (V) სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში;

- (VI) სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირისათვის სამართლიანი და ნორმა-
ლური სასამართლო განხილვის უფლების განზრახ ჩამორთმევა;
- (VII) უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება, ან უკანონო თავისუფლების
აღკვეთა;
- (VIII) მძევლების აყვანა;
- ბ) ამ კანონებისა და ჩვეულებების მიძიმე დარღვევებს, რომლებიც საერთა-
შორისო სამართლის შესაბამისად გამოიყენება საერთაშორისო შეიარა-
ღებული კონფლიქტების დროს, კერძოდ, ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვ-
ლილი ქმედება:
- (I) განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე, ან ცალკეულ სამო-
ქალაქო პირებზე, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქ-
მედებებში;
- (II) განზრახ თავდასხმა სამოქალაქო ობიექტებზე, ე.ი. იმ ობიექტებზე, რომ-
ლებიც არ ითვლებიან სამხედრო სამიზნეებად;
- (III) დარტყმების განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან სამშვი-
დობო მისიაში გაერო-ს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე,
ობიექტებზე, მასალებზე, ქვედანაყოფებზე ან სატრანსპორტო საშუ-
ალებებზე, სანამ მათ აქვთ დაცვის უფლება, რომელიც ენიჭება სამო-
ქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქ-
ტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;
- (IV) განზრახ თავდასხმა, როდესაც ცნობილია, რომ იგი გამოიწვევს სამო-
ქალაქო პირთა შემთხვევით დაღუპვას ან დაზიანებას, ან სამოქალაქო
ობიექტების ნგრევას, ანდა ბუნებრივი გარემოს ფართომასშტაბიან, ხან-
გრძლივ და მნიშვნელოვან ზიანს, რომელიც აშკარად იქნება აღმატე-
ბული კონკრეტულ და უშუალოდ მოსალოდნელ საერთო სამხედრო უპი-
რატესობაზე;
- (V) ნებისმიერი საშუალებით ქალაქებზე, სოფლებზე, საცხოვრებლებზე ან
შენობებზე თავდასხმა, ან მათი დაბომბვა, რომლებიც არ არიან დაცული
და არ ითვლებიან სამხედრო სამიზნეებად;
- (VI) იმ მებრძოლის მოკვლა ან დაჭრა, რომელმაც დაყარა იარაღი, ან, ვინა-
იდან აღარ გააჩნდა დაცვის საშუალება, უსიტყვოდ დანებდა;
- (VII) დროებით ცეცხლის შეწყვეტის აღმნიშვნელი აღმის, ეროვნული დრო-
შის, ანდა გაერო-ს ან მოწინააღმდეგის განმასხვავებელი სამხედრო
ნიშნისა და ფორმის, აგრეთვე შენევის კონვენციებით გათვალისწინე-
ბული განმასხვავებელი ემბლემების არასათანადო გამოყენება, რამაც
ადამიანთა სიკვდილი ან მათი მიძიმე ფიზიკური დაზიანება გამოიწვია;
- (VIII) ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამო-
ქალაქო მოსახლეობის ნაწილის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაყვანა

- თავის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაცია ან გადაადგილება ამ ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში ან მის გარეთ;
- (IX) რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, საავადმყოფოებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავშეყრის ადგილებზე დარტყმების განზრახ მიყენება, თუ ისინი არ ითვლებიან სამხედრო სამიზნეებად;
- (X) მონინალმდევის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება, ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო თუ სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, რაც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება მისი ინტერესებიდან გამომდინარე და ინვესს ამ პირის ან პირთა სიკვდილს, ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას;
- (XI) მონინალმდევ ერის ან მისი შეიარაღებული ძალების პირთა მუხთალი მკვლელობა ან მათთვის ჭრილობის მიყენება;
- (XII) იმის გამოცხადება, რომ არ იქნება არავითარი დანდობა;
- (XIII) მონინალმდევის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება განპირობებული არ იყო იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით;
- (XIV) იმის გამოცხადება, რომ მონინალმდევ მხარის მოქალაქეთა უფლებები და სარჩელები სასამართლოში გაუქმებული, შეჩერებული ან მიუღებელია;
- (XV) მონინალმდევ მხარის მოქალაქეთა იძულება, მონანილეობა მიიღონ თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი ომის დაწყებამდე მეომარი მხარის სამსახურში;
- (XVI) ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარცვა, თუნდაც იერიშით ალები-სას;
- (XVII) შხამიანი ნივთიერების ან მოწამლული იარაღის გამოყენება;
- (XVIII) მსუთავი, მომწამვლელი ან სხვა აირების, აგრეთვე ყოველგვარი მსგავსი სითხის, მასალის ან საშუალების გამოყენება;
- (XIX) ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადვილად იხლიჩება ან ბრტყელდება ადამიანის სხეულში, როგორებიცაა მყარგარსიანი ტყვიები, რომელთა გარსი არ ფარავს ტყვიის მთელ გულას, ან აქვს ნასერები;
- (XX) ისეთი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ტექნიკის, აგრეთვე ბრძოლის წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ინვევენ გადაჭარბებულ ზიანს ან გაუმართლებელ ტანჯვას, ან შეიარაღებული კონფლიქ-

- ტების საერთაშორისო სამართლის განურჩეველ დარღვევას, ამასთან, თუ ასეთი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ტექნიკა, აგრეთვე ბრძოლის წარმოების ასეთი მეთოდები ექვემდებარება საყოველთაო აკრძალვას და შესწორების სახით შეტანილია წინამდებარე სტატუტის დანართში 121-ე და 123-ე მუხლების სათანადო დებულებების შესაბამისად;
- (XXI) ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;
- (XXII) გაუპატიურება, სექსუალური დამონება, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია მე-7 მუხლის 2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე წარმოადგენს ჟენევის კონვენციების მიძიმე დარღვევას;
- (XXIII) სამოქალაქო ან სხვა დაცული პირის თანდასწრების გამოყენება ცალკეული პუნქტების, რაიონების ან შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებებისგან დაცვის მიზნით;
- (XXIV) დარტყმების განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებზე და პერსონალზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იყენებენ ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს;
- (XXV) ომის წარმოების საშუალების სახით სამოქალაქო მოსახლეობაში შიმშილის განზრახ გამოწვევა სასიცოცხლო მნიშვნელობის საგნების ჩამორთმევით, მათ შორის ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული დახმარების განწვევისათვის განზრახ ხელის შეშლა;
- (XXVI) თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების განწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.
- გ) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევები, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება, ჩადენილი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საომარ მოქმედებებში, მათ შორის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც დაყარეს იარაღი ან აღარ შესწევთ ბრძოლის უნარი ავადმყოფობის, მიღებული ჭრილობის, პატიმრობის ან სხვა მიზეზის გამო:
- (I) ძალადობა, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან პიროვნების წინააღმდეგ, კერძოდ, ნებისმიერი ფორმით ჩადენილი მკვლელობა, დასახიჩრება, სასტიკი მოპყრობა ან წამება;
- (II) ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

(III) მძევლების აყვანა;

(IV) განაჩენის გამოტანა ან მისი აღსრულება დადგენილი წესით დაფუძნებული წინასწარი სასამართლო განხილვის გარეშე, იმ ყველა სასამართლო გარანტიის დაცვით, რომლებიც საყოველთაოდ სავალდებულოდ არის აღიარებული;

დ) მე-2 „გ“ პუნქტი ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს და ამდენად არ გამოიყენება შიდა წესრიგის დარღვევისა და დაძაბულობის დროს, როგორებიცაა: არეულობა, ძალადობის ცალკეული და სპორადული აქტები ან სხვა ანალოგიური ხასიათის აქტები;

ე) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებული საერთაშორისო სამართალით დამკვიდრებული კანონებისა და ჩვეულებების სხვა მძიმე დარღვევები, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება:

(I) დარტყმების განზრახ მიყენება სამოქალაქო მოსახლეობაზე, ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში;

(II) დარტყმების განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებსა და პერსონალზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იყენებენ ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს;

(III) დარტყმების განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან სამშვიდობო მისიაში გაერო-ს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე, დანადგარებზე, ობიექტებზე, მასალებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, სანამ მათ აქვთ დაცვის ის უფლება, რომელიც ენიჭება სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;

(IV) რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, ჰოსპიტალებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავშეყრის ადგილებზე განზრახ დარტყმების მიყენება, თუ ისინი არ ითვლებიან სამხედრო ობიექტებად;

(V) ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარცვა, თუნდაც იერიშით ადებისას;

(VI) გაუპატიურება, სქესობრივი მონობა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია მე-7 მუხლის მე-2 „გ“ პუნქტით, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე ითვლება ჟენევის ოთხი კონვენციისთვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევად;

- (VII) თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების განწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ან დაჯგუფებებში სამსახურისთვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად;
- (VIII) ბრძანების გაცემა იმის შესახებ, რომ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო სამოქალაქო მოსახლეობა გადაყვანილი იქნეს სხვა ადგილას, თუ ამას არ მოითხოვს აღნიშნულ სამოქალაქო პირთა უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზეზები;
- (IX) მონინალმდეგე მხარის მებრძოლის მუხანათურად მოკვლა ან ქრილობის მიყენება;
- (X) იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება;
- (XI) კონფლიქტში მონაწილე მონინალმდეგე მხარის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დასახიჩრება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო თუ სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, რომლებიც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება ამ პირის ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს, ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას;
- (XII) მონინალმდეგის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება განპირობებული არ იყო იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით.

ვ) მე-2 „ე“ პუნქტი ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს და ამრიგად არ გამოიყენება შიდა წესრიგის დარღვევისა და დაძაბულობის დროს, როგორებიცაა: არეულობა, ძალადობის ცალკეული და სპორადული აქტები ან სხვა მსგავსი ხასიათის აქტი. იგი ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როდესაც მიმდინარეობს ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სამთავრობო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ დაჯგუფებებს შორის;

3. მე-2 პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში არაფერი ხელყოფს მთავრობის პასუხისმგებლობას, დაიცვას ან აღადგინოს სამართალი და წესრიგი სახელმწიფოში ან ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას სახელმწიფოს ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა.

5.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 ზოგადი კომენტარი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის შესახებ

მე-7 მუხლი, ორმოცდამეოთხე სესია, 1992.

ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოთა მიერ მიღებული ზოგადი შენიშვნებისა და ზოგადი რეკომენდაციების კრებული

1. წინამდებარე ზოგადი შენიშვნა ჩანაცვლებულია მე-7 ზოგადი შენიშვნით (მეთექვსმეტე სესია, 1982), რომელიც შემდგომ ასახავს და ავითარებს მას.
2. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დებულებათა მიზანია ადამიანის ღირსებისა და მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვა. მონაწილე სახელმწიფოს ვალია, სამართლებრივი და სხვა შესაძლო ზომებით დაიცვას ადამიანი მე-7 მუხლით აკრძალული ქმედებებისაგან, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა ეს თანამდებობის, არაოფიციალური თუ კერძო პირების მიერ. მე-7 მუხლში მოცემულ აკრძალვას ენაცვლება პაქტის მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემული პოზიტიური მოთხოვნა – „ყველა თავისუფლებაშეზღუდულ პირს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემით.“
3. მე-7 მუხლი კრძალავს ვადის ყოველგვარ ხანდაზმულობას. კომიტეტი ასევე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ისეთი საგანგებო სიტუაციების დროსაც კი, რომლებიც მოცემულია პაქტის მე-4 მუხლში, დაუშვებელია მე-7 მუხლში მოცემული დებულების შეჩერება. იგი ძალაში უნდა დარჩეს. კომიტეტი ასევე ადგენს, რომ არ არსებობს რაიმე ისეთი გარემოება, რომელსაც შეუძლია მე-7 მუხლში მოცემულ დარღვევათა გამართლება რაიმე მიზეზით, ზემდგომი ოფიცრის ან სახელმწიფო მოხელის ბრძანების ჩათვლითაც კი.
4. პაქტი არ შეიცავს რაიმე განსაზღვრებას მე-7 მუხლში მოცემული ცნებებისათვის, არც კომიტეტი თვლის აუცილებლად აკრძალულ ქმედებათა ჩამონათვალის შედგენას ან რაიმე მკვეთრი განსხვავების დადგენას დასჯისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვადასხვა ტიპს შორის; განსხვავება დამოკიდებულია მოპყრობის გამოყენებული სახის ბუნებაზე, მიზეზსა და სისასტიკეზე.
5. მე-7 მუხლში მოცემული აკრძალვები დაკავშირებულია არა მხოლოდ იმ ქმედებებთან, რომლებსაც მოაქვთ ფიზიკური ტკივილი, არამედ ასევე

ისეთ ქმედებებთან, რომლებიც ინვეს დაზარალებულის ფსიქიკურ აშლილობას. კომიტეტის აზრით, უფრო მეტიც, აკრძალვა ასევე უნდა ეხებოდეს ფიზიკურ დასჯას, დანაშაულისათვის დისციპლინარული სასჯელის ჩათვლით. უნდა აღინიშნოს, რომ მე-7 მუხლი განსაკუთრებით იცავს ბავშვებს, და სასწავლო თუ სამედიცინო დაწესებულებათა მოსწავლეებსა და პაციენტებს.

6. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაკავებულების ან დაპატიმრებულების ხანგრძლივი იზოლირებული პატიმრობა უტოლდება მე-7 მუხლის აკრძალვის დარღვევას. როგორც კომიტეტმა თავის მე-6 (16) ზოგად შენიშვნაში დაადგინა, პაქტის მე-6 მუხლი ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას იმ პირობებით, რომლებიც მკაცრად მოითხოვს გაუქმების სასურველობას. უფრო მეტიც, როცა მონაწილე სახელმწიფო სიკვდილით დასჯას იყენებს უმძიმესი დანაშაულისათვის, იგი მკაცრად შეზღუდული უნდა იყოს არა მხოლოდ მე-6 მუხლის შესაბამისად, არამედ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ განსასჯელმა განიცადოს რაც შეიძლება ნაკლები ფიზიკური თუ მორალური ტკივილი.
7. მე-7 მუხლი გარკვევით კრძალავს სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტებს ადამიანის თანხმობის გარეშე. კომიტეტი აღნიშნავს, რომ, ჩვეულებრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით ცოტა რამ თუ მოიპოვება მონაწილე სახელმწიფოების მიერ მონოდებულ ინფორმაციაში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხზე დაკვირვებას. კომიტეტის აზრით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც არ შეუძლიათ ადეკვატური აზროვნება, და დაკავებულებისა თუ დაპატიმრებულების მიმართ. სამედიცინო და მეცნიერული ექსპერიმენტის ჩატარება დაუშვებელია ისეთ ადამიანებზე, რომელთა ჯანმრთელობისათვის ეს შესაძლო უარყოფით შედეგს გამოიღებს.
8. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მე-7 მუხლის შესრულებისათვის არ არის საკმარისი ამგვარი მოპყრობისა თუ დასჯის აკრძალვა ან მისთვის დანაშაულის სახის მიცემა. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ კომიტეტს იმ სამართლებრივი, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა ზომების შესახებ, რომლებსაც ისინი იღებენ წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების პროფილაქტიკისა და დასჯისათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.
9. კომიტეტის აზრით, მონაწილე მხარეებმა არ უნდა დააყენონ ადამიანები წამების ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების საშიშროების წინაშე, თუ მოხდება მათი ექსტრადირება და გასახლება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღნიშნონ თავიანთ ანგარიშებში ის ზომები, რომლებიც მათ მიღებული აქვთ აღნიშნულთან დაკავშირებით.

10. კომიტეტმა უნდა მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ავრცელებენ მონაწილე სახელმწიფოები მოსახლეობაში შესაბამის ინფორმაციას მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებათა შესახებ. სასჯელალსრულების ორგანოების თანამშრომლებმა, მედიცინის მუშაკებმა, პოლიციის ოფიცრებმა და სხვა პირებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ადამიანის დაკავების ან დაპატიმრების პროცესში, უნდა მიიღონ შესაბამისი ინსტრუქციები და გაიარონ ტრენინგი. მონაწილე მხარეებმა უნდა აცნობონ კომიტეტს მათთვის მიწოდებული ინსტრუქტაჟისა და ტრენინგის შესახებ და ის პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ ადამიანებმა მე-7 მუხლის დებულებების აღსრულებისას.
11. გარდა იმ ნაბიჯების აღწერისა, რომელთა გადადგმა აუცილებელია მე-7 მუხლით აკრძალული ქმედებებისაგან თავდასაცავად, მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პატიმარი ინფორმაციით დაუცველი ჯგუფების განსაკუთრებული დაცვის გარანტიების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების ქმედითი ზომაა დაკითხვის წესების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და დაკავებისა თუ დაპატიმრების ფორმების სისტემატური გადასინჯვა. პატიმართა ეფექტური დაცვის გარანტიების მიზნით, პატიმარი უნდა იმყოფებოდეს ოფიციალურად აღიარებულ საპატიმრო დანესებულებაში, მათ უნდა იცოდნენ თავიანთ პატიმრობაზე პასუხისმგებელ ადამიანთა ვინაობა, შესაბამისი ჩანაწერები უნდა გაკეთდეს პატიმრისათვის (ასევე მისი ნათესავებისა და მეგობრებისთვის) მუდმივად ხელმისაწვდომ ჟურნალში. იმავე მიზნით უნდა იწერებოდეს ყველა დაკითხვის ჩატარების დრო და ადგილი, დაკითხვაზე დამსწრეთა ვინაობა და ეს ჩანაწერებიც ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო თუ ადმინისტრაციული პროცესისას. ასევე შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული იზოლირებული პატიმრობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, მონაწილე მხარეებმა უნდა დაადასტურონ, რომ საპატიმრო დანესებულებებში არ მოიპოვება ისეთი იარაღი, რომლითაც შესაძლებელია ადამიანების წამება. პატიმრის დაცვა ასევე მოითხოვს ექიმებისა და ადვოკატების შეუფერხებელ დაშვებას, როცა ამას მოითხოვს გამოძიება, და ასევე ოჯახის წევრების დაშვებასაც.
12. მე-7 მუხლის მიხედვით, დარღვევების შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ კანონმა აკრძალოს სასამართლო პროცესზე ისეთი გაცხადებებისა თუ აღიარებების დაშვება, რომლებიც მიღებულია წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად.
13. ანგარიშების წარმოდგენისას მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ თავის კანონებში შემავალი ის დებულებები, რომლებიც სასჯელს აკისრებს წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმების-

თვის, ადგენს სასჯელს ამგვარი დანაშაულისათვის, იმისდა მიუხედავად, ჩაიდინა თუ არა ეს თანამდებობის, სახელმწიფოს სახელით მოქმედმა თუ კერძო პირმა. პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან მე-7 მუხლის დამრღვევი ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს ეს ნაქეზებით, ბრძანებით, სხვათა თანხმობით თუ ხელშეწყობით. შესაბამისად, არ უნდა დაისაჯოს ის, ვინც უარს ამბობს ამგვარი ბრძანების შესრულებაზე.

14. მე-7 მუხლი უნდა იკითხებოდეს პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან კავშირში. მონაწილე სახელმწიფოებმა ანგარიშებში უნდა გადმოსცენ, თუ როგორ გარანტიას იძლევა მათი კანონმდებლობა მე-7 მუხლით აკრძალული ყველა ქმედების შეწყვეტასთან და შესაბამის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებათა წინააღმდეგ საჩივრის შეტანის უფლება აღიარებული უნდა იყოს ადგილობრივ კანონმდებლობაში. საჩივრები უნდა განიხილებოდეს დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად კომპეტენტური პირების მიერ და ისე, რომ ქმედითი იყოს გამოსასწორებელი საშუალება. მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშები უნდა იძლეოდეს განსაკუთრებულ ინფორმაციას უდიერი მოპყრობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი გამოსასწორებელი ზომებისა და იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც უნდა დაიცვას მომჩივანმა. ანგარიშში ასევე მოცემული უნდა იყოს სტატისტიკა საჩივრების რაოდენობისა და მათთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ.
15. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ ამნისტია დაანესა წამებასთან დაკავშირებული სასჯელების მიმართ. ამნისტია ზოგადად არ შეესაბამება ქვეყნის ვალდებულებას, ჩაატაროს ასეთი შემთხვევების გამოძიება; გასცეს ამგვარი ქმედებების ჩადენისაგან თავისუფლების გარანტიები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში და გარანტიები იმისა, რომ ეს აღარ მოხდება მომავალში. სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, ჩამოართვან ადამიანებს ქმედითი სამართლებრივი საშუალების მიღების უფლება, კომპენსაციისა და შესაძლო სრული რეაბილიტაციის ჩათვლით.

6.

**პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ
ან დაპატიმრებულ პირთა დასაცავად**
*მიღებულია გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის
43/173 რეზოლუციით*

პრინციპთა ერთობლიობის მოქმედების ფარგლები

წინამდებარე პრინციპები ვრცელდება ნებისმიერი ფორმით დაპატიმრებულ ან ციხეში მოთავსებულ პირთა დასაცავად.

ტერმინთა განმარტება

პრინციპთა ერთობლიობის მიზნები:

- (ა) „დაკავება“ ნიშნავს პირის დაჭერის აქტს დანაშაულის ჩადენის მომენტში ან, შესაბამისად, უფლებამოსილი პირის ნებართვით;
- (ბ) „დაპატიმრებული პირი“ არის პირი, რომელსაც წართმეული აქვს პირადი თავისუფლება, გარდა დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების შედეგისა;
- (გ) „საპყრობილეში მოთავსებული პირი“ არის პირი, რომელსაც წართმეული აქვს პირადი თავისუფლება, როგორც დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების შედეგი;
- (დ) „დაპატიმრება“ ნიშნავს ზემოაღნიშნული დაპატიმრებული პირის მდგომარეობას;
- (ე) „საპყრობილეში მოთავსება“ ნიშნავს ზემოხსენებულ საპყრობილეში მოთავსებული პირის მდგომარეობას;
- (ვ) სიტყვები „სასამართლო ან სხვა ორგანო“ გულისხმობს სასამართლო ან სხვა ორგანოს, რომლის სტატუსიც, კანონის თანახმად, უნდა ითვალისწინებდეს კომპეტენციის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესაძლო მყარ გარანტიებს.

I პრინციპი

ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ჰუმანურად უნდა მოექცნენ და პატივი უნდა სცენ მის თანდაყოლილ ღირსებას.

II პრინციპი

დაკავება, დაპატიმრება ან ციხეში მოთავსება უნდა განხორციელდეს ზუსტად კანონის შესაბამისად და კომპეტენტური თანამდებობის პირის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

III პრინციპი

არც ერთი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს არ უნდა შეეზღუდოს ან შეუმცირდეს უფლებები, რომლებიც მას აქვს ქვეყნის კანონმდებლობის, კონვენციების, აქტების ან ჩვეულებების შესაბამისად, იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული უფლებები არ არის აღიარებული ან მოცემულია შეზღუდული სახით წინამდებარე პრინციპთა ერთობლიობაში.

IV პრინციპი

დაკავება ან დაპატიმრება ნებისმიერი ფორმით და ზემოაღნიშნულ მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ თავისი უფლებების რეალიზაციის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ღონისძიება უნდა გატარდეს სასამართლო ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ, ან უნდა დაექვემდებაროს მათ ეფექტიან კონტროლს.

V პრინციპი

1. ეს პრინციპები უნდა შეეფარდოს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირს, მიუხედავად მისი რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან აღმსარებლობისა, პოლიტიკური ან სხვაგვარი შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, დაბადებისა ან სხვა მდგომარეობისა.
2. ისეთი ზომების გამოყენება, რომლებიც, კანონის შესაბამისად, შექმნილია ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, ქალის, და კერძოდ, ორსულებისა და მცირეწლოვანთა დედების, სპეციალური სტატუსის, აგრეთვე, ბავშვებისა და არასრულწლოვნების, მხცოვანი, ავადმყოფი ან ინვალიდი პირების დასაცავად, დისკრიმინაციად არ უნდა ჩაითვალოს. ამგვარი ზომების შეფარდების საჭიროება და მათი გამოყენება უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო ან სხვა დაწესებულების მიერ საკითხის გადასინჯვას.

VI პრინციპი

არც ერთი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს არ უნდა შეეფარდოს წამება, სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა თუ სასჯელი. არავითარ გარემოებათა არსებობა არ იწვევს წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის შეფარდების გამართლებას.

VII პრინციპი

1. სახელმწიფოებმა კანონით უნდა აკრძალონ პრინციპთა ერთობლიობაში მოცემული უფლებებისა და მოვალეობების სანინააღმდეგო ნებისმიერი

აქტის შემოღება. ამგვარი აქტები შესაბამის სანქციებს უნდა დაუქვემდებარონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ მიუკერძოებელ გამოძიებას საჩივრებთან მიმართებით.

2. ოფიციალურმა პირებმა, რომლებსაც აქვთ საფუძველი, ივარაუდონ, რომ ამ პრინციპთა ერთობლიობა დაირღვა ან დაირღვევა, აღნიშნულის შესახებ უნდა მოახსენონ ზემდგომ თანამდებობის პირებს და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამის ორგანოებს ან თანამდებობის პირებს, რომლებიც აღჭურვილი არიან მათი განხილვისა და გადასინჯვის უფლებით.
3. თუ ნებისმიერ სხვა პირს აქვს საფუძველი, ივარაუდოს, რომ ამ პრინციპთა ერთობლიობა დაირღვა ან დაირღვევა, მას უფლება აქვს, აღნიშნულის შესახებ მოახსენოს შესაბამის ზემდგომ ოფიციალურ პირებს, ასევე, სხვა ორგანოებს ან თანამდებობის პირებს, რომლებიც აღჭურვილი არიან მათი განხილვისა და გადასინჯვის უფლებით.

VIII პრინციპი

დაპატიმრებულ პირებს უნდა მოექცნენ ისე, როგორც ამას განსასჯელის მდგომარეობა მოითხოვს. შესაბამისად, სადაც ეს შესაძლებელია, ისინი უნდა განათავსონ მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით.

IX პრინციპი

ორგანოები, რომლებიც აპატიმრებენ, წინასწარ პატიმრობაში ჰყავთ პირი ან იძიებენ მის საქმეს, სარგებლობენ მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით და ამ უფლებამოსილებებით სარგებლობისას უნდა დაექვემდებარონ სასამართლო ან სხვა ორგანოების დახმარებას.

X პრინციპი

ნებისმიერ დაკავებულ პირს დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ წაყენებული ნებისმიერი ბრალდების შესახებ.

XI პრინციპი

1. პირი არ უნდა იქნეს დაკავებული, თუ მას არ მიეცემა სასამართლო ან სხვა ორგანოების წინაშე დაუყოვნებლივ წარდგომის შესაძლებლობა. დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თვითონ დაიცვას თავი, ან, კანონის შესაბამისად, დაიხმაროს ადვოკატი.
2. დაკავებულ პირს და მის ადვოკატს, თუ იგი მას ჰყავს, დაუყოვნებლივ და სრულად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გაეცნონ დაკავების ორდერს, დაკავების მიზეზებთან ერთად.
3. სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება, განიხილონ პატიმრობის გაგრძელების მიზანშეწონილობა.

XII პრინციპი

1. ზუსტად უნდა იქნეს აღწერილი:
 - (ა) დაკავების მიზეზი;
 - (ბ) დაკავების, დაკავებული პირის საპრობილემო მიყვანის და, ასევე, სასამართლო ან სხვა ორგანოს წინაშე პირველად წარდგენის დრო;
 - (გ) საქმეში ჩართული სამართალდამცავი პირების ვინაობა;
 - (დ) ზუსტი ინფორმაცია პატიმრობის ადგილის შესახებ;
2. ასეთი დოკუმენტები, კანონის შესაბამისად, უნდა მიეწოდოს დაკავებულსა და მის ადვოკატს, თუ მას იგი ჰყავს.

XIII პრინციპი

ნებისმიერი პირი, დაკავების, დაპატიმრების ან სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე, ან ზემოაღნიშნულის განხორციელებიდან დაუყოვნებლივ, მის დაკავებაზე, დაპატიმრებაზე ან საპრობილემო მოთავსებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციითა და ახსნა-განმარტებებით მისი უფლებებისა და ამ უფლებათა რეალიზაციის შესახებ.

XIV პრინციპი

პირი, რომელიც შესაბამისად ვერ ფლობს თავის დაკავებაზე, დაპატიმრებაზე ან საპრობილემო მოთავსებაზე პასუხისმგებელი ორგანოების სამუშაო ენას, უფლებამოსილია, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ მიიღოს მე-10 პრინციპით, მე-11 პრინციპის მე-2 პუნქტით, მე-12 პრინციპის 1-ლი პუნქტითა და მე-13 პრინციპით განსაზღვრული ინფორმაცია და, საჭიროებისამებრ და უფასოდ, ისარგებლოს თარჯიმნის დახმარებით დაკავებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების განმავლობაში.

XV პრინციპი

მე-16 პრინციპის მე-4 პუნქტსა და მე-18 პრინციპის მე-3 პუნქტში განსაზღვრული გამონაკლისების მიუხედავად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს არ უნდა ეთქვას უარი გარესამყაროსთან, კერძოდ კი, თავის ოჯახსა და ადვოკატთან ურთიერთობაზე, რამდენიმე დღეზე მეტი ხნის ვადით.

XVI პრინციპი

1. დაკავებისთანავე და დაკავების ან დაპატიმრების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უფლებამოსილია, თვითონ ან კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით შეატყობინოს თავისი ოჯახის წევრებს ან, მისი არჩევანის შესაბამისად, სხვა პირებს, დაკავების, დაპატიმრების ან საპრობილემო ჩასმის, გადაყვანის და იმ ადგილის შესახებ, სადაც იგი იმყოფება ბადრაგის ზედამხედველობის ქვეშ.

2. თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უცხოელია, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული იმის შესახებ, რომ აქვს უფლება, დადგინდეს საშუალებებით ურთიერთობა იქონიოს თავისი ქვეყნის ან სხვა ისეთი ქვეყნის საკონსულო ან დიპლომატიურ მისიებთან, რომლებიც, საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილი არიან, აწარმოონ ამგვარი ურთიერთობები. ხოლო, თუ პირი ლტოლვილია, ან სხვაგვარად არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების დაცვის ქვეშ, იგი უფლებამოსილია, ურთიერთობა იქონიოს ასეთი უფლებამოსილების მქონე კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
3. თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არასრულწლოვანია ან არ შეუძლია გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობები, კომპეტენტურმა ორგანოებმა საკუთარი ინიციატივით უნდა განახორციელონ წინამდებარე პრინციპში აღნიშნული შეტყობინებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მშობლებისა და მზრუნველებისათვის შეტყობინებებს.
4. წინამდებარე პრინციპში აღნიშნული ყველა შეტყობინების მიწოდება უნდა განხორციელდეს ან ნება დაირთოს ასეთი შეტყობინების მიწოდებაზე დაგვიანების გარეშე. კომპეტენტურმა ორგანოებმა, გამონაკლისის წესით, შეიძლება დააგვიანონ შეტყობინება გონივრული დროის განმავლობაში, თუკი ამას გამოძიების ინტერესები მოითხოვს.

XVII პრინციპი

1. დაკავებული პირი უფლებამოსილია, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. კომპეტენტურმა ორგანომ დაკავებისთანავე უნდა აცნობოს მას ზემოაღნიშნული უფლების შესახებ და უზრუნველყოს ამ უფლების რეალიზაციისათვის საჭირო საშუალებებით.
2. თუ დაკავებულ პირს საშუალება არა აქვს, საკუთარი არჩევანის საფუძველზე ჰყავდეს ადვოკატი, ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, იგი უფლებამოსილია, მიიღოს სასამართლო ან სხვა ორგანოს მიერ დანიშნული ადვოკატის მომსახურება უფასოდ, თუ მას არ გააჩნია ასეთი მომსახურების ანაზღაურების საშუალება.

XVIII პრინციპი

1. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, ურთიერთობა ჰქონდეს ადვოკატთან და მიიღოს მისი კონსულტაცია.
2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა შეუქმნან ადვოკატთან კონსულტაციისათვის საჭირო დრო და შესაბამისი პირობები.
3. არ შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს დაკავებული თუ დაპატიმრებული პირის უფლება დაგვიანებისა და ცენზურის გარეშე, კონფიდენციალურობის სრული დაცვით ჰქონდეს ურთიერთობა ადვოკატთან და მიიღოს მისი

კონსულტაციები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ამას, კანონის ან სხვა კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე, საჭიროდ მიიჩნევა სასამართლო ან სხვა ორგანო უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით.

4. დაკავებული ან დაპატიმრებული პირისა და მისი ადვოკატის შეხვედრები შეიძლება წარმართოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ვიზუალური დაკვირვების ქვეშ, მაგრამ მათ უფლება არა აქვთ, მოისმინონ მათი საუბარი.
5. წინამდებარე პრინციპით გათვალისწინებული დაკავებული პირისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა არ შეიძლება სასამართლოში გამოყენებულ იქნეს ამ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი დაკავშირებულია დანაშაულის გაგრძელებასთან ან დაგეგმვასთან.

XIX პრინციპი

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, აწარმოოს შეხვედრები და მიმოწერა თავისი ოჯახის წევრებთან და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ჰქონდეს ურთიერთობა გარესამყაროსთან კანონითა და სხვა კანონიერი გადაწყვეტილებებით განსაზღვრული პირობებისა და შეზღუდვების ფარგლებში.

XX პრინციპი

დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნის შესაბამისად და, შეძლებისდაგვარად, იგი მოთავსებულ უნდა იქნეს დაკავების ან დაპატიმრების ისეთ ადგილას, რომელიც ახლოსაა მის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილთან.

XXI პრინციპი

1. აკრძალულია დაკავებული ან დაპატიმრებული პირის არახელსაყრელი მდგომარეობით სარგებლობა იმ მიზნით, რომ იგი იძულებული გახდეს, აღიარებს გზით ცნოს თავი დამნაშავედ, ან ჩვენებები მისცეს სხვა პირთა საწინააღმდეგოდ.
2. დაკითხვის დროს არც ერთი დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული იძულება, დაშინება ან დაკითხვის ისეთი მეთოდები, რომლებიც ხელს უშლის მას, ცნობიერად განსაჯოს და მიიღოს გადაწყვეტილება.

XXII პრინციპი

არც ერთი დაკავებული ან დაპატიმრებული პირი, მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი, არ უნდა დაექვემდებაროს ისეთ სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტს, რომელიც მისი ჯანმრთელობისათვის საზიანო იქნება.

XXIII პრინციპი

1. დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ყოველი დაკითხვის ან დაკითხვებს შორის ინტერვალების ხანგრძლივობა, აგრეთვე, იმ პირთა ვინაობა, რომლებიც აწარმოებენ დაკითხვას ან ესწრებიან მას, აღწერილ და დამონმებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი ფორმით.
2. დაკავებული ან დაპატიმრებული პირი, ან მისი ადვოკატი, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პირველ ნაწილში აღწერილ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობით.

XXIV პრინციპი

დაკავების ან დაპატიმრების ადგილას მიყვანის შემდეგ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს საშუალება, ჩაუტარდეს შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევა და შემდგომშიც, საჭიროებისამებრ, იგი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამედიცინო მომსახურებითა და მკურნალობით. ასეთი მომსახურება და მკურნალობა უნდა განხორციელდეს უფასოდ.

XXV პრინციპი

დაკავებულ თუ დაპატიმრებულ პირს ან მის ადვოკატს, დაკავებისა და დაპატიმრების ადგილზე, უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების პირობით, უფლება აქვს, მოითხოვოს ან შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეორე სამედიცინო შემოწმების გავლაზე ან მეორე სამედიცინო დასკვნაზე.

XXVI პრინციპი

დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მიერ სრული სამედიცინო შემოწმების გავლის ფაქტი, ექიმის ვინაობა და გამოკვლევების შედეგები სრულად უნდა იქნეს აღწერილი. ასეთი ჩანაწერების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. რაიმე დათქმების გაკეთება შესაძლებელია შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

XXVII პრინციპი

მტკიცებულებათა მოპოვებისას, ამ პრინციპებისადმი დაუმორჩილებლობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის საწინააღმდეგოდ ამგვარი მტკიცებულების მიღებაზე მსჯელობისას.

XXVIII პრინციპი

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, არსებული რესურსების ფარგლებში, თუ არსებობს ასეთი საზოგადოებრივი წყაროები, მოიპოვოს

საჭირო რაოდენობის საგანმანათლებლო, კულტურული და საინფორმაციო მასალები, დაკავების ან პატიმრობის ადგილას უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის პირობების შესაბამისად.

XXIX პრინციპი

1. შესაბამისი კანონებისა და წესების ზუსტ შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით, პატიმრობის ადგილები რეგულარულად უნდა მოინახულონ კომპეტენტური ორგანოების მიერ დანიშნულმა ან მათ წინაშე ანგარიშვალდეხულმა კვალიფიციურმა და გამოცდილმა, დაკავებისა და პატიმრობის დანესებულების ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელმა პირებმა.
2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ თავისუფლად და კონფიდენციალურობის დაცვით ურთიერთობა იქონიოს პირებთან, რომლებიც მოინახულებენ დაკავების ან პატიმრობის ადგილებს წინამდებარე პრინციპის პირველი ნაწილის შესაბამისად, უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობების დაცვით.

XXX პრინციპი

1. იმ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა მოქმედება, რომლებიც დაკავების ან პატიმრობის პერიოდში ჩაიდენენ დისციპლინურ სამართალდარღვევას, მათ მიმართ შესაძლო შესაფარდებელი დისციპლინური სასჯელის აღწერა და ხანგრძლივობა, და ამგვარი სასჯელის შეფარდების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები განისაზღვრება კანონით ან სხვა კანონიერი გადაწყვეტილებით და ექვემდებარება გამოქვეყნებას.
2. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, მოუსმინონ დისციპლინური სასჯელის დაკისრებამდე. აგრეთვე, მას უფლება აქვს, საქმის გადასასინჯად მიმართოს ზემდგომ ორგანოს.

XXXI პრინციპი

შესაბამისი ორგანოები უნდა ცდილობდნენ, რომ, საჭიროებისამებრ, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, დახმარება აღმოუჩინონ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებზე დამოკიდებულ ოჯახის უმცროს წევრებს, რომლებიც საჭიროებენ ამგვარ დახმარებას და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მიმართ.

XXXII პრინციპი

1. დაკავებული პირი ან მისი ადვოკატი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს შიდა კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები სასამართლო ან სხვა ორგანოების წინაშე თავისი პატიმრობის კანონიერების გასასაჩივრებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაუყოვნებლივი გათავისუფლება, თუ დაპატიმრება უკანონოა.

2. წინამდებარე პრინციპის პირველ ნაწილში აღნიშნული პროცედურები უნდა იყოს მარტივი, სწრაფი და უფასო, თუ დაკავებულ პირს შესაძლებლობა არა აქვს, გაიღოს საამისო ხარჯები. დამკავებელმა ორგანომ, უმიზეზო დაყოვნების გარეშე, უნდა წარადგინოს დაკავებული პირი სააპელაციო ორგანოს წინაშე.

XXXIII პრინციპი

1. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ან მის ადვოკატს უფლება აქვს, მის მიმართ განხორციელებულ მოპყრობასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში, საჩივრით ან შუამდგომლობით მიმართოს პატიმრობის ადგილების ადმინისტრაციულ ან მათ ზემდგომ ორგანოებს ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს, რომლებიც აღჭურვილია შემდგომი განხილვისა და აპელაციის უფლებამოსილებით.
2. ისეთ შემთხვევებში, როდესაც არც დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს და არც მის ადვოკატს არ აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს წინამდებარე პრინციპის პირველ ნაწილში აღწერილი უფლების რეალიზაცია, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ოჯახის წევრს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც იცნობს საქმეს, შეუძლია ამ უფლების განხორციელება.
3. მომჩივანის მოთხოვნისამებრ, დაცული უნდა იქნეს საჩივრის ან შუამდგომლობის კონფიდენციალურობა.
4. ყოველი საჩივარი ან შუამდგომლობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული და პასუხგაცემული, უმიზეზო დაგვიანების გარეშე. თუ საჩივარი ან შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, ან უმიზეზოდ გვიანდება პასუხის გაცემა, მომჩივანი პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოს. დაუშვებელია, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი ან სხვა მომჩივანი, წინამდებარე პრინციპის პირველი ნაწილის თანახმად წარდგენილი საჩივრის ან შუამდგომლობის გამო, დაექვემდებაროს უარყოფით მოპყრობას.

XXXIV პრინციპი

დაკავების ან პატიმრობის პერიოდში დაკავებული ან დაპატიმრებული პირის გარდაცვალების ან გაუჩინარების შემთხვევაში, ზემოაღნიშნულის გამოწვევი მიზეზი უნდა გამოიკვლიოს სასამართლომ ან სხვა დაწესებულებამ საკუთარი ინიციატივით ან ასეთი პირის ოჯახის წევრის ან ნებისმიერი სხვა პირის მოთხოვნით, რომელიც იცნობს საქმეს. თუკი გარდაცვალება ან გაუჩინარება ხდება დაკავების ან პატიმრობის პერიოდის გასვლისთანავე და, როდესაც გარემოებები იძლევა ამის საშუალებას, ამგვარი გამოძიება უნდა ჩატარდეს იმავე პროცედურულ საფუძველზე. ასეთი გამოძიების დასკვნები ან მოხსენება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოთხოვნისთანავე, თუ იგი საფრთხეს არ უქმნის მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებას.

XXXV პრინციპი

1. თანამდებობის პირის წინამდებარე პრინციპთა სანინალმდევო მოქმედებით ან უყურადღებობით გამოწვეული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ქვეყნის შიდა კანონმდებლობით დადგენილი წესების ან ვალდებულებების შესაბამისად.
2. ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე პრინციპების მიხედვით დაფიქსირდება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შიდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, წინამდებარე პრინციპების საფუძველზე, კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით.

XXXVI პრინციპი

1. სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი უდანაშაულოა და ასეთად ითვლება მანამ, სანამ დამნაშავედ იქნება ცნობილი კანონის შესაბამისად და სასამართლოს მიერ, სადაც მას თავის დაცვის სრული გარანტიები ექნება.
2. ასეთი პირის დაკავება ან დაპატიმრება გამოძიების ან სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს უნდა განხორციელდეს მხოლოდ მართლმსაჯულების მიზნებისათვის, კანონით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების საფუძველზე. აკრძალულია ასეთი პირის მიმართ ისეთი შეზღუდვების შეფარდება, რაც მკაცრად არ არის განსაზღვრული დაკავების მიზნებისათვის, გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესების გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, ან პატიმრობის ადგილას უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად.

XXXVII პრინციპი

პირი, რომელსაც წაყენებული აქვს სისხლისსამართლებრივი ბრალდება, დაკავებისთანავე უნდა წარედგინოს სასამართლო ან კანონით განსაზღვრულ სხვა ორგანოებს. ამგვარმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვიტოს პირის დაკავების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის საკითხი. არც ერთი პირი არ უნდა იქნეს დაკავებული გამოძიების ან სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ამგვარი ორგანოს წერილობითი ორდერის გარეშე. დაკავებულ პირს, ზემოაღნიშნული ორგანოს წინაშე წარდგენისას, უფლება აქვს განაცხადოს დაკავების ადგილას მის მიმართ განხორციელებული მოპყრობის შესახებ.

XXXVIII პრინციპი

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე გონივრულ ვადებში, ან გათავისუფლებაზე სასამართლო პროცესის დაწყებამდე.

XXXIX პრინციპი

კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი ბრალდებით დაკავებულ პირს, თუ მართლმსაჯულების ინტერესების შესაბამისად, სასამართლო ან სხვა უფლებამოსილი ორგანოები სხვაგვარად არ გადანყვეტენ, უფლება აქვს, გათავისუფლებულ იქნეს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში. ასეთმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დაკავების აუცილებლობის გადასინჯვის შესაძლებლობა.

ზოგადი დებულება

წინამდებარე პრინციპთა ერთობლიობაში მოყვანილი არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში განსაზღვრული უფლებების შემზღუდელად ან შემამცირებლად.

7.

სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ (ამონარიდები)

მიღებულია გაერო-ს მე-8 კონგრესის მიერ დანაშაულის აღმოფხვრისა და სამართალდარღვევათა მიმართ მოპყრობის შესახებ 1990 წელს

პროკურორთა როლი სისხლის სამართალწარმოებაში

10. პროკურორთა სამსახური მკაცრად უნდა იყოს გამოყოფილი სასამართლოს ფუნქციებისაგან.
11. პროკურორებმა, როგორც საზოგადოების ინტერესების წარმომადგენლებმა, აქტიური როლი უნდა შეასრულონ სისხლისსამართლებრივ პროცესებში, კერძოდ, საქმის აღძვრასა და, სადაც კანონი ან ადგილობრივი პრაქტიკა ითვალისწინებს, დანაშაულის გამოძიებაში, ამ გამოძიების კანონიერების ზედამხედველობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასა და სხვა ფუნქციების განხორციელებაში.
12. პროკურორებმა, კანონის შესაბამისად, სამართლიანად, თანმიმდევრულად და სწრაფად უნდა განახორციელონ თავიანთი მოვალეობები, პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებები, ხელი შეუწყონ მას და ამით უზრუნველყონ სასამართლო პროცესისა და სისხლის სამართლის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.
13. საკუთარი მოვალეობების შესრულებისას პროკურორებმა უნდა:
 - (ა) განახორციელონ თავიანთი ფუნქციები მიუკერძოებლად და თავიდან აიცილონ ყოველგვარი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, კულტურული, სქესობრივი და სხვა სახის დისკრიმინაცია;
 - (ბ) დაიცვან საზოგადოების ინტერესები, იმოქმედონ ობიექტურად, გაითვალისწინონ ეჭვმიტანილისა და დაზარალებულის მდგომარეობა, ყურადღება მიაქციონ ყველა სათანადო პირობას, მიუხედავად იმისა, დადებითა თუ უარყოფითი ისინი ეჭვმიტანილისათვის;
 - (გ) დაიცვან საქმეთა კონფიდენციალურობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები სხვაგვარად მოითხოვს;
 - (დ) გაითვალისწინონ დაზარალებულთა შეხედულებები და მოთხოვნები, როდესაც მათი პირადი ინტერესები დარღვეულია და უზრუნველყონ დაზარალებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ სამართლიანობის ძირითადი პრინციპების დეკლარაციით დანაშაულისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა შესახებ;
14. პროკურორებმა არ უნდა მოახდინონ ბრალდების ინიცირება ან საქმის წარმოების გაგრძელება და უნდა მიმართონ ყოველგვარ ძალისხმევას,

რათა შეაჩერონ საქმის მსვლელობა, თუკი მიუკერძოებელი გამოძიება ბრალდებას უსაფუძვლოდ ცნობს.

15. სადაც კანონი და ადგილობრივი პრაქტიკა ამის საშუალებას იძლევა, პროკურორებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ იმ დანაშაულთა გამოძიებას, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფო მოხელეების მიერ, განსაკუთრებით: კორუფცია, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები და საერთაშორისო სამართლით აღიარებული სხვა დანაშაულები.
16. როდესაც პროკურორები ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ მოიპოვებენ სამხილს, რომელიც იციან ან აქვთ საფუძველი სჯეროდეთ, რომ მოპოვებულია არაკანონიერი მეთოდების გამოყენებით და, შესაბამისად, ეჭვმიტანილის უფლებების უხეში დარღვევით, კერძოდ, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის გზით, მათ უარი უნდა განაცხადონ ასეთი სამხილის გამოყენებაზე. ეს არ ეხება იმ პირთ, ვინც გამოიყენა ეს მეთოდები სამხილის მოსაპოვებლად. პროკურორებმა უნდა შეატყობინონ სასამართლოს და მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ ასეთი პირების პასუხისგებაში მიცემა.

8.

ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (ამონარიდები)

მიღებულია გაერო-ს დანაშაულის აღმოფხვრისა და
სამართალდარღვევათა მიმართ მოპყრობის შესახებ მე-7 კონგრესის
მიერ, ძალაშია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის
№40/32 და 1985 წლის 13 დეკემბრის №40/146 რეზოლუციებით

სასამართლოს დამოუკიდებლობა

1. სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სა-ხელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით ან კანონით. ყვე-ლა სამთავრობო და სხვა დანესებულებათა მოვალეობაა, პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას.
2. სასამართლომ თავის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირ-დაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.
3. სასამართლო ხელისუფლება უნდა ვრცელდებოდეს ყველა სამართლებ-რივი ხასიათის საკითხზე და სასამართლოს უნდა ჰქონდეს ექსკლუზი-ური უფლებამოსილება, გადაწყვიტოს მასთან გადაწყვეტილების მისა-ღებად წარდგენილი მის კომპეტენციაში მყოფი საკითხი კანონის შესა-ბამისად.
4. არ უნდა ხორციელდებოდეს შეუსაბამო ან უკანონო ჩარევა სასამარ-თლო პროცესში, ასევე სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები არ უნდა დაექვემდებაროს გადასინჯვას. ეს პრინ-ციპი არ ზღუდავს სასამართლო ზედამხედველობას ან სასამართლოს მიერ მისჯილი სასჯელების კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, კანო-ნის შესაბამისად, შემსუბუქებას ან შეცვლას.
5. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, გასამართლდეს ჩვეულებრივი სასა-მართლოს ან ტრიბუნალის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით. ჩვეულებრივი სასამართლოებისა და სა-სამართლო ტრიბუნალების კომპეტენციაში მყოფი საკითხები არ უნდა გადაეცეს იმ ტრიბუნალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადოდ ჩა-მოყალიბებული იურიდიული პროცესუალური ნორმები.
6. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი უფლებას აძლევს და ავალებს სასამართლოს, უზრუნველყოს სასამართლო საქმის წარმოების სამართლიანი მიმდინარეობა და მხარეთა უფლებების დაცვა.
7. ყოველი ნევრი სახელმწიფოს მოვალეობაა, უზრუნველყოს შესაბამისი რესურსები, რომლებიც საშუალებას მისცემენ სასამართლოს, სათანა-დოდ შეასრულოს თავისი ფუნქცია.

9.

ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (ამონარიდები)

*მიღებულია გაერო-ს დანაშაულის აღმოფხვრისა და
სამართალდარღვევათა მიმართ მოპყრობის შესახებ
მე-8 კონგრესის მიერ 1990 წელს*

ადვოკატისა და იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა

1. ყველა ადამიანს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება თავისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისათვის.
2. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთ ტერიტორიაზე მცხოვრები და თავიანთ იურისდიქციას დაქვემდებარებული ყველა პირისათვის საადვოკატო მომსახურებასთან ეფექტიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობის სათანადო პროცედურებისა და ადეკვატური მექანიზმების არსებობა, მიუხედავად მათი რასის, ფერის, ეთნიკური წარმოშობის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილების, საკუთრების, დაბადების, ეკონომიკური ან სხვა სტატუსისა.
3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ღარიბთა და, საჭიროებისამებრ, სხვა დაუცველი პირებისათვის იურიდიული დახმარების სათანადო დაფინანსებისა და სხვა რესურსების გამოყოფა. ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა უნდა ითანამშრომლონ მომსახურების პირობებისა და სხვა რესურსების ორგანიზებისა და მობილიზაციისათვის.
4. სახელმწიფოებმა და ადვოკატთა პროფესიულმა გაერთიანებებმა ხელი უნდა შეუწყონ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას მათი კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე, მათი უფლებების დასაცავად ადვოკატთა მნიშვნელოვან როლზე. სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბთა და სხვა სოციალურად დაუცველ პირთა დახმარებას, რათა მათ საშუალება მიეცეთ, განამტკიცონ თავიანთი უფლებები და, საჭიროებისამებრ, მოითხოვონ ადვოკატის დახმარება.

სპეციალური გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში

5. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ყველა ადამიანი დაუყოვნებლივ ინფორმირებულ იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ თავისი უფლების შესახებ, მოითხოვოს თავის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება დაკავების, დაპატიმრების ან სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენების დროს.

6. პირს, რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს, უფლება აქვს, ჰყავდეს სამართალდარღვევის ხასიათის შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპეტენტური ადვოკატი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი ეფექტიანი იურიდიული დახმარება. ასეთი დახმარება უნდა განხორციელდეს უფასოდ, თუ ამ პირს საფასურის გადახდისათვის სათანადო სახსრები არ გააჩნია.
7. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რათა სისხლისსამართლებრივი ბრალდებით ან მის გარეშე დაკავებულ თუ დაპატიმრებულ ნებისმიერ პირს ჰქონდეს ადვოკატთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დაკავებიდან ან დაპატიმრებიდან არა უგვიანეს ორმოცდარვა საათის შემდეგ.
8. ყველა დაკავებული, დაპატიმრებული ან საპრობილეში მყოფი პირი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო შესაძლებლობით, დროითა და პირობებით თავის ადვოკატთან შეხვედრის, მასთან კომუნიკაციისა და კონსულტაციისათვის, დაყოვნების, შეჩერებისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ასეთ კონსულტაციებს შეიძლება თვალყური ადევნოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა, მაგრამ მას მოსმენის უფლება არ აქვს.

10.

წამების საკითხებზე საგანგებო მომხსენებლის რეკომენდაციები (ამონარიდები)

საგანგებო მომხსენებელ სერ ნაიჯელ როდლის ანგარიში ადამიანის უფლებათა კომისიის №2001/62 რეზოლუციის პასუხად, E/CN.4/2003/68, 2002 წლის 17 დეკემბერი, დანართი 1

საგანგებო მომხსენებელმა თავის ანგარიშში ადამიანის უფლებათა კომისიის მიმართ (იხ. E/CN.4/2001/66) ჩართო იმ რეკომენდაციების შესწორებული ვერსია, რომლებიც მან შეადგინა 1994 წელს (იხ. E/CN.4/1995/34). როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ეს რეკომენდაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთ გლობალურ რჩევად – დაესვას წერტილი „დე ფაქტო“ ან „დე იურე“ დაუსჯელობას. მისი სურვილია, სახელმწიფოებმა ყურადღება მიაქციონ მას, როგორც იარაღს, წამების დამარცხების საქმეში. ქვემოთ მოყვანილია რეკომენდაციათა შესწორებული ვარიანტი:

- (ა) ქვეყნებმა, რომლებიც არ მონაწილეობენ კონვენციაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელის წინააღმდეგ ან სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში, ხელი უნდა მოაწერონ მათ, მოახდინონ მათი რატიფიცირება ან მიუერთდნენ ამ კონვენციებს. წამება უნდა განისაზღვროს როგორც განსაკუთრებულად მძიმე დანაშაული ყველა ეროვნულ კანონმდებლობაში. იმ ქვეყნებში, რომლებშიც კანონი არ სჯის წამებას, განურჩევლად დამნაშავეს ან დაზარალებულის ეროვნებისა (საყოველთაო იურისდიქცია), ამგვარი კანონმდებლობის მიღება პრიორიტეტი უნდა იყოს;
- (ბ) სახელმწიფოებმა ხელი უნდა მოაწერონ, მოახდინონ რატიფიცირება ან მიუერთდნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტს. ამის მიზანი უნდა იყოს წამებაში ბრალდებულთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა გენოციდის, კაცობრიობის წინაშე და ომის დროს ჩადენილი დანაშაულის კონტექსტში. ამავე დროს, გარანტირებული უნდა იყოს, რომ მათ ეროვნულ სასამართლოებსაც აქვთ ამგვარ დანაშაულთან დაკავშირებული კანონები, რომლებიც ემყარება საყოველთაო იურისდიქციას;
- (გ) უმაღლესმა ხელისუფლებამ საჯაროდ უნდა დაგმოს წამება და მისი ყველა ფორმა. უმაღლესმა ხელისუფლებამ, რომელიც პასუხს აგებს კანონის აღსრულებაზე, საჯაროდ უნდა გახადოს ის ფაქტი, რომ დანაშაულის

ჩადენისას საპატიმრო დაწესებულებაზე პასუხისმგებელი პირები პირადად აგებენ პასუხს მართლმსაჯულების წინაშე. წინამდებარე რეკომენდაციების პრაქტიკულად გამოყენების მიზნით, ხელისუფლებამ მოულოდნელი ვიზიტები უნდა ჩაატაროს პოლიციის განყოფილებებში, წინასწარი პატიმრობის ადგილებსა და საპატიმრო დაწესებულებებში მაშინ, როცა მათთვის ცნობილია დაკავებულებისადმი ამგვარი მოპყრობის შესახებ. უნდა ჩატარდეს საზოგადოებრივი კამპანიები, რომლებიც მოსახლეობას შეატყობინებს თავიანთ უფლებებს დაკავებისა თუ დაპატიმრებისას, კერძოდ კი მათდამი მოპყრობასთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის უფლების შესახებ;

- (დ) დაკითხვა უნდა ტარდებოდეს მხოლოდ ოფიციალურ ცენტრებში, ხოლო ამ მიზნით საიდუმლო ადგილების გამოყენებას უნდა კრძალავდეს კანონი. თითოეული თანამშრომელი უნდა ისწავოდეს დაკავებული ან დაპატიმრებული ადამიანის მოთავსებისათვის საიდუმლო და/ან არაოფიციალურ საპატიმრო დაწესებულებაში. ნებისმიერი ინფორმაცია, მიღებული პატიმრისაგან არაოფიციალურ საპატიმრო დაწესებულებაში და რომელსაც არ დაადასტურებს პატიმარი დაკითხვისას ოფიციალურ დაწესებულებაში, არ უნდა იყოს მიღებული მტკიცებულებად სასამართლოზე. თავისუფლებალკვეთილის აღიარებას, თუ იგი არ გაკეთდა მოსამართლის ან ადვოკატის თანდასწრებით, არ ექნება მტკიცებულების ძალა სასამართლოში. იგი მტკიცებულებად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც აღნიშნული აღიარება მიიღეს არაკანონიერი მეთოდებით. სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს დაკითხვისას აუდიო- და ვიდეოჩანაწერების გამოყენებას;
- (ე) საპატიმრო დაწესებულებათა რეგულარული შემოწმება, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ხორციელდება პერიოდული დათვალიერების სისტემის ფარგლებში, არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი პროფილაქტიკური ზომა წამების წინააღმდეგ. დამოუკიდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი შესვლის უფლება ყველა საპატიმრო დაწესებულებაში პოლიციის საკნების, წინასწარი დაკავების ცენტრების, უსაფრთხოების სამსახურის ოფისების, საპატიმრო დაწესებულებათა ადმინისტრაციული ნაწილისა და ციხეების ჩათვლით ადამიანების მიმართ მოპყრობისა და მათი დაკავების პირობების მონიტორინგის მიზნით. შემოწმებისას შემოწმებლებს უნდა შეეძლოთ პატიმრებთან გასაუბრება. მიღებული შედეგები შემოწმებელი გუნდის წევრებმა უნდა გააცნონ საზოგადოებას. გარდა ამისა, შემოწმებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ ოფიციალური პირებიც. ასეთ გუნდში უნდა შედიოდნენ სასამართლოს წევრები, კანონის აღმსრულებელი ოფიციალური პირები, დაცვის ადვოკატები და ექიმები, ასევე დამოუკიდებელი ექს-

პერტები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. სახალხო დამცველსა და ადამიანის უფლებათა ადგილობრივი თუ საერთაშორისო დაწესებულებების წევრებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ შესვლა ყველა საპატიმრო დაწესებულებაში პატიმრობის პირობების მონიტორინგის მიზნით. აუცილებლობის შემთხვევაში, ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს უნდა მიეცეს ასეთი ადგილების მონახულების უფლება;

- (ვ) წამებას ყველაზე ხშირად მიმართავენ იზოლირებული პატიმრობისას. იზოლირებული პატიმრობა უნდა გამოცხადდეს არაკანონიერად და ამგვარ პატიმრობაში მყოფი ადამიანები უნდა გათავისუფლდნენ დაუყოვნებლივ. დაწვრილებით უნდა ჩაინეროს ინფორმაცია დაპატიმრების ადგილისა და დროის შესახებ და დაპატიმრებაში მონაწილე სამართალდამცავი ოფიცრების ვინაობა; მსგავსი ინფორმაცია უნდა ჩაინეროს უშუალოდ პატიმრობასთან დაკავშირებით. სამართლებრივი დებულებები დაკავებულებისათვის უნდა უზრუნველყოფდეს იურიდიული დახმარების გარანტიას დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. უნდა დაისაჯონ უშიშროების სამსახურების ის თანამშრომლები, რომლებიც უგულვებლყოფენ ამ დებულებას. გამონაკლისი გარემოებებისას, როცა პატიმრის კონტაქტმა ადვოკატთან შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას და სადაც ამგვარი კონტაქტის შეზღუდვა დადასტურებულია სასამართლო წესით, დაშვებული უნდა იყოს, სულ ცოტა, შეხვედრა დამოუკიდებელ ადვოკატთან, მაგალითად, რომელსაც რეკომენდაციას გაუწევდა ადვოკატთა ასოციაცია. ნებისმიერი გარემოებებისას პატიმრის ნათესავებს უნდა ეცნობოს დაპატიმრებისა და საპატიმრო დაწესებულების შესახებ 18 საათის განმავლობაში. დაპატიმრებისას ადამიანმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, ხოლო ეს შემოწმებები უნდა იყოს რეგულარული და სავალდებულო პატიმრის სასჯელალსრულების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანისას. ყველა დაკითხვისას უნდა ცხადდებოდეს დაკითხვის მონაწილე პირთა ვინაობა. ყველა დაკითხვა უნდა ჩაინეროს, უმჯობესია, ვიდეოზე, და ჩანაწერებში მოცემული უნდა იყოს დაკითხვის თითოეული დამსწრის ვინაობა. ჩაუწერელ დაკითხვაზე მიღებული მტკიცებულებები არ უნდა იყოს დასაშვები სასამართლოში. თვალების ახვევა და სახეზე ქუდის ჩამოცმა ხშირად შეუძლებელს ხდის წამების მონაწილეთა ამოცნობას. ამგვარად, უნდა აიკრძალოს ასეთი პრაქტიკა. კანონიერად დაპატიმრებული არ უნდა იმყოფებოდეს იმავე საპატიმრო დაწესებულებაში, რომელიც იმყოფება მისი დაკითხვის მწარმოებლის ან გამოძიებლის კონტროლის ქვეშ იმ პერიოდზე ხანგრძლივად, ვიდრე ამას უშვებს კანონი წინასწარი პატიმრობის სასამართლო ორდერის მისაღებად. ეს პერიოდი,

ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა აჭარბებდეს 48 საათს. პატიმრები გადაყვანილნი უნდა იქნენ წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში, სხვა ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ, რის შემდეგაც დაუშვებელი უნდა იყოს რაიმე შეხვედრა დაკითხვის ან გამოძიების მიზნით ოფიციალური პირის თანდასწრების გარეშე;

- (ზ) ადმინისტრაციული დაკავება ხშირად დაკავებულებს ტოვებს სასამართლო კონტროლის მიღმა. ადმინისტრაციული დანაშაულის გამო დაკავებულებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთივე დაცვა, როგორც სარგებლობენ სისხლის სამართლის დამნაშავეები. ამავე დროს, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ადმინისტრაციული დაკავების ყველა ფორმის აღმოფხვრა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
- (თ) შექმნილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომ დაკავებულებს შეეძლოთ ეჭვის შეტანა დაკავების კანონიერებაში, მაგალითად, „*habeas corpus*“-ისა ან „*amparo*“-ს საშუალებით. ამგვარი პროცედურები უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ;
- (ი) სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ქმედითი ზომები პატიმრების მიერ ერთმანეთზე ძალადობის თავიდან ასაცილებლად ამგვარ ძალადობასთან დაკავშირებული ანგრიშების შესწავლით, პასუხისმგებელთა დასჯითა და დაცვის უზრუნველყოფით დაუცველი ინდივიდებისათვის. ამავე დროს, არ უნდა მოხდეს მათი იზოლირება იმაზე მეტად, ვიდრე ეს აუცილებელია, და არ გამოიწვიონ მათი მოქცევა შემდგომი რისკის ქვეშ. აუცილებელია ტრენინგის პროგრამების ჩატარება ციხის თანამშრომლებისათვის და ასხნა მათთვის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პატიმრების მიერ ერთმანეთზე ძალადობის თავიდან აცილება. ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა და დაპატიმრებულთა დაცვის შესახებ პრინციპების¹ შესაბამისად, პატიმრები დაჯგუფებულნი უნდა იყვნენ სქესის, ასაკისა და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით და ასევე პირველად/ადრე ნასამართლეთა და წინასწარ პატიმრობაში მყოფი/სასჯელმისჯილი დაკავებულები;
- (კ) როცა დაკავებულს, მის ნათესავს ან ადვოკატს შეაქვს საჩივარი წამებასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა ჩატარდეს გამოძიება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ბრალდება აშკარად უსაფუძვლოა. აღნიშნულ საქმეში მონაწილე ოფიციალური პირები დროებით უნდა ჩამოსცილდნენ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას გამოძიების დამთავრებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე. როცა საჩივარი წამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმებთან დაკავ-

¹ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 43/173, დანართი.

შირებით წამოყენებულია დამნაშავეის მიერ საქმის წარმოებისას, მტკიცების ვალდებულება ეკისრება ბრალდებას, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ აღიარება არ არის მიღებული უკანონო მეთოდებით, წამების და მსგავსი საქციელის შედეგად. ასევე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მოწმეთა დაცვის პროგრამებს წამებისა და მსგავსი საქციელის ინციდენტის მოწმეებისათვის, რაც ეხება ადრენასამართლევ პირებსაც. როცა საკანში მყოფი სხვა პატიმრები ექცევიან რისკის ქვეშ, აუცილებელია მათი გადაყვანა სასჯელალსრულების სხვა დანესებულებაში, სადაც მათი უსაფრთხოებისათვის მიღებული უნდა იყოს განსაკუთრებული ზომები. საჩივრისათვის, რომელიც აღმოჩნდება სრულიად სამართლიანი, დაზარალებულმა ან მისმა ნათესავებმა უნდა მიიღონ ანაზღაურება. პატიმრობისას ან განთავისუფლების შემდეგ სწრაფი სიკვდილის ნებისმიერ შემთხვევაში გამოძიება უნდა ჩაატაროს სასამართლომ ან სხვა მიუკერძოებელმა ორგანომ. ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელია წამებასა და სხვა მსგავს საქციელზე, უნდა დაიკითხოს და დაისაჯოს ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში. უნდა გაუქმდეს სამართლებრივი დებულებები, რომლებიც იძლევა გამონაკლისის საშუალებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, როგორებიცაა: ამნისტია, კანონი ზარალის ანაზღაურების შესახებ და ა.შ. თუ წამება მოხდა ოფიციალურ საპატიმრო დანესებულებაში, ამ დანესებულებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა დაისაჯოს. სამხედრო ტრიბუნალის გამოყენება წამების დანაშაულის განსახილველად დაუშვებელია. უნდა შეიქმნას გამოძიების ან დასჯის უფლებამოსილების მქონე დამოუკიდებელი ეროვნული ორგანოები, როგორებიცაა ეროვნული კომისია ან სახალხო დამცველი, რომლებიც მიიღებენ და გამოიძიებენ საჩივრებს. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესწავლილი წამებასთან დაკავშირებული საჩივრები და მათი გამოძიება უნდა განახორციელონ დამოუკიდებელმა უფლებამოსილმა ორგანოებმა, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ მათთან, ვინც იძიებს სავარაუდო დაზარალებულის საქმეს. უფრო მეტიც, სასამართლო სამედიცინო სამსახური უნდა ემორჩილებოდეს სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელ უწყებას და არა იმავე სამთავრობო უწყებას, რომელიც აკონტროლებს პოლიციასა და სასჯელალსრულების სისტემას. სახელმწიფო სასამართლო სამედიცინო სამსახურს არ უნდა ჰქონდეს მონოპოლია ექსპერტიზის ჩატარებაზე სასამართლო მიზნით. ამ კონტექსტში სახელმწიფოებს უნდა მართავდეს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები, როგორც ქმედითი იარაღი წამების დამარცხების საქმეში;²

² იხ. გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 55/89, დანართი.

(ლ) ტრენინგის კურსები და სასწავლო მასალები უნდა მიენოდეოდეს პოლიციისა და უშიშროების სამსახურების თანამშრომლებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, ისინი უნდა იღებდნენ დახმარებას გაერო-ს ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში. უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი პერსონალი უნდა იცნობდეს პატიმრებისადმი მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს³, სამართალდამცავი პირების ქცევის კოდექსს⁴, სამართალდამცავების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითად პრინციპებს,⁵ პრინციპთა ერთობლიობას ნებისმიერი ფორმით დაკავებული პირების დაცვის შესახებ. ეს დოკუმენტები თარგმნილი უნდა იყოს შესაბამის სახელმწიფო ენებზე. ტრენინგის მსვლელობისას განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წამების აკრძალვის პრინციპის აბსოლუტურობა და ვალდებულება, უარი ეთქვას ზემდგომი პირის ყველა ბრძანებას, რომლებიც უბიძგებს წამებისაკენ. მთავრობებმა ყურადღებით უნდა გადმოიტანონ ეროვნულ გარანტიებში საერთაშორისო სტანდარტები და უნდა გააცნონ სამართალდამცავებს ის წესები, რომლებიც მათ უნდა გამოიყენონ პრაქტიკაში;

(მ) ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები უნდა გაეცნონ სამედიცინო ეთიკის პრინციპებს, რომლებიც ეხება ჯანდაცვის მუშაკთა როლს, განსაკუთრებით ექიმებს, რომლებმაც უნდა დაიცვან დაკავებული წამებისა თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის სხვა ფორმებისაგან.⁶ მთავრობებმა და პროფესიონალ მედიკოსთა ასოციაციებმა მკაცრი ზომები უნდა მიიღონ ჯანდაცვის იმ მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც გარკვეულ როლს (პირდაპირს თუ არაპირდაპირს) ასრულებენ წამებაში. ამგვარი აკრძალვები უნდა გავრცელდეს ისეთ პრაქტიკაზე, როგორიცაა პატიმართა შემონმება „დაკითხვის მიმართ შესაბამისობაზე“, და პროცედურებზე, რომლებიც დაკავშირებულია წამებასა თუ ღირსების შემლახავ მოპყრობასთან. იგივე ეხება დახმარების განევის წამების მსხვერპლისათვის იმ თვალსაზრისით, რომ მან კიდევ შეძლოს შემდგომი შეურაცხყოფის გაძლება. სხვა შემთხვევებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე უარის განცხადებისათვის მედიკოსებს უნდა დაეკისროთ სანქციები.

³ მიღებულია გაერო-ს დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ პირველი კონგრესის მიერ, ფენევა, 1955.

⁴ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 34/169, დანართი.

⁵ მიღებულია გაერო-ს დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ მეორე კონგრესის მიერ, ჰავანა, 1990.

⁶ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია № 37/194, დანართი.

11.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მძიმე დარღვევების მსხვერპლთა აღდგენის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის უფლება,

საგანგებო მომხსენებლის, პროფესორ მ. შერიფ ბასინის საბოლოო ანგარიში

წარდგენილია კომისიის №1999/33 რეზოლუციის თანახმად, ადამიანის უფლებათა კომისია, ორმოცდამეთექვსმეტე სესია, 2000 წლის 18 იანვრის წინასწარი დღის წესრიგის მე-11 პუნქტის შესაბამისად (E/CN.4/2000/62)

I. ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემის, მისი გარანტირებისა და აღსრულების ვალდებულება

თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებაა, პატივი სცეს, შექმნას პატივისცემის გარანტია და აღასრულოს ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, მათ შორის:

- (ა) მოცემული იმ ხელშეკრულებებში, რომელთა მონაწილეცაა სახელმწიფო;
- (ბ) მოცემული ჩვეულებრივ საერთაშორისო სამართალში; ან
- (გ) ჩართული მის ადგილობრივ სამართალში.

თუ მათ ჯერ შესრულებული არ აქვთ ზემოხსენებული, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი ადგილობრივი სამართალის შესაბამისობა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებთან:

- (ა) ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ჩართვით თავიანთ ადგილობრივ სამართალში ან მათი სხვაგვარად განხორციელებით თავიანთ ადგილობრივ სამართლებრივ სისტემაში;
- (ბ) იმ შესაბამისი და ქმედითი სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურებისა და სხვა სათანადო ზომების მიღებით, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიანობას, სამართლის ეფექტურ და დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომობას;

- (გ) ქმედითი და დაუყოვნებელი აღდგენის ხელმისაწვდომობით ისე, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი; და
- (დ) ადგილობრივ და საერთაშორისო ნორმებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, გარანტირებით იმისა, რომ გამოყენებულ იქნება დაცვის უფრო მაღალი ხარისხის მომცემი ნორმები.

II. ვალდებულებათა მასშტაბი

ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემის, მისი გარანტირებისა და აღსრულების ვალდებულება ნიშნავს, სხვათა შორის, სახელმწიფოს ვალდებულებას:

- (ა) მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები ძალადობის თავიდან აცილების მიზნით;
- (ბ) გამოიძიოს ძალადობის შემთხვევები და, აუცილებლობის მიხედვით, მიიღოს ზომები მოძალადის წინააღმდეგ ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლის თანახმად;
- (გ) დაზარალებულთათვის უზრუნველყოს სამართლის თანაბარი და დაუყოვნებელი ხელმისაწვდომობა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ძალადობაზე;
- (დ) უზრუნველყოს დაზარალებულები შესაბამისი სამართლებრივი საშუალებებით; და
- (ე) უზრუნველყოს დაზარალებულთათვის შესაბამისი ანაზღაურება.

III. ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ის დარღვევები, რომლებიც დანაშაულად ითვლება საერთაშორისო სამართლის თანახმად

ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც შეადგენს დანაშაულს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ნიშნავს ამ დარღვევებში ეჭვმიტანილი ადამიანების გასამართლებას, დამნაშავეთა დასჯას და სახელმწიფოებისა და შესაბამისი სასამართლო ორგანოების დახმარებას ამგვარი დარღვევების გამოძიებასა და სასამართლო საქმის წარმოებაში.

ამ მიზნით, სახელმწიფოებმა თავიანთ ადგილობრივ სამართალში უნდა ჩართონ დებულებები, რომლებიც საყოველთაო იურისდიქციის ქვეშ აქ-

ცევს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დანაშაულს, ჩამოაყალიბონ სათანადო კანონმდებლობა, რომელიც დაეხმარება მას დამნაშავის ექსტრადიციასა თუ მის გადაცემაში სახელმწიფო ან საერთაშორისო სასამართლო ორგანოებისათვის, და განახორციელონ სასამართლო დახმარება და თანამშრომლობის სხვა ფორმები საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, დაზარალებულებისა და მონმეების დახმარებისა თუ დაცვის ჩათვლით.

IV. ხანდაზმულობის ვადის სტატუსი

ხანდაზმულობის ვადის სტატუსი არ უნდა ეხებოდეს ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ისეთ დარღვევასთან დაკავშირებული საქმის წარმოებას, რომელიც დანაშაულად ითვლება საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

ხანდაზმულობის ვადამ, რომელიც ეხება სხვა დარღვევებს ან სამოქალაქო საჩივრებს, უსაფუძვლოდ არ უნდა შეზღუდოს დაზარალებულის შესაძლებლობა, განაგრძოს ჩივილი მოძალადის მიმართ და არ უნდა ეხებოდეს იმ პერიოდებს, რომლის განმავლობაშიც არ არსებობს რაიმე ქმედითი სამართლებრივი საშუალება ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის.

V. ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის მსხვერპლნი

ადამიანი ითვლება „მსხვერპლად“, როცა, ისეთი ქმედებების შედეგად, რომლებიც არის ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა, მას, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, მიადგება ზარალი, ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანების, ემოციური განცდების, ეკონომიკური დანაკარგის ან ადამიანის ძირითად უფლებათა ხელყოფის ჩათვლით. „მსხვერპლი“ ასევე შეიძლება იყოს უშუალო მსხვერპლზე დამოკიდებული ადამიანი ან მისი ოჯახის უახლოესი წევრები და ასევე ადამიანი, რომელმაც მსხვერპლის დაცვის ან დანაშაულის თავიდან აცილების მცდელობისას თავად განიცადა ფიზიკური, ფსიქიკური ან ეკონომიკური ზარალი.

ადამიანისათვის „მსხვერპლის“ სტატუსის მინიჭება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ ურთიერთობებზე, რომლებიც შეიძლება არსებობდა ან შეიძლებოდა წარმოშობილიყო მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის, ან იყო თუ არა დამნაშავე დადგენილი, დაპატიმრებული, გასამართლებული ან დასჯილი.

VI. მოპყრობა მსხვერპლთა მიმართ

სახელმწიფო, აუცილებლობის შემთხვევაში კი მთავრობათაშორისი და არასამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციები, მსხვერპლს უნდა ექცეოდეს თანაგრძნობით და მათი ღირსებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემით. მათი და მათი ოჯახების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიღებული უნდა იყოს შესაბამისი ზომები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ადგილობრივი სამართალი, შესაძლებლობის ფარგლებში, იცავდეს ძალადობის მსხვერპლს ხელახალი ტრავმირებისაგან სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცესების განმავლობაში.

VII. მსხვერპლის უფლება – მიიღოს გამოსასწორებელი საშუალება

ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის გამოსასწორებელი საშუალება მოიცავს მსხვერპლის უფლებას:

- (ა) მიუწვდებოდეს ხელი მართლმსაჯულებაზე;
- (ბ) აუნაზღაურდეს განცდილი ზარალი; და
- (გ) მიიღოს დარღვევებთან დაკავშირებული ფაქტობრივი ინფორმაცია.

VIII. მსხვერპლის უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე

მსხვერპლის უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე მოიცავს ყველა ხელმისაწვდომ სასამართლო, ადმინისტრაციულ ან სხვა სახელმწიფო პროცესს, რომლებიც არსებობენ ადგილობრივი და ასევე საერთაშორისო სამართლის თანახმად. ადგილობრივი სამართალით ხელმისაწვდომი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის გარანტირებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური უფლების დაცვა მართლმსაჯულების, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო პროცესის

ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა უნდა:

- (ა) სახელმწიფო და კერძო მექანიზმების საშუალებით გააცნონ საზოგადოებას ყველა ის ხელმისაწვდომი საშუალება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევასთან;
- (ბ) მიიღონ ყველა ზომა მსხვერპლისათვის მაქსიმალური კომფორტის მისანიჭებლად, შესაბამისად დაიცვან მათი კონფიდენციალურობა, უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება მუქარისა და შურისძიებისაგან, ასევე მათი ოჯახებისა და მოწმეების, იმ სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა საქმისწარმოების წინ, განმავლობაში და შემდეგ, რომლებიც მოქმედებს მსხვერპლის ინტერესებზე;
- (გ) ხელმისაწვდომი გახადონ ყველა აუცილებელი დიპლომატიური და სამართლებრივი საშუალება მსხვერპლის მიერ თავისი უფლებების გამოყენებისა და ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა ან ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისათვის ანაზღაურების მიღების უზრუნველსაყოფად.

მართლმსაჯულების ინდივიდუალურად ხელმისაწვდომობის გარდა, სათანადო საშუალებები უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ მსხვერპლთა ჯგუფებმა შეძლონ კოლექტიური საჩივრის შეტანა ზარალის ანაზღაურებასთან და აღნიშნული ანაზღაურების კოლექტიურად მიღებასთან დაკავშირებით.

ადამიანის საერთაშორისო უფლებების ან ჰუმანიტარული სამართლის დარღვევასთან დაკავშირებით სათანადო, ქმედითი და დაუყოვნებელი გამოსასწორებელი საშუალების მიღების უფლება ნიშნავს ყველა იმ ხელმისაწვდომი საერთაშორისო პროცესის ჩატარებას, რომლის დროსაც ინდივიდი შეიძლება წარდგეს სასამართლოს წინაშე, რაც ზიანს არ უნდა აყენებდეს რომელიმე ადგილობრივ საშუალებას.

IX. მსხვერპლის უფლება ანაზღაურებაზე

ადეკვატური, ქმედითი და დაუყოვნებელი ანაზღაურება გამიზნულია მართლმსაჯულების განჩინებაზე ადამიანის საერთაშორისო უფლებების ან ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ანაზღაურების საფუძველზე. ანაზღაურება უნდა იყოს დარღვევის სერიოზულობისა და განცდილი ზარალის მოცულობის პროპორციული.

მისი ადგილობრივი კანონებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების თანახმად, სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს მსხვერპლთა ზარალი იმ ქმედებებისათვის, რომლებიც შეადგენს ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას.

თუ დარღვევა არ მიენერება სახელმწიფოს, დარღვევაზე პასუხისმგებელმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს ზარალი მსხვერპლს ან სახელმწიფოს, თუ სახელმწიფომ უკვე აუნაზღაურა ზარალი მსხვერპლს.

თუ დარღვევაზე პასუხისმგებელ მხარეს არ შეუძლია ან არ სურს აღნიშნული ვალდებულებების შესრულება, მაშინ სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს ზარალი იმ მსხვერპლთა, რომელთაც მიიღეს სხეულის დაზიანება, შეერყათ ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა აღნიშნული დარღვევების შედეგად, და იმ მსხვერპლთა ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ ან გახდნენ ფიზიკურად თუ ფსიქიკურად უუნარონი აღნიშნული დარღვევის შედეგად. მსხვერპლთათვის ზარალის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ეროვნული ფონდები და ეძებონ სხვა წყაროები, როცა საჭირო გახდება აღნიშნული ფონდის შენაცვლება.

სახელმწიფომ უნდა აღასრულოს თავისი ადგილობრივი გადაწყვეტილება ანაზღაურების შესახებ დარღვევაზე პასუხისმგებელი კერძო პირების ან ერთეულების მიმართ. სახელმწიფომ უნდა აღასრულოს უცხო ქვეყნის მოქმედი გადაწყვეტილება ანაზღაურების შესახებ დარღვევაზე პასუხისმგებელი კერძო პირების ან ერთეულების მიმართ.

თუ სახელმწიფო ან მთავრობა, რომლის ხელისუფლებით განხორციელდა რომელიმე მოცემული დარღვევა, აღარ არსებობს, მსხვერპლის ზარალის ანაზღაურება ხდება აღნიშნული სახელმწიფოს ან მთავრობის უფლებამონაცვლეთა ვალდებულება.

X. ანაზღაურების ფორმები

თავიანთი ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად და ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის მსხვერპლნი უნდა უზრუნველყონ ანაზღაურების შემდეგი ფორმებით: რესტიტუცია, კომპენსაცია, რეაბილიტაცია, აღს-

რულება და გარანტია იმისა, რომ ამგვარი რამ აღარასდროს განმეორდება.

რესტიტუციამ, როცა კი ეს შესაძლებელი გახდება, უნდა აღადგინოს მსხვერპლი ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ის იმყოფებოდა ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევამდე. რესტიტუცია ნიშნავს: თავისუფლების, სამართლებრივი უფლებების, სოციალური სტატუსის, ოჯახური ცხოვრებისა და მოქალაქეობის აღდგენას; საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას; სამუშაო ადგილის აღდგენასა და ქონების დაბრუნებას.

კომპენსაცია უნდა გაიცეს ნებისმიერი ისეთი ზარალისათვის, რომელიც იზომება ეკონომიკურად და რომელიც არის ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შედეგი, როგორცაა:

- (ა) ფიზიკური ან ფსიქიკური ზარალი, ტკივილის, ტანჯვისა და ემოციური აშლილობის ჩათვლით;
- (ბ) შესაძლებლობების დაკარგვა, განათლების შესაძლებლობის ჩათვლით;
- (გ) მატერიალური ზარალი და შემოსავლის დაკარგვა, შემოსავლის მიღების პოტენციალის დაკარგვის ჩათვლით;
- (დ) რეპუტაციის ან ღირსების შელახვა; და
- (ე) ადვოკატის ან ექსპერტის დახმარების ხარჯები, წამლები და სამედიცინო მომსახურება, ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურება.

რეაბილიტაციაში უნდა შედიოდეს სამედიცინო და ფსიქოლოგიური მკურნალობა და ასევე ადვოკატისა და სოციალური მომსახურება.

აღსრულება და გარანტია იმისა, რომ ამგვარი რამ აღარასდროს განმეორდება, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- (ა) დარღვევების შემდგომი შეჩერება;
- (ბ) ფაქტების დადასტურება და ჭეშმარიტების სახალხოდ განცხადება იმ პირობით, რომ ამგვარი რამ არ გამოიწვევს შემდგომ ზიანს მსხვერპლისათვის, მოწმეების ან სხვა პირებისათვის და საშიშროებას არ შეუქმნის მათ უსაფრთხოებას;
- (გ) მოკლული ან გაუჩინარებული ადამიანების გვამების მოძიება და დახმარება მათ იდენტიფიკაციასა თუ ხელახლა დასაფლავებაში ოჯახისა და საზოგადოების კულტურაში მიღებული წესების მიხედვით;
- (დ) ოფიციალური განცხადება ან სასამართლო გადაწყვეტილება მსხვერპლისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირების ღირსების, რეპუ-

ტაციისა და სამართლებრივი თუ სოციალური უფლებების აღდგენის შესახებ;

- (ე) ბოდიშის მოხდა, რაც ნიშნავს ფაქტების სახალხოდ განცხადებას და პასუხისმგებლობის აღებას მომხდარზე;
- (ვ) სასამართლო ან ადმინისტრაციული სანქციები დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ;
- (ზ) მსხვერპლთა გახსენება და პატივის მიცემა;
- (თ) მომხდარ დარღვევათა ჩართვა ადამიანის საერთაშორისო უფლებებთან და ჰუმანიტარულ სამართალთან დაკავშირებული ტრენინგის პროგრამებსა და ყველა დონის სასწავლო მასალებში;

დარღვევათა თავიდან აცილება ისეთი ზომებით, როგორებიცაა:

- (ა) სამხედრო და უსაფრთხოების ძალებზე ქმედითი სამოქალაქო კონტროლის დანერგვა;
- (ბ) სამხედრო ტრიბუნალების იურისდიქციის შეზღუდვა შეიარაღებული ძალების წევრების მიერ ჩადენილ გარკვეულ სამხედრო დანაშაულებამდე;
- (გ) სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- (დ) იურიდიული, მასმედიის და სხვა ამგვარი სფეროების მუშაკებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვა;
- (ე) ადამიანის უფლებათა საკითხებისადმი მიძღვნილი ტრენინგების მუდმივად ჩატარება და გაუმჯობესება საზოგადოების ყველა სექტორისათვის, განსაკუთრებით სამხედრო და უსაფრთხოების ძალებისა და სამართალდამცავი სფეროს თანამშრომლებისათვის;
- (ვ) ქვეყნის კოდექსისა და ეთიკური ნორმების დაცვის პროპაგანდა, კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტების სახელმწიფო მოხელეების, სამართალდამცავების, გამოსასწორებელ დაწესებულებათა თანამშრომლების, ჟურნალისტების, ექიმების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, სამხედროებისა და ასევე ეკონომიკური სანარმოების მიერ;
- (ზ) მექანიზმის ჩამოყალიბება კონფლიქტების გადაწყვეტის მონიტორინგისა და პროფილაქტიკური ჩარევის განხორციელების მიზნით.

XI. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის

26. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან საზოგადოების ინფორმირების საშუალებანი, კერძოდ, ადამიანის საერთაშორისო უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის მსხვერპლნი უნდა იცნობდნენ არსებულ პრინციპებსა და მითითებებში მოცემულ თავიანთ უფლებებსა თუ

მათთვის განკუთვნილ სამართლებრივ საშუალებებს და ყველა იმ ხელ-
მისაწვდომ იურიდიულ, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ად-
მინისტრაციულ თუ ყველა სხვა მომსახურებას, რომელთა მიღების უფ-
ლებაც აქვთ მათ.

XII. დისკრიმინაციის აღმოფხვრა მსხვერპლთა შორის

27. წინამდებარე პრინციპებისა და მითითებების გამოყენება უნდა შეესა-
ბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა სამარ-
თალს და გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი განსხვავება რასის,
კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, ენის, რელი-
გიის, პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსის, ეროვნების, ეთნიკური
თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადების, ოჯახური თუ სხვა
სტატუსისა თუ უუნარობის საფუძველზე.

12.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები

*გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი,
ნიუ-იორკი და ჟენევა, 2001*

თავიანთ რეზოლუციებში №2000/43 ადამიანის უფლებათა კომისიამ და №55/89 გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მთავრობების ყურადღება მიაპყრო წინამდებარე პრინციპებს და ურჩია მათ აღნიშნული პრინციპების გამოყენება როგორც ინსტრუმენტისა წამების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის (შემდგომში „წამება ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობა“) შემთხვევების ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების მიზანია:
 - (I) ფაქტების დადგენა და ინდივიდუალური თუ სახელმწიფო პასუხისმგებლობის აღიარება მსხვერპლთა და მათი ოჯახების წინაშე;
 - (II) იმ ზომების დადგენა, რომლებიც მოგვცემს ამგვარი შემთხვევების გამეორების თავიდან აცილების საშუალებას;
 - (III) დახმარება სასამართლო საქმის წარმოებაში და/ან დისციპლინარული სანქციების განხორციელებაში მათ წინაშე, ვინც გამოძიების მიერ აღიარებულია პასუხისმგებელ პირად; სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების აუცილებლობის დადგენა, სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციისა და შესაბამისი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ჩათვლით.
2. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წამებასა და სხვა სახის ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრებისა და შეტყობინებების დაუყოვნებელი და ქმედითი გამოძიება. გამოძიება უნდა ჩატარდეს მაშინაც კი, როცა არ არსებობს ფორმალური საჩივარი, მაგრამ არსებობს წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობის რაიმე ნიშნები. ეჭვმიტანილისა და მათი სამსახურებისაგან დამოუკიდებელი გამომძიებლები უნდა იყვნენ კომპეტენტურები და მიუკერძოებელი. მათ უნდა შეეძლოთ (ჰქონდეთ უფლებამოსილება) მიუკერძოებელი ექიმების ან ექსპერტების მასალების დათვალიერება. ამგვარი გამოძიებისას გამოყენებული მეთოდები უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი

პროფესიონალიზმის სტანდარტებს, ხოლო მიღებული შედეგები უნდა ეცნობოს საზოგადოებას.

3. (ა) გამოძიების მწარმოებელ დანაყოფს უნდა შეეძლოს და ევალუება გამოძიებასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაციის მოძიება. გამოძიებლებს ხელთ უნდა ჰქონდეთ აუცილებელი ბიუჯეტი და ტექნიკური რესურსები გამოძიების ეფექტურად წარმოების მიზნით. ისინი ასევე უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, გამოიძახონ და დაკითხონ ყველა ის მოხელე, რომლებიც დაკავშირებულია სავარაუდო წამებასა ან სხვა სახის ღირსების შემლახავ მოპყრობასთან. იგივე ეხება ნებისმიერ მონემეს. აღნიშნული მიზნით, გამოძიებელ ორგანოს უნდა შეეძლოს უწყების გაგზავნა მონმისათვის (და ყველა ოფიციალური პირისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სავარაუდო დანაშაულთან) და ჩვენების მიღების მოთხოვნა.
3. (ბ) წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი, მონმეები, გამოძიებლები და მათი ოჯახის წევრები დაცული უნდა იყვნენ ძალადობისაგან, მუქარის ან ნებისმიერი სხვა სახის ხიფათისაგან, რაც შეიძლება წარმოიშვას გამოძიებიდან გამომდინარე. ის პირები, რომლებიც შეიძლება დამნაშავენი აღმოჩნდნენ წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობის მოცემულ შემთხვევაში, უნდა ჩამოსცილდნენ ყოველგვარ ხელმძღვანელ ან მაკონტროლებელ თანამდებობებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უკავშირდება საჩივარს, მონმეებს, მათ ოჯახებს ან თვით გამოძიებლებს.
4. წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთ ან მათ წარმომადგენლებს უნდა ეცნობოთ (და უნდა შეეძლოთ დასწრება) საქმის სასამართლო მოსმენის თაობაზე. ისინი ასევე უნდა გაეცნონ გამოძიებასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას და შეეძლოთ დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა.
5. (ა) იმ შემთხვევებში, როცა დადგინილი საგამოძიებო პროცედურა არაადეკვატურია გამოცდილების უკმარისობის ან მიკერძოების, თანამდებობის აშკარა გადამეტების ან სხვა სერიოზული მიზეზების გამო, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გამოძიების ჩატარება დამოუკიდებელი კომისიის მიერ. ამგვარი კომისიის წევრები უნდა ირჩეოდნენ მათი ცნობილი მიუკერძოებლობის, კომპეტენციისა და დამოუკიდებლობის ნიშნით. კერძოდ, ისინი არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი რომელიმე ეჭვმიტანილზე ან იმ დანესებულებებსა თუ სამსახურებზე, რომლებსაც შეიძლება ემსახუროდნენ ისინი. კომისიას უნდა ჰქონდეს საქმესთან დაკავშირებული მთელი ინფორმაციის მიღების უფლებამოსილება და მან დაკითხვა უნდა წარმართოს წინამდებარე პრინციპების დაცვით. გარკვეული გარემოებებისას, პროფესიული ეთიკიდან გამომ-

დინარე, შეიძლება დაცული იყოს ზოგიერთი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

5. (ბ) დადგენილ ვადაში შედგენილ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ჩატარებული დაკითხვების, პროცედურებისა და გამოყენებული მეთოდების მასშტაბი, რათა შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა და ასევე, ფაქტებიდან გამომდინარე, შედეგებსა და შესაბამის კანონზე დაფუძნებული დასკვნებისა თუ რეკომენდაციების შეფასება. საქმის დასრულების შემდეგ ამგვარი ანგარიში უნდა გაეცნოს საზოგადოებას. ანგარიშში ასევე დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მომხდარი დამახასიათებელი მოვლენები, მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება გადაწყვეტილება, და ჩვენების მიმოცემი მოწმეების ვინაობა, გარდა იმ მოწმეებისა, რომელთა დასახელებისაგან თავის შეკავება უკეთესია მათივე ინტერესებისათვის. სათანადო ვადის განმავლობაში სახელმწიფო გამოეხმაურება გამოძიების ანგარიშს და, შესაბამისად, დაასახელებს იმ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმასაც აპირებს იგი საპასუხოდ.
- 6 (ა) წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოძიებაში ჩაბმული ექიმები უნდა იქცეოდნენ ეთიკის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ, აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულის თანხმობა ნებისმიერი შემონმების ჩატარებამდე. შემონმება უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო პრაქტიკის დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, შემონმება უნდა ჩატარდეს ისე, რომ მას აკონტროლებდეს სამედიცინო ექსპერტი და არ ესწრებოდეს უშიშროების სამსახურების არც ერთი მუშაკი თუ მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი.
- 6 (ბ) სამედიცინო ექსპერტმა დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს წერილობითი სამედიცინო დასკვნა. აღნიშნულ დასკვნაში მოცემული უნდა იყოს, სულ ცოტა, შემდეგი:
 - (I) შემონმების გარემოებები: სუბიექტის სახელი, გვარი და შემონმების დამსწრე პირების ვინაობა; ზუსტი დრო და თარიღი; იმ დაწესებულების ადგილმდებარეობა, მოღვაწეობის სფერო და მისამართი (საჭიროების შემთხვევაში კი ოთახის ნომერიც), სადაც მიმდინარეობდა შემონმება (მაგალითად, დაკავების ცენტრი, კლინიკა, სახლი და ა.შ.); სუბიექტის მდგომარეობა შემონმების პერიოდისათვის (მაგალითად, რაიმე სახის შეზღუდულობა დაწესებულებაში მიყვანისას ან შემონმების განმავლობაში, უშიშროების ძალების წარმომადგენლების დასწრება შემონმებისას, პატიმრის თანმხლებთა ქცევა, მუქარის განცხადებები ექიმების მიმართ და ა.შ.) და სხვა ამგვარი ფაქტები;
 - (II) ისტორია: სუბიექტის ამბის დეტალური ჩანაწერი (როგორც ეს გადმოცემული იყო დაკითხვისას), წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი

მოპყრობის სავარაუდო მეთოდების, ამგვარი მოპყრობის დროის მითითებისა და ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სიმპტომებთან დაკავშირებული ყველა ჩივილის ჩათვლით;

(III) ფიზიკური და ფსიქოლოგიური შემონმება: ჩანაწერები ყველა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დათვლიერებით მიღებული შედეგებისა, შესაბამისი დიაგნოსტიკური ტესტებისა და, სადაც ეს შესაძლებელია, ყველა დაზიანების ფერადი ფოტოების ჩათვლით;

(IV) შეხედულება: ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ტრავმების შესაძლო კავშირი სავარაუდო წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტთან. გაცემული უნდა იყოს რეკომენდაცია აუცილებელ სამედიცინო თუ ფსიქოლოგიურ მკურნალობასთან დაკავშირებით და უნდა ჩატარდეს შემდგომი შემონმება;

(V) ავტორობა: ანგარიშში გარკვევით უნდა იყოს მოცემული შემონმების ჩამტარებელთა ვინაობა და მათი ხელმოწერები.

6. (გ) ანგარიში უნდა იყოს კონფიდენციალური და იგი უნდა გაეცნოს სუბიექტს ან მის მიერ დასახელებულ მისსავე წარმომადგენელს. მიღებული უნდა იქნეს სუბიექტისა და მისი წარმომადგენლების აზრი შემონმების პროცესთან დაკავშირებით, რაც უნდა აისახოს ანგარიშში. იგი წერილობითი სახით ასევე მიწოდებულ უნდა იქნეს (აუცილებლობის შემთხვევაში) იმ სამსახურისთვის, რომელიც პასუხისმგებელია წამების ან სხვა სახის ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევის გამოძიებაზე. აღნიშნული პირებისათვის ანგარიშის უსაფრთხოდ მიწოდების პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. ანგარიშზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს ნებისმიერ სხვა პირს, გარდა იმ პირებისა, რომლებისთვისაც ანგარიშის გადაცემაზე თანახმაა სუბიექტი ან ის სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია აღასრულოს ამგვარი გადაცემა.

დანართი N2

CPT-ს სტანდარტები - რჩეული ამონარიდები

(CPT – the European Committee for the Prevention of Torture –
წამების თავიდან აცილების ევროპული კომიტეტი)

CPT-ს ზოგადი ანგარიშების „მნიშვნელოვანი“ ნაწილები (წამების, არა-ადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების ევროპული კომიტეტი, CPT-ს სტანდარტები, CPT-ს ზოგადი ანგარიშების „მნიშვნელოვანი“ ნაწილები, ევროპის საბჭო, 2001 წლის ოქტომბერი, CPT/Inf/E (2002))

I. საპოლიციო პატიმრობა

ნაწყვეტი მე-12 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf/E (2002) 15]

33. საზოგადოების წესიერი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, პოლიციას ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილის ან სხვა კატეგორიის პირების დაკავების, დროებითი დაპატიმრებისა და დაკითხვის უფლება. თუმცა ამგვარ უფლებებს, როგორც წესი, თან სდევს დაშინების ან ფიზიკური უსაქციელობის რისკი. CPT-ს მუშაობის არსი ამ რისკის აბსოლუტურ მინიმუმამდე შემცირების გზების გამოძებნაა ისე, რომ პოლიციას არ შეეშალოს ხელი თავისი მოვალეობის აღსრულებისას. ზოგ ქვეყანაში შეინიშნა იმედისმომცემი ზრდა/პროგრესი საპოლიციო პატიმრობის სფეროში; თუმცა CPT-ს აღმოჩენები ასევე ავლენს მუდმივი სიფრთხილის აუცილებლობას.
34. ეჭვმიტანილთა დაკითხვა სპეციფიკური სამუშაოა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ტრენინგს, თუ გვსურს მისი დამაკმაყოფილებლად ჩატარება. რაც ყველაზე მთავარია, აბსოლუტურად განსაზღვრული უნდა იყოს ამგვარი დაკითხვის მიზანი: ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიღება გამოსაძიებელი საკითხის ირგვლივ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, და არა აღიარების მოპოვება ისეთი ადამიანისაგან, რომელიც გამომძიებელი თანამდებობის პირების თვალში უკვე აღიარებულია დამნაშავედ. შესაბამისი ტრენინგის საკითხთან ერთად სამართალდამცავების მიერ ზემოხსენებული მიზნის დაცვას დიდად წაადგება ეჭვმიტანილთა დაკითხვისას ქცევის კოდექსის ჩამოყალიბება.
35. წლების განმავლობაში CPT-ს დელეგაციები ხვდებოდნენ უამრავ პატიმარს სხვადასხვა ქვეყანაში. ბევრი მათგანი უჩიოდა ცუდ მოპყრობას,

მუქარას, დაშინებას პოლიციელების მხრიდან. ამ გზით ისინი ცდილობდნენ დაკითხვის დროს ეჭვმიტანილებისაგან აღიარების მიღებას. ამკარაა, რომ სისხლის სამართლის სისტემა, რომელიც უმთავრეს მნიშვნელობას აღიარებას ანიჭებს, საქმის გამოძიებაში ჩაბმულ ოფიცრებს უბიძგებს (და ხშირად მაშინ, როცა მათგან მოითხოვენ შედეგებს) ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლისაკენ. წამებისა და ცუდი მოპყრობის სხვა ფორმათა თავიდან აცილების კონტექსტში აუცილებელია დანაშაულის გამოძიების მეთოდების ჩამოყალიბება, რომლებიც შეამცირებს აღიარებისა და იმ სხვა ინფორმაციის მიღების მნიშვნელობას, რომელსაც, როგორც წესი, მოვლიან დაკითხვისას შესაბამისი სასჯელის გამოტანის მიზნით.

36. პოლიციაში ჩატარებული დაკითხვების ელექტრონული (ვიდეო და/ან აუდიო) ჩანერა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ. CPT კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამგვარი სისტემების შემუშავებას აქტიურად განიხილავს მთელი რიგი ქვეყნებისა. ამგვარი საშუალება მოგვცემს ჩატარებული გამოკითხვის პროცესის მთლიან სურათს, რაც, თავისთავად, დიდად დაეხმარება გამოძიებას სავარაუდო წამების ფაქტების დადგენაში. ეს კარგია როგორც პატიმართათვის, ისე პოლიციის თანამშრომლებისათვისაც, რომელთა წინააღმდეგ მუდმივად გაისმის ჩივილი ამგვარი საქციელის გამო. პოლიციის მიერ დაკითხვის ჩატარების ელექტრონულად ჩანერა ასევე შეამცირებს ეჭვმიტანილებისათვის მოგვიანებით ყალბი განცხადების გაკეთების საშუალებას, რომ მათი მხრიდან მოხდა გარკვეული აღიარება.
37. CPT-მ არაერთხელ და არაერთ ქვეყანაში აღმოაჩინა დაკითხვისათვის გამოყოფილი საშინელი ოთახები: მაგალითად, მთლიანად შავად შეღებილი ოთახები, რომლებიც აღჭურვილი იყო გამოსაკითხი ადამიანის ადგილისკენ მინათებული მხოლოდ ერთი ძლიერი ნათურით. ამგვარი რამ არ უნდა არსებობდეს პოლიციის სამსახურში. ადეკვატურ განათებასთან, გათბობასა და ვენტილაციასთან ერთად დასაკითხ ოთახში დაკითხვის ყველა მონაწილეს უნდა შეეძლოს ერთნაირად კომფორტულ სკამებზე ჯდომა. გამოკითხვის წამყვანი ოფიცერი არ უნდა იყოს მადომინირებელ მდგომარეობაში (ვთქვათ რაიმე სიმალლეზე) ან მოშორებით ეჭვმიტანილისაგან. გამოყენებულ უნდა იქნეს ნეიტრალური ფერები.
38. ზოგიერთ ქვეყანაში CPT-მ აღმოაჩინა პოლიციაში პატიმართათვის თვალების ახვევის პრაქტიკა, განსაკუთრებით კი დაკითხვისას. CPT-ს დელეგაციები პოლიციის განყოფილებებიდან იღებდნენ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ახსნა-განმარტებებს ამგვარ პრაქტიკასთან

დაკავშირებით. მრავალი წლის განმავლობაში მოგროვილი ინფორმაციიდან CPT-სათვის გასაგებია, რომ ბევრ, თუ ყოველთვის არა, შემთხვევაში, ადამიანებს უხვევენ თვალებს, რათა ვერ შეძლონ მათი შეურაცხყოფელი სამართალდამცავი ოფიცრების ამოცნობა. მაშინაც კი, როცა ფიზიკურად არ შეურაცხყოფენ, დაპატიმრებული ადამიანისათვის თვალების ახვევა – და განსაკუთრებით დაკითხვის დროს – დამორგუნველი ზემოქმედებაა, რომლის შემდეგაც ასეთი მოპყრობის ბევრი მსხვერპლი ხშირად ფსიქოლოგიურ დაზიანებას საჭიროებს. CPT-ს რეკომენდაციაა, აიკრძალოს პოლიციაში პატიმრებისთვის თვალების ახვევა.

39. CPT-სათვის არც ისაა უცხო, როცა იგი საექსპო საგნებს პოულობს პოლიციის შენობაში, მაგალითად, როგორებიცაა: ხის ჯოხები, ცოცხის ტარები, ბეისბოლის ბიტები, რკინის არმატურები, სქელი ელექტრული კაბელის ნაჭრები, ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების იმიტაციები. ამგვარი საგნების არსებობამ არაერთხელ შემატა დამაჯერებლობა CPT-ს წარმომადგენლების მიერ მიღებულ საჩივრებს, რომლებიც ეხებოდა ამგვარ დანესებულებებში პატიმართა დაშინებას ან ცემას მსგავსი საგნებით. ასეთ საგნებთან დაკავშირებით, როგორც წესი, პოლიციის ოფიცრებისაგან მიღებული ახსნა-განმარტებით ეს ნივთები ჩამორთმეულია ეჭვმიტანილებისგან და გამოიყენება როგორც ნივთიერი მტკიცებულება. ის ფაქტი, რომ მოცემულ საგნებს, როგორც წესი, არა აქვთ იარაღიერი, და ხშირად გაფანტულია მთელ შენობაში (ხშირად ისინი შენახულია კარადის ან ფარდების უკან), იწვევს მხოლოდ სკეპტიციზმს შესაბამის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით. შეუსაბამო ქცევასთან დაკავშირებული ეჭვების გასაფანტავად პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან, ნივთიერ მტკიცებულებად გამოსაყენებელ საგნებს უნდა ჰქონდეთ გაკეთებული შესაბამისი იარაღიერი, ეს საგნები უნდა იყოს ყურნალში გატარებული და შენახული სპეციალურ ადგილზე, ხოლო ყველა სხვა ამგვარი საგანი გატანილ უნდა იქნეს პოლიციის განყოფილებიდან.
40. თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე CPT აღიარებდა სამ ძირითად უფლებას პოლიციის მიერ დაპატიმრებულ პირთათვის: ადვოკატისა და ექიმის ხელმისაწვდომობის უფლებები და უფლება იმისა, რომ დაკავებულმა შეძლოს თავისი ოჯახის წევრებისათვის ან რომელიმე მესამე პირისთვის (საკუთარი არჩევანი) დაპატიმრების ფაქტის შეტყობინება. CPT-ს რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ბევრ სახელმწიფოში მიღებულ იქნა ამ უფლებათა აღიარების ან აღსრულების ზომები. უფრო კონკრეტულად, ადვოკატის ხელმისაწვდომობა პოლიციაში პატიმრობის დროს ამჟამად ფართოდაა აღიარებული იმ ქვეყნებში, რომლებსაც ესტუმრა CPT; თუმცა იმ მცირეოდენ ქვეყანაში, სადაც ჯერ არ მოქმედებს ეს უფლებები, მიიღება ზომები მათ ასამოქმედებლად.

41. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევენ CPT-ს რეკომენდაციების შესრულებას ანუ ადვოკატის დახმარების ხელმისაწვდომობას პატიმრობის პირველსავე საათებში. ბევრ ქვეყანაში პატიმრებს ამის უფლება მხოლოდ პატიმრობაში გარკვეული დროის გატარების შემდეგ ეძლევათ; ზოგან კი უფლება მოქმედებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატიმარს ოფიციალურად აღიარებენ „ექვმიტანილად“.

CPT ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მისი გამოცდილებით, სწორედ თავისუფლების ჩამორთმევის უშუალოდ მომდევნო პერიოდში უდიდესია დაშინებისა და ფიზიკურად შეურაცხყოფელი მოპყრობის რისკი. აქედან გამომდინარე, პოლიციის პატიმრობაში მყოფი ადამიანებისათვის ადვოკატის დაუყოვნებელი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი გარანტიია უდიერი მოპყრობისაგან თავდასაცავად. ამგვარი შესაძლებლობის არსებობა ადამიანების მიმართ უდიერად მოპყრობის მოყვარულთ ასეთი ქცევის სურვილს ნამდვილად დაუკარგავდა. გარდა ამისა, ადვოკატი მშვენიერი საშუალებაა იმ შემთხვევაშიც, როცა მაინც მოხდება პატიმრის ფიზიკური შეურაცხყოფა. CPT აღიარებს, რომ პოლიციის გამოძიების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, შეიძლება, გამონაკლისის სახით, აუცილებელი გახდეს პატიმრისათვის მისთვის სასურველი ადვოკატის მიჩენის გარკვეული პერიოდით გადატანა. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს მოცემული პატიმრისათვის ადვოკატის ყოლის უფლების სრულიად მოსპობას. ასეთ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს სხვა, დამოუკიდებელი ადვოკატის დახმარების მიღება.

ადვოკატის დახმარების ხელმისაწვდომობა უნდა გულისხმობდეს მასთან განმარტოებით საუბარს. პატიმარს ასევე უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ მისი ადვოკატი ესწრებოდეს ყველა დაკითხვას. ჩვეულებრივ, ამან პოლიციას არ უნდა შეუშალოს ხელი გადაუდებელი საკითხების გამოძიებაში ადვოკატის არყოფნის შემთხვევაშიც (რომელიც შეიძლება იმ დროს იქ არ აღმოჩნდეს).

CPT ასევე აღნიშნავს, რომ ადვოკატის დახმარების მიღება უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ექვმიტანილს, არამედ ყველას, ვისაც კი სამართლებრივად ეკისრება პროცესზე დასწრება, დარჩენა, ანუ „მონაშენებს“.

ადვოკატის დახმარების ხელმისაწვდომობის სრულად გამოყენებისათვის პრაქტიკაში შესაბამისი დებულებები უნდა ჩამოყალიბდეს მათთვის, ვისაც არ შეუძლია ამგვარი სამსახურის საფასურის გადახდა.

42. პოლიციაში დაპატიმრებულთათვის ოფიციალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექიმის დახმარება. სხვა სიტყვებით, ყოველთვის უნდა მოხდეს ექიმის გამოძახება, თუ ადამიანს სჭირდება სამედიცინო დახმარება; პოლიციის თანამშრომლები არ უნდა ცდილობდნენ ამგვარი თხოვნების გაცხრილვას. ექიმის ხელმისაწვდომობის უფლება უნდა მოიცავდეს პატიმრისათვის სასურველი ექიმის მიერ შემონიშნების უფლებას, თუ ასე სურს მოცემულ ადამიანს (გარდა იმისა, რომ ამას გააკეთებს პოლიციელების მიერ შერჩეული ექიმიც). პოლიციაში დაკავებული ადამიანების სამედიცინო შემონიშნება უნდა ჩატარდეს სამართალდამცავების გარეშე, თუ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვაგვარად არ მოითხოვს ექიმი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს, რომლებსაც სასამართლოს წინაშე წარუდგენლად ათავისუფლებენ პოლიციის ზედამხედველობიდან, აქვთ სასამართლოს დადგენილი ექიმის მიერ გასინჯვის მოთხოვნისა და შესაბამისი ცნობის აღების უფლება.

43. პატიმრის უფლება, შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ თავისი ოჯახის წევრებს ან რომელიმე მისთვის სასურველ მესამე პირს, უნდა მოქმედებდეს დაკავების პირველივე საათებიდან. რა თქმა უნდა, CPT აღიარებს, რომ ამგვარი უფლების გამოყენებას უნდა ახლდეს რაიმე გამონაკლისები, რათა შესაძლებელი იყოს პოლიციის გამოძიების კანონიერი ინტერესების დაცვა. აუცილებელია ამგვარი გამონაკლისების მკაფიოდ განსაზღვრა და მკაცრად ჩამოყალიბება. მათ გამოყენებას უნდა ახლდეს სერიოზული გარანტიები (მაგალითად, დაკავების შესახებ შეტყობინების ნებისმიერი დაგვიანება უნდა ჩაინეროს წერილობით სათანადო მიზეზების მითითებით და მოითხოვოს პოლიციის იმ უფროსი თანამდებობის პირის დასტური, რომელიც არ არის დაკავშირებული არც საქმესთან და არც პროკურორთან).

44. თავისუფლებადკვეთილ ადამიანთა უფლებებს მცირე ღირებულება ექნება, თუ ამ საქმესთან დაკავშირებულ ადამიანებს არაფერი ეცოდინებათ მათი არსებობის შესახებ. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პატიმართათვის მათი უფლებების გაცნობას დაუყოვნებლად მათთვის ნაცნობ ენაზე. უზრუნველსაყოფად იმისა, რომ ეს გაკეთებულია, სპეციალური ფორმები, რომლებშიც მოცემულია პატიმრის უფლებები, უნდა სისტემატურად ეძლეოდეთ თავისუფლებადკვეთილ პირებს მათი დაკავების პირველსავე საათებში. გარდა ამისა, მოცემულმა ადამიანებმა უნდა მოაწერონ ხელი განაცხადს, რომლითაც დაადასტურებენ, რომ ისინი გაეცნენ თავიანთ უფლებებს.

45. CPT-მ მრავალგზის აღნიშნა სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების როლი პოლიციის მხრიდან ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების საქმეში.

მაგალითად, პოლიციის მიერ დაკავებული ყველა ადამიანი, რომელთაც სთავაზობენ ციხეში გადაგზავნას, ფიზიკურად უნდა წარდგეს მოსამართლის წინაშე, რომელიც გადაწყვეტს ამ საკითხს; ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთი ქვეყანა, რომელშიც ჩასული იყვნენ CPT-ს წარმომადგენლები, სადაც ეს ასე არ ხდება. პატიმრის წარდგენა მოსამართლის წინაშე დროულად მისცემს ექვმიტანილს (რომელსაც უდიერად მოეპყრნენ) საჩივრის შეტანის საშუალებას. გარდა ამისა, კონკრეტული საჩივრის უქონლობის შემთხვევაშიც კი, მოსამართლეს ექნება ზომების დროულად მიღების საშუალება, თუ არსებობს პატიმრის მიმართ უდიერად მოპყრობის სხვა ნიშნები (მაგალითად, თვალით შესამჩნევი დაშავება, ადამიანის ზოგადი გარეგნობა ან ქცევა).

ბუნებრივია, მოსამართლემ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, როცა არის ნიშნები უდიერად მოპყრობისა პოლიციის მხრიდან. ამასთან დაკავშირებით, როცა პოლიციაში პატიმრობის ბოლოს მოსამართლის წინაშე წარდგენილი პატიმარი ჩივის უდიერად მოპყრობის შესახებ, მოსამართლემ წერილობით უნდა ჩაინიშნოს ექვმიტანილის ჩივილი, ბრძანოს დაუყოვნებელი სასამართლო სამედიცინო შემოწმების ჩატარება და ყველა ზომა მიიღოს საჩივრის შესაბამისი გამოძიებისთვის. ასეთი მიდგომა უნდა განხორციელდეს, მიუხედავად იმისა, ემჩნევა თუ არა ადამიანს უდიერი მოპყრობის თვალთ შესამჩნევი კვალი. გარდა ამისა, უდიერად მოპყრობის საჩივრის უქონლობისასაც კი, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო სამედიცინო შემოწმება, როცა არსებობს სხვა საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მის წინაშე წარდგენილი ადამიანი უდიერად მოპყრობის მსხვერპლია.

სასამართლო და სხვა შესაბამისი ხელისუფლების მიერ უდიერად მოპყრობასთან დაკავშირებული ყველა საჩივრის ყურადღებიანი შემოწმება და, სადაც ეს აუცილებელია, სერიოზული ჯარიმების დაკისრება დამნაშავე სამართალდამცავებზე, ძლიერ შემაკავებელ ეფექტს იქონიებს. და პირიქით, თუ შესაბამისი ხელისუფლება არ მიიღებს სათანადო ზომებს მიღებულ საჩივრებთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ოფიცრები, რომლებიც უარს არ ამბობენ ადამიანების წამებასა თუ მათდამი ღირსების შემლახავ მოპყრობაზე, იფიქრებენ, რომ დაუსჯევლად შეუძლიათ ყველაფრის კეთება.

46. ციხეში გადასაგზავნი ადამიანების დამატებითი დაკითხვა პოლიციის მიერ ზოგჯერ შეიძლება აუცილებელიც იყოს. CPT-ს აზრით, ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების თვალსაზრისით, გაცილებით უკეთესი იქნება ამგვარი დაკითხვის ჩატარება კონკრეტულ ციხეში, ვიდრე პოლიციის განყოფილებაში. წინასწარ პატიმრობაში მყოფ ადამიანთა დაბრუნება პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ შემდგომი დაკითხვისათვის ნებადართული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გზა აღარ არსებობს. აქსიომაა ისიც, რომ იმ გამონაკლისი გარემოებებისას, როცა წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანი ბრუნდება პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, მას უნდა შეეძლოს მე-40 და 43-ე პუნქტებში მოყვანილი სამი უფლებით სარგებლობა.
47. პოლიციაში პატიმრობა შედარებით ხანმოკლეა (ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს). მიუხედავად ამისა, პოლიციის საკნებში პატიმრობის პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს.

პოლიციის საკნები უნდა იყოს სუფთა და შესაბამისი ფართის, ანუ შეესაბამებოდეს მასში მოთავსებული ადამიანებისათვის აუცილებელ ფართს და ჰქონდეს ადეკვატური განათება (ანუ საკმარისი კითხვისათვის, გარდა ძილის პერიოდისა); უმჯობესია, თუ საკნები განათდება ბუნებრივად. გარდა ამისა, საკნები აღჭურვილი უნდა იყოს დასასვენებელი საშუალებებით (მაგ., დამაგრებული სკამი ან მერხი), ხოლო ადამიანებს, რომლებსაც უხდებათ იქ დარჩენა ღამის განმავლობაში, უნდა მიეცეთ სუფთა ლეიბები და საბნები. პოლიციაში პატიმრობაში მყოფთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისაღები პირობების მქონე საპირფარეო და ხელ-პირის დასაბანი საშუალება. მათთვის ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასმელი წყალი. მათი კვება უნდა ხდებოდეს დადგენილ დროს, მინიმუმ ერთი სრული კვების ჩათვლით (მაგ., რაიმე უფრო არსებითი, ვიდრე სენდვიჩი) ყოველ დღე. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ 24 საათის ან მეტი დროის განმავლობაში მყოფ ადამიანებს ყოველ დღე უნდა ჰქონდეთ ჰაერზე ვარჯიშის საშუალება.

CPT-ს წარმომადგენლების მიერ მონახულებული პოლიციის დაკავების საკნების უმრავლესობა არ შეესაბამება ამ მინიმალურ სტანდარტებს. ეს განსაკუთრებით დამლუპველია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც, საბოლოოდ, უნდა წარდგენენ სასამართლოს წინაშე; ძალიან ხშირად მოსამართლესთან მიჰყავთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ორი და მეტი დღე აქვთ გატარებული ასეთ მოუხერხებელ და ბინძურ საკნებში და რომლებსაც არც დაუსვენიათ, არც უჭამიათ და არც დაუბანიათ წესიერად ამ დროის განმავლობაში.

48. იმ ყურადღებაში, რომელიც პოლიციამ უნდა გამოიჩინოს თავის შენობაში დაკავებული ადამიანების მიმართ, შედის ამ ადამიანების უსაფრთხოებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა. აქედან გამომდინარე, დაკავების ადგილების შესაბამისი მონიტორინგი განუყოფელი კომპონენტია პოლიციელების მიერ დაკავებულების მიმართ მოპყრობის. შესაბამისი ნაბიჯებია გადასადგმელი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის პოლიციის თანამშრომელთა ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომობის გარანტირების მიზნით.

რამდენიმე შემთხვევაში CPT-ს წარმომადგენლებმა ნახეს, რომ საკნები საკმაოდ შორსაა განლაგებული პოლიციის განყოფილების კაბინეტებისა თუ პოლიციელთა სამორიგეოებიდან. დაკავებულებს არც რაიმე საშუალება ჰქონდათ (მაგალითად, გამოძახების სისტემა), რომლითაც შეძლებდნენ პოლიციის თანამშრომლების ყურადღების მიპყრობას. ასეთ პირობებში არსებობს დიდი რისკი სხვადასხვა სახის ინციდენტისა (მაგალითად: ძალადობა დაკავებულებს შორის; თვითმკვლელობის მცდელობა; ხანძარი და ა.შ.), რომლებზეც შეუძლებელი იქნება დროული რეაგირება.

49. CPT-მ ასევე აღნიშნა შეცდომა, როცა ზოგიერთი ქვეყნის პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა ყოფნის ადგილებს ზედამხედველობენ იმავე ოპერატიული განყოფილებების (ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული, ანტიტერორიზმი) თანამშრომლები. კომიტეტი თვლის, რომ უნდა დაიგმოს ასეთი მიდგომა დაკავების ადგილების მიმართ. ასეთ ადგილებში უნდა მსახურობდნენ სპეციალურად ამისთვის მომზადებული ადამიანები. ეს, რა თქმა უნდა, იქნება დადებითი მოვლენა და გამართლებული ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ოპერატიული განყოფილებების თანამშრომელთა გათავისუფლება დაკავებულებზე პასუხისმგებლობისაგან ასევე კარგი იქნება მენეჯმენტისა და მატერიალური უზრუნველყოფის პერსპექტივის თვალსაზრისით.

50. და ბოლოს, პოლიციის დაწესებულების შემონმება ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ძალიან კარგი იქნება პოლიციის განყოფილებებში დაკავებული ადამიანების მიმართ მოპყრობის თვალსაზრისით, უფრო ზოგადად კი ეს უზრუნველყოფს დაკავების დამაკმაყოფილებელ პირობებს. უფრო მეტი ეფექტურობის მიზნით, ამგვარი ვიზიტები უნდა იყოს რეგულარული და მოულოდნელი. გარდა ამისა, შემონმებლებს უნდა ჰქონდეთ დაკავებულ ადამიანებთან პირისპირ გასაუბრების საშუალება. უფრო მეტიც, შემონმებლები უნდა ამონმებდნენ

დაკავებულების მიმართ მოპყრობის ყველა საკითხს: დაკავებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს; ინფორმაციის მიწოდებას დაკავებულებისთვის მათი უფლებების შესახებ და ამ უფლებების პრაქტიკულად გამოყენების მდგომარეობას (კერძოდ, მე-40 და 43-ე პუნქტებში მოცემულ სამ უფლებას); შესაბამისობას ეჭვმიტანილთა დაკითხვის წესებთან და დაკავებულების მატერიალურ პირობებთან.

ზემოხსენებული ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ აღმოჩენილი ფაქტები უნდა ეცნობოს არა მხოლოდ პოლიციას, არამედ ხელისუფლების სხვა ორგანოებსაც, რომლებიც არ არიან დამოკიდებული პოლიციაზე.

III. სამართალდამცავების ტრენინგი

ნაწყვეტი მე-2 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (92) 3]

59. და ბოლოს, CPT-ს უნდა, განსაკუთრებით აღნიშნოს ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც იგი ანიჭებს სამართალდამცავების ტრენინგს (რომელიც უნდა შედიოდეს ადამიანის უფლებების სწავლება – შდრ. გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის შესახებ კონვენციის მე-10 მუხლი). უდავოა, რომ დაკავებულების მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილებისათვის არ არსებობს უკეთესი გარანტია, ვიდრე შესაბამისად მომზადებული სამართალდამცავები. განსწავლული თანამშრომლები კარგად გაართმევენ თავს თავიანთ მოვალეობებს დაკავებულებისადმი უღირსი მოპყრობის გარეშე და წარმატებით გადაწყვეტენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს დაკავებულებისა და პატიმრებისთვის ძირითადი გარანტიების არსებობის პირობებში.
60. ამასთან დაკავშირებით CPT-ს სწამს, რომ ადამიანებთან ურთიერთობის უნარი უმთავრესი ფაქტორი იქნება სამართალდამცავების სამსახურში აყვანის პროცესში და რომ ტრენინგისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ ამ ურთიერთობათა უნარ-ჩვევების განვითარებას ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემის საფუძველზე. ამგვარი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პოლიციის ან ციხის თანამშრომელი შეძლებს ისეთი სიტუაციის განმუხტვას, რომელიც სხვა შემთხვევაში გადაიზრდებოდა ძალადობაში, და, უფრო ზოგადად, ვითარებას მიიყვანს დაძაბულობის შემცირებამდე, სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებამდე პოლიციასა თუ ციხეში, რაც ფასდაუდებელი იქნება ორივე მხარისათვის.

VII. თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნები

ნანყვეტი მე-9 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (99) 12]

წინასწარი შენიშვნები

20. ზოგიერთ წინა ზოგად ანგარიშში CPT-მ ჩამოაყალიბა კრიტერიუმები, რომლებიც მართავს მის მუშაობას დაკავების სხვადასხვა ადგილას, პოლიციის განყოფილებების, დაკავებულთა იმიგრაციის ცენტრებისა და ფსიქიატრიული დაწესებულებების ჩათვლით.

კომიტეტი ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, შესაძლებლობის მიხედვით, იყენებს არასრულწლოვნების (18 წლამდე ასაკის ადამიანების) მიმართ, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ თავისუფლება. თუმცა, მათი დაკავების მიზეზის მიუხედავად, არასრულწლოვნები უფრო დაუცველები არიან, ვიდრე ზრდასრულები. აქედან გამომდინარე, მოითხოვება განსაკუთრებული ყურადღება მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მიმართ. თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნების მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების მნიშვნელობის აღსანიშნავად CPT-მ ირჩია მე-9 ზოგადი ანგარიშის წინამდებარე თავის მიძღვნა ზოგიერთი იმ სპეციფიკური საკითხის განმარტებისადმი, რომელიც მნიშვნელოვანია ამ სფეროში.

მომდევნო პუნქტებში კომიტეტი აყალიბებს ზოგიერთ გარანტიას ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, შეთავაზებული უნდა იქნეს ყველა თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნისათვის, ვიდრე ყურადღება მიექცეოდეს სპეციალურად არასრულწლოვნებისთვის აგებული საპატიმროების პირობებს. კომიტეტი იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა ხელისუფალნი შესაბამისად მიიღებენ ამ მინიშნებას, დაკავშირებულს არასრულწლოვნების პატიმრობასთან. როგორც წინა წლებში, ისე ამჟამადაც CPT მიესალმება ყველა შენიშვნას თავისი ზოგადი ანგარიშის ამ ნაწილის მიმართ.

21. კომიტეტს თავიდანვე სურს აღნიშნოს, რომ აქ მოცემული ნებისმიერი სტანდარტი დამატებითია იმ სტანდარტებისა, რომლებიც განხილულია სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტში, როგორცაა, მაგალითად, 1985 წლის გაერო-ს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვნების მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის (პეკინის წესები); 1990 წლის გაერო-ს თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის წესები და 1990 წლის გაერო-ს სახელმძღვანელო მითითებები არასრულწლოვნების მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილების შესახებ (ერ-რიადის სახელმძღვანელო მითითებები).

კომიტეტს ასევე სურს, მხარდაჭერა გამოხატოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიმართ, რომელიც მოცემულია ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში. კერძოდ, რომ არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთა მიღებული უნდა იქნეს როგორც უკანასკნელი საშუალება და უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე (იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე(ბ) მუხლი და პეკინის მე-13 და მე-19 წესები).

გარანტიები არასრულწლოვანთა მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ

22. თავისი მანდატის გათვალისწინებით, CPT-ს უმთავრესი პრიორიტეტი არასრულწლოვანთა დაკავების ადგილების მონახულებისას არის გამოკვლევა იმისა, თუ როგორ ეპყრობიან მათ სამართალდამცავები. კომიტეტის აზრით და მის მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით, კომიტეტის მიერ მონახულულ დაწესებულებებში იგი იშვიათად შეხვედრია ასეთ შემთხვევებს.
23. მიუხედავად ამისა, ზრდასრულებთან შედარებით, არასრულწლოვნები უფრო მეტი რისკის ქვეშ ექცევიან პოლიციის განყოფილებაში, ვიდრე დაკავების სხვა ადგილებში. და მართლაც, რამდენიმე შემთხვევაში CPT-ს დელეგაციამ შეძლო სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება არასრულწლოვანთა წამებისა და მათდამი ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ პოლიციელების მხრიდან.

ამ კონტექსტში CPT-მ საზგასმით აღნიშნა, რომ წამებისა და უდიერო მოპყრობის უდიდესი რისკის ქვეშ არასრულწლოვნები ექცევიან უშუალოდ თავისუფლების აღკვეთის შემდეგ. კომიტეტის აზრით, ყველა დაპატიმრებულს (მათ შორის არასრულწლოვანს) უნდა შეეძლოს თავისი უფლების გამოყენება დ ფაქტის შეტყობინება ნათესავებისა თუ რომელიმე მესამე პირისათვის (მათი სურვილის მიხედვით), ადვოკატისა და ექიმის დახმარების მიღება.

ამ გარანტიების გარდა, ზოგიერთი იურისდიქცია აღიარებს, რომ არასრულწლოვნებისათვის დამახასიათებელი დაუცველობა მოითხოვს სიფრთხილის დამატებითი ზომების მიღებას. ეს გულისხმობს პოლიციის თანამშრომლებისათვის ოფიციალური ვალდებულების დაკისრებას დაპატიმრებულის სურვილის მიხედვით ნათესავებისა თუ მეგობრებისათვის დაპატიმრების ფაქტის შეტყობინებასთან დაკავშირებით (მოითხოვს თუ არა ამას თვით არასრულწლოვანი). ასევე შეიძლება პოლიციის ოფიცრებს აეკრძალოთ არასრულწლოვნის დაკითხვა შესაბამისი პირის ან ადვოკატის მოსვლამდე. CPT მიესალმება ამ მიდგომას.

24. CPT-ს წევრების მიერ მონახულებულ მრავალ სხვა დაწესებულებაში მათ აცნობეს, რომ ზედამხედველები ნამდვილად იყენებდნენ „პედაგოგიური მიზნით გატყუებას“ უსაქციელობაში შემჩნეული არასრულწლოვნების მიმართ. კომიტეტი თვლის, რომ ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, ოფიციალურად უნდა აიკრძალოს ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა (იგივე უნდა კეთდებოდეს პრაქტიკულადაც). უსაქციელობაში შემჩნეული დაკავებულების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინარული წესებით დადგენილი ზომები.
25. კომიტეტს ასევე კარნახობს გამოცდილება, როცა არასრულწლოვნების მიმართ ხდება ღირსების შემლახავი მოპყრობა, ეს უფრო ხშირად მოცემული ადამიანების შეურაცხყოფისგან დაცვის უზუნარობის შედეგია და არა ტანჯვის განზრახ მიყენების სურვილი. ამგვარი შეურაცხყოფის თავიდან აცილების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტია არასრულწლოვანთა დაკავების იმ პრინციპის დაცვა, რომელიც ეხება მათ განთავსებას ზრდასრულებისაგან ცალკე.

ამ პრინციპის დარღვევა, CPT-ს დაკვირვებით, გამოიხატებოდა შემდეგში: ზრდასრული მამაკაცების მოთავსება არასრულწლოვანი ბიჭების საკანში ამ საკნებზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით; არასრულწლოვანი გოგონების მოთავსება ზრდასრულ ქალებთან ერთად; არასრულწლოვანი ფსიქიკური პაციენტების მოთავსება ქრონიკულად დაავადებულ მოზრდილებთან ერთად.

კომიტეტი უშვებს, რომ შეიძლება იყოს გამონაკლისი სიტუაციები (მაგალითად, ბავშვები და მშობლები, დაკავებულები როგორც იმიგრანტები), როცა არასრულწლოვანთა ინტერესებშია მათი ყოფნა კონკრეტულ უფროსებთან ერთად. თუმცა არასრულწლოვანთა განთავსებას მათთან ნათესაურ კავშირში არმყოფ უფროსებთან აუცილებლად მოაქვს დომინირებისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობა.

26. შერეული სქესის თანამშრომლები კიდევ ერთი გარანტიაა უდიერი მოპყრობის თავიდან აცილებისათვის დაკავების ადგილებში, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა შემთხვევაში. შერეული სქესის თანამშრომელთა ყოფნას შეიძლება დადებითი შედეგი მოჰყვეს როგორც დაკავების მორალური მხარის, ასევე დაკავების ადგილებში ნორმალური პირობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

შერეული სქესის თანამშრომლების არსებობა კარგია მათი სქესის მიხედვით განაწილებისას პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირე-

ბული დავალების შესრულებისას, როგორცაა, მაგალითად, ჩხრეკა. ამასთან დაკავშირებით CPT განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ასაკის მიუხედავად, დაკავებული ადამიანები უნდა განხრეკოს მხოლოდ მისივე სქესის თანამშრომელმა, ხოლო ჩხრეკა, რომელიც მოითხოვს დაკავებულის გაშიშვლებას, უნდა ჩატარდეს სანააღმდეგო სქესის თანამშრომლების დაუსწრებლად. ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვნებს.

27. CPT-ს წარმომადგენელთა მიერ მონახულებულ ბევრ დანესებულებაში აღმოჩნდნენ ზედამხედველები, რომლებიც უშუალო კონტაქტში შედიოდნენ არასრულწლოვნებთან და, ამასთან, დაუფარავად ატარებდნენ ხელკეტებს. აღნიშნული ქცევა არ უწყობს ხელს კარგ დამოკიდებულებას ციხის თანამშრომლებსა და დაკავებულებს შორის. უმჯობესია, თუ ზედამხედველებს სულაც არ ექნებათ ხელკეტები. თუ ამის გაკეთება აუცილებელია, CPT-ს რჩევით, უკეთესია, თუ ხელკეტები არ იქნება აშკარად გამოფენილი სხვების დასანახავად.

VIII. პატიმარი ქალები

ნაწყვეტი მე-10 ზოგადი ანგარიშიდან [CPT/Inf (2000) 13]

წინასწარი შენიშვნები

21. ზოგიერთ წინა ზოგად ანგარიშში CPT-მ ჩამოაყალიბა კრიტერიუმები, რომლებიც მართავს მის მუშაობას დაკავების სხვადასხვა დანესებულებაში პოლიციის განყოფილებების, იმიგრანტების დაკავების ცენტრების, ფსიქიატრიული დანესებულებებისა და არასრულწლოვანთა დაკავების ადგილების ჩათვლით. რა თქმა უნდა, კომიტეტი ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმს იყენებს როგორც ქალების, ასევე თავისუფლებააღკვეთილი მამაკაცების მიმართაც. თუმცა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში პატიმარი ქალები თავისუფლებააღკვეთილთა შედარებით მცირე ჯგუფია. სახელმწიფოებისათვის შეიძლება ძალიან ძვირი აღმოჩნდეს დაკავებული ქალებისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნა, ვინაიდან ისინი ხშირად მოთავსებული არიან პატარა პუქტებში (ზოგჯერ შორს თავიანთი სახლებიდან და მათზე დამოკიდებული შეილებისაგან) განლაგებულ ისეთ ნაგებობებში, რომლებშიც ადრე მამაკაცი პატიმრები სახლობდნენ (ზოგჯერ ისინი შეიძლება კვლავაც იქ იყვნენ). ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო დაკავებული ქალების უსაფრთხოების მიმართ.

ვინაიდან CPT უდიდეს ყურადღებას უთმობს ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილებას დაკავებული ქალების შემთხვევაში, მან გადანიშნა, თვისი მე-10 ზოგადი ანგარიშის ეს თავი დაუთმოს იმ განსაკუთრებულ საკითხებს, რომლებსაც იგი თვალყურს ადევნებს ამ სფეროში. კომიტეტი ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებული თავისი აზრების მიწოდებას სახელმწიფოებისათვის. ისევე, როგორც წინა წლებში CPT მიესალმება ამ ნაწილისადმი გამოთქმულ ყველა შენიშვნას.

22. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ CPT-ს მიერ ამ თავში მოყვანილი საკითხები ერთნაირად ეხება ყველა შემთხვევას, მიუხედავად დაკავების ადგილის ბუნებისა. მიუხედავად ამისა, CPT-ს გამოცდილებით, თავისუფლებააღკვეთილი ქალების ფიზიკური და/თუ ფსიქიკური ხელყოფის რისკი შეიძლება კიდევ უფრო მაღალი იყოს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც დგება დაპატიმრებისთანავე. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არსებული კრიტერიუმების დაცვას დაკავების ამ ფაზის განმავლობაში.

კომიტეტს ასევე სურს, ხაზი გაუსვას იმას, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული ყველა სტანდარტი დამატებითი უნდა იყოს უკვე არსებულ საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული სტანდარტებისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ბავშვის უფლებათა გაერო-ს კონვენციის, გაერო-ს კონვენციის ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფი ყველა პირის დაცვის შესახებ პრინციპთა ერთობლიობის ჩათვლით.

შერეული სქესის თანამშრომლები

23. როგორც CPT-მ აღნიშნა თავის მე-9 ზოგად ანგარიშში, შერეული სქესის თანამშრომლები კიდევ ერთი გარანტიაა ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან თავის დაცვისათვის საპატიმროებში. მამაკაცი და ქალი თანამშრომლების არსებობა დადებით ზეგავლენას ახდენს დაკავების სიტუაციაზე და ხელს უწყობს ნორმალური ურთიერთობების დამყარებას საპატიმროებში.

შერეული სქესის თანამშრომლების არსებობა ასევე იძლევა თანამშრომლების შესაბამისი განაწილების საშუალებას, როცა შესასრულებელია სქესის თვალსაზრისით პირადი თავისუფლების ხელმყოფელი სამუშაო, მაგალითად, ჩხრეკა. ამ კონტექსტში CPT კიდევ ერთხელ აღნიშნავს,

რომ ჩხრეკა უნდა ჩაატარონ პატიმრის სქესის თანამშრომლებმა, ხოლო თუ ამ დროს აუცილებელია დაკავებულის გაშიშვლება, ამას არ უნდა ესწრებოდნენ მონინააღმდეგე სქესის თანამშრომლები.

პატიმარი ქალების ცალკე მოთავსება

24. სახელმწიფოს მიერ პატიმართა მიმართ აღებულ პასუხისმგებლობაში ასევე შედის მათი დაცვა ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც მათ ხიფათს უქმნიან. CPT-ს არაერთხელ შეხვედრია ქალების საჩივარი შეურაცხყოფის შესახებ ქალების მხრიდან. თუმცა, პატიმრობაში უდიერად მოპყრობასთან დაკავშირებით, პატიმარი ქალები უფრო ხშირად კაცებს უჩივიან (უფრო კონკრეტულად, ეს შეეხება სექსუალურ შეურაცხყოფას, აქვე იგულისხმება სექსუალური ქვეტექსტის მქონე სიტყვიერი შეურაცხყოფაც). ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როცა სახელმწიფოს არ შეუძლია ქალებისათვის ცალკე საპატიმროსა და ზედამხედველი ქალების გამოყოფა.

პრინციპის დონეზე, პატიმარი ქალების საკნები ფიზიკურად უნდა იყოს გამოყოფილი იმავე საპატიმროში მყოფი პატიმარი მამაკაცების საკნებისაგან. როგორც ამბობენ, ზოგიერთმა სახელმწიფომ დაიწყო პირობების შექმნა პატიმარი წყვილებისათვის. CPT მიესალმება ამგვარ პროგრესს, ოღონდ იმ პირობით, რომ ამისათვის შერჩეული პატიმრები თავად არიან თანახმანი ამ პროექტში მონაწილეობისათვის და ისინი შერჩეულნი არიან ზედმინვენით.

თანასწორობა საქმიანობის ხელმისაწვდომობაში

25. თავისუფლებადკვეთილ ქალებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ რაიმე შინაარსიან საქმიანობაზე (მუშაობა, განათლება, სპორტი და ა.შ.) ისევე, როგორც პატიმარ მამაკაცებს. როგორც კომიტეტმა აღნიშნა თავის უკანასკნელ ზოგად ანგარიშში, CPT-ს წარმომადგენლები ხშირად აწყდებიან ისეთ შემთხვევებს, როცა პატიმარ ქალებს სთავაზობენ მხოლოდ მათთვის „შესაფერის“ საქმეს (როგორიცაა კერვა ან ხელით შრომა), მაშინ როცა პატიმარ მამაკაცებს გაცილებით მეტ ხელობას ასწავლიან. CPT-ს აზრით, ამგვარი დისკრიმინაციული მიდგომა კიდევ უფრო განამტკიცებს ქალის სოციალური როლის უკვე მოძველებულ სტერეოტიპს. უფრო მეტიც, გარემოებებიდან გამომდინარე, ქალებისათვის უარის თქმა სარეჟიმო საქმიანობების ამა თუ იმ ტიპზე შეიძლება ჩაითვალოს როგორც მათი დეგრადირებისაკენ მიმართული მოპყრობა.

მოპყრობა მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ

26. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული ორსული პატიმარი ქალების დიეტის დასაცავად. მათ უნდა ეძლეოდეთ ცილების მაღალი რაოდენობით შემცველი საკვები, ახალი ხილი და ბოსტნეული.
27. აქსიომა – ბავშვები არ უნდა იბადებოდნენ ციხეში. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, ჩვეულებრივ, მშობიარობის ვადის მოახლოებისას პატიმარი ქალები გადაყავთ ჩვეულებრივ სამშობიაროებში.

მიუხედავად ამისა, დროდადრო, CPT ხვდება ისეთ მაგალითებსაც, როცა ორსულ ქალებს ადევთ ბორკილები და როცა ისინი დაბმულნი არიან სანოლებზე ან სხვა ავეჯზე გინეკოლოგიური შემონმების ან მშობიარობისას. ასეთი მიდგომა სრულიად მიუღებელია და ითვლება არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობად. უნდა მოიძებნოს, და ეს შესაძლებელია, უსაფრთხოების რაიმე სხვა ზომა.

28. ბევრი პატიმარი ქალი ერთადერთი მზრუნველია ბავშვების ან სხვებისა, რომელთა კეთილდღეობა შეიძლება რისკის ქვეშ აღმოჩნდეს კონკრეტული ქალების დაპატიმრების შედეგად. ერთ-ერთი განსაკუთრებული პრობლემური საკითხია, შეიძლება თუ არა (და თუ კი, რამდენი ხნით) თოთო და პატარა ბავშვების დატოვება ციხეში დედებთან. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, ვინაიდან, ერთი მხრივ, ციხე ის ადგილი არაა, სადაც უნდა იზრდებოდეს ბავშვი, მეორე მხრივ კი, არ არის სასურველი დედისა და ბავშვის განცალკევება.
29. CPT-ს აზრით, ყველა შემთხვევაში მთავრობისათვის სახელმძღვანელო უნდა იყოს ბავშვის კეთილდღეობა. აქ იგულისხმება, რომ ნებისმიერი მკურნალობა საპატიმროში მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ უნდა იყოს ისეთივე, როგორსაც იღებენ თავისუფლებაში მყოფი დანარჩენი ქალები. იქ, სადაც ბავშვები დედებთან ერთად იმყოფებიან საპატიმროებში, მათ უნდა აკვირდებოდნენ სოციალური სამსახურისა და ბავშვთა განვითარების სამსახურის წარმომადგენლები. მიზანი უნდა იყოს ყურადღების ცენტრში ბავშვის მოქცევა. უმჯობესია, თუ იგი ნაკლებად დაინახავს ციხის სიმბოლიკას (მაგალითად, ფორმაში გამოწყობილ და გასაღების მოჩხრიალე ზედამხედველს).

ასევე დიდი ყურადღება საჭირო ბავშვის მოძრაობისა და აზროვნების განვითარების მიმართ. კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სათამაშო და სამოდრო საშუალება ციხეში, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა შეეძლოთ ციხიდან გასვლა და ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრებისეული სიამოვნების მიღება.

ასევე დადებითად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე მისი ოჯახის დანარჩენი წევრების მიერ გამოჩენილი ყურადღება (მაგალითად, მამის). ასევე, ურიგო არ იქნება დაფიქრება ბაგა-ბაღის მსგავსი დაწესებულების მოწყობაზე, რაც პატიმარ ქალებს მისცემს მუშაობისა და სხვა საქმიანობით დაკავების საშუალებას უფრო მეტად, ვიდრე ეს შესაძლებელია ბავშვით ხელზე.

ჰიგიენისა და ჯანმრთელობის საკითხები

30. CPT-ს ასევე სურს ყურადღების მიპყრობა ჰიგიენისა და ჯანმრთელობის ბევრ საკითხზე, რომელთა მოთხოვნილება ქალების მხრიდან სრულიად განსხვავდება კაცებისაგან.
31. სათანადო ყურადღებაა საჭირო პატიმარი ქალების ჰიგიენის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართ. მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სანიტარიული და დასაბანი საშუალებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სისხლიანი საფენების შესაბამისი გატანა და ქალების მომარაგება აუცილებელი ჰიგიენური პირსახოცებითა და ტამპონებით. უყურადღებობა ამ თვალსაზრისით ასევე ითვლება ღირსების შემლახავ მოპყრობად.
32. ასევე მნიშვნელოვანია, პატიმარს ჰქონდეს ჯანმრთელობის დაცვის ისეთივე მომსახურების მიღების საშუალება, როგორც აქვთ თავისუფლებაში მყოფ მოქალაქეებს.

ვინაიდან საუბარია პატიმარ ქალებზე, მათ ჯანმრთელობას, მკურნალი ექიმებისა და ექთნების გარდა, ყურადღებას უნდა აქციევდნენ გინეკოლოგები.

უფრო მეტიც, ისევე როგორც ქალების მკერდისა და საშვილოსნოს პროფილაქტიკური დათვალიერება შესაძლებელია თავისუფლებაში მყოფი ქალებისათვის, ეს ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმარი ქალებისთვისაც.

ყურადღების თანასწორობა ასევე მოითხოვს ქალების ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დაცვას პატიმრობის ადგილებში ისევე, როგორც ეს ხდება თავისუფლებისას. ამგვარად, როგორც თავისუფლებაში მყოფი ქალებისათვისაა შესაძლებელი ორსულობის შეწყვეტა მედიკამენტით ან აბორტის გზით ორსულობის უფრო გვიანი ვადისას, ეს ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმარი ქალებისთვისაც.

33. თუ თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებს მკურნალობის რაიმე კურსი ჰქონდათ დაწყებული დაპატიმრებამდე, მათ უნდა შეეძლოთ ამ კურსის

გაგრძელება საპატიმროში. აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა მიექცეს საპატიმროებში სპეციალური მედიკამენტების საკმარისი რაოდენობით შეტანას და მათ ხელმისაწვდომობას პატიმარი ქალებისათვის.

მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ისიც, რომ, მაგალითად, ჩასახვის სანიანალმდეგო აბები არა მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისთვისაა, იგი შეიძლება დაენიშნოს პაციენტს მენსტრუაციისას ძლიერი ტკივილების შემსუბუქებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თავად პატიმრობა მნიშვნელოვნად ამცირებს ქალის დაორსულების შესაძლებლობას, ამგვარი წამლები მაინც უნდა მოიპოვებოდეს ციხეში.

დანართი N3
შემდგომი ინფორმაცია
და საკონტაქტო ორგანიზაციები

მთავრობათაშორისი ორგანიზაციები:

African Commission on Human and People's Rights

(ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული კომისია)

90 Kairaba Avenue

P.O. Box 673

Banjul

The Gambia

Tel.: +220392962; 372070

Fax.: +220 390764

E-mail: idoc@achpr.org

<http://www.achpr.org>

Council of Europe

(ევროპის საბჭო)

F – 67075 Strasbourg-Cedex

France

Tel.: +33-3-88 41 20 18

Fax.: +33-3-88 41 27 30

<http://www.echr.coe.int/>

Inter-American Commission on Human Rights

(ადამიანის უფლებათა ამერიკული კომისია)

Inter-American Commission on Human Rights

1889 F St., NW, Washington, D.C., USA 20006

Tel.: +1-202-458 6002

Fax.: +1-202-458 3992

E-mail: cidhoea@oas.org

<http://www.cidh.oas.org/>

Inter-American Court of Human Rights

(ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო)

Inter-American Court of Human Rights

Apdo 6906-1000

San Jose, Costa Rica

Tel.: +505-234 0581 ან +506-225 3333

Fax.: +506-234 0584

E-mail: corteidh@solracsa.co.cr

<http://www1.umn.edu/humanrts/iachr/iachr.html>

Inter-American Institute of Human Rights

(ადამიანის უფლებათა ამერიკული ინსტიტუტი)

A.P. 10.081-1000

San Jose, Costa Rica

Tel.: +506-234 0404

Fax.: +506-234 0955

E-mail: instituto@iidh.ed.cr

<http://www.iidh.ed.cr/>

Office of the UN High Commissioner for Human Rights

(გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი)

OHCHR-UNOG

CH 1211 Geneva 10, Switzerland

Tel.: +41-22-917 9000

Fax.: +41-22-917 0099

E-mail: webadmin.hchr@unog.ch

<http://www.unhchr.ch/>

Organization for Security and Co-operation in Europe

(ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია)

Office for Democratic Institutions and Human Rights

(demokratiuli dawesebulebaTa da adamianis uflebaTa ofisi)

Aleje Ujazdovskie 19

00-557 Warsaw

Poland

Tel.: +48-22-520 06 00

Fax.: +48-22-520 06 05

E-mail: office@odih.osce.waw.pl

<http://www.osce.org/odih/>

არასამთავრობო ორგანიზაციები

და პროფესიული ასოციაციები

Amnesty International (AI)

(საერთაშორისო ამნისტია)

saerTaSoriso samdivno

1 Easton St

London

WC1X 8DJ

UK

Tel.: +44 20 7413 5500

Fax.: +44 20 7956 1157

E-mail: amnestyis@amnesty.org

<http://www.amnesty.org/>

Association pour la Prevention de la Torture

(ასოციაცია წამების წინააღმდეგ)

Foute de Ferney 10

Case postale 2267

CH-1211 Geneva 2

Switzerland

Tel.: +41-22-734 2088

Fax.: +41-22-734 5649

E-mail: apt@apt.ch

<http://www.apt.ch/>

Federation Internationale des Ligues des Droits de L'homme (Fidh)

(ადამიანის უფლებათა ლიგების საერთაშორისო ფედერაცია)

17 Passage de la Main d'Or

75011 Paris, France

Tel.: +33-1-43 55 25 18

Fax.: +33-1-43 55 18 80

E-mail: fidh@csi.com

<http://www.fidh.imagnet.fr/>

Human Rights Watch

(ადამიანის უფლებათა დასაცავად)

350 Fifth Avenue, 34th Floor

New York, NY

10118-3299 USA

Tel.: +1-212-290 4700

Fax.: +1-212-736 1300

E-mail: hrwnyc@hrw.org

<http://www.hrw.org/>

International Association of Judges

(მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაცია)

Palazzo di Giustizia

Piazza Cavour

00193 Roma

Italy

Tel.: +39 066 883 2213

Fax.: +39 066 87 1195

E-mail: secretariat@iaj-uim.org

<http://www.iaj-uim.org>

The International Bar Association

(ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაცია)

271 Regent Street

London

W1B 2AQ

UK

Tel.: +44 20 7629 1206

Fax.: +44 20 7409 0456

<http://www.ibanet.org>

International Commission of Jurists

(იურისტთა საერთაშორისო კომისია)

P.O. Box 216

81a Avenue de Chatelaine

1219 Geneva

Switzerland

Tel.: +41 22 979 38001

Fax.: +41 22 979 3801

E-mail: info@icj.org

<http://www.icj.org>

International Committee of the Red Cross

(წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი)

19 Avenue de la Paix

CH 1202 Geneva

Switzerland

Tel.: +41-22-734 60 01

Fax.: +41-22-733 20 57 (საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრი)

E-mail: webmaster.gve@icrc.org

<http://www.icrc.org/>

International Helsinki Federation for Human Rights

(ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია)

Fummelhardtg. 2/18

A-1090 Vienna

Austria

Tel.: +43-1-408 88 22

Fax.: +43-1-408 88 22-50

E-mail: office@ihf-fr.org

<http://www.ihf-hr.org/>

International Rehabilitations Centre for Torture Victims (IRCT)

(წამების მსხვერპლთა საერთაშორისო სარეაბილიტაციო ცენტრი)

P.O. Box 2107

DK-1014 Copenhagen K

Denmark

Tel.: +45-33-76 06 00

Fax.: +45-33-76 05 00

E-mail: irct@irct.org

<http://www.irct.org>

(იქვე მოცემულია წამების მსხვერპლთათვის სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ცენტრების დეტალები)

International Service for Human Rights

(ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამსახური)

1 Rue de Varembe

P.O. Box 16

Ch-1211 Geneva CIC

Switzerland

Tel.: +41-22-733 5123

Fax.: +41-22-733 0826

Lawyers Committee for Human Rights

(ადვოკატთა კომიტეტი ადამიანის უფლებებისათვის)
333 Seventh Avenue, 13th Floor
New York, NY 10001
United States
Tel.: +1-212-845 5200
Fax.: +1-212-845 5299
E-mail: lchrbin@lchr.org
<http://www.lchr.org/>

Penal Reform International

(საერთაშორისო პენიტენციალური რეფორმა)
Unit 114, The Chandlery
50 Westminster Bridge Rd
London SE1 7QY
United Kingdom
Tel.: +44-171-721 7678
Fax.: +44-171-721 8785
E-mail: Headofsecretariat@pri.org.uk
<http://www.penalreform.org>

Physicians for human Rights (PHR)

(ექიმები ადამიანის უფლებათა დასაცავად)
100 Boylston St.
Suite 702
Boston, MA 02116
United States
Tel.: +1-617-695 0041
Fax.: +1-617-695 0307
E-mail: phrusa@igc.apc.org
<http://www.phrusa.org/>

Redress

(ზარალის ანაზღაურება)
3rd Floor
87 Vauxhall Walk
London
SE11 5HJ
Tel.: +44 207 7793 1777
Fax.: +44 207 7793 1719
E-mail: redresstrust@gn.apc.org
<http://www.redress.org/>

World Medical Association (WMA)

(მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია)
PO Box 63
01212 Ferney-Voltaire Cedex
France
Tel.: +33-4-50 40 75 75
Fax.: +33-4-50 40 59 37
E-mail: info@wma.net
<http://www.wma.net/>

**World Organization Against Torture/Organisation
Mondiale Contre La Torture (OMCT)**

(მსოფლიო ორგანიზაცია წამების წინააღმდეგ)

saerTaSoriso samdivno

PO Box 35-37 Rue de Varembe

CH1211 Geneva CIC 20

Switzerland

Tel.: +41-22-733 3140

Fax.: +41-22-733 1051

E-mail: omct@omct.org

<http://www.omct.org/>

დანართი N4

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რჩეული დოკუმენტების რატიფიციის მდგომარეობის ცხრილი

ადამიანის საერთაშორისო უფლებათა რჩეული ხელშეკრულებების
რატიფიცირების მდგომარეობა 2002 წლის 21 აგვისტოსთვის

- (1) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (CCPR)
- (2) საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD)
- (3) კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)
- (4) კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ (CAT)
- (5) ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს გაერო-ს ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების მონაწილე (მითითებულია რატიფიცირების, მიერთების ან მიმდევრობის თარიღების მიხედვით) ან ხელმომწერ (აღნიშნულია „ხ“ ასოთი და მითითებულია თარიღი) სახელმწიფოებს.

ქვეყანა	CCPR	CERD	CEDAW	CAT	CRC
ავსტრალია	13.08.80	30.09.75	28.07.83	08.08.89	17.12.90
ავსტრია	10.1078	09.05.72	31.03.82	29.07.87	06.08.92
ავღანეთი	24.01.83	06.07.83	14.08.80	01.04.87	28.03.94
აზერბაიჯანი	13.08.92	16.08.96	10.07.83	16.08.96	13.08.92
ალბანეთი	04.10.91	11.05.94	11.05.94	11.05.94	27.02.92
ალჟირი	12.09.89	14.02.72	22.05.96	12.09.89	16.04.93
ანდორა	ხ: 05.08.02	ხ: 05.08.02	15.01.97	ხ: 05.08.02	02.01.96
ანგოლა	10.01.92		17.09.86		06.12.90
ანტიგუა და ბარბადოსი	25.10.88	01.08.89	19.07.93	06.10.93	
არაბეთის გაერთ. ემირატები	20.06.74			03.01.97	

არგენტინა	08.08.86	02.10.68	15.07.85	24.09.86	05.12.90
ახალი ზელანდია	28.12.78	22.11.72	10.01.85	10.12.89	06.04.93
აშშ	08.06.92	21.10.94	ბ: 17.07.80	21.10.94	ბ: 16.02.97
ბანგლადეში	07.10.00	11.06.79	06.11.84	05.10.98	03.08.90
ბარბადოსი	05.01.73	08.11.72	16.10.80		09.10.90
ბაჰამის კუნძულები		05.08.75	06.10.93		20.02.91
ბაჰრეინი	27.03.90	18.06.02	06.03.98	13.02.92	
ბელორუსია	12.11.73	08.04.69	04.02.81	13.03.87	02.10.90
ბელგია	21.04.83	07.08.75	10.07.85	25.06.99	16.12.91
ბელიზი	10.06.96	14.11.01	16.05.90	17.03.86	02.05.90
ბენინი	12.03.92	30.11.01	12.03.92	12.03.92	03.08.90
ბჰუტანი	ბ: 26.03.73	31.08.81		01.08.90	
ბოლივია	12.08.82	22.09.70	08.06.90	12.04.99	26.06.90
ბოსნია					
ჰერცეგოვინა	01.09.93	16.07.93	01.09.93	01.09.93	01.09.93
ბოცვანა	08.09.00	20.02.74	13.08.96	08.09.00	14.03.95
ბრაზილია	24.01.92	27.03.68	01.02.84	28.09.89	25.09.90
ბრუნეი					
დარ-ეს-სალამი				27.12.95	
ბულგარეთი	21.09.70	08.08.66	08.02.82	16.12.86	03.06.91
ბურკინა-ფასო	04.01.99	18.07.74	14.10.87	04.01.99	31.08.90
ბურუნდი	09.05.90	27.10.77	08.01.92	18.02.93	19.10.90
გაბონი	21.01.83	29.02.80	21.01.83	08.09.00	09.02.94
გაერთ. სამეფო	20.05.76	07.03.69	07.04.86	08.12.88	16.12.91
გამბია	22.03.79	29.12.78	16.04.93	ბ: 23.10.85	08.08.90
განა	08.09.00	08.09.66	02.01.86	08.09.00	05.02.90
გერმანია	17.12.73	16.05.69	10.07.85	01.10.90	06.03.92
გვატემალა	06.05.92	18.01.83	12.08.82	05.01.90	06.06.90
გვინეა	24.01.78	14.03.77	09.08.82	10.08.89	13.07.90
გვინეა-ბისაუ	ბ: 12.09.00	ბ: 12.09.00	23.08.85	ბ: 12.09.00	21.08.90
გვიანა	15.02.77	15.02.77	17.07.80	19.05.88	14.01.91
გრენადა	06.09.91	ბ: 17.12.81	31.08.90		05.11.90
დანია	06.06.72	09.12.71	21.03.83	27.03.87	19.07.91
დომინიკა	17.06.93		15.09.80		13.03.91
დომინიკის რესპ.	04.01.78	25.03.83	02.09.82	ბ: 04.02.85	11.06.91
ეკვადორი	14.01.82	01.05.67	18.09.81	25.06.86	06.07.90
ეთიოპია	11.01.93	23.06.76	10.09.81	13.03.94	14.05.91
ეკვადორი	06.03.69	22.09.66	09.11.81	30.03.88	23.03.90
ეკვატ. გვინეა	25.09.87		23.10.84		15.06.92

ელ-სალვადორი	30.11.79	30.11.79	19.08.81	17.06.96	10.07.90
ერაყი	25.01.71	14.01.70	13.08.86		15.01.94
ერიტრეა	23.01.02	01.08.01	05.09.95		03.08.94
ესპანეთი	27.04.77	13.09.68	05.01.84	21.10.87	06.12.90
ესტონეთი	21.10.91	21.10.91	21.10.91	21.10.91	21.10.91
ვანუატუ		08.09.95		07.07.93	
ვატიკანი	01.05.69		26.06.02	20.04.90	
ვენესუელა	10.05.78	10.10.67	02.05.83	29.07.91	14.09.90
ვიეტნამი	24.09.82	09.07.82	17.02.82		28.02.90
ზამბია	10.04.84	04.02.72	21.01.85	07.10.98	06.12.91
ზიმბაბვე	13.05.91	13.05.91	14.05.91		11.09.90
თურქეთი	ბ: 15.08.00	ბ: 13.10.72	20.12.85	02.08.88	04.04.95
თურქმენეთი	01.05.97	29.09.94	01.05.97	25.06.99	20.09.93
იამაიკა	03.10.75	04.01.71	19.10.84		14.05.91
იაპონია	21.06.79	15.12.95	25.06.85	29.06.99	22.04.94
იემენი	09.02.87	18.10.72	30.05.84	05.11.91	01.05.91
ინდოეთი	10.04.79	03.12.68	09.07.93	ბ: 14.10.97	11.12.92
ინდონეზია	25.01.99	13.09.84	28.10.98	05.09.90	
იორდანია	28.05.75	30.05.74	01.07.92	13.11.91	24.05.91
ირანი	24.06.75	29.08.68			13.06.94
ირლანდია	08.12.89	29.12.00	23.12.85	11.04.02	28.09.92
ისლანდია	22.08.79	13.03.67	18.06.85	22.10.96	28.10.92
ისრაელი	03.10.91	03.01.79	03.10.91	03.10.91	03.10.91
იტალია	15.09.78	05.01.76	10.06.85	12.06.89	05.09.91
იუგოსლავია	12.05.01	12.03.01	26.02.82	12.03.01	03.01.91
კამბოჯა	26.05.92	28.10.83	15.10.92	15.10.92	15.10.92
კანადა	19.05.76	14.10.70	10.12.81	24.01.87	13.12.91
კაპე-ვერდე	06.08.93	03.10.79	05.12.80	04.06.92	04.06.92
კატარი	22.07.76		11.01.00	04.04.95	
კენია	01.05.72	13.09.01	09.03.84	21.02.97	31.07.90
კვიპროსი	02.04.69	21.04.67	23.07.85	18.07.91	07.02.91
კირიბატი				11.12.95	
კოლუმბია	29.10.69	02.09.81	19.01.82	08.12.87	28.01.91
კომორო	ბ: 22.09.00	31.10.94	ბ: 22.09.00		23.06.93
კონგო	05.10.83	11.07.88	26.07.82		14.10.93
კორეის რესპ.	10.04.90	05.12.78	27.12.84	09.01.95	20.11.91
კუბა	15.02.72	17.07.80	17.05.95	21.08.91	
კუვეიტი	21.05.96	15.10.68	20.09.94	08.03.96	21.10.91
კუკის კუნძულები				06.06.97	

კონგო	01.11.76	21.04.76	17.10.86	18.03.96	28.09.90
კოსტა-რიკა	29.11.68	16.06.67	04.04.86	11.11.93	21.08.90
კოტ-დ'ივუარი	26.03.92	04.01.73	18.12.95	18.12.95	04.02.91
ლაოსი	ბ: 07.12.00	22.02.74	14.08.81		08.05.91
ლატვია	14.04.92	14.04.92	15.04.92	14.04.92	15.04.92
ლესოტო	09.09.92	04.11.71	22.08.95	13.11.01	10.03.92
ლიბანი	03.11.72	12.11.71	21.04.97	05.10.00	14.05.91
ლიბერია	ბ: 18.04.67	05.11.76	17.07.84		04.06.93
ლიბია	15.05.70	03.07.68	16.05.89	16.05.89	16.05.93
ლიხტენშტაინი	10.12.98	01.03.00	22.12.95	02.11.90	22.12.95
ლიტვა	20.11.91	10.12.98	18.01.94	01.02.96	31.01.92
ლუქსემბურგი	18.08.83	01.05.78	02.02.89	29.09.87	07.03.94
მადაგასკარი	21.06.71	07.02.69	17.03.89	ბ: 01.10.01	19.03.91
მავრიტანია	13.12.88	10.05.01		16.05.91	
მავრიკი	12.12.73	30.05.72	09.07.84	09.12.92	26.07.90
მაკედონია	18.01.94	18.01.94	18.01.94	12.12.94	02.12.93
მალავი	22.12.93	11.06.96	12.03.87	11.01.96	03.01.91
მალაიზია		05.07.95		17.02.95	
მალდივი	24.03.84	01.01.93		11.02.91	
მალი	16.07.74	16.07.74	10.09.85	26.02.99	21.09.90
მალტა	13.09.90	27.05.71	08.03.91	13.09.90	30.09.90
მაროკო	03.05.79	18.12.70	22.06.93	21.06.93	21.06.93
მარშალის კუნძ.				05.10.93	
მექსიკა	23.03.81	20.02.75	23.03.81	23.01.86	21.09.90
მიანმა		22.07.97		15.07.91	
მიკრონეზია					05.05.93
მოლდავეთი	26.01.93	26.01.93	01.07.94	28.11.95	26.01.93
მონაკო	28.08.97	27.09.95		06.12.91	21.06.93
მონღოლეთი	18.11.74	06.08.69	20.07.81	24.06.02	06.07.90
მოზამბიკი	21.07.93	18.04.83	16.04.97	14.09.99	26.04.94
ნამიბია	28.11.94	11.11.82	23.11.92	28.11.94	01.10.90
ნაურუ	ბ: 12.11.01	ბ: 12.11.01		ბ: 12.11.01	27.07.94
ნეპალი	14.05.91	30.01.71	22.04.91	14.05.91	14.09.90
ნიგერი	07.03.86	27.04.67	08.10.99	05.10.98	30.09.90
ნიგერია	29.07.93	16.10.67	13.06.85	28.06.01	19.04.91
ნიკარაგუა	12.03.80	15.02.78	27.10.81	ბ: 15.04.85	05.10.90
ნიუე				20.12.95	
ნორვეგია	13.09.72	06.08.70	21.05.81	09.07.86	08.01.91
ომანი				09.12.96	

პაკისტანი	21.09.66	12.03.96		12.11.90	
პალაუ				04.08.95	
პანამა	08.03.77	16.08.67	29.10.81	24.08.87	12.12.90
პაპუა-ახ. გვინეა	27.06.82	12.01.95		02.03.93	
პარაგვაი	10.06.92	ხ: 13.09.00	06.04.87	12.03.90	25.09.90
პერუ	28.04.78	29.09.71	13.09.82	07.07.88	05.09.90
პოლონეთი	18.03.77	05.12.68	30.07.80	26.07.89	07.06.91
პორტუგალია	15.06.78	24.08.82	30.07.80	09.02.89	21.09.90
რუანდა	16.04.75	16.04.75	02.03.82		24.01.91
რუმინეთი	09.12.74	15.09.70	07.01.82	18.12.90	28.09.90
რუსეთის ფედერ.	16.11.73	04.02.69	23.01.81	03.03.87	17.08.90
საბერძნეთი	05.05.97	18.06.70	07.06.83	06.10.88	11.05.93
სამოა		25.09.92		29.11.94	
სამხრეთი აფრიკა	10.12.98	10.12.98	15.12.95	10.12.98	16.06.95
სამხრ. კორეის რესპუბლიკა	14.09.81		21.02.01		21.09.90
სან-მარინო	18.10.85	12.03.02			25.11.91
სანტა-ლუჯია	14.02.90	08.10.82		16.06.93	
სან-ტომე და პრინსიპი	ხ: 31.10.95	ხ: 06.10.00	ხ: 31.10.95	ხ: 06.10.00	14.05.91
საუდის არაბეთი	23.09.97	08.09.00	23.09.97	26.01.96	
საფრანგეთი	04.11.80	28.07.71	14.12.83	18.02.86	08.08.90
საქართველო	03.05.94	02.06.99	26.10.94	26.10.94	02.06.94
სეიშელი	05.05.92	07.03.78	06.05.92	05.05.92	07.09.90
სენეგალი	13.02.78	19.04.72	05.02.85	21.08.86	01.08.90
სვაზილენდი	07.04.69			08.09.95	
სიერა-ლეონე	23.08.96	02.08.67	11.11.88	25.04.01	18.06.90
სირია	21.04.69	21.04.69			15.07.93
სინგაპური		05.10.95		05.10.95	
სლოვაკეთი	28.05.93	28.05.93	28.05.93	28.05.93	28.05.93
სლოვენია	06.07.92	06.07.92	06.07.92	16.07.93	06.07.92
სოლომონის კუნძ.	17.03.82	06.05.02		10.04.95	
სომალი	24.01.90	26.08.75		24.01.90	ხ: 09.05.0?
სომხეთი	23.06.93	23.06.93	13.09.93	13.09.93	23.06.93
სუდანი	18.03.76	21.03.77		ხ: 04.06.86	03.08.90
სურინამი	28.12.76	15.03.84	02.03.93		02.03.93
ტაილანდი	29.10.96		09.08.85		27.03.92
ტანზანია	11.06.76	27.10.72	20.08.85		11.06.91
ტაჯიკეთი	04.01.99	11.01.95	26.10.93	11.01.95	26.10.93

ტოგო	24.05.84	01.09.72	26.09.83	18.11.87	01.08.90
ტონგა	16.02.72			06.11.95	
ტრინიდადი და ტობაგო	21.12.78	04.10.73	12.01.90		06.12.91
ტუვალუ		06.10.99		22.09.95	
ტუნისი	18.03.69	13.01.67	20.09.85	23.09.88	31.01.92
უგანდა	21.06.95	21.11.80	23.07.85	03.11.86	17.08.90
უკრაინა	12.11.73	07.03.69	12.03.81	24.02.87	28.08.91
უნგრეთი	17.01.74	01.05.67	22.12.80	15.04.87	08.10.91
ურუგვაი	01.04.70	30.08.68	09.10.81	24.10.86	20.11.90
უზბეკეთი	28.11.95	28.09.95	19.07.95	28.09.95	29.07.94
ფილიპინები	23.10.86	15.09.67	05.08.81	18.06.86	21.08.90
ფინეთი	19.08.75	14.07.70	04.09.86	30.08.89	21.06.91
ფიჯი	11.01.73	28.08.95		13.08.93	
ყაზახეთი	26.08.98	26.08.98	26.08.98	12.08.94	
ყირგიზეთი	07.10.94	05.09.97	10.02.97	05.09.97	07.10.94
შვედეთი	06.12.71	06.12.71	02.07.80	08.01.86	29.06.90
შვეიცარია	18.06.92	29.11.94	27.03.97	02.12.86	24.02.97
შრი-ლანკა	11.06.80	18.02.82	05.10.81	03.01.94	12.07.91
ჩადი	09.06.95	17.08.77	09.06.95	09.06.95	02.10.90
ჩეხეთის რესპ.	21.02.93	22.02.93	22.02.93	01.01.93	22.02.93
ჩილე	10.02.72	20.10.71	08.12.89	30.09.88	13.08.90
ჩინეთი	ბ: 05.10.98	29.12.81	04.11.80	04.10.88	03.03.92
ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა	08.05.81	16.03.71	21.06.91		23.04.92
ხორვატია	12.10.92	12.10.92	09.09.92	12.10.92	12.10.92
ნმ. კიტსი და ნევისი		25.04.85		24.07.90	
ნმ. ვინსენტი და გრენადინები	09.11.81	09.11.81	05.08.81	01.08.01	26.10.93
ჯიბუტი		02.12.98		06.12.90	
ჰაიტი	06.02.91	19.12.72	20.07.81		09.06.95
ჰოლანდია	11.12.78	10.12.71	23.07.91	21.12.88	06.02.95
ჰონდურასი	25.08.97		03.03.83	05.12.96	10.08.90

დანართი N5

წამების აკრძალვა საქართველოში: მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

კონსტანტინე კორკელია,
ბესარიონ ბოხაშვილი,
ლაშა ჭელიძე¹

1. შესავალი

წამების აკრძალვა განსაკუთრებული სიმკაცრით არის დაცული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლითა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. საერთაშორისო ხელშეკრულებებში წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის შესახებ დებულებები გამორიცხავენ ადამიანის ამ უფლებიდან არა მარტო გადახვევას, არამედ მასზე ნებისმიერი შეზღუდვის დაწესებასაც კი. უფრო მეტიც, საერთაშორისო თანამეგობრობისათვის იმდენად დიდი იყო წამების აკრძალვის მნიშვნელობა, რომ ის მიიჩნის საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმად, რომლისგანაც დაუშვებელია გადახვევა ნებისმიერ გარემოებაში.²

მართალია, საერთაშორისო სამართლის თანახმად წამების გამოყენების საყოველთაო უარყოფამ წამების აკრძალვას აბსოლუტური ხასიათი შესძინა, საქართველოს რეალობაში ჯერ კიდევ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც იმ სახელმწიფო მოხელეების მხრიდან, რომლებიც მონოდეზულნი არიან დაიცვან კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, გამოიყენება უკანონო პრაქტიკა. როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებული პრინციპის იმპე-

¹ ნაშრომში გამოხატული შეხედულებები ეკუთვნით მათ ავტორებს და ეს შეხედულებები შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციების მოსაზრებებს, რომლებშიც ავტორები მოღვაწეობენ. ნაშრომზე მუშაობა დასრულდა 2005 წლის ნოემბერში და, შესაბამისად, ამ დროის შემდეგ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ნაშრომში აღარ ასახულა.

² საერთაშორისო სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად, *jus cogens*-ად მიჩნეულია საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთსულოვნად არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ და რომლიდანაც დაუშვებელია გადახვევა.

რატიულობიდან გამომდინარე, წამების აკრძალვისაგან გადახვევა ყოველად დაუშვებელია და, ამასთან, არავითარმა ექსტრემალურმა მდგომარეობამ არ შეიძლება გაამართლოს არასათანადო მოპყრობა.

ადამიანის უფლებათა დამცველი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშებისა და ინფორმაციის მიხედვით, წამება და არასათანადო მოპყრობა უმეტეს შემთხვევაში ხდება პოლიციის დაწესებულებებსა და წინასწარი გამოძიების იზოლაციურში პატიმრობის დროს. ხსენებულის აღმოსაფხვრელად სასამართლო და პროკურატურის ორგანოებმა უნდა გაატარონ ჯეროვანი ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ, რომ პრაქტიკაში თავისუფლებაშეზღუდული პირის უფლებები ეფექტიანად იყოს დაცული კანონის შესაბამისად.

წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აღმოფხვრის მხრივ საქართველოში არსებულ პრობლემებს მონმოზს ის ფაქტი, რომ საქართველოსათვის სტრასბურგის სასამართლოში შეტანილ განაცხადებთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოდან გამოგზავნილი 34 განაცხადიდან 12 მათგანი³ სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით (წამების აკრძალვა) გარანტირებული უფლების სავარაუდო დარღვევას ეხება. ამასთან, საქმეზე – *შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ* – 2005 წლის 12 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ ევროპული კონვენციის სხვა მუხლებთან ერთად მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.

საქართველოში წამების საყოველთაო აკრძალვა და არასათანადო პრაქტიკის აღმოფხვრა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებისათვის, ისევე როგორც ადვოკატებისათვის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ჯეროვანი ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

იმის გათვალისწინებით, რომ წამების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო აქტები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას (თავად არ მოახდინონ წამება), არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც, – პროკურატურის ორგანოებმა, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი წამების ან არასათანადო მოპყრობის სხვა

³ 2005 წლის ნოემბრის მდგომარეობით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპულ სასამართლოს ჯერჯერობით საქართველოს მთავრობისთვის არ უცნობებია იმის თაობაზე, ევროპული კონვენციის რომელი მუხლებით გარანტირებული უფლებების სავარაუდო დარღვევას ამტკიცებენ განმცხადებლები სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარდგენილ 7 სხვა საქმეში.

ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა ანარმონ მიუკერძოებელი, ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიება ამგვარ ქმედებებში მხილებული პირების გამოსავლენად, ხოლო სასამართლო ორგანოებმა კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯონ ხსენებული ქმედების ჩამდენი ხელისუფლების წარმომადგენლები თუ კერძო პირები და უზრუნველყონ, რომ ამგვარ ქმედებებში მხილებული პირები წარდგენ მართლმსაჯულების წინაშე, წამების მსხვერპლს კი შესაძლებლობა უნდა მიეცეს. მიიღოს ჯეროვანი სამართლიანი დაკმაყოფილება. ამასთანავე, ადვოკატებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ არასათანადო მოპყრობის ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოჩინება და ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა თუ მსჯავრდებულ პირთა დაცვა წამებისაგან.

წინამდებარე ნაშრომში გაშუქებულია როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა წამების აკრძალვასთან დაკავშირებით, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო საზედამხებველო ორგანოების მიერ დადგენილი სტანდარტები წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის სფეროში.

2. საქართველოს კანონმდებლობა წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს მიერ რატიფიცირებული მრავალი ხელშეკრულება ცალსახად და უპირობოდ კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას.⁴ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება – არ დაუქვემდებარონ პირი წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება, რომლის თანახმად:

⁴ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი (საქართველოსათვის პაქტი ძალაში შევიდა 1994 წლის 3 აგვისტოს), 1984 წლის გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ (საქართველოსათვის კონვენცია ძალაში შევიდა 1994 წლის 22 დეკემბერს), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს), წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ 1987 წლის ევროპული კონვენცია (კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის 1-ლ ოქტომბერს).

„თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა სახის ღონისძიებები, რათა თავისი იურისდიქციის ფარგლებში სრულად აღკვეთონ წამება.“⁵

ზემოხსენებული ნათლად წარმოაჩენს საქართველოს ხელისუფლების ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან ისეთი საკანონმდებლო ბაზის მიღებასა და განმტკიცებას, რომელიც კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას და შესაძლებლობას მისცემს წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლს, ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ხელისუფლების ორგანოების წინაშე. ვალდებულება გულისხმობს არა მხოლოდ ახალი კანონმდებლობის მიღებას, არამედ ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც, გამომდინარე ადამიანის უფლებათა მზარდი სტანდარტებიდან, მუდმივად განიცდის პროგრესს.

წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის ასახვა ქვეყნის სამართლებრივი აქტების სისტემაში უმაღლესი იერარქიული ადგილის მქონე ნორმატიულ აქტში, საქართველოს კონსტიტუციაში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის მიმართ არასათანადო მოპყრობა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად:

„1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.“

ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7

⁵ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლი; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის იურისპრუდენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პოზიტიურ ვალდებულებებს მოიაზრებს ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლები.

მუხლი და წამების აკრძალვის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ლი მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლიც აბსოლუტური უფლების სახით აცხადებს წამების, არაადამიანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის დაუშვებლობას. კონსტიტუციის ამ მუხლით გათვალისწინებული უფლება არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე სახის გამონაკლისის თუნდაც საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს. კონსტიტუციის 46-ე მუხლი, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტს, შეზღუდოს კონსტიტუციის მე-2 თავში გაცხადებული გარკვეული უფლებები, არ მოიაზრებს მე-17 მუხლით უზრუნველყოფილი უფლების შეზღუდვას და მას აბსოლუტურ უფლებად აცხადებს.

მართალია, მე-17 მუხლი აბსოლუტური ხასიათისაა და, ერთი შეხედვით, სრულად უნდა გამორიცხავდეს კონსტიტუციურ დონეზე არასათანადო მოპყრობის განხორციელებას ნებისმიერ პირთან მიმართებით, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციაში კვლავაც არსებობს გარკვეული ხარვეზი, რომელიც წარმოშობს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის განხორციელების ისეთ პოტენციურ საფრთხეს, როგორც არის თავისუფლებაზეზღუდულ პირთან მიმართებით ფიზიკური თუ ფსიქიკური ზეწოლის გამოყენება. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

„დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“.

მაგრამ აღნიშნული დებულება პოტენციურად შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას. კონსტიტუციის 46-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული უფლება, მათ შორის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლის დაუშვებლობაც.

ზემოხსენებული აშკარად ეწინააღმდეგება წამების აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათს. მხედველობაში აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული, რომ არასათანადო მოპყრობის აკრძალვა არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შემადგენელი ნაწილი, და როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი *jus cogens*-ად არის მიჩნეული, სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის და გამორიცხავს რაიმე სახის გადახვევას ან მის შეზღუდვას თუნდაც საომარი მდგომარეობის ან საგანგებო ვითარების არსებობისას, რომელიც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს. ამასვე განსაზღვრავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-4 და ადამიანის

უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლები, რომელთა თანახმადაც, დაუშვებელია არასათანადო მოპყრობის აკრძალვის შეზღუდვა ან მისი დებულებებიდან გადახვევა საომარი ან სხვა სახის საგანგებო მდგომარეობის დროს. გაეროს წამების სანინალმდეგო კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად კი, „არანაირ გამონაკლის გარემოებას, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, საომარ მდგომარეობას ან ომის საფრთხეს, შიდაპოლიტიკურ არასტაბილურობას ან ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო ვითარებას, არ შეუძლია გაამართლოს წამება“. სამწუხაროდ, ხსენებული ხარვეზი ისევ არსებობს საქართველოს კონსტიტუციაში და მიუხედავად ქართველი თუ უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებისა, ხსენებული ამ ეტაპზე არ იქნა გაზიარებული საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

2.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა

საპროცესო კანონმდებლობის კუთხით წამების აკრძალვასთან და საყოველთაო აღმოფხვრასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს შემდეგი გარანტიების გათვალისწინებასა და გამოყენებას:

- დაპატიმრებული პირის უფლება, რომ შეატყობინოს თავისი არჩევანისამებრ მესამე მხარეს მისი დაპატიმრების შესახებ (ოჯახის წევრი, მეგობარი, საკონსულო);
- ადვოკატის ხელმისაწვდომობა;
- დაპატიმრებული პირის უფლება, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება თავისივე არჩეული ექიმის მიერ.⁶

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი იცავს პირის ხელშეუხებლობას, მის პატივსა და ღირსებას. მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია პროცესის მონაწილეთა თუ სხვა პირთა მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, აგრეთვე მათი პატივისა და ღირსების შემლახველი მეთოდების გამოყენება“. იმავე მუხლის მე-7 ნაწილი კი კრძალავს „საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების ჩატარებისას ... პირის მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის თუ სხვა ხერხების გამოყენებას“. იკრძალება ასევე „ძილის, წყლის, საკვების აკრძალვა ან ზღვრულ ნორმაზე მეტად შეზღუდვა“.

2005 წლის მარტში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, კოდექსის 145-ე მუხლი მოითხოვს

⁶ წამების სანინალმდეგო ევროპული კომიტეტის მე-2 ზოგადი ანგარიში.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისაგან პირის დაკავების შემდგომ დაუყოვნებლივ ოქმის შედგენას, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაკავების მომენტში დაკავებული პირის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ და მისი დაკავების ზუსტ დროს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 138-ე მუხლის თანახმად თავისუფლებაშეზღუდული პირის ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს გამოძიებელმა ან პროკურორმა უნდა შეატყობინოს პირის დაკავებიდან 5 საათის განმავლობაში, ხოლო არასრულწლოვნის დაკავების შემთხვევაში 3 საათის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვარს არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები, 2004 წლის აგვისტოში შეტანილმა ცვლილებებმა საპროცესო კოდექსში აღმოფხვრა ის ხარვეზი, რომლის თანახმად, თავისუფლებაშეზღუდულ პირს ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება ჰქონდა მხოლოდ ფორმალურად მისი ეჭვმიტანილად ცნობის შემდგომ, რაც უნდა განხორციელებულიყო 12 საათის განმავლობაში. ცვლილებების თანახმად, თავისუფლებაშეზღუდულ პირს ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება აქვს დაკავების მომენტიდან.

2005 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 3 საათიდან 6 საათამდე გაიზარდა დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც თავისუფლებაშეზღუდულ პირს შეუძლია, აირჩიოს და მოიწვიოს ადვოკატი. იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელი ვერ განახორციელებს აღნიშნულ მოცემული დროის განმავლობაში, მას უფლება აქვს, ისარგებლოს სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის დახმარებით. ცვლილებების თანახმად, ასევე გაუქმდა ერთსაათიანი დროის შეზღუდვა, რომლის განმავლობაშიც ეჭვმიტანილს შეეძლო, შეხვედროდა ადვოკატს და მას მიეცა ადვოკატთან შეხვედრის შეუზღუდავი უფლება.

2004 წლის ცვლილებებმა თავისუფლებაშეზღუდულ პირს ასევე მიანიჭა უფლება, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება მისი დაკავების მომენტიდან. გამოძიებლის მიერ აღნიშნული სამედიცინო შემოწმების უზრუნველყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შესაძლოა გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც ვალდებულია განიხილოს საჩივარი 24 საათის განმავლობაში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, თავისუფლებაშეზღუდულ პირს და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ, მოითხოვონ ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება საკუთარი ხარჯებით. სამართლებრივად ორივე სახის ექსპერტის (სახელმწიფოს

მიერ დანიშნული და კერძო ექსპერტის) დასკვნას თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად წარმართვისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისეთი მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა, რომელიც არასათანადო მოპყრობის შედეგად იქნა მოპოვებული. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად:

„თითოეულმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მტკიცებულებად არ ჩაითვალოს სამართალწარმოებისას ნებისმიერი განცხადება, რომელიც დადგენილი იქნება, რომ მოპოვებულ იქნა წამების შედეგად.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ აქვს იურიდიული ძალა. საპროცესო კანონმდებლობაში 2005 წლის 17 ივნისს განხორციელებულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო განამტკიცა საკანონმდებლო დონეზე არასათანადო მოპყრობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლობის შესაძლებლობა. ცვლილებების შედეგად ძალიან მნიშვნელოვანი ინოვაცია შემოიღეს საპროცესო კანონმდებლობაში 477-ე მუხლის სახით, რომლის თანახმად, თუ განსასჯელი წინააღმდეგია, მის მიერ წინასწარი გამოძიების ეტაპზე მიცემული მტკიცებულება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე.

2.2. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ გაეროს 1984 წლის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად:

„1. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ წამება მიჩნეულ იქნეს დანაშაულად სისხლის სამართლის კანონმდებლობით...“

2. თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ ამ სახის დანაშაულისათვის უნდა დააწესოს შესაფერისი სასჯელი, რომელიც შესაბამისი იქნება ამ დანაშაულის სიმძიმის ხასიათთან.“ ...

2005 წლის 23 ივნისის ცვლილებებამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობდა გარკვეული ხარვეზი, რომელიც შეუსაბამო იყო

საქართველოს მიერ წამების სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადების ვალდებულებასთან. კერძოდ, ხარვეზი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლში, რომელიც არაჯეროვნად გადმოსცემდა წამების, როგორც დანაშაულის, დისპოზიციას და არ შეესაბამებოდა წამების აკრძალვის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ დეფინიციას. კოდექსის ადრე მოქმედი 126-ე მუხლის თანახმად, რომელიც წამებას დანაშაულად აცხადებდა, ეს უკანასკნელი განმარტებული იყო როგორც „სისტემატური ცემა, სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი“.⁷

126-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამამძიმებელ გარემოებებად მიიჩნეოდა ანალოგიური ქმედების ჩადენას „წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“. ნათელი იყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლში მოცემული დეფინიცია ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს და ვერ გადმოსცემდა წამების სრულ არსს, რადგანაც: ა) იგი გულისხმობდა მხოლოდ სისტემატურ ქმედებას (ცემას ან სხვა ძალადობას) მაშინ, როდესაც ერთჯერადად განხორციელებული განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა მრავალჯერ იქნა დაკვალიფიცირებული საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოების მიერ როგორც წამება, მაგალითად, დენის მიერთება, გაუპატიურება და სხვა; ბ) დეფინიცია ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ ფიზიკურ ზემოქმედებაზე, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვია ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. წამებად, არააღიარებულ ან ღირსების შემლახველ (დამამცირებელ) მოპყრობად მრავალჯერ იქნა დაკვალიფიცირებული პირის მიმართ განხორციელებული არა მხოლოდ ფი-

⁷ კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგებია:

„ა) სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით, დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან“ (117-ე მუხლი);

„ბ) რომელიც სიცოცხლისათვის არ არის სახიფათო და დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან ან საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად, დაკარგვასთან“ (118-ე მუხლი).

ზიკური, არამედ ასევე ფსიქიკური ზენოლა; გ) დეფინიცია არ მიუთითებდა გარკვეული მიზნის მიღწევის ფაქტორზე, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია იმისათვის, რათა ქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც წამება. აღნიშნული მუხლი ასევე ვერ აკმაყოფილებდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლებით სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნას, რომლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, სისხლისსამართლებრივად დასჯადად გამოაცხადონ არაადამიანური და ღირსების შემლახველი (დამამცირებელი) მოპყრობა. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზედამხედველო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მრავალჯერ გამოითქვა კრიტიკული მოსაზრებები.

2005 წლის 23 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, კოდექსის 126-ე მუხლს შეეცვალა სახელწოდება და ადრე წამებად განსაზღვრული ქმედება კვალიფიცირებულ იქნა ძალადობად, ხოლო კოდექსის 144¹-ე და 142³-ე მუხლებით განისაზღვრა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი (დამამცირებელი) მოპყრობა:

„მუხლი 144¹. წამება

1. წამება, ესე იგი პირისათვის, მისი ახლო ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას, და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ჯარიმით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- გ) არაერთგზის;
- დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- ე) ჯგუფურად;
- ვ) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების,

აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის გამო;

ზ) დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;

თ) შეკვეთით;

ი) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

მუხლი 144². ნამების მუქარა

ამ კანონის 144¹ მუხლში აღნიშნული პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარა, განხორციელებული იმავე მიზნით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

მუხლი 144³. დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა

1. პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, –

ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) არაერთგზის;

დ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

ე) ჯგუფურად;

ვ) ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის გამო;

- ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ;
- თ) შეკვეთით;
- ი) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე, ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ხუთ წლამდე ვადით ან უამისოდ“.

335-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. იგივე ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.“

აღნიშნულმა ცვლილებებმა აღმოფხვრა სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ყველა ის ხარვეზი, რომელიც წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი (დამამცირებელი) მოპყრობის დანაშაულად გამოცხადებასთან დაკავშირებით არსებობდა. ცვლილებების შედეგად შემოღებულ იქნა წამების ახალი დეფინიცია, არაადამიანური და ღირსების შემლახველი (დამამცირებელი) მოპყრობის განსაზღვრება, რომელიც მანამდე არ არსებობდა კოდექსში და გარკვეულ სამართლებრივ ბარიერებს უქმნიდა პროკურორებსა და მოსამართლეებს, რათა მართებულად დაეკვალიფიცირებინათ ქმედება.

2.3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილეთაა საქართველო

წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის სფეროში საქართველო არის ყველა იმ ხელშეკრულების მონაწილე, რომლებიც ევროპულ სახელმწიფოებს შეიძლება ჰქონდეთ რატიფიცირებული. საქართველომ მოახდინა შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (საქართველოსთვის პაქტი ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან);

1984 წლის გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ (საქართველოსთვის კონვენცია ძალაში შევიდა 1994 წლის 22 დეკემბერს); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (ევროპული კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს); წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ 1987 წლის ევროპული კონვენცია (კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2000 წლის 1-ლ ოქტომბერს).

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ გაეროს 1984 წლის კონვენციით გათვალისწინებული საზედამხედველო ორგანოს, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის უფლებამოსილების ცნობა საქართველომ მოახდინა 2002 წლის 7 ივლისს,⁸ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ გაეროს 1984 წლის კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით (საქართველომ ოქმის რატიფიცირება მოახდინა 2005 წლის 8 ივლისს⁹).

3. წამების აკრძალვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესრულება პრაქტიკაში

წამების აკრძალვასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე 2003 წლის სექტემბერში, იმდროინდელმა მთავრობამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც მომზადდა ეუთო-სთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული განპირობებული იყო საქართველოს მიმართ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული კრიტიკით წამების აღმოფხვრის სფეროში არსებულ მწვავე პრობლემებთან დაკავშირებით.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა განსახორციელებელ ღონისძიებათა გადანიშნულებას სახელმწიფო ორგანოებს შორის და მიზნად ისახავდა: წამების აკრძალვის სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების შე-

⁸ ზემოხსენებულით საქართველომ აღიარა წამების საწინააღმდეგო გაეროს კომიტეტის უფლებამოსილება, განიხილოს საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი სახელმწიფოთა-შორისი და ინდივიდუალური განაცხადები (კონვენციის 21-ე და 22-ე მუხლები).

⁹ ხსენებულით საქართველომ ცნო წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტის უფლებამოსილება, აწარმოოს ქვეკომიტეტის წევრთა ვიზიტები საქართველოში მონიტორინგისა და წამების აღმოფხვრის მიზნით.

მუშავებას, მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, წამებასთან ბრძოლასა და აღნიშნული ქმედების ჩადენაში მხილებულ პირთა მკაცრ დასჯას, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი (დამამცირებელი) მოპყრობის აკრძალვას სასჯელალსრულებით დაწესებულებებსა და წინასწარ საგამოძიებო იზოლაციორებში. სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებდა მონიტორინგის განხორციელებას ზემოხსენებული მიზნების ეფექტიანად განხორციელების მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გარდა საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა პოზიტიური ნაბიჯები, რათა წამების წინააღმდეგ ბრძოლა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული გამოძიება უფრო გამჭვირვალე და ეფექტიანი გამხდარიყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 აგვისტოს №309 ბრძანებულება სასჯელალსრულებით დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მინიჭების თაობაზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს (ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს) უფლება მიეცათ, დაუბრკოლებლად შევიდნენ ნებისმიერ სასჯელალსრულებით დაწესებულებაში და გაესაუბრონ ნებისმიერ პირს.

მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა წამებასთან ბრძოლის კუთხით, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოები და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავაც გამოთქვამენ გარკვეულ შენიშვნებსა და კრიტიკას საქართველოში წამების აღმოფხვრასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის მიმართ. გაეროს სპეციალური წარმომადგენელი მ. ნოვაკი თავის 2005 წლის 15 მარტის მოხსენებაში, წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი 2002 წლისა და 2005 წლის მოხსენებებში, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები *Amnesty International*-ი 2005 წლის 23 ნოემბრის მოხსენებაში, *Human Rights Watch*-ი 2005 წლის 13 აპრილის მოხსენებასა და საქართველოს პრეზიდენტისადმი 2005 წლის 14 ივლისის გაგზავნილ წერილში, ორგანიზაცია *Redress*-ი 2005 წლის აგვისტოში გამოქვეყნებულ მოხსენებაში არაადამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ საქართველოში წამებასთან ბრძოლის კუთხით არსებულ მდგომარეობას. საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის განმარტოებელ პირთა წინააღმდეგ არასაკმარისად ეფექტიანი ღონისძიებების გატარება.

წამების აკრძალვის ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, ნეგატიური ვალ-

დებულების გარდა (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), პოზიტიურ ვალდებულებებსაც აკისრებს სახელმწიფოებს. ეს უკანასკნელი, ეროვნულ კანონმდებლობაში ფორმალურად წამების აკრძალვასთან ერთად, გულისხმობს პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებასაც:

„თითოეული სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იგი დაექვემდებარა წამებას, უნდა ჰქონდეს უფლება წარადგინოს საჩივარი და მისი საქმე განხილულ იქნეს სწრაფად და მიუკერძოებლად ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ“.

არსებული პრაქტიკიდან ქვემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითები ეფუძნება სწორედ ზემოხსენებული ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და წარმოაჩენს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც, მათი ავტორების განცხადებით, ჯერჯერობით კიდევ არსებობს წამებასთან ეფექტიანად ბრძოლის კუთხით.

მართალია, გასულ წლებთან შედარებით პროგრესი შეიმჩნევა, მაგრამ პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს და მის დასაძლევად კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები. თუ გადავხედავთ გასული წლების სტატისტიკას, ციფრები აშკარად არადამაკმაყოფილებელია: მაგალითად, 2004 წლის მე-2 ნახევარში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ვარდების რევოლუციის შემდგომ მარტო თბილისში წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას დაექვემდებარა 1100 ადამიანზე მეტი. თუკი აღნიშნულ ციფრს შევადარებთ გენერალური პროკურატურის მიერ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ჩადენაში მხილებული და მსჯავრდებული პოლიციელების რაოდენობასთან (10 პოლიციელი) დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას, აშკარა ხდება, რომ დაუსჯელობის პრობლემა მწვავეა. აღნიშნული ემსახურება დაუსჯელობის სინდრომის გავრცელებას სამართალმცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის და ზრდის წამების ჩადენის პოტენციურ საფრთხეს.¹⁰

როგორც ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, სამართლებრივი პრაქტიკა არასათანადოდ ვითარდებოდა, კერძოდ:

¹⁰ საქართველო: წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები კვლავაც აღინიშნება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, Amnesty International, 2005 წლის 23 ნოემბერი.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულები საჩივრებს წარუდგენდნენ პროკურატურას მათ მიმართ პოლიციელთა მხრიდან წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის განხორციელებასთან მიმართებით და პროკურატურა იღებდა გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა არა წამების მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის ადრე მოქმედი 126-ე მუხლი), არამედ სამოხელეო დანაშაულის მუხლებით, კერძოდ 333-ე მუხლითა (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 335-ე მუხლით (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება). აღნიშნულს შესაძლოა, რამდენიმე ახსნა ჰქონდეს: ა) პროკურორები ერიდებოდნენ პოლიციელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, რადგანაც სამოხელეო დანაშაულისათვის შედარებით მსუბუქი სასჯელია გათვალისწინებული კოდექსით; ბ) კოდექსის ადრე მოქმედი 126-ე მუხლი არასათანადოდ განმარტავდა და გადმოსცემდა წამების დეფინიციას. თუმცა, ამჟამად მოქმედი პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 6 თვის განმავლობაში, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი დეფინიცია ჯეროვნად იქნა განმარტებული და შესაბამისი დეფინიციები ჩამოყალიბდა 144¹-ე და 144²-ე მუხლებში, მიუხედავად მრავალი საჩივრისა, ხსენებული 144¹-ე მუხლით მხოლოდ ერთი საქმე აღიძვრა 2005 წლის აგვისტოში. უმეტესად საქმეების აღძვრა ამჟამადაც სამოხელეო დანაშაულის მუხლებით ხდება.

2. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც პროკურატურა საქმის აღძვრის გადაწყვეტილებას იღებდა თუნდაც სამოხელეო დანაშაულის მუხლით, საქმე ვერ აღწევდა სასამართლომდე. საქმის შეწყვეტა ხდებოდა ძირითადად იმ მოტივით, რომ ვერ ხერხდებოდა იმ კონკრეტული პირის დადგენა და იდენტიფიცირება, რომელმაც განახორციელა არასათანადო მოპყრობა. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ, როდესაც არასათანადო მოპყრობა ხდება პოლიციის განყოფილებაში, წინასწარი გამოძიების იზოლატორში ან სასჯელალსრულებით დაწესებულებაში და მსხვერპლი წარმოადგენს დასაბუთებულ საჩივარს, რომ მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა, რასაც ადასტურებს ხილვადი ფიზიკური ჭრილობები, ვიდეო- ან აუდიომასალა, სამედიცინო ცნობა, მტკიცების ტვირთი სწორედ ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ. ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, რომ გამოავლინონ ის პირები, რომლებსაც, შესაძლებელია, შეხება ჰქონდათ თავისუფლებაზე ზღუდულ პირთან. რა თქმა უნდა, დამაჯერებლობას არის მოკლებული საქმის შეწყვეტა ზემოხ-

სენებული არგუმენტის გამო, ვინაიდან წარმოდგენილია იმ პირთა წრის განსაზღვრის შეუძლებლობა, რომლებიც შესაძლოა მონაწილეობდნენ პირის მიმართ არასათანადო მოპყრობაში. რადგანაც პოლიციის, წინასწარი გამოძიების იზოლაციისა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის პოტენციურად განმარტებული პირთა წრე შეზღუდულია, ხელისუფლებას აუცილებლად აქვს ინფორმაცია მათ შესახებ და, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო საზედამხებელო ორგანოები არ გაიზიარებენ ხელისუფლების ორგანოების არგუმენტს საქმის შეწყვეტის მოტივთან დაკავშირებით.

თუმცა, რომ ვარდების რევოლუციამდე დამკვიდრებული იყო ამგვარი პრაქტიკა, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ მთელი ყურადღება გადაიტანა კორუფციასთან ბრძოლაზე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ადამიანის უფლებები, მათ შორის წამების აკრძალვა, უკანა პლანზე გადავიდა.¹¹

ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემები და კონკრეტული მაგალითები ნათლად მეტყველებს არსებულ პრობლემებზე. სახალხო დამცველის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით მონიტორინგის ჯგუფმა აღწერა 192 საქმე, რომლებიც მოიცავდა ფიზიკურ ძალადობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დეპარტამენტმა მიმდინარე წლის აპრილიდან სექტემბრამდე დააფიქსირა 930 შემთხვევა, როდესაც თავისუფლებაშეზღუდულ პირებს აღნიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები. თუკი გავითვალისწინებთ, რომ არის შემთხვევები, როდესაც არ ხდება დაზიანებების დაფიქსირება, პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ იკვეთება.¹²

შესწავლილი ფაქტებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე საერთაშორისო ორგანიზაციები ამტკიცებენ, რომ არასათანადო მოპყრობის განხორციელება ყველაზე ხშირად ხდება დაკავების მომენტში. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია *Human Rights Watch*-ი 2005 წლის 13 აპრილს აქვეყნებს მოხსენებას სათაურით „საქართველო: წამება კვლავ დაუსჯელი რჩება, ვარდების რევოლუციის მიუხედავად, მთავრობა ვერ ახერხებს დაუსჯელობის აღმოფხვრას“. აღნიშნულ მოხსენებაში განსაკუთრებით ყუ-

¹¹ საქართველო: წამებასა და არასათანადო მოპყრობას კვლავაც აქვს ადგილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, *Amnesty International*, 2005 წლის 23 ნოემბერი.

¹² იქვე.

რადღება გამახვილებულია დაკავების შედეგად და დაკავების შემდგომ მცირე ხნის განმავლობაში თავისუფლებაზე ზღუდული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ინფორმაციით, კვლავაც ხშირია შემთხვევები, როდესაც წამების მსხვერპლი არ ჩივის პოლიციის დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია პოლიციელთა მიმართ შიშის ფაქტორით. იმავე შიშისა და დაშინების ფაქტორი მოქმედებს ძალიან ხშირ შემთხვევაში, რაც აიძულებს წამების პოტენციურ მსხვერპლს, უარი განაცხადოს დაკითხვისას ადვოკატის მონაწილეობაზე. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, ადვოკატის ხელმისაწვდომობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია წამების საფრთხის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციების მტკიცებით, ხშირია შემთხვევა, როდესაც ადვოკატი ვერ იღებს ზეპირ ნებართვას, შეხვედეს დაცვის ქვეშ მყოფ პირს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადვოკატებიც, მიუხედავად იმისა, შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა აქვთ საქმის მასალებზე, უძლურნი არიან, ბოლომდე მიიყვანონ ის საქმე, რომელიც თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სავარაუდო წამებასთან დაკავშირებით წამოიწიეს. ეს ხდება მაშინ, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფ პირს აღარ აქვს სურვილი, ბოლომდე მიჰყვეს საქმეს, რასაც საფუძვლად უდევს გამოძიებასა და შესაბამის პირს შორის მიღწეული შეთანხმება.

2004 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ინოვაციის სახით შემოიღეს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, რომლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია, შესთავაზოს ბრალდებულს სასჯელის შემცირება ან მისი უპირობოდ გათავისუფლება, ბრალის აღიარებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნების სანაცვლოდ. შეთანხმება ასევე შეიძლება გულისხმობდეს გარკვეული ფულადი თანხის გადახდას ბრალდებულის მხრიდან. ზოგიერთ საქმეში სწორედ საპროცესო შეთანხმება დაედო საფუძვლად წამების მსხვერპლის მიერ დამნაშავეთა წინააღმდეგ აღძრული საქმის შეწყვეტას და საჩივარზე უარის თქმას.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით *Human Rights Watch*-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ამჟამად მიმდინარეობს გარკვეული ცვლილებების განხილვა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ცვლილებების პროექტის თანახმად, საპროცესო შეთანხმება გაუქმებულად და ძალადაკარგულად იქნება მიჩნეული, თუკი იგი ლახავს ბრალდებულის უფლებას, მოითხოვოს

სისხლის სამართალწარმოება ნებისმიერი პირის წინააღმდეგ წამების, არა-ადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობასთან დაკავშირებით. ცვლილებების პროექტის თანახმად, მოსამართლე ვალდებული იქნება, გამოარკვიოს, ხომ არ მოხდა ბრალდებულის მიმართ წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა.

გარდა ზემოხსენებულისა, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ საქართველოში მოქმედი პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, განსაკუთრებული პრობლემაა სავარაუდო წამების ფაქტებთან დაკავშირებით კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოძიების აღძვრა და ეფექტიანად და სრულყოფილად წარმოება. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2004 წელს წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის 38 საქმე, ხოლო 2005 წელს – 118 საქმე. 2004 წელს ბრალი წარედგინა 22, ხოლო 2005 წელს – 25 პირს.¹³

საერთაშორისო საზედამხედველო და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ და აღნიშნავენ პროკურორის და მოსამართლის როლზე წამების წინააღმდეგ ეფექტიანად ბრძოლის საქმეში. საქართველოში პროკურატურა და სასამართლო არის სწორედ ის ორგანოები, რომელთაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და ვალდებულება ეკისრებათ ამ კუთხით. შესაბამისად, ისინი უნდა იყვნენ აბსოლუტურად დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი წამებასთან ან სხვა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აბსოლუტურად დაუშვებელად იქნა მიჩნეული გამოძიების პროცესში ისეთი განცხადებების გაკეთება, რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებს გამოძიების მიკერძოებულად წარმართვას.¹⁴

4. საერთაშორისო მონიტორინგი წამების აკრძალვის მდგომარეობის შესახებ საქართველოში

საქართველოში, წამების აკრძალვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და მასთან შესაბამისობაში მყოფი სასამართლო და ადმინისტრაციული

¹³ Human Rights Watch – 2005 წლის 13 აპრილის მოხსენება.

¹⁴ საქართველო: წამებასა და არასათანადო მოპყრობას კვლავაც აქვს ადგილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, Amnesty International, 2005 წლის 23 ნოემბერი.

პრაქტიკა, არამედ ის საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, დაადგინოს უნივერსალურ თუ რეგიონულ დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს სახელმწიფოების მიერ ამ სტანდარტების შესრულებაზე საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელება. ასეთი მონიტორინგის შედეგად უნივერსალურ და რეგიონულ დონეზე მოქმედი მექანიზმების მეშვეობით შეისწავლება ქვეყნებში არსებული მდგომარეობა წამებასთან, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასთან დაკავშირებით და მიიღება რეკომენდაციები, რომელთა მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის წამების აკრძალვა, იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც დამკვიდრებულია საერთაშორისო დონეზე.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოების რეკომენდაციების იურიდიულად არასავალდებულო ძალის მიუხედავად, სახელმწიფოების უმრავლესობა კეთილსინდისიერად ასრულებს მათ, ითვალისწინებს იმ რჩევებს, რომლებიც მომდინარეობს ამ საერთაშორისო ორგანოებისაგან და, როგორც მინიმუმ, ცდილობს, შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა (როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციული) ამ საერთაშორისო სტანდარტებთან.

ასეთი რეკომენდაციების შესრულებას სახელმწიფოების მიერ ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს განეკუთვნება ის, რომ სამონიტორინგო ორგანოების დიდი ნაწილი დაფუძნებულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომელთა მონაწილენიც სახელმწიფოები ნებაყოფლობით გახდნენ, ვინაიდან აღიარებენ ადამიანის უფლებათა დაცვის უდიდეს მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოები შედგება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საერთაშორისო ექსპერტებისაგან, რომელთა მიზანია, შეისწავლონ ამა თუ იმ ქვეყანაში წამებასთან დაკავშირებული მდგომარეობა და სახელმწიფოებს მისცენ ობიექტური რეკომენდაციები კანონმდებლობისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. საყურადღებოა ასევე ის ფაქტორი, რომ ეს რეკომენდაციები გაიცემა განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოების თუ მექანიზმების მიერ, რომელთა წევრების კომპეტენტურობაში, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში არავის ეპარება ეჭვი.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება. საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და მექანიზმების რეკომენდაციები უნდა იქნეს აღქ-

მული არა როგორც იძულება ან ძალდატანება საერთაშორისო ორგანიზაციების ან სხვა სახელმწიფოების მხრიდან, რომ ქვეყანაში შეიცვალოს კანონმდებლობა და/ან პრაქტიკა ადამიანის უფლებათა დაცვის, მათ შორის წამების აკრძალვის, თვალსაზრისით, არამედ როგორც რჩევები, რეკომენდაციები, რომლებიც გაიცემა ობიექტური დამკვირვებლის მიერ და რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და სრულყოფას ამ ქვეყნისა და მისი ხალხის საკეთილდღეოდ.

ხსენებულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ საქართველოში წამების აკრძალვასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და მექანიზმების შეფასებები, დასკვნები და რეკომენდაციები, ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ამ ნაშრომში საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და მექანიზმების შეფასებების განხილვა საქართველოში წამების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ მოხდება სამი სახის მონიტორინგის მაგალითზე:

ა) წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი, რომელიც დაარსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენციით წამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (1984 წელი);

ბ) წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, რომელიც დაარსებულია ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული კონვენციით წამების თავიდან აცილების შესახებ (1987 წელი);

გ) გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების აკრძალვის საკითხებში.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალურ და რეგიონულ დონეზე მოქმედებს ასევე სხვა საერთაშორისო სამონიტორინგო მექანიზმები, ისევე როგორც ასეთი მონიტორინგი ხორციელდება მრავალი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, წამების აკრძალვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის წარმოსაჩენად საკმარისია ხსენებული სამი სახის მონიტორინგის შეფასებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვა, რაც ობიექტურ სურათს ქმნის წამების აკრძალვასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

4.1. წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი

წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი დაარსებულია კონვენციით წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ (კონვენცია წამების წინააღმდეგ

ბრძოლის შესახებ), რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 1984 წლის 10 დეკემბერს.

კონვენცია კრძალავს ნამებასა და სხვა სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას. ნამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი ახორციელებს მონიტორინგს იმაზე, ასრულებენ თუ არა სახელმწიფოები კონვენციიდან გამომდინარე თავიანთ ვალდებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სახელმწიფოებს რეკომენდაციებს მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველო კონვენციის მონაწილე გახდა 1994 წლის 26 ოქტომბერს და, შესაბამისად, ამ დროიდან მას წარმოეშობა საერთაშორისო ვალდებულება, შეასრულოს კონვენციით გათვალისწინებული დებულებანი.

ნამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, წარუდგინონ კომიტეტს ანგარიშები იმ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ გაატარეს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. ეს მუხლი ასევე ადგენს, რომ სახელმწიფოს პირველადი ანგარიში უნდა წარუდგინოს ერთი წლის მანძილზე მას შემდეგ, რაც სახელმწიფო გახდა კონვენციის მონაწილე, ხოლო შემდგომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ.

კონვენციის მე-19 მუხლი ასევე ადგენს, რომ თითოეულ ანგარიშთან დაკავშირებით, რომელსაც განიხილავს კომიტეტი ნამების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, შეიძლება გაკეთდეს ზოგადი კომენტარი. ამ კომენტარში კომიტეტმა შეიძლება შეაფასოს ნამების აკრძალვასთან დაკავშირებული მდგომარეობა ქვეყანაში და მიუთითოს იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებას მიზანშეწონილად თვლის მდგომარეობის გამოსწორებისა და გაუმჯობესებისათვის.

საქართველომ უკვე წარუდგინა 3 ანგარიში ნამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტს, რომელშიც აღწერილია საქართველოს მიერ გატარებული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და პრაქტიკული ღონისძიებები ქვეყანაში ნამების აკრძალვასთან დაკავშირებით. წარდგენილი 3 ანგარიშიდან ნამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა ჯერჯერობით განიხილა 2 და შეაფასა საქართველოში არსებული მდგომარეობა ნამების აკრძალვასთან დაკავშირებით (მე-3 ანგარიშის განხილვა დაგეგმილია უახლოეს მომავალში).¹⁵

¹⁵ საქართველოს მე-3 პერიოდული ანგარიში, CAT/C/73/Add.1, 4 July 2005.

წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა საქართველოს პირველადი ანგარიში განიხილა 1996 წლის 21 ნოემბერს, რომლის შედეგადაც გააკეთა მრავალი დასკვნა და მიიღო რეკომენდაციები.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის მიერ ამ ზოგადი კომენტარების მიღებიდან თითქმის ათეული წელი გავიდა და ზოგიერთი რეკომენდაცია მოძველებულად შეიძლება მოგვეჩვენოს, ვინაიდან მრავალი ნაბიჯი ამ რეკომენდაციების შესასრულებლად უკვე გადაიდგა, მაინც მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მათზე.

კომიტეტმა თავის დასკვნაში კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სტრუქტურული რეფორმების განხორციელებაზე. ასეთი პოლიტიკა, კომიტეტის აზრით, პირველ რიგში აისახა საქართველოს კონსტიტუციაში.¹⁷ კომიტეტმა გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტორებსა და სირთულეებზე, რომლებიც აფერხებს კონვენციის დებულებების განხორციელებას, კერძოდ, ესენია: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა; ბიუროკრატია, რომელსაც არა აქვს საკმარისად დიდი სურვილი, გაატაროს კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმები; სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის არასაკმარისი ხარისხი; მოქმედი სამართლებრივი ნორმების არასაკმარის დონეზე დანერგვა პრაქტიკაში.¹⁸

წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა ასევე აღნიშნა ის საკითხები, რომლებიც შეუფოთებას იწვევს წამების აკრძალვის თვალსაზრისით. მან მიუთითა, რომ მრავლადაა საჩივრები წამების ფაქტებთან დაკავშირებით; არ ხდება იმ საჩივრების სწრაფად გამოძიება, რომლებიც ეხება წამებას; არ არსებობს დებულებები წამების მსხვერპლთათვის კომპენსაციისა და რესტიტუციის შესახებ, აგრეთვე მათი რეაბილიტაციის შესახებ; უკიდურესად არაადეკვატური პირობებია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მათ შორის ციხეებში; მაღალია ციხეებში სიკვდილიანობა.¹⁹

წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა გააკეთა რამდენიმე საყურადღებო რეკომენდაცია, რომელთა შორისაც ზოგიერთი დღესაც აქტუალურია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბდეს

¹⁶ იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 21/11/96, A/52/44.

¹⁷ იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 21/11/96, A/52/44, para. 116.

¹⁸ იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 21/11/96, A/52/44, para. 118(3).

¹⁹ იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 21/11/96, A/52/44, para. 120.

კონვენციით გათვალისწინებული წამების დეფინიცია; განხორციელდეს ინტენსიური სასწავლო პროგრამები პოლიციისა და ციხეების თანამშრომელთათვის, ასევე პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის კონვენციის რეგულირების სფეროში; გამოიყოს სათანადო რესურსები ციხის პირობების სასწრაფოდ გაუმჯობესებისათვის; სასჯელალსრულების სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადავიდეს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა საქართველოს მეორე პერიოდული ანგარიში განიხილა 2001 წლის მაისში, რომლის შედეგადაც გააკეთა შემდეგი დასკვნები და მიიღო რეკომენდაციები:²⁰ კომიტეტმა კმაყოფილებით აღნიშნა სახელმწიფოს ძალისხმევა სამართლებრივ რეფორმასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სრულყოფის, მათ შორის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის თვალსაზრისით. მან ასევე კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სასჯელალსრულების სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადავიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად.²¹

კომიტეტმა მეორე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით გამოხატა შეშფოთება შემდეგის გამო: ჯერ კიდევ კეთდება განცხადებები, რომ ხდება წამება და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ; წამების თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით არ ხდება სწრაფი, მიუკერძოებელი და სრული გამოძიება და არასაკმარისი ძალისხმევაა იმ პირების სისხლისსამართლებრივი დევნისათვის, რომლებმაც ჩაიდინეს წამება; ხდება რელიგიური უმცირესობების დარბევა და პოლიცია არ აღკვეთს ასეთ მოქმედებებს; მიუღებელი პირობებია ციხეებში.²²

წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტმა მეორე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით გააკეთა რეკომენდაციები, რომლებშიც მოუწოდა სახელმწიფოს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოაყალიბოს კონვენციით გათვალისწინებული წამების დეფინიცია; გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული წამება და არაადამიანური მოპყრობა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ;

²⁰ იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 07/05/01, A/56/44.

²¹ იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 07/05/01, A/56/44, para. 79.

²² იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 07/05/01, A/56/44, para. 81.

ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს დაუყოვნებლივ ეცნობოს თავისი უფლებების შესახებ, მათ შორის უფლების, ირივლოს არაადამიანური მოპყრობის შესახებ; წამების ჩამდენთა დაუსჯელობის თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნას ეფექტიანი და დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმი; ჩამოყალიბდეს დებულებები წამების მსხვერპლთა კომპენსაციისა და რეაბილიტაციის შესახებ; გატარდეს დაუყოვნებლივი ღონისძიებები პოლიციის განყოფილებებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობების გასაუმჯობესებლად; გატარდეს ღონისძიებები, რომ გაგრძელდეს სასწავლო პროგრამები წამების აკრძალვისა და თავიდან აცილების შესახებ.²³

4.2. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი დაარსებულია ევროპული კონვენციით წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის შესახებ (წამების საწინააღმდეგო კონვენცია), რომელიც მიღებულია ევროპის საბჭოს ეგიდით 1987 წელს.

კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები აარსებენ წამების საწინააღმდეგო კომიტეტს, რომელთა წევრები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. კომიტეტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში ვიზიტების საშუალებით, რომლის დროსაც კომიტეტის წევრები შეისწავლიან თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობას და იძლევიან რეკომენდაციებს იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გატარდეს სახელმწიფოს მიერ, რათა ეს პირები არ დაექვემდებარონ წამებას, ან არაადამიანურ მოპყრობას ან სასჯელს. კონვენციის მიხედვით, კომიტეტის წევრები ვიზიტის შედეგად ამზადებენ ანგარიშს, რომელშიც შეფასებულია ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და გამოთქმულია რეკომენდაციები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ასეთი ანგარიშები კონფიდენციაურია, თუმცა სახელმწიფოს უფლება აქვს, მოითხოვოს კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნება.

საქართველო წამების საწინააღმდეგო კონვენციის მონაწილე გახდა 2000 წელს. მას შემდეგ, რაც საქართველო კონვენციის მონაწილე გახდა, განხორციელდა კომიტეტის წარმომადგენელთა ორი ვიზიტი საქართველოში: პირველი ვიზიტი შედგა 2001 წლის 6-18 მაისს, ხოლო მეორე 2003 წლის

²³ იხ. Concluding Observations of the Committee Against Torture: Georgia, 07/05/01, A/56/44, para. 82.

18-28 მაისსა და 2004 წლის 7-14 მაისს.²⁴ საყურადღებოა, რომ საქართველოს მთავრობამ მოითხოვა კომიტეტის ორივე ანგარიშის გამოქვეყნება.²⁵

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის პირველ ანგარიშში, რომელიც გაკეთდა საქართველოსთან დაკავშირებით, გაკეთდა მრავალი რეკომენდაცია:

1) საქართველოს ხელისუფლებამ გაატაროს სასწრაფო ღონისძიებები პოლიციაში დაკავების კანონით დადგენილი ვადების პრაქტიკაში დაცვის უზრუნველსაყოფად;

2) პრიორიტეტი მიენიჭოს პოლიციის ყველა რანგისა და კატეგორიის თანამშრომელთა პროფესიულ მომზადებას, მათ შორის თანამედროვე საგამოძიებო მეთოდისა და პრაქტიკაში;

3) პოლიციის თანამშრომელთა სამსახურში მიღების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი უნდა იყოს ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა კომუნიკაბელურობა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი;

4) პოლიციის თანამშრომლებს უნდა განემარტოთ, რომ დაკავებულ პირთა მიმართ არამართებული მოპყრობა და ფიზიკური ძალის გამოყენება დაუშვებელია და მკაცრად დაისჯება;

5) პოლიციის მუშაკებს მუდმივად უნდა შეახსენონ, რომ ძალის გამოყენება უნდა ხდებოდეს მკაცრად იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია კონკრეტულ ვითარებაში;

6) სასამართლოში მიყვანილი ბრალდებულის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება პოლიციის მიერ მისდამი არასათანადო მოპყრობის თაობაზე მოსამართლემ წერილობით უნდა დააფიქსიროს, დაუყოვნებლივ გასცეს განკარგულება სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება ბრალდებულის განცხადებაში აღნიშნული ფაქტების გამოძიების მიზნით. გარდა ამისა, ამგვარი განცხადების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, თუკი არსებობს სხვა საფუძველი, რაც მოსამართლეს აფიქრებინებს, რომ აღნიშნული პირი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია;

7) პოლიციაში დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება თავისუფლების აღკვეთისთანავე;

²⁴ 2003 წლის ნოემბერში განხორციელებული ვიზიტი, იმ დროს საქართველოში არსებული ცნობილი მოვლენების გამო, შეწყდა და იგი განახლდა 2004 წლის მაისში.

²⁵ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშები, მათ შორის ანგარიშები საქართველოსთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია კომიტეტის ინტერნეტ-გვერდზე: [\[www.cpt.coe.int\]](http://www.cpt.coe.int). CPT/Inf (2002) 14, CPT/Int (2005) 12.

8) პოლიციაში დაკავებული ყველა პირი თავისუფლების აღკვეთისთანავე უნდა იღებდეს საინფორმაციო ფურცელს თავისი უფლებების წერილობითი ჩამონათვალით;

9) უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა დროებითი დაკავების იზოლატორებში დაკავებულები უზრუნველყოფილი იყვნენ სათანადო განათებითა და ვენტილაციით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, საკმარისი რაოდენობისა და ხარისხიანი საკვებით;

10) დაკავებული და დაპატიმრებული პირები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო სამედიცინო მომსახურებით და სხვ.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მეორე ანგარიშში, რომელიც მომზადდა 2005 წლის ივნისში, ასევე გაკეთდა მრავალი რეკომენდაცია, რომლებიც ძირითადად იმეორებს პირველად მოხსენებაში გამოხატულ რეკომენდაციებს, თუმცა ასევე აღინიშნება ის პოზიტიური ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა 2001 წლიდან 2004 წლამდე.²⁶

4.3. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ თავისი რეზოლუციით – №1985/33 – გადაწყვიტა, დაენიშნა სპეციალური მომხსენებელი, რომელიც შეისწავლიდა წამებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სპეციალური მომხსენებლის მანდატი მოიცავს ყველა ქვეყანას, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა ამა თუ იმ სახელმწიფომ წამების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის რატიფიცირება. მანდატის მიხედვით, სპეციალურ მომხსენებელს შეუძლია მიმართოს სახელმწიფოებს იმ კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც არიან წამების რისკის ქვეშ; განახორციელოს ფაქტების დამდგენი ვიზიტები სახელმწიფოებში და წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიშები წამების აკრძალვასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიას და გენერალურ ასამბლეას.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში 2005 წლის 19-25 თებერვალს, რომლის შედეგადაც მან გააკეთა ანგარიში და წარუდგინა ის გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიას.²⁷

სპეციალურმა მომხსენებელმა თავისი ვიზიტის შედეგად საქართველოს ხელისუფლებას მისცა რიგი წინასწარი რეკომენდაციებისა, კერძოდ:

²⁶ CPT/Int (2005) 12.

²⁷ იხ. Civil and Political Rights, Including: the Questions of Torture and Detention, Preliminary Note by the Special Rapporteur on Torture, and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Manfred Nowak, Mission to Georgia, E/CN.4/2005/62/Add.3, 16 March, 2005.

ა) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წამების დეფინიცია სრულ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კონვენციის 1-ლ მუხლთან;

ბ) მოსამართლეებმა და პროკურორებმა გამოჰკითხოთ პოლიციიდან წარმოდგენილ პირებს მათ მიმართ მოპყრობის შესახებ და, წამებასთან დაკავშირებული საჩივრის მიუხედავად, მოითხოვონ მათი სამედიცინო შემოწმება;

გ) ნებისმიერი მტკიცება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ სწრაფად და დეტალურად იქნეს გამოძიებული;

დ) დაცული იყოს პრინციპი, რომლის მიხედვით, წამების შედეგად მიღებული ჩვენება მხედველობაში არ მიიღება, ასევე დაუშვებელი უნდა იყოს ადვოკატის გარეშე მიღებული აღიარებითი ჩვენება, რომელიც სასამართლოს წინაშე არ დადასტურდა;

ე) წამების მსხვერპლს მიეცეს კომპენსაცია და იგი იყოს უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურებით და რეაბილიტაციით.

ვ) შეიზღუდოს წინასწარი დაკავების შემთხვევები უმნიშვნელო დანაშაულთათვის და არასრულწლოვანი პირების მიმართ; გამოყენებულ იქნეს არასაპატიმრო ღონისძიებები, როგორცაა გირაო.

ზ) ბრალდებული და მსჯავრდებული პირები ერთმანეთისაგან მკაცრად განცალკევებულნი იყვნენ;

თ) სასჯელაღსრულების მოქმედი დაწესებულებები გარემონტდეს, რათა დააკმაყოფილოს მინიმალური სტანდარტები;

ი) ყველა საგამოძიებო ორგანომ დაადგინოს ეფექტიანი პროცედურები თავისი თანამშრომლების მოქმედების შიდა კონტროლისათვის, რათა აღმოფხვრას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა;

კ) სამართალდამცავ ორგანოში მიღებულმა ყველა თანამშრომელმა გაიაროს ინტენსიური და ყოვლისმომცველი სასწავლო კურსი, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან დაკავშირებით.²⁸

5. დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში მრავალი პოზიტიური ღონისძიება გატარდა წამების აკრძალვასთან დაკავში-

²⁸ იხ. Civil and Political Rights, Including: the Questions of Torture and Detention, Preliminary Note by the Special Rapporteur on Torture, and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Manfred Nowak, Mission to Georgia, E/CN.4/2005/62/Add.3, 16 March, 2005.

რებით, თუმცა მდგომარეობა ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებელია და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების გაგრძელებას. საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და მექანიზმების შეფასებების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაკუთრებულ შემოთავაზებას იწვევს ამ საერთაშორისო ორგანოებსა თუ მექანიზმებში. უფრო ეფექტიანი ღონისძიებები უნდა გატარდეს ხელისუფლების მიერ როგორც საკანონმდებლო, ისე, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი აზრით, პრაქტიკული თვალსაზრისით, რათა ნორმატიული აქტები ადეკვატურად აისახოს სასამართლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში.

საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და მექანიზმების რეკომენდაციები ძირითადად ეხება იმას, რომ წამების თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით მოხდეს სწრაფი, მიუკერძოებელი და სრული გამოძიება და ძალისხმევა უნდა განხორციელდეს იმ პირების სისხლისსამართლებრივი დევნისათვის, რომლებმაც ჩაიდინეს წამება; მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს პირობები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მათ შორის ციხეებში, რისთვისაც აუცილებელია, დაუყოვნებლივ გამოიყოს სათანადო რესურსები; განხორციელდეს ინტენსიური სასწავლო პროგრამები პოლიციისა და ციხეების თანამშრომელთათვის, ასევე პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის კონვენციის რეგულირების სფეროში; ხელისუფლებამ გაატაროს სასწრაფო ღონისძიებები პოლიციაში დაკავების კანონით დადგენილი ვადების პრაქტიკაში დაცვის უზრუნველსაყოფად; პოლიციის მუშაკებს მუდმივად უნდა შეახსენონ, რომ ძალის გამოყენება უნდა ხდებოდეს მკაცრად იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია კონკრეტულ ვითარებაში; სასამართლოში მიყვანილი ბრალდებულის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება პოლიციის მიერ მისდამი არასათანადო მოპყრობის თაობაზე მოსამართლემ წერილობით უნდა დააფიქსიროს, დაუყოვნებლივ გასცეს განკარგულება სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება ბრალდებულის განცხადებაში აღნიშნული ფაქტების გამოძიების მიზნით; პოლიციაში დაკავებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება თავისუფლების აღკვეთისთანავე; უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რათა დროებითი დაკავების იზოლაციურებში დაკავებულები უზრუნველყოფილი იყვნენ სათანადო განათებითა და ვენტილაციით, პირადი ჰიგიენის ნივთებით, საკმარისი რაოდენობისა და ხარისხიანი საკვებით; წამების მსხვერპლს მიეცეს სათანადო კომპენსაცია.

საერთაშორისო სამონიტორინგო ორგანოებისა და მექანიზმების შეფასებების, ასევე საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით შეიძლება გამოითქვას რამდენიმე რეკომენდაცია იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გატარდეს საქართველოში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

1. საქართველოს კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმად, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაშიც კი საქართველოს პრეზიდენტს არ ექნება უფლება, შეზღუდოს მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლება;
2. საქართველოს მოსამართლეებსა და პროკურატურის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ ინტენსიური ტრენინგები წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველ მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების სფეროში;
3. საქართველოს მოსამართლეებსა და პროკურორებს მიეცეთ საშუალება, დეტალურად გაეცნონ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებებსა და რეკომენდაციებს წამების აღმოფხვრის სფეროში;
4. აღძრულ იქნეს გამოძიება წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ყველა სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით;
5. არასათანდო მოპყრობის ან მუქარის სავარაუდო ფაქტების არსებობის შემთხვევაში გამოძიება აღძრულ იქნეს არა სამოხელეო დანაშაულის მუხლებით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი 144¹-ე-144³-ე მუხლებით;
6. აღძრული გამოძიება წარმართულ იქნეს სწრაფად, ეფექტიანად და სრულყოფილად, და გამოვლენილ იქნეს იმ პირთა წრე, რომელთაც შესაძლოა, კავშირი ჰქონოდათ წამების სავარაუდო მსხვერპლთან დაკავებისას, პოლიციის ან პენიტენციური სისტემის დაწესებულებაში;

7. გამონაკლისის გარეშე განსაკუთრებული სიზუსტით იქნეს დაფიქსირებული ყოველი პირი, რომელსაც აღენიშნება დაზიანება პოლიციის დანტესტებულებაში ან წინასწარი გამოძიების იზოლატორში შეყვანისას;
8. ყველა პირს დაუბრკოლებლად მიეცეს საშუალება მოითხოვოს და გაიაროს უფასო სამედიცინო შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს და გაიაროს ალტერნატიული სამედიცინო შემოწმება;
9. ადვოკატებს მიეცეთ საშუალება თავისუფლების შეზღუდვის შემდგომ დაუყოვნებლივ შეხვდნენ დაცვის ქვეშ მყოფთ;
10. აღმოიფხვრეს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც საპროცესო შეთანხმების გამო მსხვერპლი უარს ამბობს მის წამებასთან დაკავშირებით შეტანილ საჩივარზე;
11. მიუკერძოებლად იქნეს წარმართული წამების და სხვა სახის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიება;
12. გამოიყოს ადეკვატური მატერიალური რესურსები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის.

დამატებითი საკითხავი მასალა

Amnesty International, *End Impunity: Justice for the Victims of Torture*, ACT/40/024/2001

Amnesty International, *Fair Trials Manual*, POL 30/02/98

Ineke Boerefijn (ed), *Prevention of Torture, a digest of cases of the European Committee for the Prevention of Torture and the United Nations Committee Against Torture*, Netherlands Institute for Human Rights (SIM) and the Open Society Institute, 2001

Ahcene Boulesbaa, *The UN Convention on Torture and the Prospects for Enforcement*, Martinus Nijhoff Publishers, 1999

Malcolm Evans and Rod Morgan, *Preventing Torture, a study of the European Convention for the Prevention of Torture and Inhuman and Degrading Treatment or Punishment*, Clarendon Press, 1998

Camille Giffard, *The Torture Reporting Hand book*, The Human Rights Centre University of Essex, 2000

Nigel Roidley, *the Treatment of Prisoners under International Law* (2nd ed.), Clarendon Press, 1999

Anna-Lena Svensson McCarthy, *Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers*, (Professional Training Series No.9), United Nations Office of the High Commissioner for Human Rights in co-operation with the International Bar Association, 2003

Lene Wendland, *A Handbook on State Obligations Under the UN Convention Against Torture*, Association for the Prevention of Torture, 2002

ISBN 99940-58-69-X



9 789994 058693



Raoul Wallenberg Institute
of Human Rights and Humanitarian Law

LUND UNIVERSITY

საქართველოს
სახელმწიფო დამცველის
აპარატი